<b>eau</b>	<b>o</b>	<b>ო</b>	<p>გრაფემათა  ეს თანამიმ-  დევრობა  ნიდერ-  ლანდურში  გამოიყენება  მხოლოდ  ფრანგული-  დან ნასესხებ  საკუთარ და  საზოგადო  სახელებში</p>	<p><b>ანთროპონიმები:</b>  Beau – ბო  Tibeau – ტიბო  Blondeau – ბლონდო  Lebeau – ლებო  Reynebeau – რეინებო</p>
<b>aeÿ</b>	<b>ai</b>	<b>აი</b>		<p><b>ანთროპონიმები:</b>  Claeyssens – კლაისენს-ი  Baeyens – ბაიენს-ი</p>
<b>au</b>	<b>ay</b>	<b>აუ</b>		<p><b>ანთროპონიმები:</b>  Laura – ლაურა  Paulien – პაულინ-ი</p>

				<p>Bauer – ბაუერ-ი Pauw – პაუ</p> <p><b>ტოპონიმები:</b> Maurik – მაურიკ-ი Haulerwijk – ჰაულერვეიკ-ი Baarle-Nassau – ბარლე-ნასაუ Blauw – ბლაუ Blauwenhoek – ბლაუენჰოეკ-ი</p>
<b>b</b>	<b>b</b>	<b>ბ</b>		<p><b>ანთროპონიმები:</b> Bas – ბას-ი Barend – ბარენდ-ი Bert – ბერტ-ი Bakker – ბაკერ-ი Bordewijk – ბორდევეიკ-ი Bloem – ბლუმ-ი Bomans – ბომანს-ი Bredero – ბრედერო</p> <p><b>ტოპონიმები:</b> Beuningen – ბეუნინგენ-ი Brussel – ბრიუსელ-ი Bussum – ბუსუმ-ი Breda – ბრედა</p>
<b>c</b>	<b>s</b>	<b>ს</b>	e, i, y, ij-ს წინ	<p><b>ანთროპონიმები:</b> Celien – სელინ-ი Ciske – სისკე Cyril – სირილ-ი Cijs – სეის-ი Vercijs – ვერსეის-ი Cillessen – სილესენ-ი</p> <p><b>ტოპონიმები:</b> Ceresdorp – სერესდორპ-ი Cillaarshoek – სილარსჰოეკ-ი Cellemeuiden – სელემაუდენ-ი Cyprus – სიპრუს-ი (კვიპროსი)</p>
	<b>k</b>	<b>კ</b>	დანარჩენ შემთხვევებში	<p><b>ანთროპონიმები:</b> Carolien – კაროლინ-ი Carlijn – კარლეინ-ი Coen – კუნ-ი</p>



				<p>Camiel – კამილ-ი  Marc – მარკ-ი  Remco – რემკო  Campert – კამპერტ-ი  Cornelissen – კორნელისენ-ი  Cuypers – კაუპერს-ი  Cruyff – კრაუფ-ი  Claessens – კლასენს-ი</p> <p><b>ტოპონიმები:</b>  Castricum – კასტრიკუმ-ი  Clinge – კლინგე  Cabauw – კაბაუ  Coldenhove – კოლდენჰოვე  Crailo – კრაილო</p>
cc	ks	კს	e, i, y, ij-ს წინ გამოიყენება მხოლოდ საზოგადო სახელეში	<p>Accent – აკსენტ-ი (აქცენტი)  Accijns – აკსეინს-ი (აქციზი)  Succes – სუკსეს-ი (წარმატება)</p>
	k	კ	ყველა სხვა შემთხვევაში	<p><b>ანთროპონიმები:</b>  Lucca – ლუკა  Jacco – იაკო  Rocco – როკო</p>
ch	y	ხ		<p><b>ანთროპონიმები:</b>  Hadewijch – ჰადევიჩ-ი  Elbrich – ელბრიხ-ი  Michiel – მიხილ-ი  Achterberg – ახტერბერხ-ი  Koch – კოხ-ი</p> <p><b>ტოპონიმები:</b>  Brucht – ბრუხტ-ი  Dordrecht – დორდრეხტ-ი  Lochem – ლოხემ-ი  Chaamdijk – ჩამდეიკ-ი  Haastrecht – ჰასტრეხტ-ი</p>
	tj	ჩ	ინგლისურიდან ნასესხებ საკუთარ და	<p><b>ანთროპონიმები:</b>  Charlie – ჩარლი  Churchill – ჩერჩილ-ი</p>

			საზოგადო სახელებში	<b>ტოპონიმები:</b> Chatham – ჩეტემ-ი Chester – ჩესტერ-ი
	<b>ქ</b>	<b>შ</b>	ფრანგული- დან ნასესხებ საკუთარ და საზოგადო სახელებში	<b>ანთროპონიმები:</b> Chantal – შანტალ-ი Charlotte – შარლოტე Sacha – საშა  <b>ტოპონიმები:</b> Charleroi – შარლერუა
	<b>k</b>	<b>კ</b>	ყველა სხვა შემთხვევაში, მათ შორის საკუთარ სახელებში	<b>ანთროპონიმები:</b> Christiaan – კრისტიან-ი Chiara – კიარა Christopher – კრისტოფერ-ი
<b>ck</b>	<b>k</b>	<b>კ</b>		<b>ანთროპონიმები:</b> Yannick – იანიკ-ი Teirlinck – ტეირლინკ-ი Ruyslinck – რაუსლინკ-ი Bracke – ბრაკე Eeckels – ეკელს-ი Berckx – ბერკს-ი  <b>ტოპონიმები:</b> Wonck – ვონკ-ი Beckum – ბეკუმ-ი Blitterswijk – ბლიტერსვეიკ-ი Cranendonck – კრანენდონკ-ი Eckelrade – ეკელრადე
<b>d</b>	<b>d</b>	<b>დ</b>		<b>ანთროპონიმები:</b> Daan – დან-ი Dries – დრის-ი Dominiek – დომინიკ-ი Dekkers – დეკერს-ი Dijkstra – დეიკსტრა Douma – დაუმა  <b>ტოპონიმები:</b> Drenthe – დრენტე Dokkum – დოკუმ-ი

				Dordrecht – დორდრეხტ-ი Delft – დელფტ-ი
<b>e, ee</b>	<b>e</b>	<b>ე</b>		<b>ანთროპონიმები:</b> Els – ელს-ი Eline – ელინე Evelien – ეველინ-ი Eefje – ეფიე Erens – ერენს-ი Engelman – ენგელმან-ი Eeckels – ეკელს-ი Eeckhout – ეკჰაუტ-ი  <b>ტოპონიმები:</b> Eeklo – ეკლო Edam – ედამ-ი Eemnes – ემნეს-ი
<b>e</b>	<b>ə</b>	<b>ე</b>	სიტყვის ბოლო მარცვალში	<b>ანთროპონიმები:</b> Eline – ელინე Sanne – სანე Appel – აპელ-ი Harten – ჰარტენ-ი  <b>ტოპონიმები:</b> Kerkrade – კერკრადე Gelderland – ხელდერლანდ-ი
<b>eë, eeë, eëe</b>	<b>e:</b>	<b>ეე</b>	მხოლოდ საზოგადო სახელებში მაგალითად: Deëscaleren – დეესკალაცია	
<b>ei, eij, ey</b>	<b>ei</b>	<b>ეი</b>		<b>ანთროპონიმები:</b> Eise – ეისე Meindert – მეინდერტ-ი Teije – ტეიე Cleybroek – კლეიბრუკ-ი Sneijder – სნეიდერ-ი Meijer – მეიერ-ი Casteleyn – კასტელეინ-ი Verweij – ვერვეი

				<p><b>ტოპონიმები:</b>  Eys – ეის-ი  Eijsden – ეისდენ-ი  Eibergen – ეიბერხენ-ი  Eindhoven – ეინდჰოვენ-ი  Leiden – ლეიდენ-ი  Eijer – ეიერ-ი  Reykjavik – რეიკიავიკ-ი</p>
<b>ei</b>	<b>ei</b>	<b>ეი</b>	<p>გამოიყენება მხოლოდ საზოგადო და უცხოური ენებიდან ნასესხებ საკუთარ სახელებში</p>	<p><b>ანთროპონიმი:</b>  Meir – მეირ-ი</p>
<b>eu</b>	<b>ø</b>	<b>ეუ</b>		<p><b>ანთროპონიმები:</b>  Teun – ტეუნ-ი  Fleur – ფლეურ-ი  Beurskens – ბეურსკენს-ი  Deleu – დელეუ  Meuleman – მეულემან-ი</p> <p><b>ტოპონიმები:</b>  Leuven – ლეუვენ-ი  Terneuzen – ტერნეუზენ-ი  Deurne – დეურნე</p>
<b>f</b>	<b>f</b>	<b>ფ</b>		<p><b>ანთროპონიმები:</b>  Famke – ფამკე  Feenstra – ფენსტრა  Fontijn – ფონტეინ-ი  Fredriks – ფრედრიკს-ი</p> <p><b>ტოპონიმები:</b>  Flevoland – ფლევოლანდ-ი  Friesland – ფრისლანდ-ი  Franeker – ფრანეკერ-ი</p>
<b>g</b>	<b>γ</b>	<b>ბ</b>		<p><b>ანთროპონიმები:</b>  Gerbrand – გერბრანდ-ი  Gerda – გერდა</p>

				<p>Godfried – ხოდფრიდ-ი  Gerard – ხერარდ-ი  Gezelle – ხეზელე  Gorter – ხორტერ-ი  Grunberg – ხრუნბერხ-ი</p> <p><b>გამონაკლისი:</b>  Van Gogh – ვან გოგი</p> <p><b>ტოპონიმები:</b>  Giethoorn – სიტჰორნ-ი</p> <p><b>გამონაკლისები, რადგანაც  სმარებაშია დამკვიდრებული:</b>  Gouda – გაუდა  Groningen – გრონინგენ-ი  Den Haag – ჰააგა  Brugge – ბრიუგე</p>
	ვ	ჟ	ფრანგული-დან ნასესხებ საკუთარ და საზოგადო სახელებში	<p><b>ანთროპონიმები:</b>  Eugenie – ეუჟენი  Eugenia – ეუჟენია</p>
h	h	ჰ		<p><b>ანთროპონიმები:</b>  Huub – ჰუბ-ი  Hendrik – ჰენდრიკ-ი  Hella – ჰელა  Haasse – ჰასე  Hoekstra – ჰუესტრა  Hertmans – ჰერტმანს-ი  Hoeke – ჰუკე</p> <p><b>ტოპონიმები:</b>  Hulst – ჰულსტ-ი  Horn – ჰორნ-ი  Heemskerk – ჰემსკერკ-ი</p>
i	i	ი		<p><b>ანთროპონიმები:</b>  Ineke – ინეკე  Inge – ინგე  Irene – ირენე</p>

				<p><b>ტოპონიმები:</b>          IJpendam – ილპენდამ-ი          Limburg – ლიმბურხ-ი          IJpenburg – იპენბურხ-ი</p>
<b>ie</b>	<b>i</b>	<b>ი</b>		<p><b>ანთროპონიმები:</b>          Annie – ანი          Arie – არი          Pieter – პიტერ-ი          Driessen – დრისენ-ი          Van Lieshout – ვან ლისჰაუტ-ი</p> <p><b>ტოპონიმები:</b>          Friesland – ფრისლანდ-ი          Brielle – ბრილე          Ieper – იპერ-ი</p>
<b>ië</b>	<b>ie</b>	<b>იე</b>		<p><b>ანთროპონიმები:</b>          Daniël – დანიელ-ი          Gabriël – გაბრიელ-ი          Mariëlle – მარიელე          Morriën – მორიენ-ი          Daniëls – დანიელს-ი</p> <p><b>ტოპონიმები:</b>          Arriën – არიენ-ი          Arriërveld – არიერველდ-ი          Mariënvelde – მარიენველდე</p>
<b>ieu</b>	<b>iu</b>	<b>იუ</b>		<p><b>ტოპონიმები:</b>          Nieuwerkerke – ნიუკერკე          Nieuwland – ნიულანდ-ი          Nieuwolda – ნიუვოლდა          Nieuwkoop – ნიუკოპ-ი          Nieuw-Amsterdam – ნიუ-ამსტერდამ-ი</p>
<b>ij</b>	<b>ei</b>	<b>ეი</b>	<p>სიტყვის დასაწყისში და თანხ- მოვნების შემდეგ, მაგრამ არა როგორც სუფიქსის</p>	<p><b>ანთროპონიმები:</b>          Marijke – მარიეკე          Lodewijk – ლოდევეიკ-ი          Boudewijn – ბაუდევეინ-ი          Marjolijn – მარიოლეინ-ი          Prijs – პრეის-ი          Tijsmans – ტეისმანს-ი          Bilderdijk – ბილდერდეიკ-ი</p>

			შემადგენელი ნაწილი. მაგალითად, Stedelijk – სტედელეკ ხმოვნების შემდეგ	Fontijn – ფონტეინ-ი Komrij – კომრეი Gijsen – ხეისენ-ი  <b>ტოპონიმები:</b> IJssel – ეისელ-ი Katwijk – კატვეიკ-ი Slikenburg – სლეიკენბურხ-ი Slijk-Ewijk – სლეიკ-ევეიკ-ი
	<b>i</b>	<b>ი</b>		<b>ანთროპონიმი:</b> Van Ostaijen – ვან ოსტაიენ-ი
<b>j</b>	<b>j</b>	<b>ი</b>		<b>ანთროპონიმები:</b> Joppe – იოპე Jasper – იასპერ-ი Jan – იან-ი Jos – იოს-ი Jasmijn – იასმეინ-ი Jansen – იანსენ-ი Jacobs – იაკობს-ი Jongkind – იონგკინდ-ი  <b>ტოპონიმები:</b> Julianadorp – იულიანადორპ-ი Joppe – იოპე Jelsum – იელსუმ-ი
	<b>dj</b>	<b>ჯ</b>	ინგლისური-დან ნასესხებ საკუთარ და საზოგადო სახელებში	<b>ანთროპონიმები:</b> John – ჯონ-ი Jack – ჯეკ-ი
	<b>ჰ</b>	<b>ჟ</b>	ფრანგული-დან ნასესხებ სიტყვებში	<b>ანთროპონიმები:</b> Jean – ჟან-ი Julie – ჟული Japin – ჟაპენ-ი
<b>k</b>	<b>k</b>	<b>კ</b>		<b>ანთროპონიმები:</b> Karljin – კარლეინ-ი Karel – კარელ-ი Kirsten – კირსტენ-ი Koch – კოხ-ი

			<p>Komrij – კომრეი Kramer – კრამერ-ი</p> <p><b>ტოპონიმები:</b> Kortrijk – კორტრეიკ-ი Koudekerke – კაუდეკერკე Kinderdijk – კინდერდეიკ-ი Kampen – კამპენ-ი</p>
<b>l</b>	<b>l</b>	<b>ლ</b>	<p><b>ანთროპონიმები:</b> Lodewijk – ლოდევეიკ-ი Loes – ლუს-ი Lieke – ლიკე Lenstra – ლენსტრა Lampo – ლამპო Langenberg – ლანგენბერხ-ი</p> <p><b>ტოპონიმები:</b> Luik – ლაუკ-ი Lanaken – ლანაკენ-ი Lelystad – ლელისტად-ი Laren – ლარენ-ი</p>
<b>m</b>	<b>m</b>	<b>მ</b>	<p><b>ანთროპონიმები:</b> Mark – მარკ-ი Marjolijn – მარიოლეინ-ი Marian – მარიან-ი Marsman – მარსმან-ი Mulder – მულდერ-ი Meijer – მეიერ-ი Mak – მაკ-ი</p> <p><b>ტოპონიმები:</b> Monnickendam – მონიკენდამ-ი Molenhoek – მოლენჰოეკ-ი Muiden – მაუდენ-ი Mechelen – მეხელენ-ი</p>
<b>n</b>	<b>n</b>	<b>ნ</b>	<p><b>ანთროპონიმები:</b> Nienke – ნინკე Nico – ნიკო Niels – ნილს-ი Note – ნოტე Noort – ნორტ-ი</p>



			<p><b>ტოპონიმები:</b>  Naaldwijk – ნალდვეიკ-ი  Naarden – ნარდენ-ი  Nijmegen – ნეიმეხენ-ი</p>
<b>ng</b>	<b>ჟ</b>	<b>ნგ</b>	<p><b>ანთროპონიმები:</b>  Inge – ინგე  Ingrid – ინგრიდ-ი  Meijsing – მეისინგ-ი</p> <p><b>ტოპონიმები:</b>  Poperinge – პოპერინგე  Terschelling – ტერსხელინგ-ი  Tongeren – ტონგერენ-ი</p> <p><b>გამონაკლისი:</b>  თუ ng-ს მოჰყვება a ხმოვანი – nga,  მაშინ იკითხება როგორც ნხა:  Menninga – მენინხა  Andheringa – ანდჰერინხა  Hiddinga – ჰიდინხა  Huizinga – ჰაუზინხა  Mensinga – მენსინხა  Nanninga – ნანინხა  Pentinga – პენტინხა  Veninga – ვენინხა  Wieringa – ვირინხა</p>
<b>o</b>	<b>ა</b>	<b>ო</b>	<p><b>ანთროპონიმები:</b>  Oscar – ოსკარ-ი  Onno – ონო  Oberski – ობერსკი  Otten – ოტენ-ი</p> <p><b>ტოპონიმები:</b>  Otterlo – ოტერლო  Oss – ოს-ი  Ommen – ომენ-ი</p>
<b>oo</b>	<b>ო</b>	<b>ო</b>	<p><b>ანთროპონიმები:</b>  Joop – იოპ-ი  Roosje – როშიე  Floortje – ფლოორჩიე  Loontjens – ლონჩიენს-ი</p>

				<p>Van Doorn – ვან დორნ-ი Noort – ნორტ-ი</p> <p><b>ტოპონიმები:</b> Oostende – ოსტენდე Akersloot – აკერსლოტ-ი Apeldoorn – აპელდორნ-ი Den Hoorn – დენ ჰორნ-ი Amersfoort – ამერსფორტ-ი</p>
<b>oö</b>	<b>ა:</b>	<b>ოო</b>	<p>გამოიყენებ ა მხოლოდ საზოგადო სახელებში: Zoölogie – ზოოლოგია</p>	
<b>oe</b>	<b>u</b>	<b>უ</b>		<p><b>ანთროპონიმები:</b> Roel – რულ-ი Jeroen – იერუნ-ი Koen – კუნ-ი Koeman – კუმან-ი Snoek – სნუკ-ი</p> <p><b>ტოპონიმები:</b> Roermond – რურმონდ-ი Oldebroek – ოლდებრუკ-ი Oegstgeest – უესტგესტ-ი</p>
<b>oë</b>	<b>oe</b>	<b>ოე</b>		<p><b>ანთროპონიმები:</b> Noëmi – ნოემი Noë – ნოე Schroën – სხროენ-ი</p> <p><b>ტოპონიმები:</b> Balloërveld – ბალოერველდ-ი Loënga – ლოენსა Goëngahuizen – ხოენსაჰაუზენ-ი Exloërveen – ექსლოერვენ-ი</p>
<b>ou</b>	<b>au</b>	<b>აუ</b>		<p><b>ანთროპონიმები:</b> Nout – ნაუტ-ი Wouter – ვაუტერ-ი Schouten – სხაუტენ-ი</p>

				<p>Douma – დაუმა</p> <p><b>ტოპონიმები:</b>  Abcoude – აბკაუდე  Koudekerke – კაუდეკერკე  Gouda – გაუდა  Ouderkerk – აუდერკერკ-ი</p>
	<b>u</b>	<b>უ</b>	<p>უცხოური  წარმოშობის  სიტყვებში</p>	<p><b>ანთროპონიმები:</b>  Anouk – ანუკ-ი  Louis – ლუი  Couperus – კუპერუს-ი  Bouazza – ბუაზა  Benzakour – ბენზაკურ-ი  Stitou – სტიტუ</p>
<b>ouwe</b>	<b>auε</b>	<b>აუე</b>		<p><b>ანთროპონიმები:</b>  Douwe – დაუე  Louwe – ლაუე  Brouwer – ბრაუერ-ი  Nouwen – ნაუენ-ი</p> <p><b>ტოპონიმები:</b>  Ouwendorp – აუენდორპ-ი  Noordgouwe – ნორდსაუე</p>
<b>p</b>	<b>p</b>	<b>პ</b>		<p><b>ანთროპონიმები:</b>  Pim – პიმ-ი  Pieter – პიტერ-ი  Paul – პაულ-ი  Peters – პეტერს-ი  Postma – პოსტმა  Palmen – პალმენ-ი</p> <p><b>ტოპონიმები:</b>  Purmerend – პურმერენდ-ი  Poperinge – პოპერინგე  Papendrecht – პაპენდრეხტ-ი</p>
<b>ph</b>	<b>f</b>	<b>ფ</b>		<p><b>ანთროპონიმები:</b>  Philip – ფილიპ-ი  Christopher – კრისტოფერ-ი  Sophie – სოფი  Daphne – დაფნე</p>

				Philips – ფილიპს-ი Philipoom – ფილიპომ-ი  <b>ტოპონიმები:</b> Alphen – ალფენ-ი Philippine – ფილიპინე Rucphen – რუკფენ-ი Zutphen – ზუტფენ-ი
	<b>ph</b>	<b>პჰ</b>	კომპოზიციის შემადგენელ ფუძეთა ზღ- ვარზე	<b>ანთროპონიმები:</b> Kamphuis – კამპჰაუს-ი Kamphorst – კამპჰორსტ-ი Schaaphok – სხაპჰოკ-ი  <b>ტოპონიმები:</b> Staphorst – სტაპჰორსტ-ი Stiphout – სტიპჰაუტ-ი Schiphol – სხიპჰოლ-ი
<b>q</b>	<b>k</b>	<b>კ</b>		<b>ანთროპონიმი:</b> Leclercq – ლეკლერკ-ი
<b>qu</b>	<b>kw</b>	<b>კვ</b>		<b>ანთროპონიმები:</b> Quentin – კვენტინ-ი Querido – კვერიდო  <b>ტოპონიმები:</b> Usquert – უსკვერტ-ი Rasquert – რასკვერტ-ი  <b>გამონაკლისი:</b> Cruquius – კრუკიუს-ი
<b>que</b>	<b>k</b>	<b>კ</b>	ფრან- გულიდან ნასესხები სახელების ბოლოს	<b>ანთროპონიმები:</b> Danique – დანიკ-ი Dominique – დომინიკ-ი Monique – მონიკ-ი Jacques – ჟაკ-ი  <b>ტოპონიმები:</b> Barlaque – ბარლაკ-ი
<b>r</b>	<b>r</b>	<b>რ</b>		<b>ანთროპონიმები:</b> Remco – რემკო

				<p>Ronald – რონალდ-ი  Roel – რულ-ი  Ruud – რუდ-ი  Reuling – რეულინგ-ი  Rademakers – რადემაკერს-ი  Rispen – რისპენს-ი</p> <p><b>ტოპონიმები:</b>  Roermond – რურმონდ-ი  Randwijk – რანდვეიკ-ი  Rotterdam – როტერდამ-ი</p>
<b>s</b>	<b>s</b>	<b>ს</b>		<p><b>ანთროპონიმები:</b>  Sem – სემ-ი  Sanne – სანე  Sander – სანდერ-ი  Saskia – სასკია  Snijders – სნეიდერს-ი  Simonis – სიმონის-ი  Sax – საქს-ი  Sturm – სტურმ-ი</p> <p><b>ტოპონიმები:</b>  Stavoren – სტავორენ-ი  Sassenheim – სასენჰეიმ-ი  Scheveningen – სხევენინგენ-ი</p>
	<b>z</b>	<b>ზ</b>	ძველი მართლწერით	<p><b>ტოპონიმები:</b>  Roosendaal – როზენდალ-ი  Heythuysen – ჰეიტჰაუზენ-ი</p>
	<b>sy</b>	<b>სს</b>	სიტყვის დასაწყისში ან შუაში	<p><b>ანთროპონიმები:</b>  Schroten – სხროტენ-ი  Schepers – სხეპერს-ი  Schenk – სხენკ-ი  Walschap – ვალსხაპ-ი</p> <p><b>ტოპონიმები:</b>  Enschede – ენსხედე  Schiedam – სხიდამ-ი  Schalkwijk – სხალკვეიკ-ი</p>
	<b>s</b>	<b>ს</b>	მარტივი სიტყვისა და	<p><b>ტოპონიმები:</b>  Vorstenbosch – ვორსტენბოს-ი</p>
<b>sch</b>				

			კომპოზიციის შემაღგენე- ლი ნანილის ბოლოს	Bergschenhoek – ბერხსენჰუკ-ი 's-Hertogenbosch – ჰერტოხენბოს-ი
<b>Sj</b>	<b>ქ</b>	<b>შ შიე</b>	სიტყვის და- საწყისში – შ; სიტყვის ბო- ლოს – შიე	<b>ანთროპონიმები:</b> Sjeng – შენგ-ი Roosje – როშიე Mensje – მენშიე Jansje – იანშიე Klaasje – კლაშიე Borsje – ბორშიე Vuijsje – ვაუშიე  <b>ტოპონიმები:</b> Kleine Huisjes – კლეინე ჰაუშიეს-ი Zevenhuisjes – ზევენჰაუშიეს-ი Bosje – ბოშიე
<b>sz</b>	<b>s</b>	<b>ს</b>	ძველი მართლწერით	<b>ანთროპონიმები:</b> Florensz – ფლორენს-ი Jansz – იანს-ი Cornelisz – კორნელის-ი
				<b>თანამედროვე ვარიანტებია:</b> Jansen – იანსენ-ი Janssen – იანსენ-ი Cornelissen – კორნელისენ-ი
<b>t</b>	<b>t</b>	<b>ტ</b>		<b>ანთროპონიმები:</b> Tessa – ტესა Tineke – ტინეკე Teun – ტეუნ-ი Timmermans – ტიმერმანს-ი Teirlinck – ტეირლინკ-ი Tuinman – ტაუნმან-ი  <b>ტოპონიმები:</b> Tongeren – ტონგერენ-ი Terneuzen – ტერნეუზენ-ი Toldijk – ტოლდეიკ-ი Ter Apel – ტერ აპელ-ი

<b>th</b>	<b>t</b>	<b>ტ</b>		<p><b>ანთროპონიმები:</b>  Thijs – ტეის-ი  Thomas – ტომას-ი  Mirthe – მირტე  Hellmuth – ჰელმუტ-ი  Thijssen – ტეისენ-ი  Theunissen – ტეუნისენ-ი  Mathijssen – მატეისენ-ი</p> <p><b>ტოპონიმები:</b>  Drenthe – დრენტე  Tholen – ტოლენ-ი  Puth – პუტ-ი</p>
<b>tj</b>	<b>tj</b>	<b>ჩ ჩიე</b>	სიტყვის ბოლოში და კომპოზიტის შემადგენელ ფუძეში – ჩიე, სხვა შემთხვევებში – ჩ	<p><b>ანთროპონიმები:</b>  Tjitske – ჩიტსკე  Tjarda – ჩარდა  Tjirke – ჩირკე  Floortje – ფლორჩიე  Zwaantje – ზვანჩიე  Loontjens – ლონჩიენს-ი  Baantjer – ბანჩიერ-ი</p> <p><b>ტოპონიმები:</b>  Lutjebroek – ლუჩიებრუკ-ი  Lutjewinkel – ლუჩიევიკელ-ი  Abeltjeshuis – აბელჩიესჰაუს-ი</p>
<b>tsj</b>	<b>tj</b>	<b>ჩ</b>	მხოლოდ უცხოური წარმოშობის გეოგრაფიულ სახელებში	<p><b>ტოპონიმები:</b>  Tsjechië – ჩეხიე (ჩეხეთი)  Tsjetsjenië – ჩეჩენიე (ჩეჩნეთი)</p>
<b>u</b>	<b>u</b>	<b>უ</b>		<p><b>ანთროპონიმები:</b>  Judith – იუდიტ-ი  Ursula – ურსულა  Arthur – არტურ-ი  Ulfers – ულფერს-ი  Hulst – ჰულსტ-ი  Mulder – მულდერ-ი</p> <p><b>ტოპონიმები:</b>  Urk – ურკ-ი</p>

				<p>Ursem – ურსემ-ი  Uden – უდენ-ი  Utrecht – უტრეხტ-ი</p>
<b>ui, uij, uy</b>	<b>œy</b>	<b>აუ</b>		<p><b>ანთროპონიმები:</b>  Kuiken – კაუკენ-ი  Huizinga – ჰაუზინსა  Vuijsje – ვაუშეიე  Huygens – ჰაუხენს-ი  Cruyff – კრაუფ-ი  Buysse – ბაუსე  Ruyslinck – რაუსლინკ-ი  Duyns – დაუნს-ი</p> <p><b>ტოპონიმები:</b>  Muiden – მაუდენ-ი  Uithoorn – აუტჰორნ-ი  Cuijk – კაუკ-ი  Heythuysen – ჰეიტჰაუზენ-ი</p>
<b>v</b>	<b>v</b>	<b>ვ</b>		<p><b>ანთროპონიმები:</b>  Eva – ევა  Yvonne – ივონე  Vincent – ვინსენტ-ი  Vermeulen – ვერმეულენ-ი  Vestdijk – ვესტდეიკ-ი  Visser – ვისერ-ი</p> <p><b>ტოპონიმები:</b>  Vilvoorde – ვილვორდე  Vaassen – ვასენ-ი  Veenendaal – ვენენდალ-ი</p>
<b>w</b>	<b>v</b>	<b>ვ</b>		<p><b>ანთროპონიმები:</b>  Willem – ვილემ-ი  Wouter – ვაუტერ-ი  Welmoed – ველმუდ-ი  Waterman – ვატერმან-ი  Walschap – ვალსხაპ-ი  Wieringa – ვირინსა</p> <p><b>ტოპონიმები:</b>  Woerden – ვურდენ-ი  Woldendorp – ვოლდენდორპ-ი</p>



				Wageningen – ვახენინგენ-ი Willemstad – ვილემსტად-ი
		Ø	სიტყვის ბო- ლოს	<b>ანთროპონიმები:</b> Bernauw – ბერნაუ Pauw – პაუ  <b>ტოპონიმები:</b> Blauwhuis – ბლაუჰაუს-ი Blauw – ბლაუ Cabauw – კაბაუ
x	ks	ქს		<b>ანთროპონიმები:</b> Beatrix – ბეატრიქს-ი Alexander – ალექსანდერ-ი Felix – ფელიქს-ი Sax – საქს-ი Cornax – კორნაქს-ი  <b>ტოპონიმები:</b> Saaxumhuizen – საქსუმჰაუზენ-ი Nibbixwoud – ნიბიქსვაუდ-ი Luxwoude – ლუქსვაუდე Crixhoek – კრიქსჰუკ-ი Axel – აქსელ-ი  <b>გამონაკლისი:</b> Texel – ტესელ-ი
y	i	ი		<b>ანთროპონიმები:</b> Yfke – იფკე Yolanda – იოლანდა Kitty – კიტ-ი Versyck – ვერსიკ-ი Gyselen – სისელენ-ი  <b>ტოპონიმები:</b> Lelystad – ლელისტად-ი Yde – იდე
	ei	ეი	ძველი მართლწერით თანხმოვნების წინ.	Ysselsteyn – ეისელსტეინ-ი

<b>z</b>	<b>z</b>	<b>ზ</b>	<p><b>ანთროპონიმები:</b>  Zwaantje – ზვანჩიე  Suzanne – სუზანე  Zonderland – ზონდერლანდ-ი  Van der Zijl – ვან დერ ზეილ-ი</p> <p><b>ტოპონიმები:</b>  Zwolle – ზვოლე  Zeist – ზეისტ-ი  Zwijndrecht – ზვეინდრეხტ-ი  Zoetermeer – ზუტერმერ-ი</p>
----------	----------	----------	--

**ტრემა** არის დიაკრიტიული ნიშანი, რომელიც გამოიყენება მარცვლოვანი ხმოვნის არმნიშვნელოდ.ნიდერლანდურ ენაში ტრემა გამოიყენება უმეტესად ნასესხებ სიტყვებში. მაგალითად: Kanaän – ქანაან-ი, Daniël – დანიელ-ი, Noëmi – ნოემი, Zoë – ზოე, Rafaëla – რაფაელა. ნიდერლანდურში: België [ბელხიე] – ბელგია, Wallonië [ვალონიე] – ვალონია.

**უმლაუტი** და **ტრემა** ერთნაირი დიაკრიტიული ნიშნით გადმოიცემა. ნიდერლანდურ ენაში უმლაუტიც მხოლოდ ნასესხებ სიტყვებში გამოიყენება. მათი ქართულად ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაცია დამოკიდებულია გამსესხებულ ენაში მოქმედ წესებზე.

ქართულ ენაში მოქმედი წესის მიხედვით, თუ ნიდერლანური სიტყვის ფუძეში ორი ერთნაირი თანხმოვანი მოსდევს ერთმანეთს, ქართულში მხოლოდ ერთი თანხმოვნით გადმოდის. მაგალითად: Suzanne – სუზანე, Kitty – კიტ-ი, Tessa – ტესა, Timmermans – ტიმერმანს-ი, Cruyff – კრაუფ-ი, Zwolle – ზვოლე, Willemstad – ვილემსტად-ი.

**არაბული ენის გბარიითი სისტემის ქართულად  
ტრანსკრიპცია-ტრანსლიტერაციის სახელმძღვანელო წესები**

(მიღებულია სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიის 2020 წლის 6 მარტის სხდომაზე)

#	არა-ბული	IPA საერთაშორისო ფონეტიკური ანბანი	ქართული შესატყვისი	მაგალითები	ტრადიციით, ისტორი- ულად დადა- სტურებული, სოციალუ- რად სანქ- ცირებული ფორმები
1.	ء	/ʔ/	Ø	<p><b>ანთროპონიმები:</b> جبرائيل /dʒibra:ʔi:l/ ჯიბრაილ-ი أنس /ʔanas/ ანას-ი طائف /ʔa:ʔif/ ტაიფ-ი آلاء /ʔa:la:ʔ/ ალა مؤمن /muʔmin/ მუმინ-ი</p> <p><b>ტოპონიმები:</b> مؤمن /si:na:ʔ/ სინა الإمارات /al-ʔima:ra:t/ ალ-იმარათ-ი أسيوط /ʔsju:tʔ/ ასიუტ-ი رأس سدر /raʔs sidr/ რას სიდრ-ი</p>	საამიროები
2.	آ	/ʔa:/	ა	<p><b>ანთროპონიმები:</b> آدم /ʔa:dam/ ადამ-ი آلاء /ʔa:la:ʔ/ ალა</p> <p><b>ტოპონიმები:</b> آسيا /ʔa:sija/ ასია أزرو /ʔa:zru:/ აზრუ</p>	აზია
	لا	/a:/	ა	<p><b>ანთროპონიმები:</b> خالد /xa:lid/ ხალიდ-ი بلال /bila:l/ ბილალ-ი فاتحة /fa:tiħa/ ფათიჰა إبراهيم /ʔibra:hi:m/ იბრაჰიმ-ი</p>	

				<p><b>ტოპონიმები:</b>  بغداد /bayda:d/ ბაღდად-ი  نجران /nadʒra:n/ ნაჯრან-ი  ليبيا /li:bjɑ:/ ლიბია  زواراة /zuwa:ra/ ზუვარა</p>	
	ع	/a:/	ا	<p><b>ანთროპონიმები:</b>  موسى /mu:sa:/ მუსა  لبنى /lubna:/ ლუბნა</p> <p><b>ტოპონიმები:</b>  بردى /barada:/ ბარადა</p>	
3.	ب	/b/	ბ	<p><b>ანთროპონიმები:</b>  بدر /badr/ ბადრ-ი  باسم /ba:sim/ ბასიმ-ი  حبيب /habi:b/ ჰაბიბ-ი  إبراهيم /ʔibra:hi:m/ იბრაჰიმ-ი  بلال /bila:l/ ბილალ-ი  لبنى /lubna:/ ლუბნა</p> <p><b>ტოპონიმები:</b>  بغداد /bayda:d/ ბაღდად-ი  البصرة /al-basʕra/ ალ-ბასრა  لبنان /lubna:n/ ლუბნან-ი  حلب /halab/ ჰალაბ-ი  نابلس /na:blus/ ნაბლუს-ი</p> <p>البطراء /al-batra:ʔ/ // batʕra:ʔ/  ალ-ბატრა/ალ-ბატრა  طرابلس /tʕara:bulus/ ტარაბულუს-ი  قرطبة /qurtʕuba/ კურტუბა  إشبيلية /ʔiʕbi:lijja/ იშბილია  دبي /dubaj/ დუბაი</p>	<p>ბასრა  ლიბან-ი  ალეპო  ფლავია/  ნეაპოლის-ი  პეტრა</p> <p>ტრიპოლ-ი  კორდოვა  სევილია</p>
4.	ت	/t/	თ	<p><b>ანთროპონიმები:</b>  تامر /ta:mir/ თამირ-ი  فاتحة /fa:tiha/ ფათიჰა  تيمور /tajmu:r/ თაიმურ-ი</p> <p><b>ტოპონიმები:</b>  تونس /tu:nis/ თუნის-ი  الكويت /al-kuwajt/ ალ-ქუვაით-ი  تدمر /tadmur/ თადმურ-ი</p>	<p>ქუვეით-ი  თადმორ-ი,</p>

				<p>تكريت /tikri:t/ თიქრით-ი  باتنة /ba:tna/ ბათნა  تطوان /tit'wa:n/ თიტვან-ი  الفرات /al-fura:t/ ალ-ფურათ-ი</p>	<p>პალმირა  ბატინა  ტეტუან-ი  ევფრატ-ი</p>
5.	ث	/θ/	ს	<p><b>ანთროპონიმები:</b>  ثابت /θa:bit/ საბით-ი  هيثم /hajθam/ ჰაისამ-ი  ثريا /θuraja/ სურაია</p> <p><b>ტოპონიმები:</b>  يثرب /jaθrib/ იასრიბ-ი  شيخ عثمان /ʃajx fuθma:n/ შაიხ უსმან-ი  ثابور /θa:bu:r/ საბურ-ი</p>	<p>შეიხ ოსმან-ი  თაბორი</p>
6.	ج	/d͡ʒ/	ჯ	<p><b>ანთროპონიმები:</b>  جميل /d͡ʒami:l/ ჯამილ-ი  ماجد /ma:d͡ʒid/ მაჯიდ-ი  جمال /d͡ʒama:l/ ჯამალ-ი</p> <p>نجيب /nad͡ʒi:b/ ნაჯიბ-ი  نجم /nad͡ʒm/ ნაჯმ-ი</p> <p><b>ტოპონიმები:</b>  الجزيرة /al-d͡ʒazi:ra/ ალ-ჯაზირა  جدة /d͡ʒidda/ ჯიდა  نجران /nad͡ʒra:n/ ნაჯრან-ი  الحجاز /al-hid͡ʒa:z/ ალ-ჰიჯაზ-ი  الجزائر /al-d͡ʒaza:ʔir/ ალ-ჯაზაირ-ი  طنجة /tʔand͡ʒa/ ტანჯა  جبل طارق /d͡ʒabal tʔa:iq/ ჯაბალ ტარიკ-ი  الحيرة /al-d͡ʒi:za/ ალ-ჯიზა  قرطاجا /qartʔa:d͡ʒa:/ კარტაჯა</p>	<p>გამალ (ეგვ.)  გამალ აბ-  დელ ნასერ-ი</p> <p>არაბეთის  ნახ. კუნძული  ჯიდა</p> <p>ჰიჯაზ-ი  ალჟირ-ი  ტანჟერ-ი  გიბრალტარ-ი  გიზა  კართაგენ-ი</p>
7.	ح	/h/	ჰ	<p><b>ანთროპონიმები:</b>  محمود /mahmu:d/ მაჰმუდ-ი  حسن /hasan/ ჰასან-ი  حامد /ha:mid/ ჰამიდ-ი  حافظ /ha:fið/ ჰაფიზ-ი  إسحاق /ʔisha:q/ ისჰაკ-ი</p>	

				<p><b>ტოპონიმები:</b>  الحجاز /al-ḥidǧa:z/ ალ-ჰიჯაზ-ი  حوان /ḥulwa:n/ ოულვან-ი  البحرين /al-baḥrajn/ ალ-ბაჰრაინ-ი  حلب /ḥalab/ ჰალაბ-ი  حمص /ḥims/ ოიმს-ი</p>	<p>ჰიჯაზ-ი  ჰულვან-ი  ბაჰრაინ-ი  ალეპო  ჰომს-ი</p>
8.	خ	/x/	ხ	<p><b>ანთროპონიმები:</b>  خالد /xa:lɪd/ ხალიდ-ი  خلدون /xaldu:n/ ხალდუნ-ი  خطيب /xatʕi:b/ ხატიბ-ი</p> <p><b>ტოპონიმები:</b>  الخرطوم /al-xartʕu:m/ ალ-ხარტუმ-ი  الخليل /al-xali:l/ ალ-ხალილ-ი</p>	<p>ხარტუმ-ი  ჰებრონ-ი</p>
9.	د	/d/	დ	<p><b>ანთროპონიმები:</b>  دياب /dija:b/ დიაბ-ი  داود\داود /da:wu:d/და:wud/ დავუდ-ი  درويش /darwi:ʃ/ დარვიშ-ი  دانيال /da:nija:l/ დანიალ-ი</p> <p><b>ტოპონიმები:</b>  دبي /dubaj/ დუბაი  دمشق /dimasq/ დიმასკი-ი  دجلة /didʒla/ დიჯლა</p>	<p>დამასკო  ტიგროს-ი</p>
10.	ذ	/ð/	ზ	<p><b>ანთროპონიმები:</b>  ذكيّ /ðakijj/ ზაკი  ذبيان /ðubja:n/ ზუბიან-ი  ذكري /ðikra:/ ზიკრა</p> <p><b>ტოპონიმები:</b>  ذهب /ðahab/ ზაჰაბ-ი</p>	<p>დაჰაბ-ი</p>
11.	ر	/r/	რ	<p><b>ანთროპონიმები:</b>  رشيد /raʃi:d/ რაშიდ-ი  رضوان /ridʕwa:n/ რიდვან-ი  رانيا /ra:nija:/ რანია</p> <p><b>ტოპონიმები:</b>  الرباط /ar-riba:t/ არ-რიბატ-ი  الرياض /ar-rija:d/ არ-რიად-ი  الرقعة /ar-raqqa/ არ-რაკკა</p>	<p>რაბატ-ი  რიად-ი  რაკა</p>

12.	ز	/z/	ზ	<p><b>ანთროპონიმები:</b>  زايد /za:jid/ ზაიდ-ი  زكريا /zakarija:/ ზაკარია  زاهر /za:hir/ ზაჰირ-ი</p> <p><b>ტოპონიმები:</b>  زنجبار /zanziba:r/ ზანზიბარ-ი  زواراة /zuwa:ra/ ზუვარა  زبيد /zabi:d/ ზაბიდ-ი</p>	
13.	س	/s/	ს	<p><b>ანთროპონიმები:</b>  سلمان /salma:n/ სალმან-ი  سميرة /sami:ra/ სამირა  سليم /sali:m/ სალიმ-ი  سيف /sajf/ საიფ-ი</p> <p><b>ტოპონიმები:</b>  سوريا /su:rija:/ სურია  السودان /as-su:da:n/ ას-სუდან-ი  سقطرة /suqut'ra/ სუკუტრა  سيناء /si:na:ʔ/ სინა</p>	სირია სუდან-ი სოკოტრა
14.	ش	/ʃ/	შ	<p><b>ანთროპონიმები:</b>  شاكِر /ʃa:kir/ შაკირ-ი  شريف /ʃari:f/ შარიფ-ი  شكري /ʃukri:/ შუქრი</p> <p><b>ტოპონიმები:</b>  الشام /aʃ-ʃa:m/ აშ-შამ-ი  الشارقة /aʃ-ʃa:riqa/ აშ-შარიკა</p>	შამ-ი (სირია) შარჯა
15.	ص	/sʕ/	ს	<p><b>ანთროპონიმები:</b>  صفا /sʕafa:/ საფა  صلاح /sʕala:h/ სალაჰ-ი</p> <p><b>ტოპონიმები:</b>  الصومال /asʕ-sʕu:ma:l/ ას-სუმალ-ი  صنعاء /sʕanʕa:ʔ/ სანა  صور /sʕu:r/ სურ-ი</p>	სომალ-ი
16.	ض	/dʕ/	დ	<p><b>ანთროპონიმები:</b>  ضحى /dʕuħa:/ დუჰა  ضاهر /dʕa:hir/ დაჰირ-ი  رمضان /ramadʕa:n/ რამადან-ი</p>	

				<p><b>ტოპონიმები:</b> الأخضرية /al-ʔaxdʕarijja/ ალ-ახდარია ضرية /dʕarija/ დარია</p>	ლახდარია
17.	ط	/tʕ/	ტ	<p><b>ანთროპონიმები:</b> طارق /tʕa:riq/ ტარიკ-ი طالب /tʕa:lib/ ტალიბ-ი طلال /tʕala:l/ ტალალ-ი</p> <p><b>ტოპონიმები:</b> طرابلس /tʕara:bulus/ ტარაბულუს-ი طرس /tʕartʕu:s/ ტარტუს-ი طبرية /tʕabarijja/ ტაბარია قرطبة /qurtʕuba/ კურტუბა طليطلة /tʕulajtʕila/ ტულაიტილა</p>	<p>ტრიპოლ-ი</p> <p>ტიბერია კორდოვა ტოლედო</p>
18.	ظ	/ðʕ/	ზ	<p><b>ანთროპონიმები:</b> كاظم /ka:ðʕim/ ქაზიმ-ი ظاهر /ðʕa:hir/ ზაჰირ-ი ظافر /ðʕa:fir/ ზაფირ-ი ظريف /ðʕari:f/ ზარიფ-ი</p> <p><b>ტოპონიმები:</b> ظفار /ðʕufa:r/ ზუფარ-ი الظهران /aðʕ-ðʕahra:n/ აზ-ზაჰრან-ი أبو ظبي /ʔabu: ðʕabj/ აბუ ზაბი</p>	<p>დაჰრან-ი აბუ დაბი</p>
19.	ع	/ʕ/	<p>თუ ხმოვანი არ მოსდევს, შეიძლება გადმოვიდეს, როგორც: ყ დანარჩენ შემთხვევებში: Ø</p>	<p><b>ანთროპონიმები:</b> سعد /saʕd/ საყდ-ი يعقوب /jaʕqu:b/ იაყკუბ-ი جعفر /dʕaʕfar/ ჯაყფარ-ი عمرو /ʕamr/ ამრ-ი عيسى /ʕi:sa:/ ისა سعيد /saʕi:d/ საიდ-ი</p> <p><b>ტოპონიმები:</b> بعقوبة /baʕqu:ba/ ბაყკუბა بعلبك /baʕlabak/ ბაყლაბაქ-ი عمّان /ʕamma:n/ ამმან-ი العراق /al-ʕira:q/ ალ-ირაკ-ი السعودية /as-saʕu:dijja/ ას-საუდია عمان /ʕuma:n/ უმან-ი عدن /ʕadan/ ადან-ი</p>	<p>იაკუბ-ი ჯაფარ-ი</p> <p>ბაკუბა ბაალბექ-ი ამან-ი ერაყ-ი საუდის არაბეთი ომან-ი ადენ-ი</p>



20.	غ	/ɣ/	ღ	<p><b>ანთროპონიმები:</b>  غالِب /ɣa:lib/ ლალიბ-ი  غَرِيب /ɣari:b/ ლარიბ-ი  غَسَّان /ɣassa:n/ ლასსან-ი  غُنَيم /ɣunajm/ ლუნაიმ-ი</p> <p><b>ტოპონიმები:</b>  غَزَّة /ɣazza/ ლაზზა</p> <p>الغربية /al-ɣarbijja/ ალ-ლარბია  الغردقة /al-ɣardaqa/ ალ-ლარდაკა  غدامس /ɣada:mis/ ლადამის-ი  أغادير /ʔaɣa:di:r/ ალადირ-ი  غرناطة /ɣarna:tʰa/ ლარნატა</p>	<p>ლასან-ი</p> <p>ლაზა (ნათ. ლაზ-ის)  ლარბია  ხურგადა  გადამეს-ი  აგადირ-ი  გრანადა</p>
21.	ف	/f/	ფ	<p><b>ანთროპონიმები:</b>  فيصل /fajsʕal/ ფაისალ-ი  فاطمة /fa:tima/ ფატიმა  فارس /fa:ris/ ფარის-ი  يوسف /ju:suf/ იუსუფ-ი</p> <p><b>ტოპონიმები:</b>  فاس /fa:s/ ფას-ი  الفلوجة /al-fallu:dʒa/ ალ-ფალლუჯა  الكوفة /al-ku:fa/ ალ-ქუფა  فلسطين /filastʕi:n/ ფილასტინ-ი</p>	<p>ფეს-ი  ფალუჯა  ქუფა  პალესტინა</p>
22.	ق	/q/	კ	<p><b>ანთროპონიმები:</b>  قابوس /qa:bu:s/ კაბუს-ი  قاسم /qa:sim/ კასიმ-ი  قحطان /qahtʕa:n/ კაჰტან-ი  قريش /qurajʃ/ კურაიშ-ი</p> <p><b>ტოპონიმები:</b>  قطر /qatʕar/ კატარ-ი  القاهرة /al-qa:hira/ ალ-კაჰირა  القيروان /al-qajrawa:n/ ალ-კაირავან-ი  العقبة /al-ʕaqaba/ ალ-აკაბა  قرطبة /qurtʕuba/ კურტუბა  مقديشو /maqdi:ʃu/ მაკდიშო  مالقة /ma:laqa/ მალაკა  الغردقة /al-ɣardaqa/ ალ-ლარდაკა  العراق /al-ʕira:q/ ალ-ირაკ-ი</p>	<p>კაირო  კაირუან-ი  აკაბა  კორდოვა  მოგადიშო  მალაკა  ხურგადა  ერაყ-ი</p>

23.	ك	/k/	ქ	<p><b>ანთროპონიმები:</b>  كريم /kari:m] ქარიმ-ი  كاظم /ka:ð'im/ ქაზიმ-ი</p> <p><b>ტოპონიმები:</b>  كربلاء /karbala:ʔ/ ქარბალა  الكوفة /al-ku:fa/ ალ-ქუფა  الكويت /al-kuwajt/ ალ-ქუვაით-ი  أكدال /ʔakda:l/ აქდალ-ი</p>	ქერბელა ქუფა ქუვეით-ი აგდალ-ი
24.	ل	/l/	ლ	<p><b>ანთროპონიმები:</b>  لبنى /lubna:/ ლუბნა  صلاح /sʕala:h] სალაჰ-ი  لطفى /lutʕfi:/ ლუტფი  ليبد /labi:d/ ლაბიდ-ი</p> <p><b>ტოპონიმები:</b>  ليبيا /li:bja:/ ლიბია  لبنان /lubna:n/ ლუბნან-ი</p>	ლიბან-ი
25.	م	/m/	მ	<p><b>ანთროპონიმები:</b>  موسى /mu:sa:/ მუსა  محمود /mahmu:d/ მაჰმუდ-ი  محمد /muhammad/ მუჰამად-ი  مراد /mura:d/ მურად-ი  مروان /marwa:n/ მარვან-ი  مصر /misʕr/ მისრ-ი  المغرب /al-mayrib/ ალ-მალრიბ-ი  مراكش /marra:kij/ მარრაქიშ-ი  مكناس /mikna:s/ მიქნას-ი</p>	მუჰამედ-ი  ეგვიპტე მაროკო მარაქეშ-ი მიქნეს-ი
26.	ن	/n/	ნ	<p><b>ანთროპონიმები:</b>  نايف /na:jif/ ნაიფ-ი  نبيلة /nabi:la/ ნაბილა  ناصر /na:sʕir/ ნასირ-ი  ناجي /na:dʒi:/ ნაჯი  نادر /na:dir/ ნადირ-ი</p> <p><b>ტოპონიმები:</b>  نجد /nadʒd/ ნაჯდ-ი  النيل /an-ni:l/ ან-ნილ-ი  النجف /an-nadʒaf/ ან-ნაჯაფ-ი</p>	ნეჯდ-ი ნილოს-ი ნეჯეფ-ი

27.	ه	/h/	ჰ	<p><b>ანთროპონიმები:</b>  هشام /hiʃa:m/ ჰიშამ-ი  هادي /ha:di:/ ჰადი  هيثم /hajθam/ ჰაისამ-ი  هاني /ha:ni:/ ჰანი</p> <p><b>ტოპონიმები:</b>  دمنهور /damanhu:r/ დამანჰურ-ი  دهلق /dahlaq/ დაჰლაკ-ი  وهران /wahra:n/ ვაჰრან-ი</p>	ორან-ი
28.	و	/w/	ვ	<p><b>ანთროპონიმები:</b>  ورد /ward/ ვარდ-ი  وليذ /wali:d/ ვალიდ-ი</p> <p><b>ტოპონიმები:</b>  وادان /wa:da:n/ ვადან-ი  الجوف /al-dʒawf/ ალ-ჯავფ-ი</p>	
29.	ي	/j/	ი	<p><b>ანთროპონიმები:</b>  يمينه /jami:na/ იამინა  يعقوب /jaʕqub/ იაყუბ-ი</p> <p><b>ტოპონიმები:</b>  اليمن /al-jaman/ ალ-იამან-ი  يافا /ja:ffa:/ იაფა  يثرب /jaθrib/ იასრიბ-ი</p>	იაყუბ-ი  იემენ-ი  მედინა
30.	م	/a/	ა	<p><b>ანთროპონიმები:</b>  ورد /ward/ ვარდ-ი  ذكي /ðakijj/ ზაკი  محمود /mahmu:d/ მაჰმუდ-ი</p> <p><b>ტოპონიმები:</b>  النجف /an-nadʒaf/ ან-ნაჯაფ-ი  دهلق /dahlaq/ დაჰლაკ-ი  نجد /nadʒd/ ნაჯდ-ი</p>	ნეჯეფ-ი  ნეჯდ-ი
31.	ع	/u/	უ	<p><b>ანთროპონიმები:</b>  عمر /ʕumar/ უმარ-ი  عثمان /ʕuθma:n/ უსმან-ი  ذبيان /ðubja:n/ ზუბიან-ი</p>	

				<b>ტოპონიმები:</b> عمان /ʕuma:n/ უმან-ი طرابلس /tʕara:bulus/ ტარაბულუს-ი ظفار /ðʕufa:r/ ზუფარ-ი	ომან-ი ტრიპოლ-ი
32.	ي	/i/	ი	<b>ანთროპონიმები:</b> ياسر /ja:sir/ იასირ-ი يونس /ju:nis/ იუნის-ი  <b>ტოპონიმები:</b> بابل /ba:bil/ ბაბილ-ი الحجاز /al-ħidʒa:z/ ალ-ჰიჯაზ-ი مراكش /marra:kiʃ/ მარრაქეშ-ი	ბაბილონ-ი ჰიჯაზ-ი მარაქეშ-ი
33.	ة	/t/	<b>გრძელი ა-ს</b> <b>შემდეგ: თ</b> <b>დანარჩენ</b> <b>შემთხვევებ-</b> <b>ში: Ø</b>	<b>ანთროპონიმები:</b> فاتحة /fa:tiħa/ ფათიჰა سميرة /sami:ra/ სამირა صافية /sʕa:fija/  <b>ტოპონიმები:</b> مكة /makka/ მაქკა غزة /ɣazza/ ლაზა جدة /dʒidda/ ჯიდა حماة /ħama:t/ ჰამათ-ი هراة /hira:t/ ჰირათ-ი	მექა ლაზა ჯიდა ჰამა ჰერათ-ი

### ხმოვნების გადმოტანა

ტრანსლიტერაციისას არაბულიდან ქართულში გადმოვა მხოლოდ მოკლე ხმოვნები: ა, ი, უ, თუმცა ე და ო ხმოვნები სანქცირებულია იმ გეოგრაფიულ და სხვა საკუთარ სახელებში, რომლებშიც ისინი ტრადიციულად დამკვიდრდნენ: ბეირუთი, ერაყი, აჰმედი, ომანი, ომარი, ოსმანი და სხვ.

### მსაზღვრელი „ალ“ არტიკლის გადმოტანა

ال (ალ) მსაზღვრელი არტიკლი, შესაძლოა, საერთოდ არ გადმოვიდეს ქართულში (მაგ., გეოგრაფიულ სახელებში: სუდანი, ერაყი, ქუვეითი, მედინა, რაბატი...), ან გადმოვიდეს სრულად (ალჟირი), ან გადმოვიდეს ასიმილირებული სახით (არაბული ანბანის იმ 14 თანხმოვანთან, რომელთანაც მსაზღვრელი „ალ“ არტიკლის ლ თანხმოვანი სრულად ასიმილირდება: არ-რიადი/ერ-რიადი...), ან გადმოვიდეს მოკვეცილი სახით (მაგ., გეოგრაფიულ სახელებში: ალ-ახდარია > ლახდარია და სხვ.). თანამედროვე ტრანსლიტერაციის წესებით „ალ“ არტიკლის შემცველი ერთიდაიგივე საკუთარი სახელი, შესაძლოა, გადმოვიდეს რამდენიმე ფორმით და გრაფიკულადაც გამოიყოს ან დეფისით, ან დაიწეროს წინა და/ან მომდევნო სახელთან ერთად, ან დაიწეროს განცალკევებით:

ჯალალუ-დ-დინ; ჯალალ-ად-დინ; ჯალალ-ედ-დინ; ჯალალ ალ-დინ...  
აბდუ-რ-რაჰმან; აბდ-არ-რაჰმან, აბდ ალ-რაჰმან, აბდულრაჰმან, აბდელრაჰმან

თუ სახელი იწყება ჩამოთვლილი 14 თანხმოვნიდან ერთ-ერთით:

ن, پ, ظ, ط, ض, ص, ش, س, ز, ر, د, ذ, ت არტიკლისეული ლ განიცდის მათთან სრულ, რე-გრესულ ასიმილაციას – ხდება „ალ“ არტიკლით განსაზღვრული სახელის პირველი თანხმოვნის გაორკეცება. ეს აისახება როგორც წარმოთქმასა და დაწერილობაში, ისე – ტრანსკრიფციაში. მაგ., **الوالد** ად-დავლა

თუმცა, თანამედროვე ტრანსლიტერაციის ნორმების მიხედვით, ზემოთ ჩამოთვლილი 14 თანხმოვნით დაწყებული სახელის „ალ“ არტიკლით განსაზღვრისას სახელის პირველი თანხმოვანი არ უნდა გაორმაგდეს: ალ-დავლა (და არა – ად-დავლა).

ალ არტიკლში არ უნდა იქნას არეული დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეული:

**ალ ალ (ოჯახი, სახლელი, სანათესაო, საგვარეულო)**, რომელიც გადმოდის ფუძის სახით, -ი სახელობითი ბრუნვის ნიშნის გარეშე და იწერება ცალკე:

ალ საბაჰ-ი, ქუვეითის სახელმწიფოს მმართველი საგვარეულო;

ალ საუდ-ი, საუდის არაბეთის სამეფოს მმართველი საგვარეულო.

არაბული საკუთარი სახელის შემადგენელი ნაწილია ქუნია – მამობის, დედობის ან ძეობის აღმნიშვნელი სახელი, რომელიც მოსდევს საკუთარ სახელს (ალამს):

აბუ – მამა; ომარ აბუ თამამ-ი (ომარ-ი თამამის მამა);

იბნ – ძე, ვაჟიშვილი (რომელიც თუ სახელს არ იწყებს, სალიტერატურო არაბულში წარმოითქმის, როგორც ბნუ – მუჰამმადუ ბნუ აბდილ-ლაჰ/მუჰამედ-ი აბდალ-ლაჰის ძე);

შესაძლოა, პიროვნება ცნობილი იყოს შერქმეული სახელით (ლაკაბით), რომელიც ფორმით მამობის/ძეობის აღმნიშვნელი სახელია:

აბუ ჰანიფა (სუნიტი იმამი, ჰანიფიტური მაზჰაბის ფუძემდებელი);

იბნ სინა (ავიცენა, ცნობილი არაბი მეცნიერი, მედიკოსი, ფიზიკოსი);

იბნ ბატუტა (ცნობილი არაბი მოგზაური და გეოგრაფი);

აბუ (მამა) სასაუბრო და დიალექტურ ფორმებში ხშირად ალიფის გარეშე გვაქვს [ბუ]:

აჰმად ბუ იუსუფ-ი (აჰმედ-ი იუსუფის მამა); ბუ ადამ-ი;

ბნუ (ძე) სასაუბრო და დიალექტურ ფორმებში გვაძლევს ბენ / ბინ ვარიანტებს:

ტაჰარ ბენ ჯელუნ-ი (ცნობილი თანამედროვე მაროკოელი მწერალი);

კაბუს ბინ საიდ ალ საიდ-ი (ომანის სულთანი, გარდაიცვალა 2020 წ.).

ოსამა ბინ ლადენ-ი / ოსამა ბენ ლადენ-ი (ცნობილი ტერორისტი, სალაფიტი, ჯიჰადის მებრძოლი, ალ-კაიდას ტერორისტული ქსელის დამაარსებელი, მოკლეს 2011 წ.).

გამომდინარე იქიდან, რომ საკუთარი სახელი ყველაზე იოლად იღებს და ითვისებს სასაუბრო და დიალექტურ ფორმებს, ბუ, ბენ / ბინ ფორმები უკვე სოციალიზებულია ოფიციალურ ნომენკლატურაში და გვხვდება დაბადების მონმოებებში, პასპორტებში და ა.შ.

ყველა დასახელებული ფორმა – იბნ, ბნუ, ბენ, ბინ და აბუ, ბუ, აბი ქართულად გადმოდის უცვლელად და სრულად.

**აზერბაიჯანული ენის ბგერითი სისტემის ქართულად  
ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის სახელმძღვანელო წესები**

(მიღებულია სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიის 2019 წლის 2 აგვისტოს სხდომაზე)

№	აზერ-ბაი-ჯანუ-ლი	IPA საერ-თაშო-რისო ფონე-ტი-კური ანბანი	ქარ-თული შესა-ტყვისი	მაგალითები	გამონაკლისი
1.	Aa	/a/	ა	<b>ანთროპონიმები:</b> Bayramov – ბაირამოვ-ი Abbas – აბას-ი  <b>ტოპონიმი:</b> Arafli – არაფლო	
2.	Bb	/b/	ბ	<b>ანთროპონიმები:</b> Rahib – რაჰიბ-ი Babayev – ბაბაევ-ი  <b>ტოპონიმი:</b> Bağçalar – ბაღჩალარ-ი	
3.	Cc	/dʒ/	ჯ	<b>ანთროპონიმები:</b> Cəfərli – ჯაფარლი Ceyhun – ჯეჰუნ-ი Cəmilə – ჯამილა  <b>ტოპონიმი:</b> Azərbaycan – აზერბაიჯან-ი	<b>ტოპონიმი:</b> Leebəddin – ლეჰბადინი
4.	Çç	/tʃ/	ჩ	<b>ანთროპონიმები:</b> Çingiz – ჩინგიზ-ი Çinarə – ჩინარა Çobanov – ჩობანოვ-ი  <b>ტოპონიმი:</b> Çənlibel – ჩანლიბელი	

5.	Dd	/d/	დ	<p><b>ანთროპონიმები:</b>  <b>Dilara</b> – დილარა,  <b>Dursunov</b> – დურსუნოვ-ი</p> <p><b>ტოპონიმი:</b>  <b>Daştəpə</b> – დაშთაფა // დაშტაფა</p>	
6.	Ee	/e/	ე	<p><b>ანთროპონიმები:</b>  <b>Elxan</b> – ელხან-ი  <b>Veysalova</b> – ვეისალოვა  <b>Elman</b> – ელმან-ი</p>	
7.	Əə	/æ/	ა	<p><b>სიტყვის დასაწყისში:</b>  <b>ანთროპონიმები:</b>  <b>Ələkbər</b> – ალაქბარ-ი  <b>Əliyev</b> – ალიევ-ი  <b>Əskərov</b> – ასქეროვ-ი  <b>Əlimərdan</b> – აღიმარდან-ი</p> <p><b>სხვა პოზიციებში, ვინაიდან სხვა-დასხვა მაგალითი გვაქვს მოყვანილი</b></p> <p><b>ანთროპონიმები:</b>  <b>Zərifə</b> – ზარიფა  <b>Zəfər</b> – ზაფერ-ი  <b>Lalə</b> – ლალა  <b>Güləvər</b> – გულავარ-ი  <b>Cəfərli</b> – ჯაფარლ-ი  <b>Nərgiz</b> – ნარგიზ-ი  <b>Səfər</b> – საფარ-ი  <b>Bəşir</b> – ბაშირ-ი  <b>Bəhram</b> – ბაჰრამ-ი  <b>Mənzər</b> – მანზარ-ი  <b>Sinə</b> – სინა ...</p> <p><b>ტოპონიმები:</b>  <b>Tüllər</b> – თულარ-ი  <b>Dəllər</b> – დალარ-ი  <b>Kəpənəkçi</b> – ქაფანაქჩი-ი  <b>Kəngərli</b> – ქანგარლ-ი  <b>Ləmbəli</b> – ლამბალო  <b>Nəzərli</b> – ნაზარლო</p>	<p><b>ანთროპონიმი:</b>  <b>Ləman</b> – ლემანი//ლიამანი</p> <p><b>ტოპონიმი:</b>  <b>Lənkəran</b> – ლენქორან-ი</p>
	Əə	/æ/	ე	<p><b>ანთროპონიმები:</b></p>	

				Babək – ბაბექ-ი // ბაბაქ-ი Bəhrüz – ბეჰრუზ-ი // ბაჰრუზ-ი Şahənə – შახანე Nənə – ნანე Təzəkəndi – თაზაქენდ-ი	ბაბაქ-ი ბაჰრუზ-ი
8.	Ff	/f/	ფ	<b>ანთროპონიმები:</b> Cəfəri – ჯაფარლი Fatimə – ფატიმა Fərhad – ფარჰად-ი	
9.	Gg	/g/	გ	<b>ანთროპონიმები:</b> Güləvər – გულავარ-ი Gözəl – გოზალ-ი Gülçöhrə – გულჩოჰრა	
10.	Ğğ	/ɣ/	ღ	<b>ანთროპონიმი:</b> Koroğlı – ქოროღლი  <b>ტოპონიმები:</b> Gödəkdağ – გოდაქდაღ-ი Ağammədli – აღამედლი-ო Bağdati – ბაღდათი	
11.	Hh	/h/	ჰ	<b>ანთროპონიმები:</b> Səhət – საჰათ-ი Hüseynov – ჰუსეინოვი-ი Həsən – ჰასან-ი Təhminə – თაჰმინა  <b>ტოპონიმი:</b> Hamamlı – ჰამამლო	<b>ანთროპონიმები:</b> Şahniyar – შახნიარ Şahənə – შახანე Rəhşan – რახშანი Rəhim – რაჰიმი Şahmarlı – შახმარლო  <b>რეკომენდაცია:</b> უნდა იყოს ჰ და არა ხ ან გ
12.	Xx	/x/	ხ	<b>ანთროპონიმები:</b> Xəlil – ხალილ-ი Bəxtiyar – ბახთიარ-ი Ataxəlilova – ათახალილოვა Xanzadəyeva – ხანზადაევა	
13.	İi	/u/	ი	<b>ანთროპონიმები:</b> Aydın – აიდინ-ი Bağırzadə – ბაღირზადე	<b>ანთროპონიმები:</b> Kazımov – ქაზუმოვი Qasımov – გასუმოვი-ი



				<p><b>ტოპონიმები:</b>  <b>Babaşlı</b> – ბაბაშლი  <b>Hacılı</b> – ჰაჯილი  <b>Eyvazlı</b> – ეივაზლი  <b>Darğallı</b> – დარღალი</p>	<p><b>ტოპონიმები:</b>  <b>Qasımlı</b> – კასუმლო  <b>Qızılhacılı</b> – ყიზილჰაჯილო  <b>Bakı</b> – ბაქო  <b>Şamaxı</b> – შამახა</p> <p>სუფიქსი <b>-li</b> ზოგიერთ ტოპონიმში გადმოსულია და ტრადიციით დამკვიდრებულია როგორც <b>ლო</b>:  <b>Qasımlı</b> – კასუმლო  <b>Şahmarlı</b> – შახმარლო  <b>Hamamlı</b> – ჰამომლო  <b>Qızılacılı</b> – ყიზილაჯლო  <b>Sadaxlı</b> – სადახლო  <b>Kosalı</b> – კესალო  <b>Şahmarlı</b> – შახმარლო  <b>Faxralı</b> – ფახრალი  <b>Baytallı</b> – ბაითალი  <b>Qırıxlı</b> – კირიხლო  <b>Kirəc-Muğanlı</b> – ქირაჩ-მუღანლო  <b>Ulaşlı</b> – ულაშლო  <b>Ağməmmədli</b> – აღმამედლო</p>
14.	İi	/i/	ი	<p><b>ანთროპონიმები:</b>  <b>İlqar</b> – ილგარ-ი  <b>İlhamə</b> – ილჰამა  <b>Vasif</b> – ვასიფ-ი  <b>İsmayılov</b> – ისმაილოვ-ი  <b>Asif</b> – ასიფ-ი  <b>İskəndərli</b> – ისქანდარლი</p> <p><b>ტოპონიმი:</b>  <b>Təkəli</b> – თექალი</p>	<p><b>ტოპონიმი:</b>  <b>Şəmkir</b> – შამქორ-ი</p> <p>სუფიქსი <b>-li</b> ტოპონიმებში გადმოსულია როგორც <b>-ლო</b>:  <b>Ləmbəli</b> – ლამბალი  <b>Keşəli</b> – ქეშალი  <b>Nəzərli</b> – ნაზარლო</p>
15.	Jj	/z/	ჟ	<p><b>ანთროპონიმები:</b>  <b>Jalə</b> – ჟალე  <b>Jasmin</b> – ჟასმინ-ი</p>	
16.	Kk	/k/	ქ	<p><b>ანთროპონიმები:</b>  <b>Kamran</b> – ქამრან-ი  <b>Kamalə</b> – ქამალე</p>	

				<p><b>ტოპონიმები:</b>  <b>Kosalı</b> – ქესალო  <b>Keşəli</b> – ქეშალო  <b>Kəpənəkçi</b> – ქაფანაქჩი</p>	
17.	Qq	/g/	გ	<p><b>ანთროპონიმები:</b>  <b>Qasimov</b> – გასუმოვი-ი  <b>Qənirə</b> – განირა  <b>Quliyev</b> – გულიევი-ი  <b>Qasanov</b> – გასანოვი-ი  <b>Yaqub</b> – იაგუბ-ი  <b>İlqar</b> – ილგარ-ი  <b>Dilqam</b> – დილგამ-ი</p>	<p>კ – რუსულის გავლენით შენარჩუნებული ტრადიციული ფორმები:</p> <p><b>ანთროპონიმები:</b>  <b>Qasimov</b> – კასუმოვი  <b>Qara Qarayev</b> – კარა კარაევი  <b>Quliyev</b> – კულიევი</p>
	Qq	/g/	ყ	<p><b>სიტყვის დასწყისში</b>  <b>ტოპონიმები:</b>  <b>Dağlıq Qarabağ</b> – მთიანი ყარაბაღი  <b>Qaracalar</b> – ყარაჯალარი  <b>Qarapilə</b> – ყარაფილა  <b>Quba</b> – ყუბა  <b>Qaçaqan</b> – ყაჩაღან-ი</p> <p><b>ტოპონიმი:</b>  <b>Yaqublu</b> – იაგუბლო</p>	<p><b>ტოპონიმები:</b>  <b>Qəmərlı</b> – კამარლო  <b>Qazlar</b> – კაზლარი-ი  <b>Qasımlı</b> – კასუმლო  <b>Qırıxlı</b> – კირიხლო  <b>Qaşca</b> – კუშჩი</p>
18.	Ll	/l/	ლ	<p><b>ანთროპონიმები:</b>  <b>Adıgözəlov</b> – ადიგოზალოვი-ი  <b>Şamil</b> – შამილ-ი</p> <p><b>ტოპონიმები:</b>  <b>Lökəndar</b> – ლოქჯანდარი-ი  <b>Ləmbəli</b> – ლამბალო</p>	
19.	Mm	/m/	მ	<p><b>ანთროპონიმები:</b>  <b>Məsmə</b> – მასმა  <b>Mustafa</b> – მუსტაფა  <b>Mamedov // Məmmədov</b> – მამედოვი-ი  <b>Məhərrəmov</b> – მაჰარამოვი-ი</p>	
20.	Nn	/n/	ნ	<p><b>ანთროპონიმები:</b>  <b>Nərgiz</b> – ნარგიზი-ი  <b>Nurlana</b> – ნურლანა  <b>Ayşən</b> – აიშენ-ი // აიშან-ი  <b>Novruzova</b> – ნოვრუზოვა</p>	

21.	Oo	/o/	ო	<p><b>ანთროპონიმები:</b> Orxan – ორხან-ი Osman – ოსმან-ი</p> <p><b>ტოპონიმები:</b> Novxani – ნოვხანი Ordubad – ორდუბად-ი</p>	<p><b>ტოპონიმი:</b> Kosali – ქესალო</p>
22.	Öö	/œ/	ო	<p><b>ანთროპონიმები:</b> Adıgözəlov – ადიგოზალოვ-ი; Gözəl – გოზალ-ი</p> <p><b>ტოპონიმები:</b> Lökəndar – ლოქვანდარ-ი Gədəkdəğ – გოდაქდაღ-ი Göygöl – გოიგოლ-ი (ტბა)</p>	
23.	Pp	/p/	ფ	<p><b>ანთროპონიმები:</b> Topçubaşov – თოფჩუბაშოვ-ი Pərviz – ფარვიზ-ი Pənah – ფანახ-ი Piriyeva – ფირიევა Pəri – ფარი Pərvanə – ფარვანა</p>	<p><b>ტრადიციით:</b> Pəri – პარი Pərvanə – პარვანა</p>
24.	Rr	/r/	რ	<p><b>ანთროპონიმები:</b> Rəna – რენა Rüstəm – რუსტამ-ი Orxan – ორხან-ი Ramazanov – რამაზანოვ-ი</p>	
25.	Ss	/s/	ს	<p><b>ანთროპონიმები:</b> Səbinə – საბინა Sevda – სევდა Səməd – სამედ-ი</p> <p><b>ტოპონიმი:</b> Sumqayıt – სუმგაით-ი</p>	
26.	Şş	/ʃ/	შ	<p><b>ანთროპონიმები:</b> Şamil – შამილ-ი Şərifov – შარიფოვ-ი Şalalə – შალალე</p>	

				<p><b>ტოპონიმები:</b>          Şamaxı – შამახა          Şaki – შაქი</p>	
27.	Tt	/t/	თ	<p><b>ანთროპონიმები:</b>          Təhminə – თაჰმინა          Tanrıverdiyev – თანრივერდიევ-ი          Tofiq – თოფიგ-ი          Aytən – აითან-ი</p> <p><b>ტოპონიმები:</b>          Təzəkənd – თაზაქენდ-ი          Tüllər – თულარ-ი</p>	<p><b>ტ</b> – რუსულის გავლენით შენარჩუნებული ტრადიციული ფორმები:          Tanrıverdiyev – ტანრივერდიევ-ი          Tofiq – ტოფიკ          Aytən – აიტან</p>
28.	Su	/u/	უ	<p><b>ანთროპონიმები:</b>          Uğur – უღურ-ი          Ulduz – ულდუზ-ი          Umnisə – უმნისე</p> <p><b>ტოპონიმი:</b>          Ulaşlı – ულაშლო</p>	<p><b>ტოპონიმები:</b>          Yaqublü – იაგუბლო,          Mollaoğlı – მოლაოღლი          Xocornu – ხოჯორნი          Quşçu – კუშჩი</p>
29.	Üü	/y/	უ	<p><b>ანთროპონიმები:</b>          Füzuli – ფუზულ-ი          Ülviyə – ულვია</p> <p><b>ტოპონიმი:</b>          Tüllər – თულარ-ი</p>	<p><b>ანთროპონიმი:</b>          Füzuli – ფიზული</p> <p><b>იუ</b> – რუსულის გავლენით შენარჩუნებული ტრადიციული ფორმები:          საკუთარ სახელებში პირველ მარცვალში ძირითადად G-ს შემდეგ პოზიციაში:</p> <p><b>ანთროპონიმები:</b>          Günay – გიუნაი          Gülşan – გიულშანი          Gümrü – გიუმრი</p>
30.	Vv	/v/	ვ	<p><b>ანთროპონიმები:</b>          Vəfa – ვაფა          Sevil – სევილ-ი          Sevinc – სევინჯ-ი</p>	
31.	Yy	/j/	ი	<p>სიტყვის თავში, ხმოვანსა და თანხმოვანს შორის:</p>	

				<p><b>ანთროპონიმები:</b>  Aydın – აიდინ-ი  Aytəkin – აითექინ-ი  Aynaz – აინაზ-ი  Aysel – აისელ-ი  Bəylər – ბაილარ-ი</p> <p><b>სიტყვის თავში, თანხმოვანს და ხმოვანს შორის:</b>  <b>ანთროპონიმები:</b>  Yasəmən – იასამან-ი  Yetər – იეთარ-ი</p>	
	Yy	/j/	Ø	<p><b>სიტყვის შუაში ორ ხმოვანს შორის:</b>  <b>ანთროპონიმები:</b>  Bəxtiyar – ბახთიარ-ი  Niyaməddin – ნიამედინ-ი // ნიამადინ-ი</p>	
32.	Zz	/z/	ზ	<p><b>ანთროპონიმები:</b>  Zərifə – ზარიფა  Zairə – ზაირა  Zülfüqar – ზულფუგარი  Almaz – ალმაზი  Züleyxa – ზულეიხა</p>	

# გადანყვეტილება ლიტვისთვის სახელის შეცვლის თაობაზე

სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიის 2018 წლის 11 მაისის სხდომის ოქმი № 4

## ამონაწერი

**სხდომის თავმჯდომარე:** მ. ჩუხუა

**სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:** გ. ალიბეგაშვილი, თ. გამყრელიძე, მზ. შანიძე, თ. ბოლქვაძე, დ. თვალთვაძე, მ. ბერიძე, რ. ზექალაშვილი, ნ. მაჭავარიანი, თ. ვაშაკიძე, ნ. ჯორბენაძე, შ. აფრიდონიძე, თ. მარგალიტაძე, მ. ტაბიძე, ქ. დათუკიშვილი, რ. ქურდაძე, მ. მალრაძე, ლ. ქაროსანიძე.

**სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თანამშრომლები:** გ. გვენეტაძე, ნ. გოგია, ს. კობიაშვილი, ქ. მჭედლიშვილი, ნ. ქელბაქიანი, ქ. გალუმაშვილი.

**სხდომის მდივანი:** მ. თეთრაძე

განიხილეს: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილი ლიტვის ავთენტიკური დასახელების ქართულ ენაში დამკვიდრებასთან დაკავშირებით.

**გ. ალიბეგაშვილმა** გააცნო დამსწრე საზოგადოებას საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილი, რომელიც ეხება ლიტვის რესპუბლიკის ენის სახელმწიფო კომისიის 2018 წლის 3 მაისის გადანყვეტილებას, რომლითაც ლიტვურ ენაში საქართველოს დასახელებად განისაზღვრა საქართველო (Sakartvelas) ძველ დასახელებასთან ერთად (Gruzija). საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსაზრებით, საქართველოს მხრიდან საპასუხო მეგობრული შესტი იქნებოდა ლიტვის ავთენტიკური დასახელების – ლიეტუვას (Lietuva) შემოღება ქართულ ენაში. გ. ალიბეგაშვილმა ექსპერტთა კომისიის წევრებს შესთავაზა, ემსჯელათ ლიტვის ავთენტიკური სახელის – ლიეტუვას – ქართულ ენაში დამკვიდრების თაობაზე.

**აზრი გამოთქვას:** შ. აფრიდონიძემ, მ. ჩუხუამ, მზ. შანიძემ, თ. გამყრელიძემ, დ. თვალთვაძემ, რ. ზექალაშვილმა, თ. ბოლქვაძემ.

**კომისიამ ერთხმად მიიღო გადანყვეტილება:** ქართულ ენაში ლიტვისათვის შემოღებულ იქნას მისი ავთენტიკური სახელწოდება ლიეტუვა და ძველ, დამკვიდრებულ სახელთან ერთად (ლიტვა) აისახოს ოფიციალურ დოკუმენტებში.

**ლიეტუვა** არის ხმოვანფუძიანი, კვეცადი გეოგრაფიული სახელი. მისი ბრუნვის ფორმებია:

სახ.	ლიეტუვა
მოთხრ.	ლიეტუვა-მ
მიც.	ლიეტუვა-ს
ნათ.	ლიეტუვ-ის
მოქმ.	ლიეტუვ-ით
ვით.	ლიეტუვა-დ
წოდ.	ლიეტუვა

**ლიეტუვა**-ხმოვანფუძიანი გეოგრაფიული სახელიდან წარმოქმნილი სახელები, ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა შესაბამისად, იბრუნვის ამგვარად:

სახ.	ლიეტუვ-ელ-ი	კაც-ი	ლიეტუვ-ურ-ი	პურ-ი
მოთხრ.	ლიეტუვ-ელ-მა	კაც-მა	ლიეტუვ-ურ-მა	პურ-მა
მიც.	ლიეტუვ-ელ	კაც-ს	ლიეტუვ-ურ	პურ-ს
ნათ.	ლიეტუვ-ელ-ი	კაც-ის	ლიეტუვ-ურ-ი	პურ-ის
მოკმ.	ლიეტუვ-ელ-ი	კაც-ით	ლიეტუვ-ურ-ი	პურ-ით
ვით.	ლიეტუვ-ელ	კაც-ად	ლიეტუვ-ურ	პურ-ად
ნოდ.	ლიეტუვ-ელ-ო	კაც-ო	ლიეტუვ-ურ-ო	პურ-ო

## რეკომენდაციები ანტიკური ხანის საკუთარ სახელთა ქართულად გადმოტანისათვის

მეოცე საუკუნის 70-იან წლებში, როდესაც საფუძველი ჩაეყარა პირველი ქართული ენციკლოპედიის გამოცემის დიდ საქმეს, ბუნებრივია, სარედაქციო კოლეგიის წინაშე დაისვა ბერძნულ და ლათინურენოვან სახელთა ქართულად გადმოტანის უნიფიკაციის საკითხი. 1970 წელს მიიღეს სპეციალური დადგენილება, რომლის ძალითაც ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარ სამეცნიერო რედაქციას დაევალა უცხოური საკუთარი სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონების შედგენა. პირველ წიგნად 1980 წელს გამოვიდა „ბერძნული და რომაული საკუთარი სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი“, რომელიც შეადგინა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის სალიტერატურო კონტროლის რედაქციის უფროსმა სამეცნიერო რედაქტორმა კონა გიგინეიშვილმა, ხოლო რედაქცია გაუკეთეს ცნობილმა მეცნიერებმა ივ. გიგინეიშვილმა, აკ. ურუშაძემ და მ. ჭაბაშვილმა. წიგნის შესავალ ნაწილში წარმოდგენილია „ბერძნულ და რომაულ პირთა და გეოგრაფიული სახელების ქართულად გადმოტანის წესები“. მიუხედავად ამისა, შემდგომი დროის თარგმანებსა და ანტიკურობასთან დაკავშირებულ სამეცნიერო გამოკვლევებში მაინც შეინიშნებოდა გარკვეული დაბნეულობა სახელთა გადმოქართულების თვალსაზრისით. დაიბადა მრავალი კითხვა: თუ „ჰომეროსი“ გადმოგვაქვს -0ჯ დაბოლოებით, რატომ გადმოგვაქვს სხვა მსგავსდაბოლოებიანი სახელები სხვაგვარად (მაგ.: პინდარე)? ან რატომ ხდება -აჯ და -იჯ დაბოლოებიანი სახელებში სიგმის უგულებელყოფა? ან რომელი სახელები გადმოგვაქვს ფუძის ფორმით და რომელი არა და ა.შ.

დღეს, როდესაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტში მიმდინარეობს ანტიკური მემკვიდრეობის ყოველმხრივი ათვისება, როდესაც მითოლოგიური, ენათმეცნიერული, ლექსიკოგრაფიული თუ სხვა სახის ენციკლოპედიების, სახელმძღვანელოების, თარგმანების, მონოგრაფიების გამოცემის საშუალებაც არსებობს და ამ საქმეთა განმხორციელებელი პროფესიონალებიც იღვნიან, აუცილებელი გახდა ტერმინთა გადმოტანის შედარებით გაიოლებული პრინციპის დადგენა, რომელიც ერთდროულად გაითვალისწინებს როგორც ქართულ, ასევე თანამედროვე ევროპულ ენებში დომინირებულ ტენდენციებს. ძველბერძნულ-ქართულ ურთიერთობათა კვლევას მრავალი ნაშრომი მიეძღვნა. დღეს არავინ მიიჩნევს სადავოდ ამ ურთიერთობათა მრავალსაუკუნოვანი და მრავალმხრივი ტრადიციის არსებობას, რამეთუ მან თავისი ასახვა ჰპოვა ზეპირსიტყვიერებაშიც, მითოსშიც, მხატვრულ ლიტერატურაშიც, ისტორიოგრაფიაშიც და სხვა სფეროებშიც. რაც შეეხება ანტიკური ხანის ძველთა ქართულად თარგმნის ისტორიას, აქ შეიძლება ორი უმთავრესი ეტაპი გამოიყოს:

**პირველი ეტაპი** უძველესი საუკუნეებიდან XVIII საუკუნემდე გაგრძელდა. ეს იყო მრავალსაუკუნოვანი პერიოდი, როდესაც ანტიკურ მემკვიდრეობასთან ზიარება განსაკუთრებული ინტენსივობით ბიზანტიური სამყაროს გავლით ხორციელდებოდა. ეს გზა იძლეოდა როგორც წერილობითი, ასევე უშუალო კონტაქტების დამყარების შესაძლებლობას.

ქრისტიანული საეკლესიო მწერლობის უძველესი ძეგლების ბერძნული ენიდან თარგმნისას, ბუნებრივია, მთარგმნელთა წინაშე მრავალ სხვა სირთულესთან ერთად საკუთარი სახელების გადმოტანის პრობლემაც იდგა. ეს, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებული იყო იმასთან, რომ ზეპირი გზით შემოსული სახელები ენობრივი ნორმების დაცვის გარეშე ვრცელდებოდნენ. ალბათ, პირველად სახელთა გადმოტანის უნიფიკაციაზე მაშინ დაფიქრდნენ, როდესაც საქართველოში ფართოდ გაიშალა მთარგმნელობითი საქმიანობა უმთავრეს სამონასტრო კერებში, იქ, სადაც მოლ-



ვანობდნენ ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები, ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი და სხვანი. „XI საუკუნიდან შავ მთაზე ქართველ მოღვაწეთაგან იწყება ფილოსოფიური და თეოლოგიური ლიტერატურის ათვისება და თარგმნა-კომენტირება, რაც შემდგომ გრძელდება და ღრმავდება გელათის საღვთისმეტყველო-ლიტერატურულ სკოლაში. რადგანაც ბერძნულ ენაშივე ტერმინთა პოლისემია და გაურკვეველობა („ბერძენთა ენაჲ უფსკრულ ღმა არს და ერთი და იგივე სიტყუა მრავალსა პირსა აღიარებსო“), ხოლო ხშირად ელინური ფილოსოფიური ტერმინების სხვაგვარი (ზოგჯერ სრულიად საპირისპირო) გაგება ქრისტიანულ დოგმატიკაში ხშირად მწვალებლობის მიზეზი და ცხარე საეკლესიო დისკუსიების საბაზი ხდებოდა (საკმარისია დავასახელოთ ὁσῖα „არსება“ და ἰσότηαჲ „გუამი პირი“-ს ურთიერთაღრევის მაგალითი, რაც არიოზისა და შემდგომშიც არაერთი წვალების წყარო გამხდარა), ამავ დროს, რადგანაც ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგია მოითხოვდა დახვეწასა და დაზუსტებას, გაიზარდა მოთხოვნილება ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო ხასიათის თხზულებათა ზუსტი, ადეკვატური თარგმანისა (დამანა მელიქიშვილი, „გელათი, სხუა ათინა და მეორე იერუსალიმი“, თბილისი, 2006, გვ. 5). ეს საკითხი საგულდაგულო კვლევას მოითხოვს, თუმცა თვალის ერთი შევლებითაც ნათელია, რომ შუა საუკუნეთა სახელოვანი ელინო-ფილი მთარგმნელები ცდილობდნენ ერთიანი პრინციპის დაცვას, ამასთანავე გვერდს ვერ უვლიდნენ მყარად ფესვამდგარ ტრადიციას. შესაბამისად, უკვე შუა საუკუნეებში შეინიშნება საკუთარ სახელთა გადმოქართულების ორი ძირითადი ტენდენციის არსებობა: ა) ზეპირი გზით შემოსული სახელები ნოდებითი ბრუნვის ფორმით დამკვიდრდა ქართულ ტრადიციაში (მაგ: თევდორე, არისტოფანე); ბ) ლიტერატურულმა გზამ აკადემიურ ფორმას მიანიჭა უპირატესობა (ჰომეროსი, პინდაროსი, არტემისი და სხვა).

**მეორე ეტაპი** დაიწყო XVIII საუკუნიდან. ეს იყო პერიოდი, როდესაც საქართველოში ქართულ-რუსულმა კულტურულმა ურთიერთობებმა იმძლავრეს. რუსული ენიდან ქართულად მრავალი თხზულება ითარგმნა, მათ შორის ანტიკურ სამყაროსთან დაკავშირებული ძეგლებიცა და მსოფლიო ლიტერატურის შედეგებიც. შესაბამისად, დიდი იყო რუსული ენის გავლენა, რომელმაც თავისი დალი დაასვა ტერმინოლოგიურ მხარესაც. კერძოდ, ქართულ ენაში თანდათან მოიკიდა ფეხი რუსულ მთარგმნელობით პრაქტიკაში დამკვიდრებულმა წესმა, რაც სახელთა ფუძისეული ფორმით გადმოტანას გულისხმობდა. ამას დაერთო ისიც, რომ რუსული ენა ერთმანეთისგან განასხვავებს სქესს. შესაბამისად, მდებრობითი სქესის ფორმებისათვის მას გააჩნია საკუთარი დაბოლოება (აფროდიტა). ქართულმა ენამ მიიღო რუსულიდან მდებრობითი სქესის ფორმით შემოსული სიტყვები, მაგრამ პარალელურად, ძველი ტრადიციის გავლენით, წარმოქმნა თავისიც (აფროდიტე). მსგავსი პარალელიზმები უხვად დაიძებნება.

ამ და სხვა გაუგებრობათა მოსახსნელად ანტიკური ხანის ლიტერატურულ წყაროებზე მრავალწლიანი დაკვირვებისა და ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ ვარჩიეთ, უპირატესობა მიგვენიჭებინა ბერძნულ და რომაულ სახელთა გადმოტანის ბიზანტიური ეტაპისათვის, რომელიც, არსებითად, ემთხვევა თანამედროვე ევროპულ ტრადიციას. თვალსაჩინოების მიზნით გთავაზობთ ზოგიერთ ამონარიდს ძველი თარგმანებიდან, რომლებიც ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დავალაგეთ:

**ომეროს**

„და პირველთა მათ ომეროსისთა წარმოიღებდა სტრიქონთა, რომელ იგი მათ ყოველთა მიერ სიტყვსმოქმედთა განსაკვირვებელ იყო და თქვა ესრეთ: არა კეთილ არს მრავალუფლებაჲ ერთ უფალ იყავნ და ერთ მეუფც“.

ევსევი კესარიელის „პროკოპის მარტვილობის“ ქართული თარგმანი

შესრულებული უცნობი ავტორის მიერ. იხ. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბილისი, 1954, გვ. 52.

#### VII საუკუნე.

**ომიროს** „ამისთვისცაი მიაამსგავსა ომიროს რიცხვ იგი კ~ბ თაჲ მათ წიგნთაჲ ებრაელთაჲ კ~დ სა მას ასოსა გამოსახულსა აღრაცხილსა, და მანცა თვისი იგი ჴელოვნებაჲ ჴლიადოჲსი კ~დ ნი დაჩხიბულნი კ~დ ითა მის“.

**ოდისევს** ასოჲთა მიაამსგავსა. აგრეთვე კუალად ოდჴსევს“.

„სასწავლო წიგნი“, რომელიც შატბერდის კრებულშია მოთავსებული. იხ. ს. ყაუხჩიშვილი, შატბერდის კრებულის სასწავლო წიგნი, თსუ მოამბე. III. თბილისი, 1923, გვ. 405.

#### VIII-IX საუკუნე.

**ქსერქსეს** „... ვინლა მომცეს მოქმედებაი იგი დლითი-დღედი? ვინ მეშეშეობაჲ და მკუეთელობაჲ? ვინ – მნერგველობაჲ და მწყლველობაჲ? ანუ ვინ – ხე იგი ძელქვისაჲ, უფროჲსლა ოქროჲსლა უპატივოსნესი ნერგსა მას ქსერქსისსა, რომლის ქუეშე მჯდომარე იყო არა მეფე განლაღებული, არამედ მონაზონი შეკნინებული?“

**აპოლო** „ნერგსა მას ვიტყვ, რომელი მე დავასხ, აპოლო მორწყო, შენმან მაგან პატივოსნებაჲმან, ხოლო ღმერთმან აღაორძინა პატივად ჩუენდა...“

გრიგოლ ნაზიანზელი, II ეპისტოლე. თარგმნილი ეფრემ მცირეს მიერ. იხ. ნ. ქაჯაია, გრიგოლ ნაზიანზელის ეპისტოლეთა ძველი ქართული თარგმანები, მრავალთავი, XII, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1986წ. გვ. 119.

#### XI საუკუნე

**ელისპონტოს** „# ქუეყანაო და მზეო და სათნოებაო, რათა მცირედრე მომღერალ ვიქმნე, – არა რაჲთა ელისპონტოსა შევეუღლნეთ, არამედ რაითა დავავაკოთ მთხრებლები“.

გრიგოლ ნაზიანზელი, III ეპისტოლე. თარგმნილი ეფრემ მცირეს მიერ (იქვე, გვ. 120).

#### XI საუკუნე

**პინდაროს** „... გულისხმაყავ, რასა უკუე ესე ვიტყვ, იტყვს პინდარიოს, და უკუეთუ ჰპოვო ჩემი ესე უწმოებაჲ უმჯობეს შენისა ენამჭევრობისა, დასცხერ მომზრახობად ჩვენთვის მღუმაროებისა, რომლისათჴს გეტყვ შენ

იგავსა ამას ფრიად რაამე ჭეშმარიტებით და ფრიადცა შემოკლებულად, ვითარმედ: “მაშინ მეტყუელებენ კკნონი, რაჟამს ჩიტნი მდუმარე იყვნენ“.

გრიგოლ ნაზიანზელი, VI ეპისტოლე. თარგმნილი ეფრემ მცირეს მიერ. (იქვე, გვ. 121).

#### XI საუკუნე

##### ბელეროფანტეს

„რამეთუ მამულსა ველლეროფანტესსა აღმოეცენა მჭხეცი რაამე სამცხოველი, რომელსა წინაკერძო იყო ლომისაჲ, და უკუანა კერძო იყო მფრინველისაჲ, ხოლო საშუვალი მისი – ფრინველი“.

X L III, 8

Pseudo – Nonniani in IV orationes Gregorii Nazianzeni commentarii, Versio iberika, ed. Tamar Otkhmezuri, Corpus Christianorum, series Graeca 50, Corpus Nazianzenum 16, Turnhouf Leuren, 2002. Index.

##### ემიროს

„არა დიდ იყავ აქილევსი, არამედ დიდსა მიემთხვე მაქებელსა ემიროსს, რამეთუ ოცდა რვა წელ განგრძობასა ტროადელთა ბრძოლისასა ვერა რა ღირსი ქებისა იქმნა“.

დავითის ისტორიკოსი.

ქართლის ცხოვრება, I, გვ. 342 ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმ. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973.

#### XII საუკუნე.

##### პრიამოს

„და უმეტეს ამისსა არა განცუდნა ხრიზმოზიცა იგი პრიამოსისი მეფისა ასიელთასა“.

დავითის ისტორიკოსი.

ქართლის ცხოვრება, II, გვ. 205 ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმ. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973.

#### XII საუკუნე.

##### არტემის

„გიორგი მეფე იყო მონადირე არტემის სახედ, რომელი ითქუმის მთაფოლო, რომელ არს ღმერთი მონადირე“.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ წიგნში: კ. კეკელიძე, ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, როგორც ლიტერატურული წყარო, რუსთაველის კრებული, ტფ., 1938, გვ. 3-4.

### XIII საუკუნე.

#### ტანტალოს

„ტანტალოსს რომელნიმე ესრეთ ზღაპრობენ, ვითარმედ, მოყუარე და თანამესუმურ და ყოველთა ხუაშიადთა ღმერთთასა მეცნიერ იყო და მიმნდობელად მყოფი უცნაურთა მათთა გამოუცხადებდა კაცთა“.

იოანე პეტრიწი, სათნოებათა კიბე. ივ. ლოლაშვილის გამოცემა, თბ., 1968, გვ. 118.

### XI საუკუნე

#### კენტავროს

„რამეთუ ვინ ჰგავნ ჯორციელი ანუ ვინ იხილა ესოდენ განმარჯუებელი ნადირობასა შინა, მოსიმახოს ვინმე ითქმის ებრაელი მოისრობის დაკეთილ – მმართველობისათვის ალექსანდრე. სპათა შორის მჯობად და აქილევსი კენტავროსისგან მოისრობასა ელინთა შორის“.

დავითის ისტორიკოსი. იხ. ი. აბულაძე, „ელინთა ზღაპრობანი“, ენიმკის მოამბე, X, თბ., 1941, გვ. 348-349.

### XII საუკუნე.

#### პლუტარხოს

„რომლისა შესხმაჲ ჯამს ჰომიროსისა მიერ (საუბარია თამარ მეფეზე – ნ.ტ.). რაბამ იგი აღიდა სიტყუაჲ ალექსანდრესადმი პლუტარხოს ზემომადვლელმან ისტორიათა მწერლობასა შინა ჴელმწიფეთა შემასხმელობისასა?“

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ მარიამისეული ქართლის ცხოვრება, გვ. 363, კ. კეკელიძის გამოცემა, თბილისი 1941, გვ. 54.

### XIII საუკუნე.

ანტიკური ხანის საკუთარ სახელთა ორთოგრაფიის კანონზომიერებათა დასადგენად ამ კუთხით მიზანმიმართულმა კვლევამ აჩვენა:

**I. საკუთარი სახელების ქართულად გადმოცემისას უპირატესობა ენიჭება სახელობითი ბრუნვის ფორმას:**

ავგუსტუსი	ლუკიანუსი
ანაკრეონი	ლუკრეციუსი
აპულეიუსი	მარციალისი
არტემისი	მენანდროსი
არქილოქოსი	ნონოსი
ბოეთიუსი	პინდაროსი
ვენუსი	პლავტუსი
ვერგილიუსი	პლუტარქოსი
თეოკრიტოსი	სალუსტიუსი
თუკიდიდესი	ტაციტუსი
იუვენალისი	ტერენციუსი
კალიმაქოსი	ქარიტონი
კატულუსი	ქსენოფონი
კვინტილიანუსი	ჰელიოდოროსი
ლონგოსი	და სხვა.

**გამონაკლისები:**

ალექსანდრე	პლატონი
არისტოტელე	პრომეთე
არისტოფანე	სოფოკლე
დიონისე	ციცერონი
ევრიპიდე	ჰერაკლე
ესქილე	ჰესიოდე
	და სხვა.

**II. ზოგიერთ ასოთა და ასოთშეთანხმებათა გადმოტანისას შეინიშნება მკვეთრად გამოხატული თავისებურებანი:**

ა. ძველბერძნული საკუთარი სახელებისათვის თანხმოვნები და თანხმოვანთა ჯგუფები:

1. ζ → ძ

ძაგრევესი (Ζάγρευς)

ძევესიპოსი (Ζευξίππος)

ძეთოსი (Ζήθος)

### გამონაკლისები:

ზევისი (Ζένς)	2. σ → ს
ზოდიაქო (Ζωδιακός)	სელენე (Σελήνη)
	პერსეფონე (Περσεφόνη)
	მესენია (Μεσσηνία)

### გამონაკლისები:

აზია (Ἄσιας)	3. χ → ქ
მედუზა (Μέδουσα)	
მუზა (Μοῦσα)	აქილევსი (Ἀχιλλεύς)
ანგელოზი (Ἄγγελος)	ფსიქე (Ψυχή)
	ქაოსი (Χάος)

### გამონაკლისი:

ყველა სახელი, სადაც გვხვდება \_χθ\_ კომპლექსი. მაგ.: ხთონოსი (Χθόνος)

4. ψ → ფს	5. κτ → ქტ
პელოფსი (Πέλοψ)	აქტეონი (Ἄκταιων)
კალიფსო (Καλυσώ)	პოლიდექტესი (Πολυδέκτης)
ფსელოსი (Ψελλός)	ფილოქტეტესი (Φιλοκτήτης)

### ხმოვნები და ხმოვანთა ჯგუფები

ა) ხმოვანთა ჯგუფები, რომლებიც არ ქმნიან დიფთონგებს რჩებიან უცვლელად:

1. αι → აე	4. ηε → ეე
ლაერტესი (Λαέρτης)	ეეტიონი (Ἠετίων)
დანაე (Δανάη)	
2. αι → აი	5. οη → ოე
ლაიოსი (Λαῖος)	კალიროე (Καλλιρρόη)
აგლაია (Ἀγλαΐα)	ალკითოე (Ἀλκίθοη)
ηι → ეი	6. ω (ο)ο → ოო
ბრისეისი (Βρισηΐς)	აქელოოსი (Ἀχελώος)
ნერეისი (Νηρηΐς)	პირითოოსი (Πειρίθοος)
3. εου → ეუ	7. υ → ი
კრეუსა (Κρεούσα)	პოლიბიოსი (Πολύβιος)
	კალიფსო (Καλυσώ)

ბ) სმოვანთა ჯგუფები, რომლებიც ქმნიან დიფთონგებს, ამჟღავნებენ გარკვეულ თავ-ისებურებებს:

1. აი → ე

დედალოსი (Δαίδαλος)  
ეაკოსი (Αἰακός)

გამონაკლისები:

აია (Αἶα)  
აიეტი (Αἰήτης)  
აიასი (Αἶας)  
მაია (Μαῖα)

2. აუ → ავ

ავგიასი (Αὐγείας)  
ავტონოე (Αὐτόνοο)

3. ეუ → ევ

ალკიონესი (Ἀλκιοονεύς)  
დეეკალიონი (Δευκαλίων)

4. ოი → ოი

ოიდიპოსი (Οἰδίπους)  
კროისოსი (Κροῖσος)

5. ეი

ა) თანხმოვნის წინ → ი  
დეიანირა (Δηϊάνειρα)  
სირენები (Σειρήνες)

ბ) ხმოვნის წინ → ე  
მედეა (Μήδεια)  
ჰიპოდამეა (Ἱπποδάμεια)

#### ბ. რომაული საკუთარი სახელებისათვის სმოვნები და სმოვანთა ჯგუფები:

1. J → ი

იანუსი (Janus)  
იუნო (Juno)  
აპულეიუსი (Apulejus)  
ტრაიანუსი (Trajanus)

გამონაკლისი:  
პომპეუსი (Pompejus)

2. Y → ი

სკილა (Sculla)

3. ae → ე

ესკულაპიუსი (Aesculapius)  
ემილიუსი (Aemilius)

გამონაკლისი:

კეისარი (Caesar)

4. oe → ე

კლეიუსი (Kloelius)  
პენიუსი (Poenius)

თანხმოვნები და ბგერათა ჯგუფები:

1. C → კ ან ც

კერესი (Ceres)

კეისარი (Caesar)

კელიუსი (Coelius)

ციცერონი (Cicero)

ცინა (Cina)

მეცენატი (Mecenas)

2. F (ph) → ფ

ფლორა (Flora)

ფილიპუსი (Philippus)

3. H → ჰ

ჰერკულესი (Hercules)

ჰოსტილიუსი (Hostilius)

4. s → ს(ზ)

დრუსუსი ან დრუზუსი (Drusus)

ავსონიუსი ან ავზონიუსი (Ausonius)

5. t → ტ ან ც (i-ს წინ, თუ მოსდევს ხმოვანი)

ეგნატიუსი ან ეგნაციუსი (Egnatius)

ლატიუმი ან ლაციუმი (Latium)

6. x → ქს

მაქსიმუსი (Maximus)

აქსიუსი (Axius)

7. ch → ქ

გრაკქუსი (Gracchus)

ქალკისი (Chalcis)

8. qu → კვ

ტარკვინიუსი (Tarquinius)

კვირინუსი (Quirinus)



ნორმის პირველი ვერსია მოამზადა შუქია აფრიდონიძემ, გამოქვეყნებულია 1987 წელს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების №3 ბიულეტენში. **ნორმის პროექტის ახალი რედაქცია შეიმუშავეს შუქია აფრიდონიძემ და ქეთევან დათუკიშვილმა.**

პროექტი განხილულია თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე (2021 წლის 24 აგვისტოს) და მიღებულია სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის 2022 წლის 10 ივნისის სხდომაზე.

## სიტყვათა დამარცვლა-გადატანის წესები

1. სიტყვათა გადატანისას არ შეიძლება:

1. ერთმარცვლიანი ანუ ერთხმოვნის სიტყვის გადატანა; იგი უნდა დარჩეს ერთ სტრიქონზე: **ფცქვნის, გვბრდღვნის...**
2. ერთი ასოს (ხმოვნის ან თანხმოვნის) სტრიქონზე დატოვება ან მომდევნო სტრიქონზე გადატანა; უნდა დარჩეს ორი ასო მაინც: **აუ-ღია, ატე-ლიე...**
3. მხოლოდ თანხმოვნების (ორის ან მეტის) სტრიქონზე დატოვება ან მომდევნო სტრიქონზე გადატანა; უნდა დარჩეს ერთი ხმოვანი მაინც: **თრთვი-ლი, ფცქვნი-და, ან-სამბლს...**

2. ორ- ან მეტმარცვლიანი სიტყვები უნდა გადავიტანოთ შემდეგი წესების მიხედვით:

- 2.1. თუ ხმოვანს მოსდევს ხმოვანი ბგერა, მაშინ გადატანისას შეიძლება მათი გაყოფა: **გა-იგო, მა-ისი, და-აარსა ან დაა-არსა...**
- 2.2. თუ ორ ხმოვანს შორის ერთი თანხმოვანია, მაშინ ის გადავა მომდევნო სტრიქონზე; არ შეიძლება სიტყვის გათიშვა ამ თანხმოვანზე. უნდა გადავიტანოთ შემდეგნაირად: **მა-ტარებელი, მატა-რებელი, მატარე-ბელი ან მატარებე-ლი, აბა-ზანა ან აბა-ზა-ნა...**
- 2.3. თუ ორ ხმოვანს შორის ორი თანხმოვანია, მაშინ პირველი რჩება წინა სტრიქონზე, მეორე გადადის მომდევნოზე: **ორ-მო, ოთ-ხი, ნიგ-ნი, საქ-მე, აფ-თარი, საჩ-ხერე, ხორ-ბალი, სატ-ყეო...**
- 2.4. თუ ორ ხმოვანს შორის ორზე მეტი თანხმოვანია, მაშინ წინა სტრიქონზე უნდა დარჩეს ან მომდევნო სტრიქონზე გადავიდეს ერთი თანხმოვანი მაინც. უნდა გადავიტანოთ შემდეგნაირად: **დააფ-რქვევს, დააფრ-ქვევს, დააფრქ-ვევს...** სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის უკეთ აღსაქმელად დასაშვებია ვარიანტებიდან უპირატესობა უნდა მიენიჭოს რაც შეიძლება მეტი ფუძისეული თანხმოვნის დატოვებას წინა სტრიქონზე (**დააფრქ-ვევს...**).

**შენიშვნა:** აფიქსისა და ფუძის ანდა კომპოზიტის შემადგენელი ნაწილების ზღვარზე ერთზე მეტი თანხმოვნის თავმოყრისას, სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის უკეთ აღსაქმელად, **უმჯობესია:**

- ა) აფიქსი (თავსართი ან ბოლოსართი) გაიმიჯნოს ფუძისაგან. მაგალითად, ასე: **სახლ-მა, სახლ-ში, სახლის-თვის; მესხ-ნი, მესხ-თა; გან-ვლო, აღ-შფოთდა, წარ-გზავნა...**

- ბ) კომპოზიტის ნაწილები გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან იმის მიუხედავად, დეფის-ითაა ისინი შეერთებული თუ უდეფისოდ, სრული სახითაა წარმოდგენილი თუ შემოკლებით (აბრევიატურით). მაგალითად: **ცოლ-/ქმარი, ტუჩ-/კბილი, ქართლ-/კახეთი... ათ/წლიანი, თვით/მკვლელობა, ურთიერთ/დამოკიდებულება, სპორტ/კლუბი...**

## დასაბუთება

თანამედროვე ქართულში მხოლოდ 5 ხმოვანი და 28 თანხმოვანია, რის გამოც ხშირად ერთი სიტყვის ფარგლებში თავს იყრის სამი, ოთხი და მეტი თანხმოვანი (გამონაკლის შემთხვევაში ერთ ხმოვანთან რვა თანხმოვანიც კი შეიძლება შეგვხვდეს. მაგ., **გვბრდღვნის**). ამიტომ საჭირო გახდა სიტყვათა დამარცვლისა და მასთან უშუალოდ დაკავშირებული გადატანის წესების შემუშავებისას ამ თავისებურების გათვალისწინება. ეს წესები კარგა ხანია შემუშავდა და მოქმედებდა კიდევ, მაგრამ მეტისმეტი სირთულე აძნელებდა მათ პრაქტიკულად გამოყენებას. კერძოდ:

1. გადატანის წესების მიხედვით იკრძალებოდა გარკვეულ თანხმოვანთა ჯგუფების, ე. წ. ჰარმონიული კომპლექსების (დღ, თხ, ტყ, ძღ, ცხ...) დაცალკეება;

2. გადატანისას საჭირო იყო სიტყვის მორფოლოგიური ანალიზი; როგორც ცნობილია, გადატანის წესების შესაქმნელად არსებობს ორგვარი მიდგომა: ისინი შეიძლება დაეფუძნოს მხოლოდ ფონეტიკურ (სიტყვის დამარცვლის) პრინციპს, ანდა ორს ერთად: ფონეტიკურსაც და მორფოლოგიურსაც (ფუძისა და აფიქსების, ანდა რთული სიტყვის კომპონენტების გამიჯვნას). პირველ შემთხვევაში გადატანის დროს გათვალისწინებულია ხმოვანთა და თანხმოვანთა კომბინაციები. მორფოლოგიური პრინციპის შემთხვევაში კი, როდესაც თანხმოვნები ფუძისა და აფიქსების ზღვარზეა, მაშინ სიტყვა უნდა გადავიტანოთ ისე, რომ ფუძე გაიმიჯნოს აფიქსისაგან. მაგალითად: სახლში (და არა: სახ-ლში), წიგნ-მა (და არა: წიგ-ნმა), ბურთ-ზე (და არა: ბურ-თზე), და-ბრძანდა (და არა: დაბ-რძანდა), გა-ფრინდა (და არა: გაფ-რინდა) და სხვ. ამგვარი წესების შემოღებისას გარკვეული პრობლემები იქმნება. კერძოდ, ქართულ ენაში აფიქსების (ზმნისწინის, თანდებულისა და მისთ.) გამოყოფა ფუძისგან მოითხოვს შესაბამის ლინგვისტურ ცოდნას, ამიტომ მომხმარებელთა უმრავლესობას მორფოლოგიურ ანალიზზე დაფუძნებული გადატანის წესების გამოყენება უძნელდება.

ამ ვითარებამ წარმოშვა სიტყვის გადატანის წესების გამარტივების აუცილებლობა. წესები დაემყარა ფონეტიკურ პრინციპს. ამის გარდა დამატებით წარმოდგენილია შენიშვნები, რომელთა მიხედვითაც სიტყვის გადატანის ალტერნატიული შემთხვევებიდან უმჯობესად მიიჩნევა მორფოლოგიურ პრინციპზე დაფუძნებული ვარიანტი.

სიტყვათა გადატანისას უნდა დავიცვათ შემდეგი წესები:

1. არ შეიძლება:

- ერთმარცვლიანი ანუ ერთხმოვნისიანი სიტყვის გადატანა (შეცდომაა: ფც-ქვნის, ფცქ-ვნის ან ფცქვნ-ის, გვ-ბრდღვნის, გვბ-რდღვნის, გვბრ-დღვნის ან გვბრდღ-ღვნის...); იგი უნდა დარჩეს ერთ სტრიქონზე: **ფცქვნის, გვბრდღვნის...**
- ერთი ასოს (ხმოვნის ან თანხმოვნის) სტრიქონზე დატოვება ან მომდევნო სტრიქონზე გადატანა (შეცდომაა: ა-უღია ან აული-ა, ა-ტელიე ან ატელი-ე...); უნდა გადავიტანოთ შემდეგნაირად: **აუ-ღია, ატე-ლიე...**
- მხოლოდ თანხმოვნების (ორის ან მეტის) სტრიქონზე დატოვება ან მომდევნო სტრიქონზე გადატანა (შეცდომაა: თრთვ-ილი, თრთ-ვილი, თრ-თვილი... ფც-ქვ-ნიდა, ფცქ-ვნიდა, ფც-ქვნიდა... ანსამ-ბლს, ანსამბ-ლს...); უნდა გადავიტანოთ ასე: **თრთვი-ლი, ფცქვნი-და, ან-სამბლს...**

2. ორ- ან მეტმარცვლიანი სიტყვები უნდა გადავიტანოთ შემდეგი წესების მიხედვით:
  - 2.1. თუ ხმოვანს მოსდევს ხმოვანი ბგერა, მაშინ გადატანისას შეიძლება მათი გაყოფა: **გა-იგო, მა-ისი, და-აარსა ან დაა-არსა...**
  - 2.2. თუ ორ ხმოვანს შორის ერთი თანხმოვანია, მაშინ ის გადავა მომდევნო სტრიქონზე; არ შეიძლება სიტყვის გათიშვა ამ თანხმოვანზე. უნდა გადავიტანოთ შემდეგნაირად: **მა-ტარებელი, მატა-რებელი, მატარე-ბელი ან მატარებე-ლი, აბა-ზანა ან აბა-ზა-ნა...** (შეცდომაა ამგვარი გადატანა: მატ-არებელი, მატარ-ებელი ან მატარებ-ელი, აბ-აზანა, აბაზ-ანა...);
  - 2.3. თუ ორ ხმოვანს შორის ორი თანხმოვანია, მაშინ პირველი რჩება წინა სტრიქონზე, მეორე გადადის მომდევნოზე: **ორ-მო, ოთ-ხი, ნიგ-ნი, საქ-მე, აფ-თარი, საჩ-ხერე, ხორ-ბალი, სატ-ყეო...**
  - 2.4. თუ ორ ხმოვანს შორის ორზე მეტი თანხმოვანია, მაშინ წინა სტრიქონზე უნდა დარჩეს ან მომდევნო სტრიქონზე გადავიდეს ერთი თანხმოვანი მაინც. უნდა გადავიტანოთ შემდეგნაირად: **დააფ-რქვევს, დააფრ-ქვევს, დააფრქ-ვევს...** (შეცდომაა ამგვარი გადატანა: დაა-ფრქვევს, დააფრქვ-ევს...). სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის უკეთ აღსაქმელად დასაშვებია ვარიანტებიდან უპირატესობა უნდა მიენიჭოს რაც შეიძლება მეტი ფუძისეული თანხმოვნის დატოვებას წინა სტრიქონზე (**დააფრქ-ვევს...**).

**შენიშვნა:** აფიქსისა და ფუძის ან კომპოზიტის შემადგენელი ნაწილების ზღვარზე ორი ან მეტი თანხმოვნის თავმოყრისას, სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის უკეთ აღსაქმელად, **უმჯობესია:**

ა) აფიქსი (თავსართი ან ბოლოსართი) გაიმიჯნოს ფუძისაგან. მაგალითად, ასე: **სახლ-მა, სახლ-ში, სახლის-თვის; მესხ-ნი, მესხ-თა; გან-ვლო, აღ-შფოთდა, წარ-გზავნა...**

ბ) კომპოზიტის ნაწილები გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან იმის მიუხედავად, დეფისითაა ისინი შეერთებული თუ უდეფისოდ, სრული სახითაა წარმოდგენილი თუ შემოკლებით (აბრევიატურით). მაგალითად: **ცოლ-/ქმარი, ტუჩ-/კბილი, ქართლ-/კახეთი... ათ/წლიანი, თვით/მკვლელობა, ურთიერთ/დამოკიდებულება, სპორტ/კლუბი...**

ნორმის პირველი ვერსია მოამზადა არნოლდ ჩიქობავამ გამოქვეყნებულია 1970 წელს „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში“.

### **ნორმის პროექტის ახალი რედაქცია მოამზადა გიორგი გოგოლაშვილმა**

პროექტი განხილულია თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2021 წლის 25 მაისის სხდომაზე და მიღებულია სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის 2022 წლის 10 ივნისის სხდომაზე.

## **-ავ და -ამ თემისნიშნის გარდამავალ ზმნებში | თურმეობითის ფორმათა მართლწერისას უნდა გატარდეს შემდეგი წესები:**

ორპირიან -ავ და -ამ თემისნიშნის გარდამავალ ზმნებში | თურმეობითის ფორმათა მართლწერისას უნდა გატარდეს შემდეგი წესები:

1. პარალელურ ფორმათაგან გრამატიკულად გამართლებულია ორივე ტიპის წარმოება: დამიხატ-ავ-ს //დამიხატ-ი-ა; დამიდგ-ამ-ს//დამიდგ-ია
2. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ლიტერატურულ ფორმად უნდა დარჩეს -ავ და -ამ სუფიქსიანი ფორმები
3. -ია დაბოლოებიანი ფორმები უნდა იქნეს მიჩნეული დასაშვებად. ფორმათა შერჩევა სტილისტიკის სფეროში უნდა დარჩეს: უნახავს//უნახია; გაუბამს//გაუბია; დამითესავს//დამითესია
4. გავრცელების თვალსაზრისით დღევანდელ ქართულში -ია დაბოლოებიანი ფორმები უფრო ჭარბობს, ვიდრე -ავ ელემენტები ვარიანტი (განსაკუთრებით მეშველზმნიანი წარმოებისა). ძირითადი **მინახავხარ, გინახავვარ; დამიხატავხარ, დამიხატავვარ...** ფორმების პარალელურად დასაშვები იქნეს **მინახიხარ, გინახივარ; დამიხატიხარ, დამიხატივარ** ვარიანტები.

## **დასაბუთება**

საკითხის განხილვისას უნდა ვინებმძღვანელოთ შემდეგი პრინციპით: „სალიტერატურო ქართული ენა, როგორც ყოველი ცოცხალი ენა, უცვლელი ვერ იქნება. ამოცანა ისაა, რომ ცვლის ეს პროცესი მიზანშეწონილად წარვმართოთ: შევინარჩუნოთ და დავიცვათ ყველაფერი, რაც ფასეული შეუქმნია ქართული ენის მრავალსაუკუნოვან ისტორიას, ერთი მხრით, მეორეცაა და სალიტერატურო ქართულ ენას შევუნარჩუნოთ სათანადო კავშირი ცოცხალი ხალხური მეტყველების უშრეტ წყაროსთან“ (ჩიქობავა, 1972, 13).

განსახილველია ორპირიან -ავ და -ამ თემისნიშნის გარდამავალ ზმნებში | თურმეობითის პარალელურ ფორმათა (დაუმალავს//დაუმალაია, დაუთესავს // დაუთესია; უთქვამს//უთქვია...) ნორმირებასთან დაკავშირებული საკითხები. გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები: ა) ნორმა ცვლადი მონაცემია; ბ) როცა ნორმას ვადგენთ, ერთი და იმავე სტრუქტურისა და სემანტიკის ფორმათა მიმართ ზოგჯერ დიფერენცირებული მიდგომაა საჭირო, ... გ) მხოლოდ ზოგადი პრინციპების მოშველიება ნორმის დადგენისას პრობლემებს შეგვიქმნის.

დასახელებულ -ავ და -ამ თემისნიშნის პარალელურ ფორმათა მიმართ არაორაზროვანი

და პრინციპულია „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში“ (პირველი კრებული, მეორე გამოცემა, თბ., 1986) წარმოდგენილი დასკვნა: პირველ თურმეობითში „თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ერთადერთ ლიტერატურულ ფორმად უნდა დარჩეს -ავ და -ამ სუფიქსიანი ფორმები, ხოლო -ია დაბოლოებიანი ფორმები უკუგდებულ უნდა იქნეს“ (ნორმები, 217).

მიიჩნევა, რომ -ია დაბოლოება -ავ და -ამ თემისნიშნის ზმნებში მიიღება „სხვა ზმნების ანალოგით, რომელთაც I თურმეობითში -ია დაბოლოება აქვთ“ (იქვე, 216) (იგულისხმება გაუკეთებია, დაუნერ-ია ტიპის ზმნები)... დასკვნის საფუძველი გახლავთ: -ავ და -ამ თემისნიშნის ზმნები

- „ა) მართებული ფორმებია წარმოების თვალსაზრისით;
- ბ) მართებული ფორმებია ისტორიული თვალსაზრისით;
- გ) გაბატონებული ფორმებია თანამედროვე სალიტერატურო ქართულში“ (იქვე, 216).

შესაბამისად, იგულისხმება, რომ -ია დაბოლოებიანი ზმნები

- ა) არ არის მართებული ფორმები წარმოების თვალსაზრისით;
- ბ) არ არის მართებული ფორმები ისტორიული თვალსაზრისით;
- გ) არ არის გაბატონებული ფორმები თანამედროვე სალიტერატურო ქართულში.

უნდა ვიხელმძღვანელოთ ნორმათა დადგენის ძირითადი პრინციპებით: პარალელურ ვარიანტთაგან ნორმის სტატუსი ეძლევა ფორმას, რომელიც

1. ფართოდაა გავრცელებული;
2. ისტორიულად მართებულია;
3. დღევანდელი გრამატიკული სისტემით გამართლებულია;
4. ეგუება სალიტერატურო ენის განვითარების ტენდენციას.

ამ პრინციპების შესაბამისად -ავ და -ამ თემისნიშნის ზმნათა -ია დაბოლოებიანი ფორმები:

#### 1. ფართოდაა გავრცელებული...

„თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში“ ვკითხულობთ: „ია დაბოლოებიანი ფორმები თანამედროვე სალიტერატურო ენაში მეტად იშვიათად გვხვდება და, თუ გვხვდება, დიალექტიზმად მიიჩნევა“ (ნორმები 1986, 216). ეს დასკვნა დღევანდელ რეალობას აღარ შეეფერება.

პირველი პრინციპის გათვალისწინებით სამსჯელო ნორმის შეცვლის თაობაზე კარგა ხნის წინათ დაიწყო საუბარი. დღეს ფაქტია, რომ გავრცელების თვალსაზრისით დღევანდელ ქართულში -ია დაბოლოებიანი ფორმები უფრო ქარბობს, ვიდრე -ავ ელემენტის ვარიანტი. განსაკუთრებით ეს ეხება მეშველზმნიანი ფორმებს: მინახიხარ, გინახივარ; დამიხატიხარ, დაგინახივარ (მდრ.: მინახავხარ, გინახავხარ; დამიხატავხარ, დაგინახატავარ...).

ასე რომ, ერთი მხრივ, დღემდე ჩატარებული კვლევების საფუძველზე და, მეორე მხრივ, -ია დაბოლოებიანი ფორმათა გავრცელების რეალური ვითარების გათვალისწინებით, პირველი პრინციპი (ფართოდაა გავრცელებული) -ია დაბოლოებიანი ფორმათა აკრძალვის საფუძველად არ გამოდგება...

#### 2. ისტორიულად მართებულია.

არსებული ნორმის მიხედვით, -ავ და -ამ ელემენტის ვარიანტები მართებულია ისტორიულად. დებულება დაზუსტებას საჭიროებს; „ზოგი ორპირიანი გარდამავალი ზმნის ანმეოს (მყოფადის) ფუძეს აწარმოებენ სუფიქსები -ავ და -ამ. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში თურმეობითი პირველის ფუძე ამ ზმნებისა ანმეოს ფუძეზეა დამყარებული, ე.ი. თურმეობით პირველში ეს -ავ და -ამ სუფიქსები შემონახულია. ასევე იყო ძველ ქართულშიც“ (ნორმები 1986, 215). ეს დასკვნა მართებულია -ამ თემისნიშნის ზმნებისათვის, მაგრამ ნაწილობრივ შეეხება -ავ თემისნიშნის ზმნებს:

მართალია, დღეს ყველა -ავ ელემენტისანი ზმნისათვის ნორმა არის ერთნაირი და უგამონ-აკლისო (ეს ნორმა საკმაოდ კატეგორიულია!), მაგრამ ისტორიული თვალსაზრისით ყველა -ავ თემისნიშნისანი ზმნაში ვითარება არ არის ერთნაირი:

-ავ თემისნიშნისანი ზმნებში ორი ჯგუფი უნდა გამოიყოს:

ა) პირველი – რომელიც ისტორიულადაც -ავ თემისნიშნისანი იყო: **ვ-კლ-ავ, ვ-კერ-ავ, ვ-ხატ-ავ, ვ-ძრ-ავ, ვ-ხნ-ავ, ვ-მალ-ავ** და მრავალი სხვა.

ბ) მეორე ჯგუფი – ზმნები, რომლებიც ძველ ქართულში უთემისნიშნო იყო, ახალ ქართულში -ავ თემისნიშნისანი: **თეს-ს > თეს-ავ-ს, რეკ-ს > რეკ-ავ-ს, რეცხ-ს > რეცხ-ავ-ს, ხუეტ-ს > ხუეტ-ავ-ს, ჭოც-ს > ხოც-ავ-ს, ნაყ-ს > ნაყ-ავ-ს** და სხვა (შანიძე 1976, 85; შანიძე 1973, 389). როგორც აღინიშნა, ორივე ჯგუფის ზმნები თანამედროვე ქართულში -ავ თემისნიშნისანი; თანამედროვე ნორმის მიხედვით თემის ნიშანი უნდა გადაჰყვეს | თურმეობითშიც; ანუ ნორმატულია როგორც

პირველი ჯგუფის – **მოუკლავს, შეუკერავს, დაუხტავს, დაუძრავს, დაუხნავს, დაუმალავს...** ისე მეორე ჯგუფის – **დაუთესავს, დაურეკავს, გაურეცხავს, დაუხვეტავს, დაუხოცავს, დაუნაყავს...**

პარალელური -ია დაბოლოებისანი ფორმები (ნორმის მიხედვით – არამართებული) აქვს ორივე ჯგუფს:

**მოუკლია, შეუკერია, დაუხტია, დაუძრია, დაუხნია, დაუმალა...** და

**დაუთესია, დაურეკია, გაურეცხია, დაუხვეტია, დაუხოცია, დაუნაყია...**

მაგრამ ფაქტია: ისტორიულად მართებულია პირველ ჯგუფში -ავ თემისნიშნისანი, მეორე ჯგუფში – -ია დაბოლოებისანი... ანუ: ერთი ნორმის ფარგლებში მათი მოქცევა ამ პრინციპით (ისტორიული პრინციპით) არასწორია...

ასე რომ: დღევანდელ -ავ თემისნიშნისანი ზმნათა

**ერთ ნაწილში** ისტორიულად მართებულია – -ია დაბოლოება,

**მეორე ნაწილში** – -ავ დაბოლოება; ნორმა ორივე შემთხვევაში თემისნიშნისანი ვარიანტია; ანუ ისტორიზმის პრინციპი ნორმის მიხედვით ირღვევა ერთ შემთხვევაში.

ეს ფაქტი ნორმის სახით როგორ უნდა აისახოს, რომ არ დაირღვეს ისტორიზმის პრინციპი? უმტკივნეულოდ ვერ მოხერხდება – ან ერთგან დაირღვევა, ან – მეორესთან... (ნორმა ვერ დაავალდებულებს ენის მომხმარებელს, იცოდეს ისტორია თითოეული ზმნისა, დაიხეპიროს ან ერთი, ან მეორე ჯგუფის ზმნები...). პრობლემის მოგვარებას ერთადერთი გზა -ია დაბოლოებისათვის აკრძალვის მოხსნა...

სხვაგვარად: მეორე პრინციპიც (ისტორიულად მართებულია) ვერ დაუჭერს მხარს -ია დაბოლოების აკრძალვას...

### 3. დღევანდელი გრამატიკული სისტემით გამართლებულია;

არსებული ნორმის მიხედვით, -ავ ელემენტისანი ფორმები გამართლებულია დღევანდელი გრამატიკული სისტემით; შესაბამისად, აღნიშნულია, რომ -ია დაბოლოებისანი ფორმები არ არის გამართლებული დღევანდელი გრამატიკული სისტემით; მიიჩნევა სხვა ტიპის ფორმათა ანალოგიით გაჩენილად; აქაც საკითხი **სადავო და დასაზუსტებელი**:

უპირველესად გვინდა ყურადღება მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ ერთი პარადიგმის ფარგლებში არაა ერთგვაროვანი ვითარება I-II და III სუბიექტური პირების (იგულისხმება ვინის რიგი) ფორმათა წარმოების თვალსაზრისით.

თუ III სუბიექტური პირის ფორმათა შემთხვევაში პარალელიზმი ფაქტია (**უნახავს//უნახია**), (ზემოთაც მივანიშნეთ) I და II სუბიექტური პირების ფორმათა შემთხვევაში თემის ნიშნისანი ფორმები (**ვუნახავვარ, გინახავვარ, მინახავხარ, უნახავხარ...**) იშვიათობაა, თითქმის აღარ გვხვდება არც

ზეპირ და არც წერილობით მეტყველებაში; ამ ფორმებს ძირითადად ლინგვისტური განათლების პროფესიონალები თუ გამოიყენებენ. ჩვეულებრივია **-ია** დაბოლოებიან პარადიგმათა მეშველობით ფორმები (**ვუნახივარ, გინახივარ, მინახიხარ, უნახიხარ...**)...

ზეპირმეტყველებაში მესამე სუბიექტური პირის შემთხვევაშიც ძირითადად **-ია** დაბოლოებიანი ფორმები გამოიყენება (**უნახია, დაუმალია, დაურეკია, გაურეცხია, მოუთიბია...**), **-ავ** სუფიქსიანი ფორმები შედარებით იშვიათია; სადაც არის, ძირითადად ნორმათა გავლენის შედეგია. ხდება სისტემური ცვლილება (ამის თაობაზე ქვემოთ ვისაუბრებთ) – იცვლება წარმოების ტიპი (ესეც ჩვეულებრივი მოვლენაა ენაში) და (პირობითად) **ადრინდელი** ვარიანტის გვერდით ჩნდება პარალელური **გვიანდელი** ვარიანტი.

ხაზგასასმელია შემდეგი გარემოება: ეს არის **სისტემაში მომხდარი ცვლილების შედეგი და არა სხვა ზმნათა ანალოგიით წარმოქმნილი ვარიანტი**. არადა – პირველი ნორმატული პარადიგმა, მეორე – „უკუგდებულ უნდა იქნესო“. ასე რომ, **დღევანდელი გრამატიკული სისტემით** მართებულია **-ია** დაბოლოებიანი პარადიგმა; ანუ: პარალელურ ფორმათაგან გრამატიკულად **გამართლებულია ორივე ტიპის წარმოება**:

**-ავ თემისნიშნითა I ჯგუფისა:**

- დამიხატ-ავ-ს // დამიხატ-ი-ა მე ის (ისინი)
- დაგიხატ-ავ-ს // დაგიხატ-ი-ა შენ ის ( ისინი)
- დაუხატ-ავ-ს // დაუხატ-ი-ა მას ის (ისინი)
- დაგვიხატ-ავ-ს // დაგვიხატ-ი-ა ჩვენ ის (ისინი)
- დაგიხატ-ავ-თ // დაგიხატ-ი-ა-თ თქვენ ის (ისინი)
- დაუხატ-ავ-თ // დაუხატ-ი-ა-თ მათ ის (ისინი)
- დამიხატ-ავ-ხარ // დამიხატ-ი-ხარ მე შენ
- დამიხატ-ავ-ხართ // დამიხატ-ი-ხართ მე თქვენ
- დაგვიხატ-ავ-ხარ // დაგვიხატ-ი-ხარ ჩვენ შენ
- დაგვიხატ-ავ-ხართ // დაგვიხატ-ი-ხართ ჩვენ თქვენ
- დაგიხატ-ავ-ვარ // დაგიხატ-ი-ვარ შენ მე
- დაგიხატ-ავ-ვართ // დაგიხატ-ი-ვართ შენ ჩვენ
- დაგვიხატ-ავ-ხარ // დაგვიხატ-ი-ხარ ჩვენ შენ
- დაგვიხატ-ავ-ხართ // დაგვიხატ-ი-ხართ ჩვენ თქვენ
- დაუხატ-ავ-ვარ // დაუხატ-ი-ვარ მას მე
- დაუხატ-ავ-ვართ // დაუხატ-ი-ვართ მას ჩვენ
- დაუხატ-ავ-ხარ // დაუხატ-ი-ხარ მას შენ
- დაუხატ-ავ-ხართ // დაუხატ-ი-ხართ მას თქვენ
- დაგიხატ-ავ-ვართ // დაგიხატ-ი-ვართ თქვენ მე/ჩვენ
- დაუხატ-ავ-ვართ // დაუხატ-ი-ვართ მათ მე/ჩვენ
- დაუხატ-ავ-ხართ // დაუხატ-ი-ხართ მათ შენ/თქვენ

**-ავ თემისნიშნითა II ჯგუფისა:**

- დამინაყ-ავ-ს // დამინაყ-ი-ა მე ის (ისინი)
- დაგინაყ-ავ-ს // დაგინაყ-ი-ა შენ ის ( ისინი)
- დაუნაყ-ავ-ს // დაუნაყ-ი-ა მას ის (ისინი)
- დაგვინაყ-ავ-ს // დაგვინაყ-ი-ა ჩვენ ის (ისინი)
- დაგინაყ-ავ-თ // დაგინაყ-ი-ა-თ თქვენ ის (ისინი)
- დაუნაყ-ავ-თ // დაუნაყ-ი-ა-თ მათ ის (ისინი)

და სხვა...

**-ამ თემისნიშნითა:**

დამიდგ-ამ-ს // დამიდგ-ია მე ის (ისინი)

დაგიდგ-ამ-ს // დაგიდგ-ია შენ ის (ისინი)

დაუდგ-ამ-ს // დაუდგ-ია მას ის (ისინი)

დაგვიდგ-ამ-ს // დაგვიდგ-ია ჩვენ ის (ისინი)

დაგიდგ-ამ-თ // დაგიდგ-ია-თ თქვენ ის (ისინი)

დამიდგ-ამ-თ // დაუდგ-ია-თ მათ ის (ისინი)

მარჯვენა პარადიგმის წევრები ბუნებრივ შთაბეჭდილებას ტოვებს – ხშირი ხმარებისაა, მარცხენა პარადიგმა შედარებით იშვიათი გამოყენებისაა – განსაკუთრებით მეშველზმნიანი ფორმები...

ეს მსჯელობაც მხარს უჭერს იმ აზრს, რომ **-ია დაბოლოებიანი** (მეშველზმნიან ვარიანტებში – ი-ხარ/ვარ) **ფორმების აკრძალვას გრამატიკული საფუძველი არ გააჩნია.**

#### **4. ეგუება სალიტერატურო ენის განვითარების ტენდენციას.**

არსებული ნორმის მიხედვით, **-ია დაბოლოება -ავ და -ამ** თემისნიშნითა ზმნებში მიიღება „**სხვა ზმნების ანალოგიით, რომელთაც I თურმეობითში -ია დაბოლოება აქვთ**“. ეს ნიშნავს: -ია დაბოლოებიანი ფორმები გრამატიკულად უმართებულოა და ვერ ეგუება სალიტერატურო ენის განვითარების ტენდენციას. არ ჩანს ასე:

**-ია დაბოლოება გრამატიკულად ისევე მართებულია განსახილველი ტიპის ზმნებში, როგორც -ავ ელემენტის დაბოლოება.** ამას შემდეგი მიზეზი აქვს:

**თუ ენაში ხდება სისტემური ცვლილება, ამ ცვლილების ნებისმიერი ეტაპი გრამატიკულად მართებულია შესაბამისი ეტაპისათვის.** ვთქვათ, სუბიექტური II პირის გამოხატვაში გრამატიკულად მართებულია ხანმეტიც, ჰაემეტიც, სანნარევი და „უნიშნო“ (დღევანდელი ნორმა) ვარიანტებიც. ამდენად, **-ავ და -ამ** თემისნიშნითა ზმნათა I თურმეობითის შემთხვევაში გრამატიკულად მართებულია როგორც თემისნიშნითა, ისე **-ია დაბოლოებიანი** ფორმები, რადგან ეს უკანასკნელი არის ამ ტიპის ფორმათა განვითარების ბოლო საფეხური.

**დაუ-მალ-ავ-ს > დაუ-მალ-ვ-ია > დაუ-მალ-ია.**

მაგრამ ჯერ უნდა გავარკვიოთ, **არის თუ არა წარმოების თვალსაზრისით -ია დაბოლოებიანი ფორმები საერთოდ კანონზომიერი?**

ცნობილი ფაქტია, რომ დრო-კილოთა სისტემა საუღლებელი ფუძის პრინციპებზეა აგებული. საუღლებელი ფუძის (ამ შემთხვევისათვის სჯობს გამოვიყენოთ ტერმინი **თემა**) ერთგვროვნობა არის საფუძველი I და II სერიის მწკრივთა დაჯგუფებისა.

I სერია

II სერია

**მალ-ავ-ს**

**და-მალ-ა**

**მალ-ავ-და**

**და-მალ-ოს**

**მალ-ავ-დეს**

III სერია ამ მხრივ განსხვავებულია – საუღლებელი ფუძე არაა ერთგვარი;

პრინციპულად განსხვავებულია ვითარება ძველსა და ახალ ქართულში.

**ძველ ქართულში** III სერიის მწკრივთა სანარმოებლად გამოიყენება როგორც რთული (I სერიისა), ისე მარტივი (II სერიის) თემა. კანონზომიერება ასეთია: რთული თემა აწარმოებს **I თურმეო-**



**ბითის ფორმებს, მარტივი – II თურმეობითისა და III კავშირებითისას.**

	ანმყო	
აღვა-შცნ-ებ,	განვა-გ-ებ,	დავჰ-მალ-ავ
	I თურმეობითი	
აღმი-შცნ-ებ-იეს,	განმი-გ-ებ-იეს,	დამი-მალ-ავ-ს
	II თურმეობითი	
აღმე-შცნ-ა,	განმე-გ-ო,	დამე-მალ-ა
	III კავშირებითი	
აღმე-შცნ-ოს,	განმე-გ-ოს,	დამე-მალ-ოს

როგორც სქემიდან ჩანს, **I თურმეობითი ყველა შემთხვევაში რთულ თემას გამოიყენებს, II თურმეობითი და III კავშირებითი – მარტივს.**

I თურმეობითის შემთხვევაში განსხვავებას ქმნის ის ფაქტი, რომ -ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნებს -იეს დაბოლოება არა აქვთ. ამ მხრივ საშუალო ქართულის მიჯნაზე უნიფიცირების ტენდენციაც იჩენს თავს – -ავ თემისნიშნიანებს -ია დაბოლოება დაერთვის: **დაუ-მალ-ვ-ია...**

ამ ტიპის ფორმები (**შემიკრავს, შეგიკრავს, შეუკრავს**) ანტონის პარადიგმებშიც მოხვდა ჩვეულებრივი (შემიკრავს, შეგიკრავს, შეუკრავს) ტიპის ფორმათა გვერდით (ანტონი 1998).

**დაუ-მალ-ვ-ია** ტიპის ფორმები გვხვდება კლასიკურ მწერლობაშიც: **მინახვიხარ** (ილია), **გვი-ნახვია** (მ. ჯავახიშვილი) და სხვა.

ფორმათა განვითარების დინამიკა ასეთია:

მი-ნახ-ავ-ს > (მი-ნახ-ვ-იეს >) მი-ნახ-ვ-ია > მი-ნახ-ია.

ნარევი ფორმები (ასე უწოდებენ **მინახვია** ტიპის ფორმებს – ნორმები 216) არ დამკვიდრდა. წარმოება გადავიდა -ია დაბოლოებაზე: **მინახავს > მინახია.**

ნარევი ფორმების გაჩენა – ეს იყო მცდელობა ორპირიანი მოქმედებითი გვარის ზმნათა I თურმეობითის წარმოების უნიფიკაციისა.

აღმი-შცნ-ებ-იეს, განმი-გ-ებ-იეს, დამი-მალ-ვ-იეს... ანუ I თურმეობითი ყველა ამ ტიპის ზმნისა იწარმოება რთული თემისაგან -იეს დაბოლოებით, თუმცა ეს ტენდენცია ბოლომდე არ გატარდა – თავი იჩინა ახალმა ტენდენციამ.

**ძველი ქართულის** პრინციპია:

**I თურმეობითი – რთული თემა** (მოქმედებითი გვარის ყველა ზმნისათვის)

**II თურმეობითი და III კავშირებითი – მარტივი თემა** (მოქმედებითი გვარის ყველა ზმნისათვის)

ვუნოდოთ ამ პრინციპს პირობითად **ფორმათა ერთგვაროვნების ჰორიზონტალური პრინციპი.**

რა ცვლილება მოხდა ახალ ქართულში? მოქმედებითი გვარის ზმნათა ნაწილმა I თურმეობითში რთული თემა შეინარჩუნა და, რაც მთავარია, II თურმეობითსა და III კავშირებითშიც რთული თემა გამოიყენა.

აუ-შენ-ებ-ია

აე-შენ-ებ-ი(ნ)ა

აე-შენ-ებ-ი(ნ)ოს

მეორე ნაწილმა II თურმეობითსა და III კავშირებითში მარტივი თემა შეინარჩუნა და, რაც მთავარია, I თურმეობითშიც მარტივი თემა გამოიყენა:

გაუ-გ-ია

გაე-გ-ო

გაე-გ-ოს

ანუ მოქმედებითი გვარის ზმნები მესამე სერიაში ემყარებიან ან რთულ თემას, ან – მარტივს. დავარქვათ ამას პირობითად **ფორმათა ერთგვაროვნების ვერტიკალური პრინციპი.**

ამგვარი ცვლილებებით III სერიის ფორმათა წარმოებაც ერთგვაროვანი საუღლებელი ფუძის პრინციპს დაემყარა. სამივე მწკრივში ერთგვაროვანი ფუძეა – ან მარტივი თემა, ან – რთული თემა.

ამი-შენ-ებ-ია	ამი-გ-ია
ამე-შენ-ებ-ინა	ამე-გ-ო
ამე-შენ-ებ-ინოს	ამე-გ-ოს

**ამი-გ-ია** ტიპის ფორმათა ჯგუფში შევა **-ავ** და **-ამ** თემისნიშნისანი ზმნები. ასე რომ, **-ია** დაბოლოებისანი ფორმები ახალი ქართული სისტემის ნაწილია და, შესაბამისად, მართებულია წარმოების თვალსაზრისით.

ამგვარად: **-ია** დაბოლოებისანი ფორმების გაჩენა არის არა „ანალოგიის“, არამედ სისტემური ენობრივი ცვლილების შედეგი; ამიტომ გრამატიკულად მართებულია როგორც **-ავ** (და **-ამ**) ელემენტისანი ფორმები (განვითარების ადრეულ ეტაპზე), ისე **-ია** დაბოლოებისანი ფორმები (განვითარების გვიანდელ ეტაპზე).

ამგვარად, გვაქვს ორი ვარიანტი:

<b>დაუ-მალ-ავ-ს</b>	<b>დაუ-მალ-ია</b>
<b>დაე-მალ-ა</b>	<b>დაე-მალ-ა</b>
<b>დაე-მალ-ო-ს</b>	<b>დაე-მალ-ო-ს</b>

პირველი – ძველი („ჰორიზონტალურ“ პრინციპზე აგებული) სისტემის ნაწილია; მეორე ახალი („ვერტიკალურ“ პრინციპზე აგებული) სისტემის ნაწილი.

თუ ნორმად მივიჩნევთ პირველ ვარიანტს ( დაუ-მალ-ავ-ს, დაე-მალ-ა, დაე-მალ-ო-ს), ახალ სისტემაში ძველის დაკანონებას შევეცდებით.

ასე რომ, თანამედროვე ქართულისათვის მეორე ვარიანტი მარებულია გრამატიკულად.

თუ ყოველივე ზემოთქმულს გავითვალისწინებთ, დასკვნა შეიძლება ასეთი გაკეთდეს:

**-ია** დაბოლოებისანი ფორმები (დაუთესია, დაურეკია, გაურეცხია... დაუმალა, უნახია... დაუდგ-ია, დაუბია...დაუშმალივარ, ვუნახივარ...)

1. ფართოდაა გავრცელებულია;
2. ისტორიულად მართებულია (ერთი ნაწილი);
3. დღევანდელი გრამატიკული სისტემით გამართლებულია;
4. ეგუება სალიტერატურო ენის განვითარების ტენდენციას.

აშკარაა, რომ პარალელური ვარიანტიდან **-ავ** და **-ამ** ელემენტისანი ფორმების სასარგებლოდ არსებული არგუმენტები შეიძლება დარჩეს ძალაში (გარკვეული დაზუსტებით) და ამიტომ ამ ფორმათა არანორმატიულობის საკითხის დასმა არ შეიძლება. მაგრამ ასევე არ შეიძლება თქმა იმისა, რომ „**-ია** დაბოლოებისანი ფორმები უკუგდებულ უნდა იქნეს“.

დღემდე არსებული ნორმის პირველი ნაწილი უნდა დაზუსტდეს ამგვარად: „თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ლიტერატურულ ფორმად უნდა დარჩეს **-ავ** და **-ამ** სუფიქსისანი ფორმები;“ ხოლო მეორე ნაწილი უნდა შეიცვალოს ამგვარად: „**-ია** დაბოლოებისანი ფორმები უნდა იქნეს მიჩნეული დასაშვებად“.

ანუ: ნორმატიული თვალსაზრისით მართებულად უნდა იქნეს მიჩნეული ორივე ფორმა. ფორმათა შერჩევა სტილისტიკის სფეროში უნდა დარჩეს...

ნორმათა პირველი ვერსიები შეიმუშავეს ს. ჯანაშიამ (მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან ბრუნვაში) და ლ. ლეჟავამ (მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან მრავლობით რიცხვში), გამოქვეყნებულია 1970 წელს „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში“.

### **ნორმის პროექტის ახალი რედაქცია მოამზადა თამარ ვაშაკიძემ.**

პროექტი განხილულია თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოზე (2022 წლის 25 თებერვალს) და მიღებულია სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის 2022 წლის 3 აგვისტოს სხდომაზე.

## **ატრიბუტული მსაზღვრელის შეთანხმება საზღვრულთან ბრუნვასა და რიცხვში**

ატრიბუტული მსაზღვრელი ახლავს არსებითი სახელით ან მასთან გათანაბრებული სიტყვით გადმოცემულ წევრს (საზღვრულს) და განსაზღვრავს (ახასიათებს) მას რაიმე ნიშნის მიხედვით (**ყვითელი ფოთოლი, მწვანე მინდორი, მალალი ხეები, დიდი ეზო, ხუთი ბავშვი, რამდენიმე მეგობარი, ზღვა ხალხი...**).

თანამედროვე ქართულში ატრიბუტული მსაზღვრელი გადმოიცემა ზედსართავი სახელით ან მიმღეობით (**დიდი სახლი, პატარა გოგო, დედაშვილური** სიყვარული, **გახარებული** ბავშვი...), რიცხვითი სახელითა (**სამი** მეგობარი, **მეთერთმეტე** კლასი...) და ნაცვალსახელით (**ჩვენი** სკოლა, **ეს** გზა, **ზოგი** საკითხი...). ატრიბუტულ მსაზღვრელად დასტურდება აგრეთვე ზომის, სანყაოს, რაიმე ერთეულისა თუ სიმრავლის აღმნიშვნელი სახელები (**ჭიქა** წყალი, **ურემი** შეშა, **ზღვა** ხალხი...), პროფესია-საქმიანობისა თუ ნოდება-თანამდებობის გამომხატველი სიტყვები (**პროფესორი** რაზმაძე, **მწერალი** მიხეილ ჯავახიშვილი, **ადვოკატი** გელაშვილი...), გეოგრაფიულ სახელთა თუ სათაურ-სახელწოდებათა დანართები (**ქალაქი** თბილისი, **სოფელი** დილომი; **რომანი** „დიდოსტატის მარჯვენა“, **კინოფილმი** „დიდი გასეირნება“ ...), მიმართვისას გამოყენებული ქართული თუ უცხოური სიტყვები (**ბატონი** ზურაბი, **ქალბატონი** რუსუდანი, **მისტერ** ჰიგინსი, **ლედი** ჰამილტონი...), ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი სახელები (**დეიდა** ქეთევანი, **ბიძია** გიორგი...) და სხვ.

სახელს ქართულში ორი გრამატიკული კატეგორია აქვს – ბრუნვისა და რიცხვის, ამიტომ მსაზღვრელის სინტაქსური მიმართება საზღვრულ წევრთან სწორედ ბრუნვასა და რიცხვში ურთიერთობას გულისხმობს, რისთვისაც, თავის მხრივ, გასათვალისწინებელია: ა) ატრიბუტული მსაზღვრელის წყობა პირდაპირია თუ ინვერსიული; ბ) ბოლოთანხმოვნის სახელით არის წარმოდგენილი ატრიბუტული მსაზღვრელი თუ ბოლოხმოვნისა; გ) პრეპოზიციური ატრიბუტული მსაზღვრელი უშუალოდ საზღვრულთან დასტურდება თუ გათიშულია მისგან წინადადების სხვა წევრით; დ) რომელი მეტყველების ნაწილით არის გადმოცემული ატრიბუტული მსაზღვრელი (ზედსართავით, რიცხვით, ნაცვალსახელით თუ არსებითით); ე) ებიან მრავლობითშია საზღვრული თუ წართანხმებული.

ძველ ქართულში ზედსართავი სახელით (თუ მიმღეობით) წარმოდგენილი ატრიბუტული მსაზღვრელი ძირითადად მოსდევდა საზღვრულ წევრს, თუმცა ზოგჯერ (შედარებით იშვიათად) მის წინაც დასტურდებოდა.

მსაზღვრელის საზღვრულთან შეწყობისათვის ძველ ქართულში მნიშვნელობა არ ჰქონდა არც რიგს (ე. ი. უსწრებდა ის საზღვრულს თუ მოსდევდა მას) და არც ფუძის დაბოლოებას (ე.ი. ბოლოთანხმოვნის სახელით იყო ის გადმოცემული თუ ბოლოხმოვნისა) – ატრიბუტული მსაზღვრელი სრულად ეთანხმებოდა თავის საზღვრულს ბრუნვასა და რიცხვში (იყო რამდენიმე გამონაკლისიც).

თანამედროვე ქართულში მსაზღვრელი წევრი ძირითადად პრეპოზიციურია, თუმცა მხატვრულ ლიტერატურაში (განსაკუთრებით – პოეზიის ენაში) პოსტპოზიციური მსაზღვრელიც მრავლად დასტურდება.

## **მსაზღვრელი ზედსართავი სახელის შეთანხმება საზღვრულთან ბრუნვასა და რიცხვში**

ზედსართავი სახელით გადმოცემული ატრიბუტული მსაზღვრელის საზღვრულთან შეთანხმებისას (ბრუნვასა და რიცხვში) უნდა გატარდეს შემდეგი წესები:

1. ზედსართავი სახელით (თუ მიმღეობით) გადმოცემული **პრეპოზიციური** ბოლოთანხმოვნისანი მსაზღვრელი თავის საზღვრულს სრულად ეთანხმება სამ ბრუნვაში: სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში; მიცემითსა და ვითარებითში ის ფუძის სახით წარმოდგება საზღვრულთან, ხოლო ნათესაობითსა და მოქმედებითში შეინარჩუნებს ბრუნვისნიშნისეულ ხმოვნით ელემენტს, თანხმოვნითი ნაწილი ჩამოსცილდება.

სახ.	ყვითელ-ი	ფოთოლ-ი	გახარებულ-ი	ბავშვ-ი
მოთხრ.	ყვითელ-მა	ფოთოლ-მა	გახარებულ-მა	ბავშვ-მა
მიც.	ყვითელ	ფოთოლ-ს	გახარებულ	ბავშვ-ს
ნათ.	ყვითელ-ი	ფოთლ-ის	გახარებულ-ი	ბავშვ-ის
მოქმ.	ყვითელ-ი	ფოთლ-ით	გახარებულ-ი	ბავშვ-ით
ვით.	ყვითელ	ფოთლ-ად	გახარებულ	ბავშვ-ად
წოდ.	ყვითელ-ო	ფოთოლ-ო	გახარებულ-ო	ბავშვ-ო

1.1. ებიან მრავლობითში დასმულ საზღვრულს ზედსართავი სახელით (თუ მიმღეობით) გადმოცემული ბოლოთანხმოვნისანი **პრეპოზიციური** მსაზღვრელი მხოლოდითი რიცხვის ფორმით შეეწყობა. ნარიან მრავლობითში ის ეთანხმება თავის საზღვრულს ბრუნვაშიც და რიცხვშიც (სახ. **ყვითელნი ფოთოლნი, გახარებულნი ბავშვნი**; წოდ. **ყვითელნო ფოთოლნო, გახარებულნო ბავშვნო**), ხოლო თანხანში ფუძის სახით იქნება გამობატული (მოთხრ., მიც.,ნათ. **ყვითელ ფოთოლთა, გახარებულ ბავშვთა**).

სახ.	ყვითელ-ი	ფოთლ-ებ-ი	გახარებულ-ი	ბავშვ-ებ-ი
მოთხრ.	ყვითელ-მა	ფოთლ-ებ-მა	გახარებულ-მა	ბავშვ-ებ-მა
მიც.	ყვითელ	ფოთლ-ებ-ს	გახარებულ	ბავშვ-ებ-ს
ნათ.	ყვითელ-ი	ფოთლ-ებ-ის	გახარებულ-ი	ბავშვ-ებ-ის
მოქმ.	ყვითელ-ი	ფოთლ-ებ-ით	გახარებულ-ი	ბავშვ-ებ-ით
ვით.	ყვითელ	ფოთლ-ებ-ად	გახარებულ	ბავშვ-ებ-ად
წოდ.	ყვითელ-ო	ფოთლ-ებ-ო	გახარებულ-ო	ბავშვ-ებ-ო

სახ.	ყვითელ-ნი	ფოთოლ-ნი	გახარებულ-ნი	ბავშვ-ნი
მოთხრ.	ყვითელ	ფოთოლ-თა	გახარებულ	ბავშვ-თა
მიც.	ყვითელ	ფოთოლ-თა	გახარებულ	ბავშვ-თა
ნათ.	ყვითელ	ფოთოლ-თა	გახარებულ	ბავშვ-თა
მოქმ.	–	–	–	–
ვით.	–	–	–	–
წოდ.	ყვითელ-ნო	ფოთოლ-ნო	გახარებულ-ნო	ბავშვ-ნო

1.2. **პრეპოზიციური** ატრიბუტული მსაზღვრელი, რომელიც ბოლოხმოვნიათი სახელით (ზედ-სართავითა თუ მიმლეობით) არის წარმოდგენილი, მხოლოდობითა და მრავლობითში დასმულ საზღვრულს ფუძის სახით შეეწყობა ყველა ბრუნვაში:

სახ.	მწვანე	მინდორ-ი	მოცურავე	ბავშვ-ი
მოთხრ.	მწვანე	მინდორ-მა	მოცურავე	ბავშვ-მა
მიც.	მწვანე	მინდორ-ს	მოცურავე	ბავშვ-ს
ნათ.	მწვანე	მინდვრ-ის	მოცურავე	ბავშვ-ის
მოქმ.	მწვანე	მინდვრ-ით	მოცურავე	ბავშვ-ით
ვით.	მწვანე	მინდვრ-ად	მოცურავე	ბავშვ-ად
წოდ.	მწვანე	მინდორ-ო	მოცურავე	ბავშვ-ო
სახ.	მწვანე	მინდვრ-ებ-ი	მოცურავე	ბავშვ-ებ-ი
მოთხრ.	მწვანე	მინდვრ-ებ-მა	მოცურავე	ბავშვ-ებ-მა
მიც.	მწვანე	მინდვრ-ებ-ს	მოცურავე	ბავშვ-ებ-ს
ნათ.	მწვანე	მინდვრ-ებ-ის	მოცურავე	ბავშვ-ებ-ის
მოქმ.	მწვანე	მინდვრ-ებ-ით	მოცურავე	ბავშვ-ებ-ით
ვით.	მწვანე	მინდვრ-ებ-ად	მოცურავე	ბავშვ-ებ-ად
წოდ.	მწვანე	მინდვრ-ებ-ო	მოცურავე	ბავშვ-ებ-ო
სახ.	მწვანე	მინდორ-ნ-ი	მოცურავე	ბავშვ-ნ-ი
მოთხრ.	მწვანე	მინდორ-თ-ა	მოცურავე	ბავშვ-თ-ა
მიც.	მწვანე	მინდორ-თ-ა	მოცურავე	ბავშვ-თ-ა
ნათ.	მწვანე	მინდორ-თ-ა	მოცურავე	ბავშვ-თ-ა
მოქმ.	–			–
ვით.	–			–
წოდ.	მწვანე	მინდორ-ნ-ო	მოცურავე	ბავშვ-ნ-ო

1.3. გათიშული **პრეპოზიციური** მსაზღვრელი (რომელიც ძირითადად მხატვრულ ლიტერატურაში დასტურდება) – ბოლოთანხმოვნიათი და ბოლოხმოვნიათი – ყველა ბრუნვაში სრულად დაირთავს შესაბამის ნიშნებს: „**შაქრიანს** ეტყვის **სიტყვასა**“ (ვაჟა); „**მწვანეს** ეწვდება **ფოთოლსა** ხარი ირემი რქიანი“ (ვაჟა)...

2. ზედსართავით (თუ მიმლეობით) გამოხატული **ატრიბუტულ-პოსტპოზიციური** მსაზღვრელი (ბოლოთანხმოვნიათი და ბოლოხმოვნიათი) თავის საზღვრულს სრულად ეთანხმება ყველა ბრუნვაში. აღნიშნული ტიპის შემთხვევები ძირითადად პოეზიაში დასტურდება: „გვერდს უზის **ქალი ლამაზი**, სანთელივითა დნებაო“ (ხალხ.); „მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო, ვით **ფრინველმა გარეგანმა**“ (აკაკი); „**ველს მშვენიერსა** ჩასძინებოდა“ (ილია); „**ბალახს მწვანესა** მიირთმევს“ (ხალხ.); „დიაცს მუდამაც უხდება გლოვა **ვაჟკაცის კარგისა**“ (ვაჟა); „გადის ღუმელი ოთახიდან **ნაბიჯით ზანტით**“ (მუხრანი); „იმ ჩვენი ობლის სული კი იქცა **პეპელად ქრელადა**“ (ვაჟა); „რამ მოაქცია **კაცად ყრუდ?**“ (ხალხ.); „**კლდეო მაღალო**, შეინახე ჩემი ფესვები!“ (ვაჟა) ...

2.1. შეიკუმშება ან შეიკვეცება **პოსტპოზიციური** მსაზღვრელის ფუძე, თუ ის (ფუძე) ზოგადად კუმშვადია ან კვეცადი.

სახ.	ფოთოლ-ი	ყვითელ-ი	სახლი	პატარა
მოთხრ.	ფოთოლ-მა	ყვითელ-მა	სახლ-მა	პატარა-მ

მიც.	ფოთოლ-ს	ყვითელ-ს	სახლ-ს	პატარა-ს
ნათ.	ფოთლ-ის	ყვითლ-ის	სახლ-ის	პატარ-ის
მოქმ.	ფოთლ-ით	ყვითლ-ით	სახლ-ით	პატარ-ით
ვით.	ფოთლ-ად	ყვითლ-ად	სახლ-ად	პატარა-დ
ნოდ.	ფოთოლ-ო	ყვითელ-ო	სახლ-ო	პატარა-ვ

2.2. ატრიბუტულ-პოსტპოზიციური მსაზღვრელისა და საზღვრულის მრავლობით რიცხვში შეთანხმებისას გამოიყოფა რამდენიმე ტიპი (პოეზიის ენაში).

- საზღვრულიცა და პოსტპოზიციური მსაზღვრელიც ებიანი მრავლობითი რიცხვის ფორმით არის წარმოდგენილი: „ნაქერალაში დამდგარან თუშები თექიანები“ (ვაჟა); „გარს სანგლად შემოუვლიათ ხევები ბექიანები“ (ვაჟა); „მინდვრები, ქართლის მინდვრები, ქედები მხარგაშლილები...“ (ანა)...
- საზღვრულიცა და პოსტპოზიციური მსაზღვრელიც წართნიანი მრავლობითით დასტურდება: „სად ჰყვავებულან დიდებულად ქალაქნი ვრცელნი“ (ალ. ჭავჭავაძე); „ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად მივალალებენ სვავნი მყივარნი“ (ნ. ბარათაშვილი); „თვის შორის ხატავს ცისა ლაჟვარდს და მათათა მწვანეთ“ (ალ. ჭავჭავაძე)...
- საზღვრული ებიანი მრავლობითი რიცხვის ფორმით არის გამოსატული, პოსტპოზიციური მსაზღვრელი – წართნიანი: „მოგროვდენ ყოველის მხრიდამ ვაჟები ლომისფერანი“ (ვაჟა); „მწყობრად მოდიან მხედრები სახეგაშლილნი, მზე ვით“ (ანა)...
- საზღვრული წარმოდგენილია წართნიანი მრავლობითით, პოსტპოზიციური მსაზღვრელი – ებიანით. ასეთ შემთხვევებში მსაზღვრელი ხშირად განკერძოებულია: „მთანი, თავჩაჩქიანები, ფიქრს მისცემიან მწარესა“ (ვაჟა) ...
- საზღვრული ებიანი მრავლობითი რიცხვის ფორმით დასტურდება, ხოლო პოსტპოზიციური მსაზღვრელი მხოლოდ რიცხვშია: „გულს მიკლავს, გონებას მირევს ფიქრები გაუგებარი“ (ვაჟა); „დილაა. სველია ბალახი. სველია ბელტები ნედლი“ (მუხრანი). განკერძოებული მსაზღვრელი ამ შემთხვევაშიც დაჩნდება: „ხომ არის ისეთი დღეები, დარიანი, ჰაერის სითბო მხრებში რომ აგწევს, აგამჩატებს“ (გ. კვარაცხელია)...

2.3. პოსტპოზიციური მსაზღვრელი განკერძოვდება, თუ ის გავრცობილია მასთან სინტაქსურად დაკავშირებული სიტყვებით (განკერძოვდება ამ სიტყვებთან ერთად): „სიტყვებს, – წინაპართ მიერ გახედნილთ, დიდი რუსთველის უღელში ნაბამთ“ (მუხრანი)...

2.4. ინვერსიული მსაზღვრელი შეიძლება განკერძოვდეს მაშინაც, როცა ის არ არის გავრცობილი მასთან სინტაქსურად დაკავშირებული სიტყვებით. აღნიშნული ტიპის შემთხვევები მწერლის პოზიციით აიხსნება (როგორ მოიაზრებს ის წინადადებაში მსაზღვრელს – პაუზით თუ უპაუზოდ): „მთებს, – პირდაბანილთ, – შეუმშრალა ქარმა ხელ-პირი“ (მუხრანი)...

2.5. გათიშული პოსტპოზიციური მსაზღვრელი – ბოლოთანხმოვნიათა და ბოლოხმოვნიათა – ყველა ბრუნვაში სრულად დაირთავს შესაბამის ნიშნებს: „და როდესაც მზეს შევხედე გვირგვინოსანს, ჩემო კარგო, ქვეყანაზე გავჩნდი ოდეს“ (ანა); „ველებს გაჰყურებს მწვანესა“ (ხალხ.)...

2.6. თუ საზღვრული თანდებულიანი ფორმით არის წარმოდგენილი, პოსტპოზიციური მსაზღვრელიც დაირთავს თანდებულს: „საუბრობდნენ საკითხებზე ძირითადზე“... ასეთ შემთხვევებში

თანდებულდართული მსაზღვრელი შესაძლებელია განკერძოვდეს (მძიმით გამოეყოს საზღვრულს): „საუბრობდნენ **საკითხებზე, ძირითადადზე**“...

2.7. თანამედროვე ქართულში პოსტპოზიციური ატრიბუტული მსაზღვრელი (ზედსართავითა თუ მიმღობით წარმოდგენილი) მრავლობით რიცხვშიც ეთანხმება თავის საზღვრულს, თუ ეს უკანასკნელი სულიერი სახელით (ვინ თუ რა ჯგუფისა) არის გამომხატული (**ბავშვები ცელქები, ქალნი ლამაზნი, შაშვნი მგალობელნი, დათვები შავები, ლეკვები პატარები...**), ხოლო უსულო სახელით გადმოცემული საზღვრულის შემთხვევაში **პოსტპოზიციური** მსაზღვრელი შეიძლება იყოს შეთანხმებულიც (**მდინარეები პატარები, ქედები მხარგაშლილები, მთანი მალალნი...**) და შეუთანხმებელიც (**ბელტები ნედლი, დღეები დარიანი, სახლები დიდი...**).

2.8. დასაშვებია ისეთი შემთხვევებიც (ძირითადად სახ. და წოდ. ბრუნვებში), როცა საზღვრული ებიანი მრავლობითი რიცხვის ფორმით არის წარმოდგენილი, ხოლო **პოსტპოზიციური** მსაზღვრელი – ნარიანით (**ქალები ლამაზნი, ქალებო ლამაზნო; მხედრები სახეგაშლილნი, მხედრებო სახეგაშლილნო; ჩიტები მოჭიკჭიკენი, ჩიტებო მოჭიკჭიკენო; შაშვები შავნი, შაშვებო შავნო...**), ან კიდევ – პირიქით: საზღვრული ნარიანი მრავლობითით გამოიხატება, **ინვერსიული** მსაზღვრელი – ებიანით (**ჭადარნი მალლები, ჭადარნო მალლებო; მთანი თავჩაჩქიანები, მთანო თავჩაჩქიანებო...**).

2.9. თუ **პოსტპოზიციური** მსაზღვრელი წარმოდგენილია ისეთი სახელით, რომელსაც ნაკლებად უდასტურდება ებიანი მრავლობითის ფორმები, ის მრავლობითში დასმულ საზღვრულს ან მხოლობითი რიცხვის ფორმით შეეწყობა, ან – ნართანიანი მრავლობითით. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს იმას, სულიერი სახელით (ვინ თუ რა ჯგუფისა) არის გამომხატული საზღვრული თუ უსულოთი, შდრ.: **ადამიანები** (ადამიანნი) **საინტერესო / საინტერესონი, წიგნები** (წიგნნი) **საინტერესო / საინტერესონი; ვაჟკაცები** (ვაჟკაცნი) **მათებრი / მათებრნი, საქმეები** (საქმენი) **მათებრი / მათებრნი...** (ნაკლებად გვექნება: **ადამიანები** (ადამიანნი) **საინტერესოები** ან **წიგნები** (წიგნნი) **საინტერესოები; ვაჟკაცები** (ვაჟკაცნი) **მათებრები** ან **საქმეები** (საქმენი) **მათებრები...**). შესაბამისად, მხოლობითი რიცხვის ფორმით გადმოცემული **ინვერსიული** მსაზღვრელი დაშვებულ უნდა იქნეს მართებულ ვარიანტად ყველა შემთხვევაში.

## დასაბუთება

ახალ ქართულში ატრიბუტული მსაზღვრელი (პრეპოზიციურიც და პოსტპოზიციურიც) ყველაზე ხშირად ზედსართავი სახელით (თუ მიმღობით) გამოიხატება: „**თბილმა სიომ** დაუბერა“ (მ. ჯავახიშვილი); „**გარეულმა ქათამმა შინაური ქათამი** გააგდო“ (ანდაზა); „**გასნი, გაკურცხლე** და შემომოკლე მოუთმენელსა **სავალნი დღენი**“ (ნ. ბარათიშვილი); „**მისი ხავსიანი რქები** ტყეს უსწორდებოდა“ (ვაჟა); „**მოზღვავებულმა ხალხმა** ცეცხლი მალე ჩააქრო“ (ვაჟა); „**გვადიმ ნაბდიდან მოდიდო ხურჯინი** გადმოიღო“ (ქიაჩელი); „**ამას უნდა მიაქციოთ უდიდესი ყურადღება**“ (ნ. ლორთქიფანიძე); „**ჩინებულად შეუნახავს მოკურდღლავე ყანა** გლედიჩს“ (მუხრანი); „**ეს მძაფრი კვნესა** მიწამლავს დღეებს“ (გალაკტიონი); „**მე თოვლი მიყვარს, როგორც** შენს ხმაში / **ერთ დროს ფარული დარდი** მიყვარდა“ (გალაკტიონი); „**ველს მშვენიერსა** ჩასძინებოდა“ (ილია); „**რომ გათენდება დილა მზიანი** და ყოველს ბინდსა ის განანათლებს“ (ნ. ბარათაშვილი); „**ხეზე შემოჯდა ჩიტი პატარა**“ (ვაჟა); „**კლდეო მალალო, შეინახე ჩემი ფესვები**“ (ვაჟა); „**ფართო მკერდი** ჰქონდა და **მკლავები ღონიერი**“ (მუხრანი); „**საქართველოო ლამაზო, / სხვა საქართველო სად არი?**“ (ანა); „**ასე ფიქრობდა სულხან-საბა ხელჯოხიანი...**“ (მუხრანი)...

ზედსართავი სახელით (თუ მიმღობით) გადმოცემული **პრეპოზიციური** ბოლოთანხმოვნისანი მსაზღვრელი თავის საზღვრულს სრულად ეთანხმება სამ ბრუნვაში: სახელობითში, მოთხრობითსა

და წოდებითში; მიცემითსა და ვითარებითში ის ფუძის სახით წარმოდგება საზღვრულთან, ხოლო ნათესაობითსა და მოქმედებითში შეინარჩუნებს ბრუნვისნიშნისეულ ხმოვნით ელემენტს, თანხმოვნითი ნაწილი ჩამოსცილდება. ებიან მრავლობითში დასმულ საზღვრულს დასახელებული ტიპის მსაზღვრელი მხოლობითი რიცხვის ფორმით შეენყოფა; ნარიან მრავლობითში ის ეთანხმება თავის საზღვრულს ბრუნვაშიც და რიცხვშიც, ხოლო თანიანში ფუძის სახით იქნება წარმოდგენილი.

სახ.	ყვითელ-ი	ფოთოლ-ი	ყვითელ-ი	ფოთლ-ებ-ი	ყვითელ-ნ-ი	ფოთოლ-ნ-ი
მოთხრ.	ყვითელ-მა	ფოთოლ-მა	ყვითელ-მა	ფოთლ-ებ-მა	ყვითელ	ფოთოლ-თ-ა
მიც.	ყვითელ	ფოთოლ-ს	ყვითელ	ფოთლ-ებ-ს	ყვითელ	ფოთოლ-თ-ა
ნათ.	ყვითელ-ი	ფოთლ-ის	ყვითელ-ი	ფოთლ-ებ-ის	ყვითელ	ფოთოლ-თ-ა
მოქმ.	ყვითელ-ი	ფოთლ-ით	ყვითელ-ი	ფოთლ-ებ-ით	–	
ვით.	ყვითელ	ფოთლ-ად	ყვითელ	ფოთლ-ებ-ად	–	
წოდ.	ყვითელ-ო	ფოთოლ-ო	ყვითელ-ო	ფოთლ-ებ-ო	ყვითელ-ნ-ო	ფოთოლ-ნ-ო

სახ.	გახარებულ-ი	ბავშვ-ი	გახარებულ-ი	ბავშვ-ებ-ი	გახარებულ-ნ-ი	ბავშვ-ნ-ი
მოთხრ.	გახარებულ-მა	ბავშვ-მა	გახარებულ-მა	ბავშვ-ებ-მა	გახარებულ	ბავშვ-თ-ა
მიც.	გახარებულ	ბავშვ-ს	გახარებულ	ბავშვ-ებ-ს	გახარებულ	ბავშვ-თ-ა
ნათ.	გახარებულ-ი	ბავშვ-ის	გახარებულ-ი	ბავშვ-ებ-ის	გახარებულ	ბავშვ-თ-ა
მოქმ.	გახარებულ-ი	ბავშვ-ით	გახარებულ-ი	ბავშვ-ებ-ით	–	
ვით.	გახარებულ	ბავშვ-ად	გახარებულ	ბავშვ-ებ-ად	–	
წოდ.	გახარებულ-ო	ბავშვ-ო	გახარებულ-ო	ბავშვ-ებ-ო	გახარებულ-ნ-ო	ბავშვ-ნ-ო

პრეპოზიციური ატრიბუტული მსაზღვრელი, რომელიც ბოლოხმოვნისანი სახელით (ზედსართავითა თუ მიმღებობით) არის გადმოცემული, მხოლობითსა და მრავლობითში დასმულ საზღვრულს ფუძის სახით ენყოფა ყველა ბრუნვაში.

სახ.	მწვანე	მინდორ-ი	მწვანე	მინდვრ-ებ-ი	მწვანე	მინდორ-ნ-ი
მოთხრ.	მწვანე	მინდორ-მა	მწვანე	მინდვრ-ებ-მა	მწვანე	მინდორ-თ-ა
მიც.	მწვანე	მინდორ-ს	მწვანე	მინდვრ-ებ-ს	მწვანე	მინდორ-თ-ა
ნათ.	მწვანე	მინდვრ-ის	მწვანე	მინდვრ-ებ-ის	მწვანე	მინდორ-თ-ა
მოქმ.	მწვანე	მინდვრ-ით	მწვანე	მინდვრ-ებ-ით	–	
ვით.	მწვანე	მინდვრ-ად	მწვანე	მინდვრ-ებ-ად	–	
წოდ.	მწვანე	მინდორ-ო	მწვანე	მინდვრ-ებ-ო	მწვანე	მინდორ-ნ-ო

სახ.	მოცურავე	ბავშვ-ი	მოცურავე	ბავშვ-ებ-ი	მოცურავე	ბავშვ-ნ-ი
მოთხრ.	მოცურავე	ბავშვ-მა	მოცურავე	ბავშვ-ებ-მა	მოცურავე	ბავშვ-თ-ა
მიც.	მოცურავე	ბავშვ-ს	მოცურავე	ბავშვ-ებ-ს	მოცურავე	ბავშვ-თ-ა
ნათ.	მოცურავე	ბავშვ-ის	მოცურავე	ბავშვ-ებ-ის	მოცურავე	ბავშვ-თ-ა
მოქმ.	მოცურავე	ბავშვ-ით	მოცურავე	ბავშვ-ებ-ით	–	
ვით.	მოცურავე	ბავშვ-ად	მოცურავე	ბავშვ-ებ-ად	–	
წოდ.	მოცურავე	ბავშვ-ო	მოცურავე	ბავშვ-ებ-ო	მოცურავე	ბავშვ-ნ-ო

გათიშული **პრეპოზიციური** მსაზღვრელი (რომელიც ძირითადად მხატვრულ ლიტერატურაში დასტურდება) – ბოლოთანხმოვნისანიცა და ბოლოხმოვნისანიც – ყველა ბრუნვაში სრულად დაირთავს შესაბამის ნიშნებს: „**შაქრიანს** ეტყვის **სიტყვასა**“ (ვაჟა); „**მწვანეს** ეწვდება **ფოთოლსა** ხარი ირემი რქიანი“ (ვაჟა)...



რაც შეეხება **ატრიბუტულ-პოსტპოზიციურ** მსაზღვრელს (ზედსართავითა თუ მიმღებობით გამოხატულს), ის – ბოლოთანმდგომიანიცა და ბოლომდგომიანიც – თავის საზღვრულს ეთანხმება ყველა ბრუნვაში. აღნიშნული ტიპის შემთხვევები ძირითადად პოეზიაში (ზოგადად – მხატვრულ ლიტერატურაში) დასტურდება: „გვერდს უზის **ქალი ლამაზი**, სანთელივითა დნებაო“ (ხალხ.); „მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო, ვით ფრინველმა გარეგანმა“ (აკაკი); „**ველს მშვენიერსა** ჩასძინებოდა“ (ილია); „**ბალახს მწვანესა** მიირთმევს“ (ხალხ.); „დიაცს მუდამაც უხდება გლოვა **ვაჟკაცის კარგისა**“ (ვაჟა); „გადის დუმილი ოთახიდან **ნაბიჯით ზანტით**“ (მუხრანი); „იმ ჩვენი ობლის სული კი იქცა **პეპელად ქრელადა**“ (ვაჟა); „რამ მოაქცია **კაცად ყრუდ?**“ (ხალხ.); „**კლდეო მალალო**, შეინახე ჩემი ფესვები!“ (ვაჟა) ...

სახ.	ქალ-ი	ლამაზ-ი	კაც-ი	ყრუ
მოთხრ.	ქალ-მა	ლამაზ-მა	კაც-მა	ყრუ-მ
მიც.	ქალ-ს	ლამაზ-ს	კაც-ს	ყრუ-ს
ნათ.	ქალ-ის	ლამაზ-ის	კაც-ის	ყრუ-ს(ი)
მოქმ.	ქალ-ით	ლამაზ-ით	კაც-ით	ყრუ-თი
ვით.	ქალ-ად	ლამაზ-ად	კაც-ად	ყრუ-დ
ნოდ.	ქალ-ო	ლამაზ-ო	კაც-ო	ყრუ-ო

**პოსტპოზიციური** მსაზღვრელის ფუძე შეიკუმშება ან შეიკვეცება, თუ ის (ფუძე) ზოგადად კუმშვადია ან კვეცადი.

სახ.	ფოთოლ-ი	ყვითელ-ი	სახლი	პატარა
მოთხრ.	ფოთოლ-მა	ყვითელ-მა	სახლ-მა	პატარა-მ
მიც.	ფოთოლ-ს	ყვითელ-ს	სახლ-ს	პატარა-ს
ნათ.	ფოთლ-ის	ყვითლ-ის	სახლ-ის	პატარ-ის
მოქმ.	ფოთლ-ით	ყვითლ-ით	სახლ-ით	პატარ-ით
ვით.	ფოთლ-ად	ყვითლ-ად	სახლ-ად	პატარა-დ
ნოდ.	ფოთოლ-ო	ყვითელ-ო	სახლ-ო	პატარა-ვ

**ატრიბუტულ-პოსტპოზიციური** მსაზღვრელისა და საზღვრულის მრავლობით რიცხვში შეთანხმებისას გასათვალისწინებელია რამდენიმე შემთხვევა (პოეზიის ენაში).

- საზღვრულიცა და **პოსტპოზიციური** მსაზღვრელიც ებიანი მრავლობითი რიცხვის ფორმით არის წარმოდგენილი: „ნაქერალაში დამდგარან **თუშები თექიანები**“ (ვაჟა); „გარს სანგლად შემოუვლიათ **ხევები ბექიანები**“ (ვაჟა); „მინდვრები, ქართლის მინდვრები, **ქედები მხარგაშლილები...**“ (ანა)...

სახ.	თუშ-ებ-ი	თექიან-ებ-ი
მოთხრ.	თუშ-ებ-მა	თექიან-ებ-მა
მიც.	თუშ-ებ-ს	თექიან-ებ-ს
ნათ.	თუშ-ებ-ის	თექიან-ებ-ის
მოქმ.	თუშ-ებ-ით	თექიან-ებ-ით
ვით.	თუშ-ებ-ად	თექიან-ებ-ად
ნოდ.	თუშ-ებ-ო	თექიან-ებ-ო

- საზღვრულიცა და **პოსტპოზიციური** მსაზღვრელიც ნართანინი მრავლობითით დასტურდება: „სად ჰყვავებულან დიდებულად ქალაქნი ვრცელნი“ (ალ. ჭავჭავაძე); „ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად მივაღალაებენ სვავნი მყივარნი“ (ნ. ბართათაშვილი); „თვის შორის ხატავს ცისა ლაჟვარდს და მთათა მწვანეთ (ალ. ჭავჭავაძე)...

სახ.	სვავ-ნ-ი	მყივარ-ნ-ი
მოთხრ.	სვავ-თ-ა	მყივარ-თ-ა
მიც.	სვავ-თ-ა	მყივარ-თ-ა
ნათ.	სვავ-თ-ა	მყივარ-თ-ა
მოქმ.		–
ვით.		–
წოდ.	სვავ-ნ-ო	მყივარ-ნ-ო

- საზღვრული ებიანი მრავლობითი რიცხვის ფორმით არის გამოხატული, **პოსტპოზიციური** მსაზღვრელი – ნარიანით: „მოგროვდენ ყოველის მხრიდამ ვაჟები ლომისფერანი“ (ვაჟა); „მწყობრად მოდიან მხედრები სახეგაშლილნი, მზე ვით“ (ანა)...
**შენიშვნა:** თანამედროვე ქართულში პოსტპოზიციური მსაზღვრელის ფუნქციით გამოყენებული რიცხვითი სახელი **მრავალი** ნათ. და მოქმ. ბრუნვებში ნაკლებად შეიკუმშავს ფუძეს: ეს არის მოთხოვნა **ხალხის მრავალის**, ან კიდევ: მოედანი სავსე იყო **ხალხით მრავალით...** შეკუმშული ვარიანტი ზმნისართის (გარემოების) ფუნქციას ასრულებს: „**მრავლად** იყვნენ მოწვეული მაზრებიდან ადგილობრივი მცხოვრებნი“ (დ. კლდ.); „იქ შენი ძმებიც **მრავლად** არიან“ (ყაზბეგი)...

ნილობითი რიცხვითი სახელი (**პოსტპოზიციური** მსაზღვრელის ფუნქციით წარმოდგენილი) ყველა ბრუნვაში დაირთავს შესაბამის ნიშნებს.

სახ.	ნაწილ-ი	მეათედ-ი
მოთხრ.	ნაწილ-მა	მეათედ-მა
მიც.	ნაწილ-ს	მეათედ-ს
ნათ.	ნაწილ-ის	მეათედ-ის
მოქმ.	ნაწილ-ით	მეათედ-ით
ვით.	ნაწილ-ად	მეათედ-ად
ნოდ.	(ნაწილ-ო	მეათედ-ო)

როცა **პოსტპოზიციურ** მსაზღვრელად გვაქვს **ორი ათასი** (ორკომპონენტის) ტიპის შედგენილი რიცხვითი სახელები, საზღვრულს ბრუნვაში ეთანხმება მხოლოდ ბოლო წევრი (ათასი), ხოლო პირველი ნაწილი (**ორი**) უცვლელად (სახ. ბრუნვის ფორმით) წარმოდგება ყველა ბრუნვაში.

სახ.	სტუდენტ-ი	ორ-ი	ათას-ი
მოთხრ.	სტუდენტ-მა	ორ-ი	ათას-მა
მიც.	სტუდენტ-ს	ორ-ი	ათას-ს
ნათ.	სტუდენტ-ის	ორ-ი	ათას-ის
მოქმ.	სტუდენტ-ით	ორ-ი	ათას-ით
ვით.	სტუდენტ-ად	ორ-ი	ათას-ად
ნოდ.	(სტუდენტ-ო	ორ-ი	ათას-ო)

ანალოგიური ვითარება გვექნება (მაშასადამე, საზღვრულს ბრუნვაში შეეწყობა რიცხვითი სახელის მხოლოდ ბოლო კომპონენტი) მაშინაც, როცა **პოსტპოზიციურ** მსაზღვრელად წარმოდგენილია **სამი ათას ხუთასი** (სამკომპონენტიანი), **ხუთი ათას შვიდას თხუთმეტი** (ოთხკომპონენტიანი) ტიპის შედგენილი რიცხვითი სახელები.

სახ.	სტუდენტ-ი	სამ-ი	ათას	ხუთას-ი
მოთხრ.	სტუდენტ-მა	სამ-ი	ათას	ხუთას-მა
მიც.	სტუდენტ-ს	სამ-ი	ათას	ხუთას-ს
ნათ.	სტუდენტ-ის	სამ-ი	ათას	ხუთას-ის
მოქმ.	სტუდენტ-ით	სამ-ი	ათას	ხუთას-ით
ვით.	სტუდენტ-ად	სამ-ი	ათას	ხუთას-ად
წოდ.	(სტუდენტ-ო	სამ-ი	ათას	ხუთას-ო)

სახ.	სტუდენტ-ი	ხუთ-ი	ათას	შვიდას	თხუთმეტი-ი
მოთხრ.	სტუდენტ-მა	ხუთ-ი	ათას	შვიდას	თხუთმეტი-მა
მიც.	სტუდენტ-ს	ხუთ-ი	ათას	შვიდას	თხუთმეტი-ს
ნათ.	სტუდენტ-ის	ხუთ-ი	ათას	შვიდას	თხუთმეტი-ის
მოქმ.	სტუდენტ-ით	ხუთ-ი	ათას	შვიდას	თხუთმეტი-ით
ვით.	სტუდენტ-ად	ხუთ-ი	ათას	შვიდას	თხუთმეტი-ად
წოდ.	(სტუდენტ-ო	ხუთ-ი	ათას	შვიდას	თხუთმეტი-ო)

საზღვრულს შედგენილი რიცხვითი სახელის (რომელიც **პოსტპოზიციური** მსაზღვრელის ფუნქციას ასრულებს) მხოლოდ ბოლო კომპონენტი ეთანხმება ბრუნვაში იმ შემთხვევაშიც, თუ პირველი წევრი ფუძემოვნიანია (**სტუდენტი რვა ათასი...**).

სახ.	სტუდენტ-ი	რვა	ათას-ი
მოთხრ.	სტუდენტ-მა	რვა	ათას-მა
მიც.	სტუდენტ-ს	რვა	ათას-ს
ნათ.	სტუდენტ-ის	რვა	ათას-ის
მოქმ.	სტუდენტ-ით	რვა	ათას-ით
ვით.	სტუდენტ-ად	რვა	ათას-ად
წოდ.	(სტუდენტ-ო	რვა	ათას-ო)

თუ **პოსტპოზიციურ** მსაზღვრელად წარმოდგენილი შედგენილი რიცხვითი სახელის ბოლო კომპონენტი ფუძემოვნიანია (**სტუდენტი ორი ათას რვა...**), ბრუნვის ნიშნებს (ამ შემთხვევაშიც) დაირთავს ეს უკნასკნელი (**რვა...**) და, ჩვეულებრივ, შეიკვეცება ნათ. და მოქმ. ბრუნვებში. ანალოგიური ვითარება გვექნება მაშინაც, როცა შედგენილი რიცხვითი სახელი რიგობითია (**კაცი ორი ათას მეხუთე**).

სახ.	სტუდენტ-ი	ორ-ი	ათას	რვა	კაც-ი	ორ-ი	ათას	მეხუთე
მოთხრ.	სტუდენტ-მა	ორ-ი	ათას	რვა-მ	კაც-მა	ორ-ი	ათას	მეხუთე-მ
მიც.	სტუდენტ-ს	ორ-ი	ათას	რვა-ს	კაც-ს	ორ-ი	ათას	მეხუთე-ს
ნათ.	სტუდენტ-ის	ორ-ი	ათას	რვა-ის	კაც-ის	ორ-ი	ათას	მეხუთე-ის
მოქმ.	სტუდენტ-ით	ორ-ი	ათას	რვა-ით	კაც-ით	ორ-ი	ათას	მეხუთე-ით
ვით.	სტუდენტ-ად	ორ-ი	ათას	რვა-დ	კაც-ად	ორ-ი	ათას	მეხუთე-დ
წოდ.	(სტუდენტ-ო	ორ-ი	ათას	რვა-ო)	(კაც-ო	ორ-ი	ათას	მეხუთე-ვ)

**პოსტპოზიციური** მსაზღვრელის ფუნქციით დასტურდება აგრეთვე **ორი მილიონი, სამი მილიარდი ...** ტიპის შედგენილი რიცხვითი სახელები. ასეთ შემთხვევებში საზღვრულს ყველა ბრუნვაში ეთანხმება მსაზღვრელის ბოლო კომპონენტი (**მილიონი, მილიარდი...**), ხოლო პირველი ნაწილი (**ორი, სამი...**) ბრუნვის ნიშნებს სრულად დაირთავს სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში; მიცემითსა და ვითარებითში ფუძის სახით წარმოდგება, ნათესაობითსა და მოქმედებითში კი ჩამოეკვეცება ბრუნვისნიშნისეული თანხმონითი ელემენტები.

სახ.	კაც-ი	ორ-ი	მილიონ-ი	კაც-ი	სამ-ი	მილიარდ-ი
მოთხრ.	კაც-მა	ორ-მა	მილიონ-მა	კაც-მა	სამ-მა	მილიარდ-მა
მიც.	კაც-ს	ორ	მილიონ-ს	კაც-ს	სამ	მილიარდ-ს
ნათ.	კაც-ის	ორ-ი	მილიონ-ის	კაც-ის	სამ-ი	მილიარდ-ის
მოქმ.	კაც-ით	ორ-ი	მილიონ-ით	კაც-ით	სამ-ი	მილიარდ-ით
ვით.	კაც-ად	ორ	მილიონ-ად	კაც-ად	სამ	მილიარდ-ად
წოდ.	(კაც-ო	ორ-ო	მილიონ-ო)	(კაც-ო	სამ-ო	მილიარდ-ო)

თუ დასახელებული ტიპის შედგენილ რიცხვით სახელთა (რომლებიც **პოსტპოზიციური** მსაზღვრელის ფუნქციას ასრულებენ) პირველი წევრი ფუძეხმოვნია (**კაცი რვა მილიონი...**), საზღვრულს ბრუნვაში შეენწყობა მხოლოდ მეორე კომპონენტი.

სახ.	კაც-ი	რვა	მილიონ-ი
მოთხრ.	კაც-მა	რვა	მილიონ-მა
მიც.	კაც-ს	რვა	მილიონ-ს
ნათ.	კაც-ის	რვა	მილიონ-ის
მოქმ.	კაც-ით	რვა	მილიონ-ით
ვით.	კაც-ად	რვა	მილიონ-ად
წოდ.	(კაც-ო	რვა	მილიონ-ო)

როცა შედგენილი რიცხვითი სახელი (**პოსტპოზიციური** მსაზღვრელის ფუნქციით გამოყენებული) წარმოდგენილია ორზე მეტი კომპონენტით (**ხუთი მილიონ რვაასი, სამი მილიარდ ექვსასი ათას ოცდარვა...**), ბრუნვის ნიშნებს დაირთავს მხოლოდ ბოლო წევრი – ფუძეთანხმონიანიც და ფუძეხმოვნიაიც.

სახ.	კაც-ი	ხუთ-ი	მილიონ	რვაას-ი
მოთხრ.	კაც-მა	ხუთ-ი	მილიონ	რვაას-მა
მიც.	კაც-ს	ხუთ-ი	მილიონ	რვაას-ს
ნათ.	კაც-ის	ხუთ-ი	მილიონ	რვაას-ის
მოქმ.	კაც-ით	ხუთ-ი	მილიონ	რვაას-ით
ვით.	კაც-ად	ხუთ-ი	მილიონ	რვაას-ად
წოდ.	(კაც-ო	ხუთ-ი	მილიონ	რვაას-ო)

სახ.	კაც-ი	სამ-ი	მილიარდ	ექვსას-ი	ათას	ოცდარვა
მოთხრ.	კაც-მა	სამ-ი	მილიარდ	ექვსას-ი	ათას	ოცდარვა-მ
მიც.	კაც-ს	სამ-ი	მილიარდ	ექვსას-ი	ათას	ოცდარვა-ს
ნათ.	კაც-ის	სამ-ი	მილიარდ	ექვსას-ი	ათას	ოცდარვ-ის
მოქმ.	კაც-ით	სამ-ი	მილიარდ	ექვსას-ი	ათას	ოცდარვ-ით

ვით.	კაც-ად	სამ-ი	მილიარდ	ექვსას-ი	ათას	ოცდარვა-დ
წოდ.	(კაც-ო	სამ-ი	მილიარდ	ექვსას-ი	ათას	ოცდარვა-ვ)

**პოსტპოზიციური** მსაზღვრელის ფუნქციით გამოყენებული ფუძეგაორკეცებული რიცხვითი სახელები – ფუძეთანხმოვნიათნნი თუ ფუძეხმოვნიათნნი (**სამ-სამი, რვა-რვა...**) – ყველა ბრუნვაში დაირთავენ შესაბამის ნიშნებს.

სახ.	ბავშვ-ი	სამ-სამ-ი	ბავშვ-ი	რვა-რვა
მოთხრ.	ბავშვ-მა	სამ-სამ-მა	ბავშვ-მა	რვა-რვა-მ
მიც.	ბავშვ-ს	სამ-სამ-ს	ბავშვ-ს	რვა-რვა-ს
ნათ.	ბავშვ-ის	სამ-სამ-ის	ბავშვ-ის	რვა-რვ-ის
მოქმ.	ბავშვ-ით	სამ-სამ-ით	ბავშვ-ით	რვა-რვ-ით
ვით.	ბავშვ-ად	სამ-სამ-ად	ბავშვ-ად	რვა-რვა-დ
წოდ.	(ბავშვ-ო	სამ-სამ-ო)	(ბავშვ-ო	რვა-რვა-ო)

თუ **პოსტპოზიციურ** მსაზღვრელად წარმოდგენილია **შვიდი-ათი** ტიპის რიცხვითი სახელი (მაშასადამე, როცა პირველი კომპონენტი სახ. ბრუნვის ფორმით დასტურდება), საზღვრულს ყველა ბრუნვაში ეთანხმება კომპოზიტის მეორე ნაწილი (**ათი**), ხოლო პირველი კომპონენტი (**შვიდი**) ბრუნვის ნიშნებს სრულად დაირთავს სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში; მიცემითსა და ვითარებითში ფუძის სახით წარმოდგება, ნათესაობითსა და მოქმედებითში კი შეინარჩუნებს ბრუნვისნიშნისეულ **ი** ხმოვნით ელემენტს.

სახ.	კაც-ი	შვიდ-ი-ათ-ი
მოთხრ.	კაც-მა	შვიდ-მა-ათ-მა
მიც.	კაც-ს	შვიდ-ათ-ს
ნათ.	კაც-ის	შვიდ-ი-ათ-ის
მოქმ.	კაც-ით	შვიდ-ი-ათ-ით
ვით.	კაც-ად	შვიდ-ათ-ად
წოდ.	(კაც-ო	შვიდ-ო-ათ-ო)

როცა **პოსტპოზიციურ** მსაზღვრელად გვაქვს **შვიდი-რვა** ტიპის რიცხვითი სახელი (მაშასადამე, პირველი წევრი სახ. ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი), კომპოზიტის მეორე ნაწილი (**რვა**) ყველა ბრუნვაში დაირთავს ნიშნებს, პირველი კომპონენტი (**შვიდი**) კი სრულად ეთანხმება საზღვრულს სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში; ნათესაობითსა და მოქმედებითში ჩამოეკვეცება ბრუნვისნიშნისეული თანხმოვნითი ნაწილი, ხოლო მიცემითსა და ვითარებითში ფუძის სახით დაუკავშირდება საზღვრულს.

სახ.	სტუდენტ-ი	შვიდ-ი-რვა
მოთხრ.	სტუდენტ-მა	შვიდ-მა-რვა-მ
მიც.	სტუდენტ-ს	შვიდ-რვა-ს
ნათ.	სტუდენტ-ის	შვიდ-ი-რვ-ის
მოქმ.	სტუდენტ-ით	შვიდ-ი-რვ-ით
ვით.	სტუდენტ-ად	შვიდ-რვა-დ
წოდ.	(სტუდენტ-ო	შვიდ-ო-რვა-ო)

**რვა-ცხრა** ტიპის **პოსტპოზიციური** მსაზღვრელის შემთხვევაში ბრუნვის ნიშნებს დაირთავს კომპოზიტის მხოლოდ მეორე ნაწილი (**ცხრა**).

სახ.	მოსწავლე	რვა-ცხრა
მოთხრ.	მოსწავლე-მ	რვა-ცხრა-მ
მიც.	მოსწავლე-ს	რვა-ცხრა-ს
ნათ.	მოსწავლ-ის	რვა-ცხრ-ის
მოქმ.	მოსწავლ-ით	რვა-ცხრ-ით
ვით.	მოსწავლე-დ	რვა-ცხრა-დ
წოდ.	(მოსწავლე-ვ	რვა-ცხრა-ო)

ანალოგიური ვითარება გვექნება მაშინაც, როცა კომპოზიტის პირველი წევრი ფუძეხმოვნია ანია, ხოლო მეორე – ფუძეთანხმოვნია (**მეგობარი ცხრა-ათი**).

სახ.	მეგობარ-ი	ცხრა-ათ-ი
მოთხრ.	მეგობარ-მა	ცხრა-ათ-მა
მიც.	მეგობარ-ს	ცხრა-ათ-ს
ნათ.	მეგობრ-ის	ცხრა-ათ-ის
მოქმ.	მეგობრ-ით	ცხრა-ათ-ით
ვით.	მეგობრ-ად	ცხრა-ათ-ად
წოდ.	(მეგობარ-ო	ცხრა-ათ-ო)

**პოსტპოზიციური** მსაზღვრელის ფუნქციით გამოყენებული **მეშვიდე-მერვე (VII-VIII)** ტიპის რიცხვითი სახელები ყველა ბრუნვაში დაირთავენ შესაბამის ნიშნებს (იგულისხმება კომპოზიტის მეორე ნაწილი), ხოლო საზღვრულის რიცხვი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა იგულისხმება კომპოზიტი მსაზღვრელის ნაწილებად – **მეშვიდე** და **მერვე** თუ **მეშვიდე** ან **მერვე**. პირველ შემთხვევაში (**მეშვიდე** და **მერვე**) საზღვრული მრავლობით რიცხვში დაისმის, მეორეში კი (**მეშვიდე** ან **მერვე**) – მხოლოდბითში.

სახ.	საუკუნე-ებ-ი	მეშვიდე-მერვე	/ VII-VIII
მოთხრ.	საუკუნე-ებ-მა	მეშვიდე-მერვე-მ	/ VII-VIII-მ
მიც.	საუკუნე-ებ-ს	მეშვიდე-მერვე-ს	/ VII-VIII-ს
ნათ.	საუკუნე-ებ-ის	მეშვიდე-მერვე-ის	/ VII-VIII-ის
მოქმ.	საუკუნე-ებ-ით	მეშვიდე-მერვე-ით	/ VII-VIII-ით
ვით.	საუკუნე-ებ-ად	მეშვიდე-მერვე-დ	/ VII-VIII-დ
წოდ.	(საუკუნე-ებ-ო	მეშვიდე-მერვე-ვ	/ VII-VIII-ვ)

სახ.	საუკუნე	მეშვიდე-მერვე	/ VII-VIII
მოთხრ.	საუკუნე-მ	მეშვიდე-მერვე-მ	/ VII-VIII-მ
მიც.	საუკუნე-ს	მეშვიდე-მერვე-ს	/ VII-VIII-ს
ნათ.	საუკუნ-ის	მეშვიდე-მერვე-ის	/ VII-VIII-ის
მოქმ.	საუკუნ-ით	მეშვიდე-მერვე-ით	/ VII-VIII-ით
ვით.	საუკუნე-დ	მეშვიდე-მერვე-დ	/ VII-VIII-დ
წოდ.	(საუკუნე-ვ	მეშვიდე-მერვე-ვ	/ VII-VIII-ვ)



**ინვერსიულ** მსაზღვრელად დასტურდება აგრეთვე **-ოდე** და **-ვე-** ნაწილაკიანი რიცხვითი სახელები (ფუძეუკვეცელნი), რომლებიც ყველა ბრუნვაში ეთანხმებიან თავიანთ საზღვრულებს.

სახ.	სიტყვა	ორიოდე	მეგობარ-ი	სამივე
მოთხრ.	სიტყვა-მ	ორიოდე-მ	მეგობარ-მა	სამივე-მ
მიც.	სიტყვა-ს	ორიოდე-ს	მეგობარ-ს	სამივე-ს
ნათ.	სიტყვ-ის	ორიოდე-ს(ი)	მეგობრ-ის	სამივე-ს(ი)
მოქმ.	სიტყვ-ით	ორიოდე-თი	მეგობრ-ით	სამივე-თი
ვით.	სიტყვა-დ	ორიოდე-დ	მეგობრ-ად	სამივე-დ
ნოდ.	(სიტყვა-ვ	ორიოდე-ვ)	(მეგობარ-ო	სამივე-ვ)

ნარიან მრავლობითში დასმულ საზღვრულს **პოსტპოზიციური** მსაზღვრელი (რაოდენობითი თუ რიგობითი რიცხვითი სახელით წარმოდგენილი) რიცხვშიც შეეწყობა (**ძმანი სამნი, ყვავილნი მრავალნი, სიტყვანი პირველნი...**): „**გუშაგნი ბევრნი** თვითოსა მცველად / გვყვან ნების წარმტაცველად“ (ალ. ჭავჭავაძე).

### ლიტერატურა

1. არაბული ავთ., ქართული მეტყველების კულტურა, თბილისი, 2004.
2. აფრიდონიძე შ., ჩვენი ენა ქართული, თბილისი, 2009.
3. დავითიანი ა., ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1973.
4. თანამედროვე ქართული ენა, მორფოლოგია, გ. გოგოლაშვილის საერთო რედაქციით, თბილისი, 2011.
5. კვაჭაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 2010.
6. კვაჭაძე ლ., ქართული ენა, თბილისი, 2018.
7. ლეჟავა ლ., მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან მრავლობით რიცხვში, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბილისი, 1970.
8. შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, მორფოლოგია, თბილისი, 1973.
9. ჩიქობავა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება, თბილისი, 1998.
10. ჯანაშია ს., მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან ბრუნვაში (წითელი დროშის თუ წითელ დროშის?), თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბილისი, 1970.

ნორმათა პირველი ვერსიები შეიმუშავეს ს. ჯანაშიამ (მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან ბრუნვაში) და ლ. ლეჟავამ (მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან მრავლობით რიცხვში), გამოქვეყნებულია 1970 წელს „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში“.

**ნორმის პროექტის ახალი რედაქცია მოამზადა თამარ ვაშაკიძემ.**

პროექტი განხილულია თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოზე (2022 წლის 6 მაისს) და მიღებულია სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის 2022 წლის 27 დეკემბრის სხდომაზე.

**მსაზღვრელი ნაცვალსახელის შეთანხმება საზღვრულთან ბრუნვასა და რიცხვში**

ნაცვალსახელით გადმოცემული ატრიბუტული მსაზღვრელის საზღვრულთან შეთანხმებისას უნდა გათვალისწინდეს შემდეგი წესები:

1. საზღვრული ნეერი მხოლოდში დაისმის, თუ მსაზღვრელად წარმოდგენილია შემდეგი ნაცვალსახელები:

ჩვენებითი – **ამდენი** (ამდენი ბავშვი), **მაგდენი** (მაგდენი წიგნი), **იმდენი** (იმდენი ყვავილი);  
კითხვითი – **რამდენი** (რამდენი სტუდენტი);

განსაზღვრებითი – **ყველა** (ყველა ბავშვი), **ყოველი** (ყოველი კაცი), **თითოეული** (თითოეული მოსწავლე), **თითო** (თითო ღერი);

განუსაზღვრელობითი – **ზოგი** (ზოგი ბავშვი), **ზოგიერთი** (ზოგიერთი კაცი), **რომელიმე** (რომელიმე მოსწავლე), **რამდენიმე** (რამდენიმე სტუდენტი);

უარყოფითი – **არცერთი** (არცერთი ბავშვი), **ვერცერთი** (ვერცერთი მოსწავლე)...

დასახელებული ტიპის ნაცვალსახელები ისე შეენწყობიან საზღვრულს ბრუნვაში, როგორც შესაბამისი ფუძის მქონე ზედსართავები.

სახ.	<b>ამდენ-ი</b>	<b>ბავშვ-ი</b>	<b>რამდენიმე</b>	<b>სტუდენტ-ი</b>
მოთხრ.	<b>ამდენ-მა</b>	<b>ბავშვ-მა</b>	<b>რამდენიმე</b>	<b>სტუდენტ-მა</b>
მიც.	<b>ამდენ</b>	<b>ბავშვ-ს</b>	<b>რამდენიმე</b>	<b>სტუდენტ-ს</b>
ნათ.	<b>ამდენ-ი</b>	<b>ბავშვ-ის</b>	<b>რამდენიმე</b>	<b>სტუდენტ-ის</b>
მოქმ.	<b>ამდენ-ი</b>	<b>ბავშვ-ით</b>	<b>რამდენიმე</b>	<b>სტუდენტ-ით</b>
ვით.	<b>ამდენ</b>	<b>ბავშვ-ად</b>	<b>რამდენიმე</b>	<b>სტუდენტ-ად</b>
წოდ.	–			–

1.1. ჩვენებითი და კითხვითი ნაცვალსახელები – **ასეთი, ეგეთი, ისეთი, ამნაირი, იმნაირი..., ამისთანა, მაგისთანა, იმისთანა...; როგორი, რანაირი, სადაური, როდინდელი...** ისე ეთანხმებიან საზღვრულს ბრუნვაში, როგორც შესაბამისი ფუძის მქონე ზედსართავები.

სახ.	<b>ასეთ-ი</b>	<b>ბავშვ-ი</b>	<b>ამისთანა</b>	<b>წიგნ-ი</b>
მოთხრ.	<b>ასეთ-მა</b>	<b>ბავშვ-მა</b>	<b>ამისთანა</b>	<b>წიგნ-მა</b>
მიც.	<b>ასეთ</b>	<b>ბავშვ-ს</b>	<b>ამისთანა</b>	<b>წიგნ-ს</b>
ნათ.	<b>ასეთ-ი</b>	<b>ბავშვ-ის</b>	<b>ამისთანა</b>	<b>წიგნ-ის</b>
მოქმ.	<b>ასეთ-ი</b>	<b>ბავშვ-ით</b>	<b>ამისთანა</b>	<b>წიგნ-ით</b>
ვით.	<b>ასეთ</b>	<b>ბავშვ-ად</b>	<b>ამისთანა</b>	<b>წიგნ-ად</b>
წოდ.	–			–

აღნიშნული ტიპის ნაცვალსახელებთან საზღვრული, ჩვეულებრივ, მრავლობით რიცხვშიც დაისმის.

სახ.	ასეთ-ი	ბავშვ-ებ-ი	ამისთანა	წიგნ-ებ-ი
მოთხრ.	ასეთ-მა	ბავშვ-ებ-მა	ამისთანა	წიგნ-ებ-მა
მიც.	ასეთ	ბავშვ-ებ-ს	ამისთანა	წიგნ-ებ-ს
ნათ.	ასეთ-ი	ბავშვ-ებ-ის	ამისთანა	წიგნ-ებ-ის
მოქმ.	ასეთ-ი	ბავშვ-ებ-ით	ამისთანა	წიგნ-ებ-ით
ვით.	ასეთ	ბავშვ-ებ-ად	ამისთანა	წიგნ-ებ-ად
წოდ.	–			–

1.2. პრეპოზიციურ მსაზღვრელად წარმოდგენილი ვილაც(ა), რალაც(ა), რომელილაც(ა) განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები ფორმაუცვლელად შეენწყობიან საზღვრულს ყველა ბრუნვაში.

სახ.	ვილაც(ა)	კაც-ი	რალაც(ა)	ამბავ-ი
მოთხრ.	ვილაც(ა)	კაც-მა	რალაც(ა)	ამბავ-მა
მიც.	ვილაც(ა)	კაც-ს	რალაც(ა)	ამბავ-ს
ნათ.	ვილაც(ა)	კაც-ის	რალაც(ა)	ამბ-ის
მოქმ.	ვილაც(ა)	კაც-ით	რალაც(ა)	ამბ-ით
ვით.	ვილაც(ა)	კაც-ად	რალაც(ა)	ამბ-ად
წოდ.	–			–

1.3. ვილაც(ა) და რალაც(ა) განუსაზღვრელობით ნაცვალსახელებთან (რომლებიც მსაზღვრელის ფუნქციას ასრულებენ) დასაშვებია საზღვრულის მრავლობითი რიცხვის ფორმით გამოყენებაც.

სახ.	ვილაც(ა)	კაც-ებ-ი	რალაც(ა)	ამბ-ებ-ი
მოთხრ.	ვილაც(ა)	კაც-ებ-მა	რალაც(ა)	ამბ-ებ-მა
მიც.	ვილაც(ა)	კაც-ებ-ს	რალაც(ა)	ამბ-ებ-ს
ნათ.	ვილაც(ა)	კაც-ებ-ის	რალაც(ა)	ამბ-ებ-ის
მოქმ.	ვილაც(ა)	კაც-ებ-ით	რალაც(ა)	ამბ-ებ-ით
ვით.	ვილაც(ა)	კაც-ებ-ად	რალაც(ა)	ამბ-ებ-ად
წოდ.	–			–

1.4. ნაცვალსახელთან რომელილაც(ა) საზღვრული ნაკლებად დასტურდება მრავლობით რიცხვში (რომელილაც(ა) წიგნში, რომელილაც(ა) ლექსში...).

1.5. განსაზღვრებით ნაცვალსახელთან სხვა (რომელიც მსაზღვრელის ფუნქციას ასრულებს) საზღვრული მრავლობითი რიცხვის ფორმითაც წარმოდგება („სხვა საკითხებზე გადავიდეთ“; „გიორგი სხვა თემებითაც დაინტერესდა“; „სხვა მოსაზრებებზეც გამოითქვა“...).

1.6. სხვადასხვა ნაცვალსახელთან (რომელიც მსაზღვრელის ფუნქციით გამოიყენება) საზღვრული მხოლოდ რიცხვში დაისმის.

სახ.	სხვადასხვა	ქვეყანა
მოთხრ.	სხვადასხვა	ქვეყანა-მ

მიც.	სხვადასხვა	ქვეყანა-ს
ნათ.	სხვადასხვა	ქვეყნი-ს
მოქმ.	სხვადასხვა	ქვეყნ-ით
ვით.	სხვადასხვა	ქვეყნა-დ
წოდ.	–	–

1.7. **ეს, ეგ** და **ის** ნაცვალსახელები, რომლებიც მსაზღვრელის ფუნქციას ასრულებენ, წინ უსწრებენ საზღვრულს (თანამედროვე ქართულის მონაცემთა მიხედვით) და მხოლოდითი რიცხვის ფორმით შეენწყობიან მას მაშინაც, როცა ეს უკანასკნელი (საზღვრული) მრავლობითშია დასმული.

სახ.	<b>ეს</b>	<b>ბავშვ-ი</b>	<b>ეს</b>	<b>ბავშვ-ებ-ი</b>
მოთხრ.	<b>ამ</b>	<b>ბავშვ-მა</b>	<b>ამ</b>	<b>ბავშვ-ებ-მა</b>
მიც.	<b>ამ</b>	<b>ბავშვ-ს</b>	<b>ამ</b>	<b>ბავშვ-ებ-ს</b>
ნათ.	<b>ამ</b>	<b>ბავშვ-ის</b>	<b>ამ</b>	<b>ბავშვ-ებ-ის</b>
მოქმ.	<b>ამ</b>	<b>ბავშვ-ით</b>	<b>ამ</b>	<b>ბავშვ-ებ-ით</b>
ვით.	<b>ამ</b>	<b>ბავშვ-ად</b>	<b>ამ</b>	<b>ბავშვ-ებ-ად</b>
წოდ.	–	–	–	–

1.8. თუ სახელობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილ საზღვრულს, რომლის მსაზღვრელიც **ეს, ეგ** ან **ის** ნაცვალსახელია, **-ვით** თანდებული დაერთვის, მსაზღვრელად გამოიყენება დასახელებულ ნაცვალსახელთა მონაცვლე ფუძე (და არა სახელობითისა): **ამ** ბავშვივით, **მაგ** ბავშვივით, **იმ** ბავშვივით.

1.9. **ეს** მსაზღვრელად დასტურდება აგრეთვე ლექსიკურ ერთეულებთან **ყველაფერი** და **ყოველივე**. ამ შემთხვევაშიც **ეს** თავის საზღვრულს ეთანხმება ისე, როგორც არსებითი სახელით წარმოდგენილს: **ეს ყველაფერი**, შდრ., **ეს სოფელი**; **ეს ყოველივე**, შდრ., **ეს წყარო** (**ყოველივე** უკვეცე-ლია).

სახ.	<b>ეს</b>	<b>ყველაფერ-ი</b>	<b>ეს</b>	<b>ყოველივე</b>
მოთხრ.	<b>ამ</b>	<b>ყველაფერ-მა</b>	<b>ამ</b>	<b>ყოველივე-მ</b>
მიც.	<b>ამ</b>	<b>ყველაფერ-ს</b>	<b>ამ</b>	<b>ყოველივე-ს</b>
ნათ.	<b>ამ</b>	<b>ყველაფერ-ის</b>	<b>ამ</b>	<b>ყოველივე-ს(ი)</b>
მოქმ.	<b>ამ</b>	<b>ყველაფერ-ით</b>	<b>ამ</b>	<b>ყოველივე-თი</b>
ვით.	<b>ამ</b>	<b>ყველაფერ-ად</b>	<b>ამ</b>	<b>ყოველივე-დ</b>
წოდ.	–	–	–	–

1.10. მსაზღვრელი ნაცვალსახელი **იგივე** ამ ფორმით (**იგივე**) მხოლოდ სახელობითში გვექნება. ყველა სხვა ბრუნვაში მას ჩაენაცვლება **იმავე**. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში სავსებით ბუნებრივი ჩანს მასთან (ნაცვალსახელთან **იგივე**) საზღვრულის მრავლობითი რიცხვის ფორმით გამოყენება.

სახ.	<b>იგივე</b>	<b>საკითხ-ი</b>	<b>იგივე</b>	<b>საკითხ-ებ-ი</b>
მოთხრ.	<b>იმავე</b>	<b>საკითხ-მა</b>	<b>იმავე</b>	<b>საკითხ-ებ-მა</b>
მიც.	<b>იმავე</b>	<b>საკითხ-ს</b>	<b>იმავე</b>	<b>საკითხ-ებ-ს</b>
ნათ.	<b>იმავე</b>	<b>საკითხ-ის</b>	<b>იმავე</b>	<b>საკითხ-ებ-ის</b>
მოქმ.	<b>იმავე</b>	<b>საკითხ-ით</b>	<b>იმავე</b>	<b>საკითხ-ებ-ით</b>

ვით.	იმავე	საკითხ-ად	იმავე	საკითხ-ებ-ად
ნოდ.	–		–	

1.11. ნაცვალსახელი იგივე დასტურდება აგრეთვე გამოთქმაში **ერთი და იგივე**. მსაზღვრელად გამოყენებისას (მაგ., **ერთი და იგივე** საკითხი) ნაცვალსახელური შეისტყვევების პირველი კომპონენტი **ერთი** საზღვრულს სრულად ეთანხმება მხოლოდ სახ. და მოთხრ. ბრუნვებში (**ერთი და იგივე საკითხი, ერთმა და იმავე საკითხმა**), მიცემითსა და ვითარებითში ორ-ორი ვარიანტი გვექნება – ვრცელი და მოკლე, ე. ი. საზღვრულთან შეთანხმებული, ბრუნვისნიშნისანი (ემფატიკურ ა-სთან ერთად) და გაუფორმებელი – ფუძის სახით წარმოდგენილი (**ერთსა და იმავე საკითხს//ერთ და იმავე საკითხს; ერთსა და იმავე საკითხად//ერთ და იმავე საკითხად**), ნათესაობითსა და მოქმედებითში კი (თანამედროვე ქართულის მონაცემთა გათვალისწინებით) **ერთი** ისე ეთანხმება თავის საზღვრულს (მაგ., არსებით სახელს – **საკითხი**), როგორც შესაბამისი ფუძის მქონე (ე. ი. ფუძეთანხმონიანი) მსაზღვრელი (ზედსართავი სახელი). მაშასადამე, ნათესაობითსა და მოქმედებითში მას ჩამოეკვეცება ბრუნვისნიშნისეული თანხმონითი ელემენტი (**ერთი და იმავე საკითხის, ერთი და იმავე საკითხით**). რაც შეეხება მეორე კომპონენტს – **იგივე** (სახ. **იგივე**, მოთხრ., მიც., ნათ., მოქმ., ვით. **იმავე**), ის თავის საზღვრულს შეეწყობა ისე, როგორც ფუძეთანხმონიანი ზედსართავი სახელი. ანალოგიური ვითარება გვექნება საზღვრულის მრავლობითი რიცხვის ფორმით გამოყენების შემთხვევაშიც.

სახ.	<b>ერთ-ი</b>	<b>და</b>	<b>იგივე</b>	<b>საკითხ-ებ-ი</b>
მოთხრ.	<b>ერთ-მა</b>	<b>და</b>	<b>იმავე</b>	<b>საკითხ-ებ-მა</b>
მიც.	<b>ერთ(-ს-ა)</b>	<b>და</b>	<b>იმავე</b>	<b>საკითხ-ებ-ს</b>
ნათ.	<b>ერთ-ი</b>	<b>და</b>	<b>იმავე</b>	<b>საკითხ-ებ-ის</b>
მოქმ.	<b>ერთ-ი</b>	<b>და</b>	<b>იმავე</b>	<b>საკითხ-ებ-ით</b>
ვით.	<b>ერთ(-ს-ა)</b>	<b>და</b>	<b>იმავე</b>	<b>საკითხ-ებ-ად</b>
ნოდ.	–			

1.12. მსაზღვრელად წარმოდგენილი პირველი და მეორე პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელები ფუძეგაუფორმებელი სახითაც უნდა იქნეს დაშვებული მართებულ ვარიანტად ვითარებით ბრუნვაში (**ჩემს მეგობრად//ჩემ მეგობრად, ჩვენს მეგობრად//ჩვენ მეგობრად, შენს მეგობრად//შენ მეგობრად, თქვენს მეგობრად//თქვენ მეგობრად**), ხოლო მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ფორმით გამოხატული – მიცემითშიც და ვითარებითშიც (**მათს მეგობარს // მათ მეგობარს, მათს მეგობრად // მათ მეგობრად...**). დასახელებული ტიპის ნაცვალსახელებთან საზღვრული წევრი, ჩვეულებრივ, მრავლობითშიც დაისმის.

სახ.	<b>ჩემ-ი</b>	<b>მეგობრ-ებ-ი</b>	<b>მათ-ი</b>	<b>მეგობრ-ებ-ი</b>
მოთხრ.	<b>ჩემ-მა</b>	<b>მეგობრ-ებ-მა</b>	<b>მათ-მა</b>	<b>მეგობრ-ებ-მა</b>
მიც.	<b>ჩემ-ს</b>	<b>მეგობრ-ებ-ს</b>	<b>მათ-ს/მათ</b>	<b>მეგობრ-ებ-ს</b>
ნათ.	<b>ჩემ-ი</b>	<b>მეგობრ-ებ-ის</b>	<b>მათ-ი</b>	<b>მეგობრ-ებ-ის</b>
მოქმ.	<b>ჩემ-ი</b>	<b>მეგობრ-ებ-ით</b>	<b>მათ-ი</b>	<b>მეგობრ-ებ-ით</b>
ვით.	<b>ჩემ-ს/ჩემ</b>	<b>მეგობრ-ებ-ად</b>	<b>მათ-ს/მათ</b>	<b>მეგობრ-ებ-ად</b>
ნოდ.	<b>ჩემ-ო</b>	<b>მეგობრ-ებ-ო</b>	–	

1.13. კუთვნილებითი და კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელები (**თავისი, მაგისი, მისი, იმისი, ამისი, სხვისი; ვისი, რისი**), რომლებიც მსაზღვრელის ფუნქციას ასრულებენ, მიც. და ვით. ბრუნვებში ფუძის სახით წარმოდგებიან, მაშასადამე, არ დაირთავენ **ს** სუფიქსს (აღსანიშნავია,

რომ ყველა დასახელებული ნაცვალსახელის ფუძე **ს**-ზე ბოლოვდება): **თავის** მეგობარს/მეგობრებს, **მაგის** კურსელს/კურსელებს, **მის** გადანყვეტილებას/გადანყვეტილებებს, **იმის** მეზობელს/მეზობლებს, **ამის** თანაკლასელს/თანაკლასელებს, **სხვის** შვილს/შვილებს; **ვის** თანამშრომელს/თანამშრომლებს, **რის** გასალებს/გასაღებებს...; **თავის** მეზობლად/ მეზობლებად, **სხვის** შვილად/ შვილებად, **ვის** მეგობრად/მეგობრებად...

1.14. მსაზღვრელად გამოყენებული **რა,რა** და **რა** კითხვითი ნაცვალსახელები ისე ეთანხმებიან თავიანთ საზღვრულებს ბრუნვაში, როგორც ფუძეხმოვნიანი ზედსართავები.

სახ.	<b>რა გზა</b>	<b>რა</b> და <b>რა</b> საკითხ-ი
მოთხრ.	<b>რა გზა-მ</b>	<b>რა</b> და <b>რა</b> საკითხ-მა
მიც.	<b>რა გზა-ს</b>	<b>რა</b> და <b>რა</b> საკითხ-ს
ნათ.	<b>რა გზ-ის</b>	<b>რა</b> და <b>რა</b> საკითხ-ის
მოქმ.	<b>რა გზ-ით</b>	<b>რა</b> და <b>რა</b> საკითხ-ით
ვით.	<b>რა გზ-ად</b>	<b>რა</b> და <b>რა</b> საკითხ-ად
ნოდ.	–	–

1.15. **რა** ნაცვალსახელთან, რომელიც მსაზღვრელის ფუნქციას ასრულებს, სავსებით ბუნებრივია საზღვრულის მრავლობითი რიცხვის ფორმით გამოყენება, მაგ., საკითხები განიხილეს. – **რა საკითხები?**

1.16. მსაზღვრელ **რა** და **რა** რთულ ნაცვალსახელთან საზღვრული მხოლობითი რიცხვის ფორმით წარმოდგება (**რა** და **რა** საკითხი).

1.17. თანამედროვე ქართულში განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი **ვინმე** მსაზღვრელადაც გამოიყენება („**ვინმე** მეგობარი არ გყავს?“ ან კიდევ: „**ვინმე** მეზობელს დაუძახე!“...).

1.18. მსაზღვრელის ფუნქციით წარმოდგება აგრეთვე **რამე** და **რაიმე** განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები (**რამე საკითხი, რაიმე მოვლენა...**), რომლებიც თავიანთ საზღვრულებს ისე შეეწყობიან, როგორც ფუძეხმოვნიანი ზედსართავები.

სახ.	<b>რამე/რაიმე</b>	<b>საკითხ-ი</b>
მოთხრ.	<b>რამე/რაიმე</b>	<b>საკითხ-მა</b>
მიც.	<b>რამე/რაიმე</b>	<b>საკითხ-ს</b>
ნათ.	<b>რამე/რაიმე</b>	<b>საკითხ-ის</b>
მოქმ.	<b>რამე/რაიმე</b>	<b>საკითხ-ით</b>
ვით.	<b>რამე/რაიმე</b>	<b>საკითხ-ად</b>
ნოდ.	–	–

1.19. ქართულში მსაზღვრელის ფუნქციით დასტურდება აგრეთვე **თვით, თვითონ** და **თავად** განსაზღვრებითი ნაცვალსახელები:

„**თვით უკვდავება** მშვენიერსა სულში მდგომარებს“ (ნ. ბარათაშვილი);

„**თვით უკვდავება**ც არ არსებობს უსიყვარულოდ“ (გალაკტიონი);

„ – რა უნდა უყო! / **თვითონ იესო!** – / ხალხი იძახის: / ჭკუით იცნესო!“ (მუხრანი);

**თვითონ მეფენიც** უძღვევლნი, რომელთ უმაღლეს, / არც ვინლა არის და წინაშე არც ვინ აღუდგეს“... (ნ. ბარათაშვილი).

დასახელებული ნაცვალსახელები ფორმაუცვლელნი არიან.

1.20. თანიან მრავლობითში დასამულ საზღვრულს კუთვნილებითი ნაცვალსახელები რიცხვშიც ეთანხმებიან (პოეზიის ენაში): „ნულა ვიხილავ **ჩემთა მშობელთა** და ჩემსა სატრფოს ტკბილმ-

ოუბარსა“ (ნ. ბარათაშვილი)...

2. ნაცვალსახელით გამოხატული **პოსტპოზიციური** მსაზღვრელი (ფუძეთანხმოვნისანი თუ ფუძეხმოვნისანი) ყველა ბრუნვაში ეთანხმება თავის საზღვრულს.

სახ.	<b>მეგობარ-ი</b>	<b>ასეთ-ი</b>	<b>კაც-ი</b>	<b>ვილაცა</b>
მოთხრ.	<b>მეგობარ-მა</b>	<b>ასეთ-მა</b>	<b>კაც-მა</b>	<b>ვილაცა-მ</b>
მიც.	<b>მეგობარ-ს</b>	<b>ასეთ-ს</b>	<b>კაც-ს</b>	<b>ვილაცა-ს</b>
ნათ.	<b>მეგობარ-ის</b>	<b>ასეთ-ის</b>	<b>კაც-ის</b>	<b>ვილაც-ის</b>
მოქმ.	<b>მეგობარ-ით</b>	<b>ასეთ-ით</b>	<b>კაც-ით</b>	<b>ვილაც-ით</b>
ვით.	<b>მეგობარ-ად</b>	<b>ასეთ-ად</b>	<b>კაც-ად</b>	<b>ვილაცა-დ</b>
წოდ.	–		–	

2.1. საზღვრული წევრი მხოლოდობით დაისმის, თუ პოსტპოზიციურ მსაზღვრელად წარმოდგენილია შემდეგი ნაცვალსახელები: ჩვენებითი – **ამდენი** (ბავშვი *ამდენი*), **მაგდენი** (ნიგნი *მაგდენი*), **იმდენი** (ყვავილი *იმდენი*); კითხვითი – **რამდენი** (სტუდენტი *რამდენი*); განსაზღვრებითი – **ყველა** (ბავშვი *ყველა*), **ყოველი** (კაცი *ყოველი*), **თითოეული** (მოსწავლე *თითოეული*), **თითო** (ლერი *თითო*); განუსაზღვრელობითი – **ზოგი** (ბავშვი *ზოგი*), **ზოგიერთი** (კაცი *ზოგიერთი*), **რომელიმე** (მოსწავლე *რომელიმე*), **რამდენიმე** (სტუდენტი *რამდენიმე*); უარყოფითი – **არცერთი** (ბავშვი *არცერთი*), **ვერცერთი** (მოსწავლე *ვერცერთი*)...

სახ.	<b>ბავშვ-ი</b>	<b>ამდენ-ი</b>	<b>სტუდენტ-ი</b>	<b>რამდენიმე</b>
მოთხრ.	<b>ბავშვ-მა</b>	<b>ამდენ-მა</b>	<b>სტუდენტ-მა</b>	<b>რამდენიმე-მ</b>
მიც.	<b>ბავშვ-ს</b>	<b>ამდენ-ს</b>	<b>სტუდენტ-ს</b>	<b>რამდენიმე-ს</b>
ნათ.	<b>ბავშვ-ის</b>	<b>ამდენ-ის</b>	<b>სტუდენტ-ის</b>	<b>რამდენიმე-ს(ი)</b>
მოქმ.	<b>ბავშვ-ით</b>	<b>ამდენ-ით</b>	<b>სტუდენტ-ით</b>	<b>რამდენიმე-თი</b>
ვით.	<b>ბავშვ-ად</b>	<b>ამდენ-ად</b>	<b>სტუდენტ-ად</b>	<b>რამდენიმე-დ</b>
წოდ.	–		–	

2.2. შეიკუმშება ან შეიკვეცება ნაცვალსახელით გამოხატული **პოსტპოზიციური** მსაზღვრელის ფუძე, თუ ის (ფუძე) ზოგადად კუმშვადი ან კვეცადია.

სახ.	<b>მოსწავლე</b>	<b>რომელ-ი</b>	<b>ნიგნ-ი</b>	<b>რომელილაცა</b>
მოთხრ.	<b>მოსწავლე-მ</b>	<b>რომელ-მა</b>	<b>ნიგნ-მა</b>	<b>რომელილაცა-მ</b>
მიც.	<b>მოსწავლე-ს</b>	<b>რომელ-ს</b>	<b>ნიგნ-ს</b>	<b>რომელილაცა-ს</b>
ნათ.	<b>მოსწავლ-ის</b>	<b>რომელ-ის</b>	<b>ნიგნ-ის</b>	<b>რომელილაც-ის</b>
მოქმ.	<b>მოსწავლ-ით</b>	<b>რომელ-ით</b>	<b>ნიგნ-ით</b>	<b>რომელილაც-ით</b>
ვით.	<b>მოსწავლე-დ</b>	<b>რომელ-ად</b>	<b>ნიგნ-ად</b>	<b>რომელილაცა-დ</b>
წოდ.	–		–	

2.3. ინვერსიულ მსაზღვრელად წარმოდგენილი განსაზღვრებითი ნაცვალსახელი **ყოველი** არ შეიკუმშება **ნათ.** და **მოქმ.** ბრუნვებში. რაც შეეხება ვითარებითს, ეს ბრუნვა ნაკლებად უდასტურდება დასახელებულ ნაცვალსახელს პოსტპოზიციური მსაზღვრელის ფუნქციით. შეიკუმშული ვარიანტი (**ყოვლად**) ზმნისართია (ვითარების გარემოებაა), მაგალითად:

„**კაცის ყოველის** [და არა **ყოვლის**] ვალია, დაიცვას თავისი სამშობლო“;

„**კაცით ყოველით** [და არა **ყოვლით**] უნდა ამაყობდეს ერი“, შდრ., „შენ ჩემო დამნელებელო,

წყეულიმცა ხარ ყოვლადა!“ (ვაჟა)...

2.4. პოსტპოზიციური ატრიბუტული მსაზღვრელი, რომელიც I ან II პირის (მხ. და მრ.რ.) კუთვნილებითი ნაცვალსახელით არის გადმოცემული, მიცემითში დასმულ საზღვრულს ორმაგი მიცემითის ფორმით შეენყობა (მეგობარს ჩემსას, სამშობლოს ჩვენსას, მეზობელს შენსას, სტუდენტებს თქვენსას...):

„ნუთუ სხვა რამე, სიმღერის გარდა, ვერ უშველიდა ტკივილებს ჩემსას“ (ლ. ასათიანი);

„მე მისთვის დავრჩი, რომ ხსოვნას შენსას სიკვდილის ხელი არ მივაკარო“ (ნ. ნადირაძე); „სიგლახეს ჩვენსას დავაბრალებთ უცხოს ნურავის! – / თვითდაკვირვების მოვიმარჯვოთ დროა უნარი!“ (მუხრანი)...

2.5. ს-ზე დაბოლოებული კუთვნილებითი და კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელები (თავისი, მაგისი, მისი, იმისი, ამისი, სხვისი, ვისი, რისი), რომლებიც ინვერსიული მსაზღვრელის ფუნქციას ასრულებენ, მოთხრობითსა და მიცემითში ორ-ორი ვარიანტით წარმოდგებიან, კერძოდ, – ფუძეგავრცობილი და ფუძეგაუვრცობელი ფორმებით (მეგობარ-მა მის-მა/მის-ა-მ; ბავშვ-ს ვის-ს/ვის-ა-ს...). ფუძეგავრცობილი შემთხვევები ყველაზე ხშირად მიცემითში დასტურდება (მეგობარს მისას, ბავშვს სხვისას...).

2.6. ნაცვალსახელით წარმოდგენილ ინვერსიულ მსაზღვრელთა ერთი ნაწილი (ჩვენებითი: ასეთი, ეგეთი, ისეთი, ამნაირი, მაგნაირი, იმნაირი, ამისთანა, მაგისთანა, იმისთანა..., კითხვითი: როგორი, სადაური..., განსაზღვრებითი – სხვა ...) მრავლობით რიცხვშიც ეთანხმება თავის საზღვრულს, თუ ეს უკანასკნელი სულიერი სახელით (ვინ თუ რა ჯგუფისა) არის გამოხატული (ბავშვები ასეთები, ქალები სადაურები, კაცები სხვები; ცხენები იმისთანები...), ხოლო უსულო სახელით გადმოცემული საზღვრულის შემთხვევაში პოსტპოზიციური მსაზღვრელი შეიძლება იყოს შეთანხმებულიც (მთები ამისთანები...) და შეუთანხმებელიც (მთები ამისთანა...).

2.7. კუთვნილებითი ნაცვალსახელები რიცხვშიც ეთანხმებიან მრავლობითში დასმულ საზღვრულს (პოეზიის ენაში):

„მამანი თქვენნი, / თავის დროს ძენი, / თავის დროს იყვნენ სახელოვანნი“ (გრ. ორბელიანი);

„ჰოი მთანმიდავ, მთაო წმიდავ, ადგილნი შენნი...“ (ნ. ბარათაშვილი);

„შენისა ცრემლით თვალნი ჩემნი მიტირებია“ (ილია)...

2.8. ყველაფერი (შესიტყვებაში ყველაფერი ეს) და ყოველივე (შესიტყვებაში ყოველივე ეს) ისე ეთანხმებიან ეს ნაცვალსახელს ბრუნვაში, როგორც შესაბამისი ფუძის მქონე პრეპოზიციური ზედსართავები.

სახ.	ყველაფერ-ი	ეს	ყოველივე	ეს
მოთხრ.	ყველაფერ-მა	ამა-ნ	ყოველივე	ამა-ნ
მიც.	ყველაფერ	ამა-ს	ყოველივე	ამა-ს
ნათ.	ყველაფერ-ი	ამ-ის	ყოველივე	ამ-ის
მოქმ.	ყველაფერ-ი	ამ-ით	ყოველივე	ამ-ით
ვით.	ყველაფერ	ამა-დ	ყოველივე	ამა-დ
ნოდ.	–		–	

2.9. ნაცვალსახელი იგივე, რომელიც ინვერსიული მსაზღვრელის ფუნქციას ასრულებს, თავის საზღვრულს ეთანხმება ყველა ბრუნვაში.

სახ.	საკითხ-ი	იგივე
მოთხრ.	საკითხ-მა	იმავე-მ
მიც.	საკითხ-ს	იმავე-ს



ნათ.	საკითხ-ის	იმავე-ს(ი)
მოქმ.	საკითხ-ით	იმავე-თი
ვით.	საკითხ-ად	იმავე-დ
წოდ.	–	

2.10. პოსტპოზიციური მსაზღვრელის ფუნქციით წარმოდგენილი გამოთქმის – **ერთი და იგივე** – ორივე კომპონენტი ყველა ბრუნვაში სრულად დაირთავს შესაბამის ნიშნებს, თუმცა ვითარებით-ში დასაშვებია პირველი ნაწილის (**ერთი**) ფუძეგაუფორმებელი ვარიანტით გამოყენებაც.

სახ.	საკითხ-ი	<b>ერთი და იგივე</b>
მოთხრ.	საკითხ-მა	<b>ერთ-მა და იმავე-მ</b>
მიც.	საკითხ-ს	<b>ერთ-ს-ა და იმავე-ს</b>
ნათ.	საკითხ-ის	<b>ერთ-ის-ა და იმავე-ს(ი)</b>
მოქმ.	საკითხ-ით	<b>ერთ-ით-ა და იმავე-თი</b>
ვით.	საკითხ-ად	<b>ერთ(-ს-ა) და იმავე-დ</b>
წოდ.	–	

2.11. თუ საზღვრული წევრი თანდებულიანი ფორმით არის წარმოდგენილი, მსაზღვრელი ნაცვალსახელიც დაირთავს თანდებულს: „ეს ორი დღეა, რატომღაც, / ვარ **ხასიათზე ისეთზე**“ ... (მუხრანი)...

### დასაბუთება

ატრიბუტულ (პრეპოზიციურ თუ პოსტპოზიციურ) მსაზღვრელად დასტურდება სხვადასხვა ჯგუფის ნაცვალსახელი: „მირბის, მიმაფრენს, უგზო-უკვლოდ **ჩემი მერანი** (ნ.ბარათაშვილი); „**შენი ამბავი**, ახლა მართალი/ ზღაპრად მიუვა **ჩვენს შვილიშვილებს**“ (ილია); „**რომელ მხატვრობას** შეუძლია გადასცეს ბავშვს ის, რასაც სოფელში მყოფი **თავისი თვალით** ხედავს“ (აკაკი); „**ამგვარი ფიქრები** სევდასავით მომანვნენ გულზე“ (აკაკი); „ემმაკი რამეა, შვილო, **ეგ ჩხიკვი**“ (ვაჟა); „უფრო სიხარულობს / **ჩემი სიხარული**, – / შენ რომ იზიარებ, / ის რომ იზიარებს“ (მუხრანი); „ნულა ვიხილავ **ჩემთა მშობელთა და ჩემსა სატრფოს** ტკბილმოუბარსა“ (ნ. ბარათაშვილი); „ამას იქმოდა **ყოველი კაცი**, / თუნდა მხდალი და თუნდა ვაჟკაცი“ (ილია); „მე შენში მიყვარს **ოცნება ჩემი**“ (გალაკტიონი); „ატირდებიან ბავშვებივით **ლექსები ჩემი**, / ოდეს / ერთხელ და სამუდამოდ / დავხუჭავ თვალებს“ (მუხრანი); „ნუთუ სხვა რამე, სიმღერის გარდა, / ვერ უშველიდა **ტკივილებს ჩემსას!**“ (ლ. ასათიანი); „შენისა ცრემლით **თვალნი ჩემნი** მიტირებია“ (ილია)...

ნაცვალსახელით გადმოცემული მსაზღვრელის საზღვრულთან შეთანხმებისას გასათვალისწინებელია რამდენიმე გარემოება:

საზღვრული წევრი მხოლობითი დაისმის, თუ მსაზღვრელად წარმოდგენილია შემდეგი ნაცვალსახელები: **ამდენი, მაგდენი, იმდენი** (ჩვენებითი); **რამდენი** (კითხვითი); **ყველა, ყოველი, თითოეული, თითო** (განსაზღვრებითი); **ზოგი, ზოგიერთი, რომელიმე, რამდენიმე** (განუსაზღვრელობითი); **არცერთი, ვერცერთი** (უარყოფითი)...

სახ.	ამდენ-ი	ბავშვ-ი	რომელიმე	მოსწავლე
მოთხრ.	ამდენ-მა	ბავშვ-მა	რომელიმე	მოსწავლე-მ
მიც.	ამდენ	ბავშვ-ს	რომელიმე	მოსწავლე-ს

ნათ.	ამდენ-ი	ბავშვ-ის	რომელიმე	მოსწავლ-ის
მოქმ.	ამდენ-ი	ბავშვ-ით	რომელიმე	მოსწავლ-ით
ვით.	ამდენ	ბავშვ-ად	რომელიმე	მოსწავლ-ედ
ნოდ.	–		–	

**შენიშვნა.** 2011 წელს გამოცემულ „ჟურნალისტიკის ორთოგრაფიულ-სტილისტიკურ ლექსიკონში“ (ნაწილი II) ერთ-მანეთისაგან გაიმიჯნა **არცერთი, ვერცერთი, ნურცერთი** ლექსიკურ ერთეულთა ერთად თუ ცალ-ცალკე დაწერილობის შემთხვევები. მაგ., **არცერთი** არგუმენტი არ არის მისაღები, შდრ. ღმერთმა ხომ იცოდა, რომ **არც ერთი** იყო არაბი და არც მეორე – ვენეციელი (უიარ.), ან კიდევ: **ვერცერთი** თქვენგანი, მაგრამ: **ვერც ერთი** და ვერც მეორე და ა. შ. შესაბამისად, შერწყმულდაწერილობიანი ვარიანტები უარყოფით ნაცვალსახელთა ჯგუფს დაემატა.

ჩვენებითი და კითხვითი ნაცვალსახელები – **ასეთი, ეგეთი, ისეთი, ამნაირი, იმნაირი..., ამისთანა, მაგისთანა, იმისთანა...; როგორი, რანაირი, სადაური, როდინდელი...** ისე ეთანხმებიან საზღვრულს ბრუნვაში, როგორც შესაბამისი ფუძის მქონე ზედსართავები. მათთან (აღნიშნული ტიპის ნაცვალსახელებთან) საზღვრული, ჩვეულებრივ, მრავლობით რიცხვშიც დაისმის.

სახ.	ასეთ-ი	ბავშვ-ი	ასეთ-ი	ბავშვ-ები
მოთხრ.	ასეთ-მა	ბავშვ-მა	ასეთ-მა	ბავშვ-ებ-მა
მიც.	ასეთ	ბავშვ-ს	ასეთ	ბავშვ-ებ-ს
ნათ.	ასეთ-ი	ბავშვ-ის	ასეთ-ი	ბავშვ-ების
მოქმ.	ასეთ-ი	ბავშვ-ით	ასეთ-ი	ბავშვ-ებით
ვით.	ასეთ	ბავშვ-ად	ასეთ	ბავშვ-ებ-ად
ნოდ.	–		–	

სახ.	ამისთანა	წიგნ-ი	ამისთანა	წიგნ-ები
მოთხრ.	ამისთანა	წიგნ-მა	ამისთანა	წიგნ-ებ-მა
მიც.	ამისთანა	წიგნ-ს	ამისთანა	წიგნ-ებ-ს
ნათ.	ამისთანა	წიგნ-ის	ამისთანა	წიგნ-ების
მოქმ.	ამისთანა	წიგნ-ით	ამისთანა	წიგნ-ებით
ვით.	ამისთანა	წიგნ-ად	ამისთანა	წიგნ-ებ-ად
ნოდ.	–		–	

პრეპოზიციურ მსაზღვრელად გამოყენებული **ვილაც(ა), რალაც(ა), რომელილაც(ა)** განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები ფორმაუცვლელად შეენწყობიან საზღვრულს ყველა ბრუნვაში.

სახ.	ვილაც(ა)	კაც-ი	რალაც(ა)	ამბავ-ი
მოთხრ.	ვილაც(ა)	კაც-მა	რალაც(ა)	ამბავ-მა
მიც.	ვილაც(ა)	კაც-ს	რალაც(ა)	ამბავ-ს
ნათ.	ვილაც(ა)	კაც-ის	რალაც(ა)	ამბ-ის
მოქმ.	ვილაც(ა)	კაც-ით	რალაც(ა)	ამბ-ით
ვით.	ვილაც(ა)	კაც-ად	რალაც(ა)	ამბ-ად
ნოდ.	–		–	

**ვილაც(ა)** და **რალაც(ა)** განუსაზღვრელობით ნაცვალსახელებთან დასაშვებია საზღვრულის მრავლობითი რიცხვის ფორმით გამოყენებაც.

სახ.	ვილაც(ა)	კაც-ებ-ი	რაღაც(ა)	ამბ-ებ-ი
მოთხრ.	ვილაც(ა)	კაც-ებ-მა	რაღაც(ა)	ამბ-ებ-მა
მიც.	ვილაც(ა)	კაც-ებ-ს	რაღაც(ა)	ამბ-ებ-ს
ნათ.	ვილაც(ა)	კაც-ებ-ის	რაღაც(ა)	ამბ-ებ-ის
მოქმ.	ვილაც(ა)	კაც-ებ-ით	რაღაც(ა)	ამბ-ებ-ით
ვით.	ვილაც(ა)	კაც-ებ-ად	რაღაც(ა)	ამბ-ებ-ად
ნოდ.	–		–	

ნაცვალსახელთან **რომელიღაც(ა)** (რომელიც მსაზღვრელის ფუნქციას ასრულებს) საზღვრული ნაკლებად დასტურდება მრავლობით რიცხვში (რომელიღაც(ა) წიგნში, რომელიღაც(ა) ლექსში...).

განსაზღვრებით ნაცვალსახელთან **სხვა** (რომელიც მსაზღვრელის ფუნქციით გამოიყენება) საზღვრული მრავლობითი რიცხვის ფორმითაც წარმოდგება („**სხვა საკითხებზე** გადავიდეთ“; „გიორგი **სხვა თემებითაც** დაინტერესდა“; „**სხვა მოსაზრებებიც** გამოითქვა“...).

სახ.	სხვა	საკითხ-ი	სხვა	საკითხ-ებ-ი
მოთხრ.	სხვა	საკითხ-მა	სხვა	საკითხ-ებ-მა
მიც.	სხვა	საკითხ-ს	სხვა	საკითხ-ებ-ს
ნათ.	სხვა	საკითხ-ის	სხვა	საკითხ-ებ-ის
მოქმ.	სხვა	საკითხ-ით	სხვა	საკითხ-ებ-ით
ვით.	სხვა	საკითხ-ად	სხვა	საკითხ-ებ-ად
ნოდ.	–		–	

**სხვადასხვა** ნაცვალსახელთან (რომელიც მსაზღვრელის ფუნქციით გამოიყენება) საზღვრული მხოლოდობით რიცხვში დაისმის.

სახ.	სხვადასხვა	ქვეყანა
მოთხრ.	სხვადასხვა	ქვეყანა-მ
მიც.	სხვადასხვა	ქვეყანა-ს
ნათ.	სხვადასხვა	ქვეყნი-ს
მოქმ.	სხვადასხვა	ქვეყნ-ით
ვით.	სხვადასხვა	ქვეყნა-დ
ნოდ.	–	

**ეს, ევ** და **ის** ნაცვალსახელები, რომლებიც მსაზღვრელის ფუნქციას ასრულებენ, წინ უსწრებენ საზღვრულს (თანამედროვე ქართულის მონაცემთა მიხედვით) და მხოლოდობითი რიცხვის ფორმით შეენწყობიან მას მაშინაც, როცა ეს უკანასკნელი (საზღვრული) მრავლობითშია დასმული.

სახ.	ეს	ბავშვ-ი	ეს	ბავშვ-ებ-ი
მოთხრ.	ამ	ბავშვ-მა	ამ	ბავშვ-ებ-მა
მიც.	ამ	ბავშვ-ს	ამ	ბავშვ-ებ-ს
ნათ.	ამ	ბავშვ-ის	ამ	ბავშვ-ებ-ის
მოქმ.	ამ	ბავშვ-ით	ამ	ბავშვ-ებ-ით
ვით.	ამ	ბავშვ-ად	ამ	ბავშვ-ებ-ად
ნოდ.	–		–	

სახ.	ეგ	ბავშვ-ი	ეგ	ბავშვ-ებ-ი
მოთხრ.	მაგ	ბავშვ-მა	მაგ	ბავშვ-ებ-მა
მიც.	მაგ	ბავშვ-ს	მაგ	ბავშვ-ებ-ს
ნათ.	მაგ	ბავშვ-ის	მაგ	ბავშვ-ებ-ის
მოქმ.	მაგ	ბავშვ-ით	მაგ	ბავშვ-ებ-ით
ვით.	მაგ	ბავშვ-ად	მაგ	ბავშვ-ებ-ად
წოდ.	–	–	–	–

სახ.	ის	ბავშვ-ი	ის	ბავშვ-ებ-ი
მოთხრ.	იმ	ბავშვ-მა	იმ	ბავშვ-ებ-მა
მიც.	იმ	ბავშვ-ს	იმ	ბავშვ-ებ-ს
ნათ.	იმ	ბავშვ-ის	იმ	ბავშვ-ებ-ის
მოქმ.	იმ	ბავშვ-ით	იმ	ბავშვ-ებ-ით
ვით.	იმ	ბავშვ-ად	იმ	ბავშვ-ებ-ად
წოდ.	–	–	–	–

თუ სახელობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილ საზღვრულს, რომლის მსაზღვრელიც **ეს**, **ეგ** ან **ის** ნაცვალსახელია, **-ვით** თანდებული დაერთვის, მსაზღვრელად გამოიყენება დასახელებულ ნაცვალსახელთა მონაცვლე ფუძე (და არა სახელობითისა): **ამ ბავშვივით, მაგ ბავშვივით, იმ ბავშვივით.**

**ეს** მსაზღვრელად დასტურდება აგრეთვე ლექსიკურ ერთეულებთან **ყველაფერი** და **ყოველივე**. ამ შემთხვევაშიც **ეს** თავის საზღვრულს ეთანხმება ისე, როგორც არსებითი სახელით გამოხატულს: **ეს ყველაფერი, შდრ., ეს სოფელი; ეს ყოველივე, შდრ., ეს წყარო (ყოველივე უკვეცელია).**

სახ.	ეს	ყველაფერ-ი	ეს	ყოველივე
მოთხრ.	ამ	ყველაფერ-მა	ამ	ყოველივე-მ
მიც.	ამ	ყველაფერ-ს	ამ	ყოველივე-ს
ნათ.	ამ	ყველაფერ-ის	ამ	ყოველივე-ს(ი)
მოქმ.	ამ	ყველაფერ-ით	ამ	ყოველივე-თი
ვით.	ამ	ყველაფერ-ად	ამ	ყოველივე-დ
წოდ.	–	–	–	–

მსაზღვრელად წარმოდგენილი ნაცვალსახელი **იგივე** ამ ფორმით (**იგივე**) მხოლოდ სახელობითში გვექნება. ყველა სხვა ბრუნვაში მას ჩაენაცვლება **იმავე**. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში სავსებით ბუნებრივი ჩანს მასთან (ნაცვალსახელთან **იგივე**) საზღვრულის მრავლობითი რიცხვის ფორმით გამოყენება.

სახ.	იგივე	საკითხ-ი	იგივე	საკითხ-ებ-ი
მოთხრ.	იმავე	საკითხ-მა	იმავე	საკითხ-ებ-მა
მიც.	იმავე	საკითხ-ს	იმავე	საკითხ-ებ-ს
ნათ.	იმავე	საკითხ-ის	იმავე	საკითხ-ებ-ის
მოქმ.	იმავე	საკითხ-ით	იმავე	საკითხ-ებ-ით
ვით.	იმავე	საკითხ-ად	იმავე	საკითხ-ებ-ად
წოდ.	–	–	–	–

ნაცვალსახელი იგივე დასტურდება აგრეთვე გამოთქმაში **ერთი და იგივე**. მსაზღვრელად გამოყენებისას (მაგ., **ერთი და იგივე** საკითხი) ნაცვალსახელური შეისტყვევის პირველი კომპონენტი **ერთი** საზღვრულს სრულად ეთანხმება მხოლოდ სახ. და მოთხრ. ბრუნვებში (**ერთი და იგივე საკითხი, ერთმა და იმავე საკითხმა**), მიცემითსა და ვითარებითში ორ-ორი ვარიანტი გვექნება – ვრცელი და მოკლე, ე. ი. საზღვრულთან შეთანხმებული, ბრუნვისნიშნისანი (ემფატიკურ ა-სთან ერთად) და გაუფორმებელი – ფუძის სახით წარმოდგენილი (**ერთსა და იმავე საკითხს//ერთ და იმავე საკითხს; ერთსა და იმავე საკითხად//ერთ და იმავე საკითხად**), ნათესაობითსა და მოქმედებითში კი (თანამედროვე ქართულის მონაცემთა გათვალისწინებით) **ერთი** ისე შეეწყობა თავის საზღვრულს (მაგ., არსებით სახელს – **საკითხი**), როგორც შესაბამისი ფუძის მქონე (ე.ი. ფუძეთანხმოვნისანი) მსაზღვრელი (ზედსართავი სახელი). მაშასადამე, ნათესაობითსა და მოქმედებითში მას ჩამოეკვეცება ბრუნვისნიშნისეული თანხმოვნითი ელემენტი (**ერთი და იმავე საკითხის, ერთი და იმავე საკითხით**). რაც შეეხება მეორე კომპონენტს – **იგივე** (მოთხრ., მიც., ნათ., მოქმ., ვით. **იმავე**), ის თავის საზღვრულს ეთანხმება ისე, როგორც ფუძეხმოვნისანი ზედსართავი. ანალოგიური ვითარება გვექნება საზღვრულის მრავლობითი რიცხვის ფორმით გამოყენების შემთხვევაშიც.

სახ.	ერთ-ი და იგივე საკითხ-ი	ერთ-ი და იგივე საკითხ-ებ-ი
მოთხრ.	ერთ-მა და იმავე საკითხ-მა	ერთ-მა და იმავე საკითხ-ებ-მა
მიც.	ერთ(-ს-ა) და იმავე საკითხ-ს	ერთ(-ს-ა) და იმავე საკითხ-ებ-ს
ნათ.	ერთ-ი და იმავე საკითხ-ის	ერთ-ი და იმავე საკითხ-ებ-ის
მოქმ.	ერთ-ი და იმავე საკითხ-ით	ერთ-ი და იმავე საკითხ-ებ-ით
ვით.	ერთ(-ს-ა) და იმავე საკითხ-ად	ერთ(-ს-ა) და იმავე საკითხ-ებ-ად
წოდ.	–	–

როცა მსაზღვრელად წარმოდგენილია პირველი ან მეორე პირის (მხ. და მრ.რ.) კუთვნილებითი ნაცვალსახელი (**ჩემი, ჩვენი, შენი, თქვენი**), ან კიდევ – მესამე პირისა (**მათი** – მრ. რ.), ერთადერთ მართებულ ფორმად სრული სახეობა მიიჩნევა მიცემითსა და ვითარებითში (**ჩემს მეგობარს, შენს მეგობარს, ჩვენს მეგობარს, თქვენს მეგობარს, მათს მეგობარს; ჩემს მეგობრად, შენს მეგობრად, ჩვენს მეგობრად, თქვენს მეგობრად, მათს მეგობრად**).

თანამედროვე ქართულში ეს წესი ფაქტობრივად მოშლილია მესამე პირის მრ. რიცხვის შემთხვევაში: „**მათ მეგობრად** ვთვლი თავს“ (ქეეკი); „ფრაქცია ცოტა ხნის წინ დატოვა, მაგრამ ის გუშინდლამდე **მათ მეგობრად** რჩებოდა“ („ახალი თაობა“); „**მათ სამშობლოს** ეს არ ემუქრება“ (იქვე); „**მათ მეგობარს** ჩვენ დაველაპარაკებით“ (იქვე); „**მათ საქმეს** ჩვენ ვერ შევხებით“ („სარბიელი“); „**მათ არსებობას** აზრი ხომ უნდა ჰქონდეს?“ (იქვე); „**მათ ლექტორებს** არაფერი უთქვამთ ამის შესახებ“ („24 საათი“)...

პირველი და მეორე პირის კუთვნილებით ნაცვალსახელთა მსაზღვრელად გამოყენებისას ძირითადად შენარჩუნებულია მიცემითბრუნვისანი ფორმები, თუმცა უბრუნვისნიშნო ვარიანტები ამ შემთხვევაშიც დასტურდება (განსაკუთრებით – ვით. ბრუნვაში): „ახლა **ჩემს შვილს** გაბარებ და შენი იმედით ვიქნები“ (მ. ჯავახიშვილი); „იგი მე და **ჩემს დას** ქართული ენის სიყვარულს გვინერგავდა“ („ახალი 7 დღე“); „დარწმუნებული ვარ, კეთილ სამსახურს ვუნეც **ჩემს სამშობლოს**“ (ჭ. ამირეჯიბი); „არადა, ძალიან მომიწინა, **ჩემს სამშობლოს** მოესმინა“ (ქეეკი), **შდრ.**: „ეს ის ქალაქი არაა, **ჩემ სამშობლოს** რუკაზე შავ ლაქად რომ აჩნია?“ („მწერალი“); „ჭირს ნაუღია ყველა და ყველაფერი გარდა იმისა, რაც **ჩემ სამშობლოს** სჭირდება“ („ახალი თაობა“); **ან კიდევ**: „აშშ-ს პრეზიდენტმა არაერთხელ მიწოდა მეგობარი, მას მეც **ჩემს მეგობრად** მივიჩნევ“ („24 საათი“); „რაც არ უნდა თქვას, მე მას მაინც **ჩემს მეგობრად** ვთვლი“ („სარბიელი“); **შდრ.**: „განსაკუთრებით მადლობელი ვარ შესანიშნავი ადამიანისა, რომელიც კვლავ რჩება **ჩემ მეგობრად**“ („საქართველოს რესპუბლიკა“); „ბიჭუნა ვიპოვე

გადაგებული, ვიშვილე და ჩემ მეგობრად იქცა“ (ზ. უძილაური); „კატალონიას კი ყოველთვის ჩემ სამშობლოდ მოიხსენიებს“ („სარბიელი“)...

მსაზღვრელად გამოყენებული პირველი და მეორე პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელები ფუძეგაუფორმებელი სახითაც უნდა იქნეს დაშვებული მართებულ ვარიანტად ვითარებით ბრუნვაში (ჩემს მეგობრად//ჩემ მეგობრად, ჩვენს მეგობრად//ჩვენ მეგობრად, შენს მეგობრად//შენ მეგობრად, თქვენს მეგობრად//თქვენ მეგობრად), ხოლო მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ფორმით გამოხატული – მიცემითშიც და ვითარებითშიც (მათს მეგობარს // მათ მეგობარს, მათს მეგობრად // მათ მეგობრად...).

სახ.	ჩემ-ი	მეგობარ-ი	მათ-ი	მეგობარ-ი
მოთხრ.	ჩემ-მა	მეგობარ-მა	მათ-მა	მეგობარ-მა
მიც.	ჩემ-ს	მეგობარ-ს	მათ-ს/მათ	მეგობარ-ს
ნათ.	ჩემ-ი	მეგობრ-ის	მათ-ი	მეგობრ-ის
მოქმ.	ჩემ-ი	მეგობრ-ით	მათ-ი	მეგობრ-ით
ვით.	ჩემ-ს/ჩემ	მეგობრ-ად	მათ-ს/მათ	მეგობრ-ად
ნოდ.	ჩემ-ო	მეგობარ-ო	–	

დასახელებული ტიპის ნაცვალსახელებთან საზღვრული ნევრი, ჩვეულებრივ, მრავლობითშიც დაისმის.

სახ.	ჩემ-ი	მეგობრ-ებ-ი	მათ-ი	მეგობრ-ებ-ი
მოთხრ.	ჩემ-მა	მეგობრ-ებ-მა	მათ-მა	მეგობრ-ებ-მა
მიც.	ჩემ-ს	მეგობრ-ებ-ს	მათ-ს/მათ	მეგობრ-ებ-ს
ნათ.	ჩემ-ი	მეგობრ-ებ-ის	მათ-ი	მეგობრ-ებ-ის
მოქმ.	ჩემ-ი	მეგობრ-ებ-ით	მათ-ი	მეგობრ-ებ-ით
ვით.	ჩემ-ს/ჩემ	მეგობრ-ებ-ად	მათ-ს/მათ	მეგობრ-ებ-ად
ნოდ.	ჩემ-ო	მეგობრ-ებ-ო	–	

კუთვნილებითი და კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელები (თავისი, მაგისი, მისი, იმისი, ამისი, სხვისი; ვისი, რისი), რომლებიც მსაზღვრელის ფუნქციას ასრულებენ, მიც. და ვით. ბრუნვაში ფუძის სახით წარმოდგებიან, მაშასადამე, არ დაირთავენ ს სუფიქსს (აღსანიშნავია, რომ ყველა დასახელებული ნაცვალსახელის ფუძე ს-ზე ბოლოვდება): თავის მეგობარს, მაგის კურსელს, მის გადწყვეტილებას, იმის მეზობელს, ამის თანაკლასელს, სხვის შვილს; ვის თანამშრომელს, რის გასაღებს...; თავის მეზობლად, სხვის შვილად, ვის მეგობრად...

სახ.	თავის-ი	მეგობარ-ი	თავის-ი	მეგობრ-ებ-ი
მოთხრ.	თავის-მა	მეგობარ-მა	თავის-მა	მეგობრ-ებ-მა
მიც.	თავის	მეგობარ-ს	თავის	მეგობრ-ებ-ს
ნათ.	თავის-ი	მეგობრ-ის	თავის-ი	მეგობრ-ებ-ის
მოქმ.	თავის-ი	მეგობრ-ით	თავის-ი	მეგობრ-ებ-ით
ვით.	თავის	მეგობრ-ად	თავის	მეგობრ-ებ-ად
ნოდ.	–		–	

სახ.	ვის-ი	შვილ-ი	ვის-ი	შვილ-ებ-ი
მოთხრ.	ვის-მა	შვილ-მა	ვის-მა	შვილ-ებ-მა

მიც.	ვის	შვილ-ს	ვის	შვილ-ებ-ს
ნათ.	ვის-ი	შვილ-ის	ვის-ი	შვილ-ებ-ის
მოქმ.	ვის-ი	შვილ-ით	ვის-ი	შვილ-ებ-ით
ვით.	ვის	შვილ-ად	ვის	შვილ-ებ-ად
წოდ.	–		–	

მსაზღვრელად გამოყენებული **რა, რა** და **რა** კითხვითი ნაცვალსახელები ისე ეთანხმებიან თავიანთ საზღვრულებს ბრუნვაში, როგორც ფუძემოვნიანი ზედსართავები.

სახ.	რა გზა	რა და რა საკითხ-ი
მოთხრ.	რა გზა-მ	რა და რა საკითხ-მა
მიც.	რა გზა-ს	რა და რა საკითხ-ს
ნათ.	რა გზ-ის	რა და რა საკითხ-ის
მოქმ.	რა გზ-ით	რა და რა საკითხ-ით
ვით.	რა გზა-დ	რა და რა საკითხ-ად
წოდ.	–	–

**რა** ნაცვალსახელთან, რომელიც მსაზღვრელის ფუნქციას ასრულებენ, სავსებით ბუნებრივია საზღვრულის მრავლობითი რიცხვის ფორმით გამოყენება, მაგ., საკითხები განიხილეს. – **რა საკითხები?**

სახ.	რა საკითხ-ებ-ი
მოთხრ.	რა საკითხ-ებ-მა
მიც.	რა საკითხ-ებ-ს
ნათ.	რა საკითხ-ებ-ის
მოქმ.	რა საკითხ-ებ-ით
ვით.	რა საკითხ-ებ-ად
წოდ.	–

მსაზღვრელ **რა** და **რა** რთულ ნაცვალსახელთან საზღვრული მხოლოდობითი რიცხვის ფორმით წარმოდგება (**რა** და **რა** საკითხი...).

პრეპოზიციურ მსაზღვრელად დასტურდება აგრეთვე **ვინ** ნაცვალსახელი: „კაცი მოკლეს... – **ვინ** კაცი?“ (ყაზბეგი).

თანამედროვე ქართულში განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი **ვინმე** მსაზღვრელადაც გამოიყენება („**ვინმე** მეგობარი არ გყავს?“ ან კიდევ: „**ვინმე** მეზობელს დაუძახე!“...).

მსაზღვრელის ფუნქციით წარმოდგება აგრეთვე **რამე** და **რაიმე** განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები (**რამე საკითხი, რაიმე მოვლენა...**), რომლებიც თავიანთ საზღვრულებს ისე შეეწყობიან, როგორც ფუძემოვნიანი ზედსართავები. დასახელებულ ნაცვალსახელებთან შესაძლებელია საზღვრულის მრავლობითი რიცხვის ფორმით გამოყენებაც („**რამე** პრობლემები გაქვთ?“ ან კიდევ: „**რაიმე** მოვლენებს ხომ არ ამჩნევთ?“...).

სახ.	რამე/რაიმე	საკითხ-ი	რამე/რაიმე	საკითხ-ებ-ი
მოთხრ.	რამე/რაიმე	საკითხ-მა	რამე/რაიმე	საკითხ-ებ-მა
მიც.	რამე/რაიმე	საკითხ-ს	რამე/რაიმე	საკითხ-ებ-ს
ნათ.	რამე/რაიმე	საკითხ-ის	რამე/რაიმე	საკითხ-ებ-ის

მოქმ.	რამე/რაიმე	საკითხ-ით	რამე/რაიმე	საკითხ-ებ-ით
ვით.	რამე/რაიმე	საკითხ-ად	რამე/რაიმე	საკითხ-ებ-ად
ნოდ.	–		–	

ქართულში მსაზღვრელის ფუნქციით დასტურდება აგრეთვე **თვით**, **თვითონ** და **თავად** განსაზღვრებითი ნაცვალსახელები: „**თვით უკვდავება** მშვენიერსა სულში მდგომარებს“ (ნ. ბარათაშვილი); „**თვით უკვდავებაც** არ არსებობს უსიყვარულოდ“ (გალაკტიონი); „ – რა უნდა უყო!/ **თვითონ იესო!** – / ხალხი იძახის:/ ჭკუით იცნესო!“ (მუხრანი); „**თვითონ მეფენიც** უძლეველნი, რომელთ უმაღლეს, / არც ვინღა არის და წინაშე არც ვინ აღუდგეს“... (ნ. ბარათაშვილი). ისინი (დასახელებული ნაცვალსახელები) ფორმაუცვლელნი არიან.

თანინ მრავლობითში დასმულ საზღვრულს კუთვნილებითი ნაცვალსახელები რიცხვშიც ეთანხმებიან (პოეზიის ენაში): „ნულა ვიხილავ **ჩემთა მშობელთა** და ჩემსა სატრფოს ტკბილმოუბარსა“ (ნ. ბარათაშვილი)...

ნაცვალსახელით გამოხატული **პოსტპოზიციური** მსაზღვრელი (ფუძეთანხმოვნინი თუ ფუძეხმოვნინი) თავის საზღვრულს ეთანხმება ყველა ბრუნვაში.

სახ.	მეგობარ-ი	ასეთ-ი	კაც-ი	ვილაცა
მოთხრ.	მეგობარ-მა	ასეთ-მა	კაც-მა	ვილაცა-მ
მიც.	მეგობარ-ს	ასეთ-ს	კაც-ს	ვილაცა-ს
ნათ.	მეგობარ-ის	ასეთ-ის	კაც-ის	ვილაცა-ის
მოქმ.	მეგობარ-ით	ასეთ-ით	კაც-ით	ვილაცა-ით
ვით.	მეგობარ-ად	ასეთ-ად	კაც-ად	ვილაცა-ად
ნოდ.	–		–	

საზღვრული ნევრი მხოლობითში დაისმის, თუ პოსტპოზიციურ მსაზღვრელად წარმოდგენილია შემდეგი ნაცვალსახელები: ჩვენებითი – **ამდენი** (ბავშვი *ამდენი*), **მაგდენი** (წიგნი *მაგდენი*), **იმდენი** (ყვავილი *იმდენი*); კითხვითი – **რამდენი** (სტუდენტი *რამდენი*); განსაზღვრებითი – **ყველა** (ბავშვი *ყველა*), **ყოველი** (კაცი *ყოველი*), **თითოეული** (მოსწავლე *თითოეული*), **თითო** (ღერი *თითო*); განუსაზღვრელობითი – **ზოგი** (ბავშვი *ზოგი*), **ზოგიერთი** (კაცი *ზოგიერთი*), **რომელიმე** (მოსწავლე *რომელიმე*), **რამდენიმე** (სტუდენტი *რამდენიმე*); უარყოფითი – **არცერთი** (ბავშვი *არცერთი*), **ვერცერთი** (მოსწავლე *ვერცერთი*)...

სახ.	ბავშვ-ი	ამდენ-ი	სტუდენტ-ი	რამდენიმე
მოთხრ.	ბავშვ-მა	ამდენ-მა	სტუდენტ-მა	რამდენიმე-მ
მიც.	ბავშვ-ს	ამდენ-ს	სტუდენტ-ს	რამდენიმე-ს
ნათ.	ბავშვ-ის	ამდენ-ის	სტუდენტ-ის	რამდენიმე-ს(ი)
მოქმ.	ბავშვ-ით	ამდენ-ით	სტუდენტ-ით	რამდენიმე-თი
ვით.	ბავშვ-ად	ამდენ-ად	სტუდენტ-ად	რამდენიმე-დ
ნოდ.	–		–	

შეიკუმშება ან შეიკვეცება ნაცვალსახელით გამოხატული პოსტპოზიციური მსაზღვრელის ფუძე, თუ ის (ფუძე) ზოგადად კუმშვადი ან კვეცადია.



### ფუძეკუმშვადი პოსტპოზიციური მსაზღვრელი

სახ.	მოსწავლე	რომელ-ი
მოთხრ.	მოსწავლე-მ	რომელ-მა
მიც.	მოსწავლე-ს	რომელ-ს
ნათ.	მოსწავლ-ის	რომელ-ის
მოქმ.	მოსწავლ-ით	რომელ-ით
ვით.	მოსწავლე-დ	რომელ-ად
წოდ.	–	

### ფუძეკუმშველი პოსტპოზიციური მსაზღვრელი

სახ.	ყვავილ-ი	იმდენ-ი
მოთხრ.	ყვავილ-მა	იმდენ-მა
მიც.	ყვავილ-ს	იმდენ-ს
ნათ.	ყვავილ-ის	იმდენ-ის
მოქმ.	ყვავილ-ით	იმდენ-ით
ვით.	ყვავილ-ად	იმდენ-ად
წოდ.	–	

### ფუძეკვეცადი პოსტპოზიციური მსაზღვრელი

სახ.	წიგნ-ი	რომელიღაცა
მოთხრ.	წიგნ-მა	რომელიღაცა-მ
მიც.	წიგნ-ს	რომელიღაცა-ს
ნათ.	წიგნ-ის	რომელიღაცა-ის
მოქმ.	წიგნ-ით	რომელიღაცა-ით
ვით.	წიგნ-ად	რომელიღაცა-დ
წოდ.	–	

### ფუძეკვეცელი პოსტპოზიციური მსაზღვრელი

სახ.	საკითხ-ი	რომელიმე
მოთხრ.	საკითხ-მა	რომელიმე-მ
მიც.	საკითხ-ს	რომელიმე-ს
ნათ.	საკითხ-ის	რომელიმე-ს(ი)
მოქმ.	საკითხ-ით	რომელიმე-თი
ვით.	საკითხ-ად	რომელიმე-დ
წოდ.	–	

ინვერსიულ მსაზღვრელად წარმოდგენილი განსაზღვრებითი ნაცვალსახელი **ყოველი** არ შეიკუმშება ნათ. და მოქმ. ბრუნვებში. რაც შეეხება ვითარებითს, ეს უკანასკნელი მას ნაკლებად უდასტურდება პოსტპოზიციური მსაზღვრელის ფუნქციით. შეკუმშული ვარიანტი (**ყოვლად**) ზმნისართია (ვითარების გარემოება).

სახ.	კაცი	ყოველი	(კაცი <b>ყოველი</b> უნდა აცნობიერებდეს თავის მოვალეობას)
მოთხრ.	კაც-მა	ყოველ-მა	(კაცმა <b>ყოველმა</b> უნდა იცოდეს, რა ფუნქცია აქვს მას)
მიც.	კაც-ს	ყოველ-ს	(კაცს <b>ყოველს</b> გააზრებული უნდა ჰქონდეს თავისი ქმედება)
ნათ.	კაც-ის	ყოველ-ის	(კაცის <b>ყოველის</b> [და არა ყოვლის] ვალია, დაიცვას სამშობლო)
მოქმ.	კაც-ით	ყოველ-ით	(კაცით <b>ყოველით</b> [და არა ყოვლით] უნდა ამაყოფდეს ერი)
ვით.	–		
ნოდ.	–		

ფუძე **ყოველ-** იკუმშება გარკვეული ტიპის კომპოზიტებსა (**ყოვლისმომცველი, ყოვლის-მცოდნე, ყოვლისშემძლე; ყოვლადმონყალე, ყოვლადსამღვდელო** და სხვ.) და ვით. ბრუნვაში, როცა ზმნისართის სტატუსს იძენს (ყოვლად მიუღებელია/წარმოუდგენელია...). აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ ენაში სწორედ კუმშვა-უკუმშველობის მიხედვით განირჩევა ხოლმე ერთმანეთისაგან სახელი და ზმნისართი.

პოსტპოზიციური ატრიბუტული მსაზღვრელი, რომელიც I ან II პირის (მხ. და მრ.რ.) კუთვნილებითი ნაცვალსახელით არის გადმოცემული, მიცემითში დასმულ საზღვრულს ორმაგი მიცემითის ფორმით შეეწყო:

„ნუთუ სხვა რამე, სიმღერის გარდა, ვერ უშველიდა **ტკივილებს ჩემსას**“ (ლ. ასათიანი);

„მე მისთვის დავრჩი, რომ **ხსოვნას შენსას** სიკვდილის ხელი არ მივაკარო“ (ნ. ნადირაძე);

„**სიგლახეს ჩვენსას** დავაბრალებთ უცხოს ნურავის! – / თვითდაკვირვების მოვიმარჯვოთ დროა უნარი!“ (მუხრანი)...

ს-ზე დაბოლოებული კუთვნილებითი და კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელები (**თავისი, მაგისი, მისი, იმისი, ამისი, სხვისი; ვისი, რისი**), რომლებიც ინვერსიული მსაზღვრელის ფუნქცია ასრულებენ, მოთხრობითსა და მიცემითში ორ-ორი ვარიანტით წარმოდგებიან, კერძოდ, – ფუძე-გაუფრცობელი და ფუძეგაფრცობილი ფორმებით (მეგობარ-მა მის-მა/ მის-ა-მ; ბავშვ-ს ვის-ს/ვის-ა-ს...). ეს უკანასკნელი (ფუძეგაფრცობილი ვარიანტები) ყველაზე ხშირად მიცემითში დაჩნდება: **მეგობარს მისას, ბავშვს სხვისას...**

ნაცვალსახელით წარმოდგენილ ინვერსიულ მსაზღვრელთა ერთი ნაწილი (ჩვენებითი: **ასეთი, ეგეთი, ისეთი, ამნაირი, მაგნაირი, იმნაირი, ამისთანა, მაგისთანა, იმისთანა...**, კითხვითი: **როგორი, სადაური...**, განსაზღვრებითი – **სხვა ...**) მრავლობით რიცხვშიც ეთანხმება თავის საზღვრულს, თუ ეს უკანასკნელი სულიერი სახელით (ვინ თუ რა ჯგუფისა) არის გამოხატული (**ბავშვები ასეთები, ქალები სადაურები, კაცები სხვები; ცხენები იმისთანები...**), ხოლო უსულო სახელით გადმოცემული საზღვრულის შემთხვევაში პოსტპოზიციური მსაზღვრელი შეიძლება იყოს შეთანხმებულიც (**მთები ამისთანები...**) და შეუთანხმებელიც (**მთები ამისთანა...**).

კუთვნილებითი ნაცვალსახელები რიცხვშიც ეთანხმებიან მრავლობითში დასმულ საზღვრულს (პოეზიის ენაში): „**მამანი თქვენნი**, / თავის დროს ძენი, / თავის დროს იყვნენ სახელოვანნი“ (გრ. ორბელიანი); „**ჰოი მთანმიდავ, მთაო წმიდავ, ადგილნი შენნი...**“ (ნ. ბარათაშვილი); „შენისა ცრემლით **თვალნი ჩემნი** მიტირებია“ (ილია)...

**ყველაფერი** (შესიტყვებაში **ყველაფერი ეს**) და **ყოველივე** (შესიტყვებაში **ყოველივე ეს**) ისე შეეწყობიან **ეს** ნაცვალსახელს ბრუნვაში, როგორც შესაბამისი ფუძის მქონე ზედსართავი სახელები (პრეპოზიციური წყობისა).

სახ.	ყველაფერ-ი	ეს	ყოველივე	ეს
მოთხრ.	ყველაფერ-მა	ამა-ნ	ყოველივე	ამა-ნ
მიც.	ყველაფერ	ამა-ს	ყოველივე	ამა-ს

ნათ.	ყველაფერ-ი	ამ-ის	ყოველივე	ამ-ის
მოქმ.	ყველაფერ-ი	ამ-ით	ყოველივე	ამ-ით
ვით.	ყველაფერ	ამა-დ	ყოველივე	ამა-დ
ნოდ.	–		–	

ნაცვალსახელი **იგივე**, რომელიც ინვერსიული მსაზღვრელის ფუნქციას ასრულებს, თავის საზღვრულს ეთანხმება ყველა ბრუნვაში.

სახ.	საკითხ-ი	იგივე
მოთხრ.	საკითხ-მა	იმავე-მ
მიც.	საკითხ-ს	იმავე-ს
ნათ.	საკითხ-ის	იმავე-ს(ი)
მოქმ.	საკითხ-ით	იმავე-თი
ვით.	საკითხ-ად	იმავე-დ
ნოდ.	–	

პოსტპოზიციური მსაზღვრელის ფუნქციით წარმოდგენილი გამოთქმის – **ერთი და იგივე** – ორივე კომპონენტი ყველა ბრუნვაში სრულად დაირთავს შესაბამის ნიშნებს, თუმცა ვითარებითში დასაშვებია პირველი ნაწილის (**ერთი**) ფუძეგაუფორმებელი ვარიანტით გამოყენებაც.

სახ.	საკითხ-ი	ერთ-ი და იგივე
მოთხრ.	საკითხ-მა	ერთ-მა და იმავე-მ
მიც.	საკითხ-ს	ერთ-ს-ა და იმავე-ს
ნათ.	საკითხ-ის	ერთ-ის-ა და იმავე-ს(ი)
მოქმ.	საკითხ-ით	ერთ-ით-ა და იმავე-თი
ვით.	საკითხ-ად	ერთ(-ს-ა) და იმავე-დ
ნოდ.	–	

თუ საზღვრული წევრი თანდებულიანი ფორმით არის წარმოდგენილი, მსაზღვრელი ნაცვალ-სახელიც დაირთავს თანდებულს: „ეს ორი დღეა, რატომღაც, / ვარ **ხასიათზე ისეთზე**“ ... (მუხრანი)...

### ლიტერატურა

1. არაბული ავთ., ქართული მეტყველების კულტურა, თბილისი, 2004.
2. აფრიდონიძე შ., ჩვენი ენა ქართული, თბილისი, 2009.
3. დავითიანი ა., ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1973.
4. თანამედროვე ქართული ენა, მორფოლოგია, გ. გოგოლაშვილის საერთო რედაქციით, თბილისი, 2011.
5. კვაჭაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 2010.
6. კვაჭაძე ლ., ქართული ენა, თბილისი, 2018.
7. ლეჟავა ლ., მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან მრავლობით რიცხვში, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბილისი, 1970.
8. შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, მორფოლოგია, თბილისი, 1973.

9. ჩიქობავა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება, თბილისი, 1998.
10. ჯანაშია ს., მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან ბრუნვაში (წითელი დროშის თუ წითელ დროშის?), თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბილისი, 1970.

ნორმათა პირველი ვერსიები შეიმუშავეს ს. ჯანაშიამ (მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან ბრუნვაში) და ლ. ლეჟავამ (მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან მრავლობით რიცხვში), გამოქვეყნებულია 1970 წელს „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში“.

**ნორმის პროექტის ახალი რედაქცია მოამზადა თამარ ვაშაკიძემ.**

პროექტი განხილულია თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე (2022 წლის 22 ნოემბერს) და მიღებულია სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის 2022 წლის 27 დეკემბრის სხდომაზე.

**ატრიბუტული მსაზღვრელი არსებითი სახელის შეთანხმება  
საზღვრულთან ბრუნვაში და რიცხვში**

არსებითი სახელით გადმოცემული ატრიბუტული მსაზღვრელის საზღვრულთან შეთანხმებისას უნდა გატარდეს შემდეგი წესები:

1. საზღვრული წევრი მრავლობითში არ დაისმის, თუ მას მსაზღვრელად ახლავს ზომა-ნონის ან სხვა ოდენობის გამომხატველი არსებითი სახელი (რომელთანაც ხშირად რაოდენობითი რიცხვითი სახელიც არის წარმოდგენილი): (ორი) კილო პური, (ხუთი) ჰექტარი მიწა, (სამი) ბოთლი ღვინო...

1.1. მსაზღვრელი არსებითი სახელი, რომლის ფუძე ხმოვანზე ბოლოვდება, ისე შეეწყობა საზღვრულს ბრუნვაში, როგორც ბოლოხმოვნისანი ზედსართავი.

სახ.	ჭიქა	წყალ-ი
მოთხრ.	ჭიქა	წყალ-მა
მიც.	ჭიქა	წყალ-ს
ნათ.	ჭიქა	წყალ-ის
მოქმ.	ჭიქა	წყალ-ით
ვით.	ჭიქა	წყალ-ად
ნოდ.	(ჭიქა	წყალ-ო)

1.2. ბოლოთანხმოვნისანი არსებითი სახელი, რომელიც ატრიბუტულ მსაზღვრელად არის წარმოდგენილი, ისე ეთანხმება საზღვრულს ბრუნვაში, როგორც შესაბამისი ფუძის მქონე ზედსართავი.

სახ.	ურემ-ი	შეშა
მოთხრ.	ურემ-მა	შეშა-მ
მიც.	ურემ	შეშა-ს
ნათ.	ურემ-ი	შეშ-ის
მოქმ.	ურემ-ი	შეშ-ით
ვით.	ურემ	შეშა-დ
ნოდ.	(ურემ-ო	შეშა-ვ)

1.3. თუ საზღვრულად წარმოდგენილია ვინ ჯგუფის არსებითი სახელი, ის მრავლობით რიცხვშიც დაისმის: მთა კაცები... გამონაკლისია ისეთი შემთხვევები, როცა საზღვრულად გამოიყენება (გარკვეულ კონტექსტში) სიმრავლის გამომხატველი სახელი: ზღვა ხალხი...

2. პროფესია-საქმიანობისა თუ ნოდება-თანამდებობის აღმნიშვნელი ფუძეთანხმოვნისანი მსაზღვრელი (ექიმი, მწერალი, კომპოზიტორი, მხატვარი, პატრიარქი, ადვოკატი, ყურნალისტი, პროგრამისტი, კაპიტანი, გრაფი, დირექტორი, მდივანი, მერი, მინისტრი, მრჩეველი...) თავის საზღვრულს

სრულად ეთანხმება (ე. ი. ბრუნვის ნიშნებს სრულად დაირთავს) მხოლოდ სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში, ხოლო მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში ფუძის სახით შეეწყობა მას.

სახ.	პროფესორ-ი	რაზმადე
მოთხრ.	პროფესორ-მა	რაზმადე-მ
მიც.	პროფესორ	რაზმადე-ს
ნათ.	პროფესორ	რაზმად-ის
მოქმ.	პროფესორ	რაზმად-ით
ვით.	პროფესორ	რაზმადე-დ
წოდ.	პროფესორ-ო	რაზმადე

2.1. ანალოგიური ვითარება გვექნება მაშინაც, როცა საზღვრულად წარმოდგენილია სახელი და გვარი ერთად.

სახ.	მინისტრ-ი	გიორგი	ფხაკაძე
მოთხრ.	მინისტრ-მა	გიორგი	ფხაკაძე-მ
მიც.	მინისტრ	გიორგი	ფხაკაძე-ს
ნათ.	მინისტრ	გიორგი	ფხაკაძ-ის
მოქმ.	მინისტრ	გიორგი	ფხაკაძ-ით
ვით.	მინისტრ	გიორგი	ფხაკაძე-დ
წოდ.	მინისტრ-ო	გიორგი	ფხაკაძე

2.2. ერთი და იმავე არსებითი სახელით გადმოცემული ფუძეთანხმოვნის მსაზღვრელი სხვადასხვაგვარად შეეწყობა საკუთარი და საზოგადო სახელებით წარმოდგენილ საზღვრულს: თუ ეს უკანასკნელი (საზღვრული) საკუთარი სახელია, მსაზღვრელი მას ისე ეთანხმება, როგორც პროფესია-საქმიანობისა და წოდება-თანამდებობის აღმნიშვნელი სიტყვები, ხოლო თუ საზღვრული წევრი საზოგადო სახელით არის გამოხატული, დასახელებული ტიპის მსაზღვრელი მას შეეწყობა ისე, როგორც შესაბამისი ფუძის მქონე ზედსართავი.

სახ.	ექიმ-ი	მაჩაბელ-ი	ექიმ-ი	კაც-ი
მოთხრ.	ექიმ-მა	მაჩაბელ-მა	ექიმ-მა	კაც-მა
მიც.	ექიმ	მაჩაბელ-ს	ექიმ	კაც-ს
ნათ.	ექიმ	მაჩაბლ-ის	ექიმ-ი	კაც-ის
მოქმ.	ექიმ	მაჩაბლ-ით	ექიმ-ი	კაც-ით
ვით.	ექიმ	მაჩაბლ-ად	ექიმ	კაც-ად
წოდ.	ექიმ-ო	მაჩაბელ-ო	ექიმ-ო	კაც-ო

2.3. **მცხოვრები, განმცხადებელი, ხელისმომწერი** ტიპის ფუძეთანხმოვნის მიმღობური ფორმები ისე ეთანხმებიან საკუთარი სახელებით წარმოდგენილ საზღვრულს ბრუნვაში, როგორც პროფესია-საქმიანობისა თუ წოდება-თანამდებობის აღმნიშვნელი სახელები.

სახ.	განმცხადებელ-ი	თემურ	გოგიჩაიშვილ-ი
მოთხრ.	განმცხადებელ-მა	თემურ	გოგიჩაიშვილ-მა
მიც.	განმცხადებელ	თემურ	გოგიჩაიშვილ-ს
ნათ.	განმცხადებელ	თემურ	გოგიჩაიშვილ-ის

მოქმ.	განმცხადებელ	თემურ	გოგიჩაიშვილ-ით
ვით.	განმცხადებელ	თემურ	გოგიჩაიშვილ-ად
წოდ.	განმცხადებელ-ო	თემურ	გოგიჩაიშვილ-ო

2.4. ფუძემოვნიანი მსაზღვრელი (ასევე პროფესია-საქმიანობის გამომხატველი) ისე შეენყო-ბა საზღვრულს ბრუნვაში, როგორც შესაბამისი ფუძის მქონე ზედსართავი.

სახ.	მეპურე	ზაქრო	მევიოლინე	ლიანა	ისაკაძე
მოთხრ.	მეპურე	ზაქრო-მ	მევიოლინე	ლიანა	ისაკაძე-მ
მიც.	მეპურე	ზაქრო-ს	მევიოლინე	ლიანა	ისაკაძე-ს
ნათ.	მეპურე	ზაქრო-ს(ი)	მევიოლინე	ლიანა	ისაკაძ-ის
მოქმ.	მეპურე	ზაქრო-თი	მევიოლინე	ლიანა	ისაკაძ-ით
ვით.	მეპურე	ზაქრო-დ	მევიოლინე	ლიანა	ისაკაძე-დ
წოდ.	მეპურე	ზაქრო	მევიოლინე	ლიანა	ისაკაძე

3. გეოგრაფიულ სახელთა მსაზღვრელები (**ქალაქი, სოფელი**) ისე ეთანხმებიან საზღვრულს ბრუნვაში, როგორც პროფესია-საქმიანობის აღმნიშვნელი ფუძეთანხმონიანი დანართები.

სახ.	ქალაქი	თბილის-ი
მოთხრ.	ქალაქ-მა	თბილის-მა
მიც.	ქალაქ	თბილის-ს
ნათ.	ქალაქ	თბილის-ის
მოქმ.	ქალაქ	თბილის-ით
ვით.	ქალაქ	თბილის-ად
წოდ.	ქალაქ-ო	თბილის-ო

აღნიშნული ტიპის მსაზღვრელი (**ქალაქი, სოფელი**) ნაკლებად დასტურდება პოსტპოზიციური წყობით, თუმცა პოეზიაში ასეთი შემთხვევებიც დაჩნდება: „ჩემო **თბილის ქალაქო**, შენმა დარმაც იდარა“ (პ. გრუზ.).

3.1. ფუძემოვნიანი ატრიბუტული მსაზღვრელი (**დაბა, მდინარე** ტიპისა) საზღვრულს ბრუნ-ვაში შეენყობა ისე, როგორც შესაბამისი ფუძის მქონე ზედსართავი სახელი.

სახ.	დაბა	ნასაკირალ-ი
მოთხრ.	დაბა	ნასაკირალ-მა
მიც.	დაბა	ნასაკირალ-ს
ნათ.	დაბა	ნასაკირალ-ის
მოქმ.	დაბა	ნასაკირალ-ით
ვით.	დაბა	ნასაკირალ-ად
წოდ.	დაბა	ნასაკირალ-ო

4. საზოგადო სახელები **ბატონი** და **ქალბატონი** საკუთარ სახელებთან ბრუნებისას ინარ-ჩუნებენ -ი ნიშანს (ბრუნვისნიშნისეულ ხმოვნით ელემენტს) ნათ. და მოქმ. ბრუნვებში (წოდებით ბრუნვაში დასტურდება აგრეთვე **ზურაბ ბატონო** შესიტყვება).

სახ.	ბატონ-ი	ზურაბ-ი	ქალბატონ-ი	რუსუდან-ი
მოთხრ.	ბატონ-მა	ზურაბ-მა	ქალბატონ-მა	რუსუდან-მა
მიც.	ბატონ	ზურაბ-ს	ქალბატონ	რუსუდან-ს
ნათ.	ბატონ-ი	ზურაბ-ის	ქალბატონ-ი	რუსუდან-ის
მოქმ.	ბატონ-ი	ზურაბ-ით	ქალბატონ-ი	რუსუდან-ით
ვით.	ბატონ	ზურაბ-ად	ქალბატონ	რუსუდან-ად
წოდ.	ბატონ-ო	ზურაბ	ქალბატონ-ო	რუსუდან

4.1. უცხოური სიტყვები, რომლებიც საკუთარ სახელთა მსაზღვრელებად გამოიყენება

(**მადამ, მისტერ, მისის, ლედი, სერ, სინიორ, სინიორინა, მესიე, ფრაუ, დონ, დონა, პანი...** ტიპისა)

– ფუძემოვნიანნიცა და ფუძეთანხმოვნიანნიც – ყველა ბრუნვაში ფორმაუცვლელად შეენწყობიან საკუთარ სახელებს.

სახ.	მისტერ	ჰიგინს-ი	სერ	მაიკლ-ი	ლედი	ჰამილტონ-ი
მოთხრ.	მისტერ	ჰიგინს-მა	სერ	მაიკლ-მა	ლედი	ჰამილტონ-მა
მიც.	მისტერ	ჰიგინს-ს	სერ	მაიკლ-ს	ლედი	ჰამილტონ-ს
ნათ.	მისტერ	ჰიგინს-ის	სერ	მაიკლ-ის	ლედი	ჰამილტონ-ის
მოქმ.	მისტერ	ჰიგინს-ით	სერ	მაიკლ-ით	ლედი	ჰამილტონ-ით
ვით.	მისტერ	ჰიგინს-ად	სერ	მაიკლ-ად	ლედი	ჰამილტონ-ად
წოდ.	მისტერ	ჰიგინს-ო	სერ	მაიკლ	ლედი	ჰამილტონ-ო

### დასაბუთება

თანამედროვე ქართულში ატრიბუტულ მსაზღვრელად დასტურდება ზომა-წონის, ფართობის, სანყაოსა თუ რაიმე სიდიდე-სიმრავლის აღმნიშვნელი არსებითი სახელები (ორი **მეტრი** ქსოვილი, **კილოგრამი** შაქარი, **ჰექტარი** მიწა, **ჭიქა** წყალი, **ურემი** შეშა, **ზღვა** ხალხი...), პროფესია-საქმიანობისა თუ წოდება-თანამდებობის გამომხატველი სიტყვები (**პროფესორი** რაზმაძე, **მწერალი** მიხეილ ჯავახიშვილი, **ადვოკატი** გელაშვილი...), გეოგრაფიულ სახელთა დანართები (**ქალაქი** თბილისი, **სოფელი** დილომი...), მიმართვა-მოხსენიებისას გამოყენებული ქართული თუ უცხოური სიტყვები (**ბატონი** ზურაბი, **ქალბატონი** რუსუდანი, **მისტერ** ჰიგინსი, **ლედი** ჰამილტონი...), ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი სახელები (**დეიდა** ქეთევანი, **ბიძია** გიორგი, **ნოდარ** ბიძია..., **მამა-შვილი** დიუმები, **ძმები** გრიმები, **და-ძმა** ბაგრატიონები...), სასულიერო პირთა მიმართვისას გამოყენებული სიტყვები (**მამა** პეტრე, **დედა** ეფემია...) და სხვ. მაგალითები: „ნუთუ ნახევარი საუკუნე იმისთვის იცხოვრეს, რომ ოთხი ფიჭვის ფიცარი ეშოვნათ და სამ-სამი **ადლი მინა**“ (ილია); „იქ ერთი **ორმო თხილი** მაქვს შენახული“ (ვაჟა); „გლემბა გათიბა ცხრა **ურემი თივა**“ (ი. ევლოშვილი); „ვენახში ათი-თორმეტი **ძირი ატამიც** იდგა“ (რ. ჯაფარიძე); „დედამ შვილს ჩაულაგა ერთი **ხელი... ქვეშაგები**“ (ილია); „გამოფენას **ზღვა ხალხი** მიანყდა“ („ლიტ. და ხელოვნ.“); „**პროფესორ რაზმაძის** ლექციას ყველა უსმენდა“; ეფემია **კაპიტან ლომოვს** ესაუბრებოდა“ (მ. ჯავახიშვილი); „იყო დრო, როცა **ქალაქ ფოთის** ნავთსადგურში პირველად იწვილა ცეცხლის გემმა“ (გ. წერეთელი); „**ქალბატონი რუსუდანი**თ მთელი სკოლა ამაყობს“; „არასდროს დამავინყდება **დეიდა მაიკოს** ალერსიანი შემოცქერა“ (გ. ლეონიძე); „**მამა ზურაბის** ყოველ სიტყვას მრევლი სულგანაბული უსმენდა“; „**მისტერ ჩესტლს** თქვენი გაცნობა სურს, **მისტერ კოპერფილდ**“ (ქ. ბაქრ. თარგმ.) და ა. შ.

არსებითი სახელით გადმოცემული ატრიბუტული მსაზღვრელის საზღვრულთან შეთანხმებისას გასათვალისწინებელია შემდეგი:



საზღვრული წევრი მრავლობითში არ დაისმის, თუ მას მსაზღვრელად ახლავს ზომა-წონის ან სხვა ოდენობის გამომხატველი არსებითი სახელი (რომელთანაც ხშირად რაოდენობითი რიცხვითი სახელიც არის წარმოდგენილი): (ორი) კილო პური, (ხუთი) ჰექტარი მიწა, (სამი) ბოთლი ღვინო...

სახ.	ჰექტარ-ი	მიწა	ხუთ-ი	ჰექტარ-ი	მიწა
მოთხრ.	ჰექტარ-მა	მიწა-მ	ხუთ-მა	ჰექტარ-მა	მიწა-მ
მიც.	ჰექტარ	მიწა-ს	ხუთ	ჰექტარ	მიწა-ს
ნათ.	ჰექტარ-ი	მიწ-ის	ხუთ-ი	ჰექტარ-ი	მიწ-ის
მოქმ.	ჰექტარ-ი	მიწ-ით	ხუთ-ი	ჰექტარ-ი	მიწ-ით
ვით.	ჰექტარ	მიწა-დ	ხუთ	ჰექტარ	მიწა-დ
ნოდ.	(ჰექტარ-ო	მიწა-ვ)	(ხუთ-ო	ჰექტარ-ო	მიწა-ვ)

მსაზღვრელი არსებითი სახელი, რომლის ფუძე ხმოვანზე ბოლოვდება, ისე შეეწყობა საზღვრულს ბრუნვაში, როგორც ბოლოხმოვნისა ზედსართავი.

სახ.	ჭიქა	წყალ-ი	ერთ-ი	ჭიქა	წყალ-ი
მოთხრ.	ჭიქა	წყალ-მა	ერთ-მა	ჭიქა	წყალ-მა
მიც.	ჭიქა	წყალ-ს	ერთ	ჭიქა	წყალ-ს
ნათ.	ჭიქა	წყლ-ის	ერთ-ი	ჭიქა	წყლ-ის
მოქმ.	ჭიქა	წყლ-ით	ერთ-ი	ჭიქა	წყლ-ით
ვით.	ჭიქა	წყლ-ად	ერთ	ჭიქა	წყლ-ად
ნოდ.	(ჭიქა	წყალ-ო)	(ერთ-ო	ჭიქა	წყალ-ო)

ბოლოთანხმოვნისა მსაზღვრელი არსებითი სახელი ისე ეთანხმება თავის საზღვრულს ბრუნვაში, როგორც შესაბამისი ფუძის მქონე ზედსართავი.

სახ.	ურემ-ი	შეშა	უღელ-ი	ხარ-ი
მოთხრ.	ურემ-მა	შეშა-მ	უღელ-მა	ხარ-მა
მიც.	ურემ	შეშა-ს	უღელ	ხარ-ს
ნათ.	ურემ-ი	შეშ-ის	უღელ-ი	ხარ-ის
მოქმ.	ურემ-ი	შეშ-ით	უღელ-ი	ხარ-ით
ვით.	ურემ	შეშა-დ	უღელ	ხარ-ად
ნოდ.	(ურემ-ო	შეშა-ვ)	(უღელ-ო	ხარ-ო)

თუ საზღვრულად წარმოდგენილია ვინ ჯგუფის არსებითი სახელი, ის მრავლობით რიცხვშიც დაისმის: მთა კაცები... გამონაკლისია ისეთი შემთხვევები, როცა საზღვრულად გამოიყენება (გარკვეულ კონტექსტში) სიმრავლის გამომხატველი სახელი: ზღვა ხალხი...

სახ.	მთა	კაც-ებ-ი	ზღვა	ხალხ-ი
მოთხრ.	მთა	კაც-ებ-მა	ზღვა	ხალხ-მა
მიც.	მთა	კაც-ებ-ს	ზღვა	ხალხ-ს
ნათ.	მთა	კაც-ებ-ის	ზღვა	ხალხ-ის
მოქმ.	მთა	კაც-ებ-ით	ზღვა	ხალხ-ით
ვით.	მთა	კაც-ებ-ად	ზღვა	ხალხ-ად
ნოდ.	მთა	კაც-ებ-ო	ზღვა	ხალხ-ო

პროფესია-საქმიანობისა თუ წოდება-თანამდებობის აღმნიშვნელი ფუძეთანხმოვნისა მსაზღვრელი (ექიმი, მწერალი, კომპოზიტორი, მხატვარი, პატრიარქი, ადვოკატი, ჟურნალისტი, პროგრამისტი, კაპიტანი, გრაფი, დირექტორი, მდივანი, მერი, მინისტრი, მრჩეველი...) თავის საზღვრულს სრულად ეთანხმება (ე. ი. ბრუნვის ნიშნებს სრულად დაირთავს) სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში, ხოლო მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში ფუძის სახით შეეწყობა მას.

სახ.	პროფესორ-ი	რაზმაძე	პატრიარქ-ი	ილია II
მოთხრ.	პროფესორ-მა	რაზმაძე-მ	პატრიარქ-მა	ილია II-მ
მიც.	პროფესორ	რაზმაძე-ს	პატრიარქ	ილია II-ს
ნათ.	პროფესორ	რაზმაძ-ის	პატრიარქ	ილია II-ის
მოქმ.	პროფესორ	რაზმაძ-ით	პატრიარქ	ილია II-ით
ვით.	პროფესორ	რაზმაძე-დ	პატრიარქ	ილია II-დ
წოდ.	პროფესორ-ო	რაზმაძე	პატრიარქ-ო	ილია II-(ვ)

სახ.	გრაფ-ი	ალექსანდრე	ადვოკატ-ი	გელაშვილ-ი
მოთხრ.	გრაფ-მა	ალექსანდრე-მ	ადვოკატ-მა	გელაშვილ-მა
მიც.	გრაფ	ალექსანდრე-ს	ადვოკატ	გელაშვილ-ს
ნათ.	გრაფ	ალექსანდრე-ს(ი)	ადვოკატ	გელაშვილ-ის
მოქმ.	გრაფ	ალექსანდრე-თი	ადვოკატ	გელაშვილ-ით
ვით.	გრაფ	ალექსანდრე-დ	ადვოკატ	გელაშვილ-ად
წოდ.	გრაფ-ო	ალექსანდრე	ადვოკატ-ო	გელაშვილ-ო

ანალოგიური ვითარება გვექნება მაშინაც, როცა საზღვრულად წარმოდგენილია სახელი და გვარი ერთად.

სახ.	მწერალ	კონსტანტინე	გამსახურდია
მოთხრ.	მწერალ-მა	კონსტანტინე	გამსახურდია-მ
მიც.	მწერალ	კონსტანტინე	გამსახურდია-ს
ნათ.	მწერალ	კონსტანტინე	გამსახურდია-ს(ი)
მოქმ.	მწერალ	კონსტანტინე	გამსახურდია-თი
ვით.	მწერალ	კონსტანტინე	გამსახურდია-დ
წოდ.	მწერალ-ო	კონსტანტინე	გამსახურდია

სახ.	კომპოზიტორ-ი	ზაქარია	ფალიაშვილ-ი
მოთხრ.	კომპოზიტორ-მა	ზაქარია	ფალიაშვილ-მა
მიც.	კომპოზიტორ	ზაქარია	ფალიაშვილ-ს
ნათ.	კომპოზიტორ	ზაქარია	ფალიაშვილ-ის
მოქმ.	კომპოზიტორ	ზაქარია	ფალიაშვილ-ით
ვით.	კომპოზიტორ	ზაქარია	ფალიაშვილ-ად
წოდ.	კომპოზიტორ-ო	ზაქარია	ფალიაშვილ-ო

სახ.	მინისტრ-ი	გიორგი	ფხაკაძე
მოთხრ.	მინისტრ-მა	გიორგი	ფხაკაძე-მ
მიც.	მინისტრ	გიორგი	ფხაკაძე-ს

ნათ.	მინისტრ	გიორგი	ფხაკაძე-ის
მოქმ.	მინისტრ	გიორგი	ფხაკაძე-ით
ვით.	მინისტრ	გიორგი	ფხაკაძე-დ
წოდ.	მინისტრ-ო	გიორგი	ფხაკაძე

სახ.	მერ-ი	ვახტანგ	გიორგობიანი-ი
მოთხრ.	მერ-მა	ვახტანგ	გიორგობიანი-მა
მიც.	მერ	ვახტანგ	გიორგობიანი-ს
ნათ.	მერ	ვახტანგ	გიორგობიანი-ის
მოქმ.	მერ	ვახტანგ	გიორგობიანი-ით
ვით.	მერ	ვახტანგ	გიორგობიანი-ად
წოდ.	მერ-ო	ვახტანგ	გიორგობიანი-ო

ერთი და იმავე არსებითი სახელით გადმოცემული ფუძეთანხმოვნის მსაზღვრელი სხვა-დასხვაგვარად შეეწყობა საკუთარი და საზოგადო სახელებით წარმოდგენილ საზღვრულს: თუ ეს უკანასკნელი (საზღვრული) საკუთარი სახელია, მსაზღვრელი მას ისე ეთანხმება, როგორც პროფესია-საქმიანობისა და წოდება-თანამდებობის აღმნიშვნელი სიტყვები, ხოლო თუ საზღვრული წვერი საზოგადო სახელით არის გამოხატული, დასახელებული ტიპის მსაზღვრელი მას შეეწყობა ისე, როგორც შესაბამისი ფუძის მქონე ზედსართავი.

**საკუთარ სახელთან**

**საზოგადო სახელთან**

სახ.	ექიმ-ი	მაჩაბელ-ი	ექიმ-ი	კაც-ი
მოთხრ.	ექიმ-მა	მაჩაბელ-მა	ექიმ-მა	კაც-მა
მიც.	ექიმ	მაჩაბელ-ს	ექიმ	კაც-ს
ნათ.	ექიმ	მაჩაბელ-ის	ექიმ-ი	კაც-ის
მოქმ.	ექიმ	მაჩაბელ-ით	ექიმ-ი	კაც-ით
ვით.	ექიმ	მაჩაბელ-ად	ექიმ	კაც-ად
წოდ.	ექიმ-ო	მაჩაბელ-ო	ექიმ-ო	კაც-ო

**საკუთარ სახელთან**

**საზოგადო სახელთან**

სახ.	პროგრამისტ-ი	თამაზ	ელიზბარაშვილ-ი	პროგრამისტ-ი	კაც-ი
მოთხრ.	პროგრამისტ-მა	თამაზ	ელიზბარაშვილ-მა	პროგრამისტ-მა	კაც-მა
მიც.	პროგრამისტ	თამაზ	ელიზბარაშვილ-ს	პროგრამისტ	კაც-ს
ნათ.	პროგრამისტ	თამაზ	ელიზბარაშვილ-ის	პროგრამისტ-ი	კაც-ის
მოქმ.	პროგრამისტ	თამაზ	ელიზბარაშვილ-ით	პროგრამისტ-ი	კაც-ით
ვით.	პროგრამისტ	თამაზ	ელიზბარაშვილ-ად	პროგრამისტ	კაც-ად
წოდ.	პროგრამისტ-ო	თამაზ	ელიზბარაშვილ-ო	პროგრამისტ-ო	კაც-ო

**საკუთარ სახელთან**

**საზოგადო სახელთან**

სახ.	ჟურნალისტ-ი	ქეთევან	თავაძე	ჟურნალისტ-ი	ქალ-ი
მოთხრ.	ჟურნალისტ-მა	ქეთევან	თავაძე-მ	ჟურნალისტ-მა	ქალ-მა
მიც.	ჟურნალისტ	ქეთევან	თავაძე-ს	ჟურნალისტ	ქალ-ს

ნათ.	ჟურნალისტ	ქეთევან	თავაძის	ჟურნალისტ-ი	ქალ-ის
მოქმ.	ჟურნალისტ	ქეთევან	თავაძით	ჟურნალისტ-ი	ქალ-ით
ვით.	ჟურნალისტ	ქეთევან	თავაძე-დ	ჟურნალისტ	ქალ-ად
წოდ.	ჟურნალისტ-ო	ქეთევან	თავაძე	ჟურნალისტ-ო	ქალ-ო

**მცხოვრები, განმცხადებელი, ხელისმომწერი** ტიპის ფუძეთანხმომწერიანი მიმღებობური ფორმები ისე ეთანხმებიან საკუთარი სახელებით წარმოდგენილ საზღვრულს ბრუნვაში, როგორც პროფესია-საქმიანობისა თუ წოდება-თანამდებობის აღმნიშვნელი სახელები.

სახ.	განმცხადებელ-ი	თემურ	გოგიჩაიშვილ-ი
მოთხრ.	განმცხადებელ-მა	თემურ	გოგიჩაიშვილ-მა
მიც.	განმცხადებელ	თემურ	გოგიჩაიშვილ-ს
ნათ.	განმცხადებელ	თემურ	გოგიჩაიშვილ-ის
მოქმ.	განმცხადებელ	თემურ	გოგიჩაიშვილ-ით
ვით.	განმცხადებელ	თემურ	გოგიჩაიშვილ-ად
წოდ.	განმცხადებელ-ო	თემურ	გოგიჩაიშვილ-ო

ფუძემოწერიანი მსაზღვრელი (პროფესია-საქმიანობის გამომხატველი) ისე შეეწყობა საზღვრულს ბრუნვაში, როგორც შესაბამისი ფუძის მქონე ზედსართავი.

სახ.	მეპურე	ზაქრო	მევიოლინე	ლიანა	ისაკაძე
მოთხრ.	მეპურე	ზაქრო-მ	მევიოლინე	ლიანა	ისაკაძე-მ
მიც.	მეპურე	ზაქრო-ს	მევიოლინე	ლიანა	ისაკაძე-ს
ნათ.	მეპურე	ზაქრო-ს(ი)	მევიოლინე	ლიანა	ისაკაძის
მოქმ.	მეპურე	ზაქრო-თი	მევიოლინე	ლიანა	ისაკაძით
ვით.	მეპურე	ზაქრო-დ	მევიოლინე	ლიანა	ისაკაძე-დ
წოდ.	მეპურე	ზაქრო	მევიოლინე	ლიანა	ისაკაძე

მსაზღვრელად გამოყენებული ფუძეთანხმომწერიანი სახელები (**ქალაქი, სოფელი** ტიპისა) თანხმობით საზღვრულებს ბრუნვაში ეთანხმებიან ისე, როგორც პროფესია-საქმიანობის აღმნიშვნელი სიტყვები.

სახ.	ქალაქი	თბილის-ი	სოფელ-ი	კარალეთ-ი
მოთხრ.	ქალაქ-მა	თბილის-მა	სოფელ-მა	კარალეთ-მა
მიც.	ქალაქ	თბილის-ს	სოფელ	კარალეთ-ს
ნათ.	ქალაქ	თბილის-ის	სოფელ	კარალეთ-ის
მოქმ.	ქალაქ	თბილის-ით	სოფელ	კარალეთ-ით
ვით.	ქალაქ	თბილის-ად	სოფელ	კარალეთ-ად
წოდ.	ქალაქ-ო	თბილის-ო	სოფელ-ო	კარალეთ-ო

აღნიშნული ტიპის მსაზღვრელი (**ქალაქი, სოფელი**) ნაკლებად დასტურდება პოსტპოზიციური წყობით, თუმცა პოეზიაში ასეთი შემთხვევებიც დაჩნდება: „ჩემო **თბილის ქალაქო**, შენმა დარმაც იდარა“ (პ. გრუზ.).

ფუძემოწერიანი მსაზღვრელი (**დაბა, მდინარე** ტიპისა) ისე ეთანხმება საზღვრულს ბრუნვაში,

როგორც შესაბამისი ფუძის მქონე ზედსართავი.

სახ.	დაბა	ნასაკირალ-ი	მდინარე	მტკვარ-ი
მოთხრ.	დაბა	ნასაკირალ-მა	მდინარე	მტკვარ-მა
მიც.	დაბა	ნასაკირალ-ს	მდინარე	მტკვარ-ს
ნათ.	დაბა	ნასაკირალ-ის	მდინარე	მტკვარ-ის
მოქმ.	დაბა	ნასაკირალ-ით	მდინარე	მტკვარ-ით
ვით.	დაბა	ნასაკირალ-ად	მდინარე	მტკვარ-ად
ნოდ.	დაბა	ნასაკირალ-ო	მდინარე	მტკვარ-ო

საზოგადო სახელები **ბატონი** და **ქალბატონი** საკუთარ სახელებთან ბრუნებისას ინარჩუნებენ -ი ნიშანს (ბრუნვისნიშნისეულ ხმოვნით ელემენტს) ნათ. და მოქმ. ბრუნვებში. ნოდებში დასტურდება აგრეთვე **ზურაბ ბატონო** შესიტყვება.

სახ.	ბატონ-ი	ზურაბ-ი	ქალბატონ-ი	რუსუდან-ი
მოთხრ.	ბატონ-მა	ზურაბ-მა	ქალბატონ-მა	რუსუდან-მა
მიც.	ბატონ	ზურაბ-ს	ქალბატონ	რუსუდან-ს
ნათ.	ბატონ-ი	ზურაბ-ის	ქალბატონ-ი	რუსუდან-ის
მოქმ.	ბატონ-ი	ზურაბ-ით	ქალბატონ-ი	რუსუდან-ით
ვით.	ბატონ	ზურაბ-ად	ქალბატონ	რუსუდან-ად
ნოდ.	ბატონ-ო	ზურაბ	ქალბატონ-ო	რუსუდან

უცხოური სიტყვები, რომლებიც საკუთარ სახელებს განსაზღვრავენ (**მადამ, მისტერ, მისის, ლედი, სერ, სინიორ, სინიორინა, მესიე, ფრაუ, დონ, დონა, ჰანი...** ტიპისა) – ფუძემოვნიანნიცა და ფუძეთანხმოვნიანნიცა – ყველა ბრუნვაში ფორმაუცვლელად შეენყობიან საკუთარ სახელებს.

სახ.	მისტერ	ჰიგინს-ი	ლედი	ჰამილტონ-ი	სერ	მაიკლ-ი
მოთხრ.	მისტერ	ჰიგინს-მა	ლედი	ჰამილტონ-მა	სერ	მაიკლ-მა
მიც.	მისტერ	ჰიგინს-ს	ლედი	ჰამილტონ-ს	სერ	მაიკლ-ს
ნათ.	მისტერ	ჰიგინს-ის	ლედი	ჰამილტონ-ის	სერ	მაიკლ-ის
მოქმ.	მისტერ	ჰიგინს-ით	ლედი	ჰამილტონ-ით	სერ	მაიკლ-ით
ვით.	მისტერ	ჰიგინს-ად	ლედი	ჰამილტონ-ად	სერ	მაიკლ-ად
ნოდ.	მისტერ	ჰიგინს-ო	ლედი	ჰამილტონ-ო	სერ	მაიკლ

### ლიტერატურა

1. არაბული ავთ., ქართული მეტყველების კულტურა, თბილისი, 2004.
2. აფრიდონიძე შ., ჩვენი ენა ქართული, თბილისი, 2009.
3. დავითიანი ა., ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1973.
4. თანამედროვე ქართული ენა, მორფოლოგია, გ. გოგოლაშვილის საერთო რედაქციით, თბილისი, 2011.
5. კვაჭაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 2010.
6. კვაჭაძე ლ., ქართული ენა, თბილისი, 2018.
7. ლეჟავა ლ., მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან მრავლობით რიცხვში, თა-

- ნამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბილისი, 1970.
8. შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, მორფოლოგია, თბილისი, 1973.
  9. ჩიქობავა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება, თბილისი, 1998.
  10. ჯანაშია ს., მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან ბრუნვაში (წითელი დროშის თუ წითელ დროშის?), თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბილისი, 1970.

**ნორმის პროექტი მოამზადა თამარ ვაშაკიძემ.**

პროექტი განხილულია თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოზე (2022 წლის 22 ნოემბერს) და მიღებულია სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის 2022 წლის 27 დეკემბრის სხდომაზე.

**ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი სახელები ატრიბუტულ მსაზღვრელად**

ნათესაური ურთიერთობის გამომხატველი ატრიბუტული მსაზღვრელების საზღვრულთან შეთანხმებისას უნდა გატარდეს შემდეგი წესები:

1. **მამა-შვილი** ტიპის ფუძეთანხმონიანი კომპოზიტი დანართი (თანამედროვე ქართულის მონაცემთა გათვალისწინებით) ნათესაობითა და მოქმედებითში ინარჩუნებს ბრუნვისნიშნისეული ხმოვნით ელემენტს (ისევე, როგორც ეს გვაქვს **ბატონი ზურაბი, ქალბატონი ქეთევანი** ტიპის შესიტყვებებში).

სახ.	<b>მამა-შვილი-ი</b>	<b>დიუმ-ებ-ი</b>
მოთხრ.	<b>მამა-შვილ-მა</b>	<b>დიუმ-ებ-მა</b>
მიც.	<b>მამა-შვილ</b>	<b>დიუმ-ებ-ს</b>
ნათ.	<b>მამა-შვილ-ი</b>	<b>დიუმ-ებ-ის</b>
მოქმ.	<b>მამა-შვილ-ი</b>	<b>დიუმ-ებ-ით</b>
ვით.	<b>მამა-შვილ</b>	<b>დიუმ-ებ-ად</b>
ნოდ.	<b>მამა-შვილ-ო</b>	<b>დიუმ-ებ-ო</b>

1.1. ფუძეთანხმონიანი კომპოზიტი დანართი **და-ძმა** ტიპისა თავის საზღვრულს (მრავლობით რიცხვში დასმულ გვარს) შეეწყობა ისე, როგორც შესაბამისი ფუძის მქონე ზედსართავი.

სახ.	<b>და-ძმა</b>	<b>ბაგრატიონ-ებ-ი</b>
მოთხრ.	<b>და-ძმა</b>	<b>ბაგრატიონ-ებ-მა</b>
მიც.	<b>და-ძმა</b>	<b>ბაგრატიონ-ებ-ს</b>
ნათ.	<b>და-ძმა</b>	<b>ბაგრატიონ-ებ-ის</b>
მოქმ.	<b>და-ძმა</b>	<b>ბაგრატიონ-ებ-ით</b>
ვით.	<b>და-ძმა</b>	<b>ბაგრატიონ-ებ-ად</b>
ნოდ.	<b>და-ძმა</b>	<b>ბაგრატიონ-ებ-ო</b>

1.2. მრავლობითი რიცხვის ფორმით წარმოდგენილ საკუთარ სახელს, კერძოდ – გვარს, რიცხვშიც ეთანხმება ერთი სახის ნათესაური ურთიერთობის გამომხატველი მსაზღვრელი (მაგ., **ძმები ორბელიანები, ძმები გრიშები, ძმები კარამაზოვები, დები ჭავჭავაძეები, დები იშხნელები** და მისთ.) და შეეწყობა ისე, როგორც ფუძეთანხმონიანი ზედსართავი სახელი, მაშასადამე, ინარჩუნებს ბრუნვისნიშნისეული ხმოვნით ელემენტს ნათ. და მოქმ. ბრუნვებში (როგორც ეს გვაქვს **ბატონი ზურაბი, ქალბატონი ქეთევანი** ტიპის შესიტყვებებში).

სახ.	<b>ძმ-ებ-ი</b>	<b>გრიმ-ებ-ი</b>
მოთხრ.	<b>ძმ-ებ-მა</b>	<b>გრიმ-ებ-მა</b>
მიც.	<b>ძმ-ებ</b>	<b>გრიმ-ებ-ს</b>
ნათ.	<b>ძმ-ებ-ი</b>	<b>გრიმ-ებ-ის</b>

მოქმ.	ძმ-ებ-ი	გრიმ-ებ-ით
ვით.	ძმ-ებ	გრიმ-ებ-ად
წოდ.	ძმ-ებ-ო	გრიმ-ებ-ო

1.3. ზემოთქმულის მიხედვით განისაზღვრება იმ სახის შესიტყვებანიც, როცა გვარი თავად არის მსაზღვრელი (კერძოდ, სუბსტანტიური) და ახლავს საკუთარი დანართი – **ძმები გრიმების ზღაპრები**. ამ შემთხვევაში იბრუნვის მხოლოდ საზღვრული.

სახ.	ძმ-ებ-ი	გრიმ-ებ-ის	ზღაპრ-ებ-ი
მოთხრ.	ძმ-ებ-ი	გრიმ-ებ-ის	ზღაპრ-ებ-მა
მიც.	ძმ-ებ-ი	გრიმ-ებ-ის	ზღაპრ-ებ-ს
ნათ.	ძმ-ებ-ი	გრიმ-ებ-ის	ზღაპრ-ებ-ის
მოქმ.	ძმ-ებ-ი	გრიმ-ებ-ის	ზღაპრ-ებ-ით
ვით.	ძმ-ებ-ი	გრიმ-ებ-ის	ზღაპრ-ებ-ად
წოდ.	(ძმ-ებ-ი	გრიმ-ებ-ის	ზღაპრ-ებ-ო)

1.4. დასახელებული ტიპის შემთხვევებში საზღვრული მხოლოდითი რიცხვის ფორმითაც წარმოდგება.

სახ.	დ-ებ-ი	იშხნელ-ებ-ის	სიმღერა
მოთხრ.	დ-ებ-ი	იშხნელ-ებ-ის	სიმღერა-მ
მიც.	დ-ებ-ი	იშხნელ-ებ-ის	სიმღერა-ს
ნათ.	დ-ებ-ი	იშხნელ-ებ-ის	სიმღერ-ის
მოქმ.	დ-ებ-ი	იშხნელ-ებ-ის	სიმღერ-ით
ვით.	დ-ებ-ი	იშხნელ-ებ-ის	სიმღერა-დ
წოდ.	(დ-ებ-ი	იშხნელ-ებ-ის	სიმღერა-ვ)

2. სასულიერო პირთა სახელებთან მსაზღვრელად გამოყენებული ლექსიკური ერთეულები **მამა** და **დედა** ყველა ბრუნვაში ფუძის სახით დასტურდებიან – ფორმაცვალებადია მხოლოდ პირის სახელი.

სახ.	მამა	პეტრე	დედა	ეფემია
მოთხრ.	მამა	პეტრე-მ	დედა	ეფემია-მ
მიც.	მამა	პეტრე-ს	დედა	ეფემია-ს
ნათ.	მამა	პეტრე-ს(ი)	დედა	ეფემია-ს(ი)
მოქმ.	მამა	პეტრე-თი	დედა	ეფემია-თი
ვით.	მამა	პეტრე-დ	დედა	ეფემია-დ
წოდ.	მამა	პეტრე	დედა	ეფემია

2.1. თუ ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები (**დეიდა, მამიდა, ბიცოლა, ბიძია, ძია...**) უსწრებენ საკუთარ სახელს, ისინი ფორმაუცვლელად შეეხამებიან მას ყველა ბრუნვაში.

სახ.	დეიდა	ქეთო	ბიძია	ნოდარ-ი
მოთხრ.	დეიდა	ქეთო-მ	ბიძია	ნოდარ-მა



მიც.	დეიდა	ქეთო-ს	ბიძია	ნოდარ-ს
ნათ.	დეიდა	ქეთო-ს(ი)	ბიძია	ნოდარ-ის
მოქმ.	დეიდა	ქეთო-თი	ბიძია	ნოდარ-ით
ვით.	დეიდა	ქეთო-დ	ბიძია	ნოდარ-ად
ნოდ.	დეიდა	ქეთო	ბიძია	ნოდარ

თუ დასახელებული ტიპის მსაზღვრელი მოსდევს პირის სახელს, ბრუნვის ნიშნებით გაფორმდება მხოლოდ დანართი.

სახ.	ქეთო დეიდა	ნოდარ	ბიძია
მოთხრ.	ქეთო დეიდა-მ	ნოდარ	ბიძია-მ
მიც.	ქეთო დეიდა-ს	ნოდარ	ბიძია-ს
ნათ.	ქეთო დეიდ-ის/დეიდა-ს(ი)	ნოდარ	ბიძია-ს(ი)
მოქმ.	ქეთო დეიდ-ით/დეიდა-თი	ნოდარ	ბიძია-თი
ვით.	ქეთო დეიდა-დ	ნოდარ	ბიძია-დ
ნოდ.	ქეთო დეიდა(-ვ)	ნოდარ	ბიძია(-ვ)

### დასაბუთება

თანამედროვე ქართულში არცთუ იშვიათად საკუთარ სახელთა მსაზღვრელებად (დანართად) დასტურდება ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი სიტყვები. გამოიყოფა დასახელებული ტიპის მსაზღვრელთა რამდენიმე სახეობა: ა) კომპოზიტიური (**მამა-შვილი დიუმები, და-ძმა ბაგრატიონები...**); ბ) მრავლობითი რიცხვის ფორმით წარმოდგენილი (**ძმები გრიმები, დები ჭავჭავაძეები...**); გ) **დეიდა ქეთო, ნოდარ ბიძია** ტიპის შესიტყვებანი.

ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი **მამა-შვილი** ტიპის ფუძეთანხმონიანი კომპოზიტი დანართი (თანამედროვე ქართულის მონაცემთა გათვალისწინებით) ნათესაობითსა და მოქმედებითში ინარჩუნებს ბრუნვისნიშნისეულ **ი** ხმოვნით ელემენტს (ისევე, როგორც ეს გვაქვს **ბატონი ზურაბი, ქალბატონი ქეთევანი** ტიპის შესიტყვებებში).

სახ.	მამა-შვილ-ი	დიუმ-ებ-ი
მოთხრ.	მამა-შვილ-მა	დიუმ-ებ-მა
მიც.	მამა-შვილ	დიუმ-ებ-ს
ნათ.	მამა-შვილ-ი	დიუმ-ებ-ის
მოქმ.	მამა-შვილ-ი	დიუმ-ებ-ით
ვით.	მამა-შვილ	დიუმ-ებ-ად
ნოდ.	მამა-შვილ-ო	დიუმ-ებ-ო

ფუძეხმოვნიანი კომპოზიტი დანართი **და-ძმა** ტიპისა თავის საზღვრულს (მრავლობით რიცხვში დასმულ გვარს) შეეწყობა ისე, როგორც შესაბამისი ფუძის მქონე ზედსართავი.

სახ.	და-ძმა	ბაგრატიონ-ებ-ი
მოთხრ.	და-ძმა	ბაგრატიონ-ებ-მა
მიც.	და-ძმა	ბაგრატიონ-ებ-ს
ნათ.	და-ძმა	ბაგრატიონ-ებ-ის

მოქმ.	და-ძმა	ბაგრატიონ-ებ-ით
ვით.	და-ძმა	ბაგრატიონ-ებ-ად
წოდ.	და-ძმა	ბაგრატიონ-ებ-ო

მრავლობითი რიცხვის ფორმით წარმოდგენილ საკუთარ სახელს, კერძოდ – გვარს, რიცხვშიც ეთანხმება ერთი სახის ნათესაური ურთიერთობის გამომხატველი მსაზღვრელი (მაგ., **ძმები ორბელიანები, ძმები გრიშები, ძმები კარამაზოვები, დები ჭავჭავაძეები, დები იშხნელები** და ა. შ.) და შეეწყობა ისე, როგორც ფუძეთანხმოვნისა ზედსართავი სახელი, მაშასადამე, ინარჩუნებს ბრუნვისნიშნისეულ ი ხმოვნით ელემენტს ნათ. და მოქმ. ბრუნვებში (როგორც ეს გვაქვს **ბატონი ზურაბი, ქალბატონი ქეთევანი** ტიპის შესიტყვებებში).

სახ.	ძმ-ებ-ი	გრიშ-ებ-ი	დ-ებ-ი	ჭავჭავაძე-ებ-ი
მოთხრ.	ძმ-ებ-მა	გრიშ-ებ-მა	დ-ებ-მა	ჭავჭავაძე-ებ-მა
მიც.	ძმ-ებ	გრიშ-ებ-ს	დ-ებ	ჭავჭავაძე-ებ-ს
ნათ.	ძმ-ებ-ი	გრიშ-ებ-ის	დ-ებ-ი	ჭავჭავაძე-ებ-ის
მოქმ.	ძმ-ებ-ი	გრიშ-ებ-ით	დ-ებ-ი	ჭავჭავაძე-ებ-ით
ვით.	ძმ-ებ	გრიშ-ებ-ად	დ-ებ	ჭავჭავაძე-ებ-ად
წოდ.	ძმ-ებ-ო	გრიშ-ებ-ო	დ-ებ-ო	ჭავჭავაძე-ებ-ო

ზემოთქმულის მიხედვით განისაზღვრება იმ სახის შესიტყვებანიც, როცა გვარი თავად არის მსაზღვრელი (კერძოდ, სუბსტანტიური) და ახლავს საკუთარი დანართი – **ძმები გრიშების ზღაპრები**. ამ შემთხვევაში იბრუნვის მხოლოდ საზღვრული.

სახ.	ძმ-ებ-ი	გრიშ-ებ-ის	ზღაპრ-ებ-ი
მოთხრ.	ძმ-ებ-ი	გრიშ-ებ-ის	ზღაპრ-ებ-მა
მიც.	ძმ-ებ-ი	გრიშ-ებ-ის	ზღაპრ-ებ-ს
ნათ.	ძმ-ებ-ი	გრიშ-ებ-ის	ზღაპრ-ებ-ის
მოქმ.	ძმ-ებ-ი	გრიშ-ებ-ის	ზღაპრ-ებ-ით
ვით.	ძმ-ებ-ი	გრიშ-ებ-ის	ზღაპრ-ებ-ად
წოდ.	(ძმ-ებ-ი	გრიშ-ებ-ის	ზღაპრ-ებ-ო)

დასახელებლი ტიპის შემთხვევებში საზღვრული მხოლოდითი რიცხვის ფორმითაც დასტურდება.

სახ.	დ-ებ-ი	იშხნელ-ებ-ის	სიმღერა
მოთხრ.	დ-ებ-ი	იშხნელ-ებ-ის	სიმღერა-მ
მიც.	დ-ებ-ი	იშხნელ-ებ-ის	სიმღერა-ს
ნათ.	დ-ებ-ი	იშხნელ-ებ-ის	სიმღერ-ის
მოქმ.	დ-ებ-ი	იშხნელ-ებ-ის	სიმღერ-ით
ვით.	დ-ებ-ი	იშხნელ-ებ-ის	სიმღერა-დ
წოდ.	(დ-ებ-ი	იშხნელ-ებ-ის	სიმღერა-ვ)

სასულიერო პირთა სახელებთან მსაზღვრელად გამოყენებული ლექსიკური ერთეულები **მამა** და **დედა** ყველა ბრუნვაში ფუძის სახით წარმოდგებიან – ფორმაცვალებადია მხოლოდ პირის სახელი.

სახ.	მამა	პეტრე	დედა	ეფემია
მოთხრ.	მამა	პეტრე-მ	დედა	ეფემია-მ
მიც.	მამა	პეტრე-ს	დედა	ეფემია-ს
ნათ.	მამა	პეტრე-ს(ი)	დედა	ეფემია-ს(ი)
მოქმ.	მამა	პეტრე-თი	დედა	ეფემია-თი
ვით.	მამა	პეტრე-დ	დედა	ეფემია-დ
ნოდ.	მამა	პეტრე	დედა	ეფემია

თუ ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები (**დეიდა, მამიდა, ბი-ცოლა, ბიძია, ძია...**) უსწრებენ საკუთარ სახელს, ისინი ფორმაუცვლელად შეეხამებიან მას ყველა ბრუნვაში, ხოლო თუ დასახელებული ტიპის მსაზღვრელი მოსდევს პირის სახელს, ბრუნვის ნიშნე-ბით გაფორმდება მხოლოდ დანართი.

სახ.	დეიდა	ქეთო	ქეთო	დეიდა
მოთხრ.	დეიდა	ქეთო-მ	ქეთო	დეიდა-მ
მიც.	დეიდა	ქეთო-ს	ქეთო	დეიდა-ს
ნათ.	დეიდა	ქეთო-ს(ი)	ქეთო	დეიდ-ის/დეიდა-ს(ი)
მოქმ.	დეიდა	ქეთო-თი	ქეთო	დეიდ-ით/დეიდა-თი
ვით.	დეიდა	ქეთო-დ	ქეთო	დეიდა-დ
ნოდ.	დეიდა	ქეთო	ქეთო	დეიდა(-ვ)

სახ.	ბიძია	ნოდარ-ი	ნოდარ	ბიძია
მოთხრ.	ბიძია	ნოდარ-მა	ნოდარ	ბიძია-მ
მიც.	ბიძია	ნოდარ-ს	ნოდარ	ბიძია-ს
ნათ.	ბიძია	ნოდარ-ის	ნოდარ	ბიძია-ს(ი)
მოქმ.	ბიძია	ნოდარ-ით	ნოდარ	ბიძია-თი
ვით.	ბიძია	ნოდარ-ად	ნოდარ	ბიძია-დ
ნოდ.	ბიძია	ნოდარ	ნოდარ	ბიძია(-ვ)

### ლიტერატურა

1. აფრიდონიძე შ., ჩვენი ენა ქართული, თბილისი, 2009.
2. დავითიანი ა., ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1973.
3. ვაშაკიძე თ., ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელ დანართთა მართლწერისათვის, ჩიქობავას საკითხავები, XXXIII, თბილისი, 2022.
4. კვაჭაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 2010.
5. შანიძე შ., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, მორფოლოგია, თბილისი, 1973.
6. ჩიქობავა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება, თბილისი, 1998.
7. ცქიტიშვილი ნ., დანართის ძირითადი სტილისტიკური ფუნქციები და მართლწერასთან დაკავშირებული ზოგი საკითხი, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეხ-უთე, თბილისი, 1983.

ნორმათა პირველი ვერსიები შეიმუშავეს ს. ჯანაშიამ (მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან ბრუნვაში) და ლ. ლეჟავამ (მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან მრავლობით რიცხვში), გამოქვეყნებულია 1970 წელს „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში“.

**ნორმის პროექტის ახალი რედაქცია მოამზადა თამარ ვაშაკიძემ.**

პროექტი განხილულია თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოზე (2022 წლის 22 ნოემბერს) და მიღებულია სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის 2022 წლის 27 დეკემბრის სხდომაზე.

**სახელისა და გვარის ერთად ბრუნება**

სახელისა და გვარის ერთად ბრუნებისას გასათვალისწინებელია შემდეგი წესები:

1. თუ სახელი უსწრებს გვარს, ფორმაცვალებადია მხოლოდ ეს უკანასკნელი (გვარი).

სახ.	ნიკოლოზ	ბარათაშვილ-ი	ილია	ჭავჭავაძე
მოთხრ.	ნიკოლოზ	ბარათაშვილ-მა	ილია	ჭავჭავაძე-მ
მიც.	ნიკოლოზ	ბარათაშვილ-ს	ილია	ჭავჭავაძე-ს
ნათ.	ნიკოლოზ	ბარათაშვილ-ის	ილია	ჭავჭავაძ-ის
მოქმ.	ნიკოლოზ	ბარათაშვილ-ით	ილია	ჭავჭავაძ-ით
ვით.	ნიკოლოზ	ბარათაშვილ-ად	ილია	ჭავჭავაძე-დ
ნოდ.	ნიკოლოზ	ბარათაშვილ-ო	ილია	ჭავჭავაძე

1.1. საკუთარი სახელი ფორმაუცვლელად წარმოდგება მაშინაც, როცა მას მოჰყვება გვართან გათანაბრებული სიტყვა (რომელიც პირს ახასიათებს პროფესია-თანამდებობისა თუ სხვა ნიშნის მიხედვით).

სახ.	დავით	აღმაშენებელ-ი	თამარ	მეფე
მოთხრ.	დავით	აღმაშენებელ-მა	თამარ	მეფე-მ
მიც.	დავით	აღმაშენებელ-ს	თამარ	მეფე-ს
ნათ.	დავით	აღმაშენებელ-ის	თამარ	მეფ-ის
მოქმ.	დავით	აღმაშენებლ-ით	თამარ	მეფ-ით
ვით.	დავით	აღმაშენებლ-ად	თამარ	მეფე-დ
ნოდ.	დავით	აღმაშენებელ-ო	თამარ	მეფე-ვ

ამავე წესს მისდევს ისეთი ტიპის გამოთქმები, როგორებიცაა **ABC სამკუთხედი, B კუთხე** და მისთ.

1.2. ორმაგი გვარის შემთხვევაში პირველი კომპონენტი (ფუძემოვნიანიცა და ფუძეთანხმოვნიანიც) ფუძის სახით უნდა იქნეს წარმოდგენილი.

სახ.	თინათინ	სვანიძე-მჭედლიშვილ-ი	ავთანდილ	კვეზერელ-კოპაძე
მოთხრ.	თინათინ	სვანიძე-მჭედლიშვილ-მა	ავთანდილ	კვეზერელ-კოპაძე-მ
მიც.	თინათინ	სვანიძე-მჭედლიშვილ-ს	ავთანდილ	კვეზერელ-კოპაძე-ს
ნათ.	თინათინ	სვანიძე-მჭედლიშვილ-ის	ავთანდილ	კვეზერელ-კოპაძ-ის

მოქმ.	თინათინ	სვანიძე-მჭედლიშვილ-ით	ავთანდილ	კვეზერელ-კოპაძე-ით
ვით.	თინათინ	სვანიძე-მჭედლიშვილ-ად	ავთანდილ	კვეზერელ-კოპაძე-დ
წოდ.	თინათინ	სვანიძე-მჭედლიშვილ-ო	ავთანდილ	კვეზერელ-კოპაძე

1.3. გამონაკლისია ისეთი შემთხვევა, როცა კომპოზიტის პირველი ნაწილის ბოლო ხმოვანი ი ფუძისეულია.

სახ.	ლადო	ალექსი-მესხიშვილ-ი
მოთხრ.	ლადო	ალექსი-მესხიშვილ-მა
მიც.	ლადო	ალექსი-მესხიშვილ-ს
ნათ.	ლადო	ალექსი-მესხიშვილ-ის
მოქმ.	ლადო	ალექსი-მესხიშვილ-ით
ვით.	ლადო	ალექსი-მესხიშვილ-ად
წოდ.	ლადო	ალექსი-მესხიშვილ-ო

1.4. ზოგჯერ სახელსა და გვარს ახლავს მამის სახელიც (ძე ან ასული საზოგადო სახელების თანხლებით). ასეთ შემთხვევებში ძე ისე შეეწყობა მომდევნო წევრს (კერძოდ, გვარს) ბრუნვაში, როგორც ფუძეხმოვნიანი ზედსართავი სახელი, ხოლო ასული საკუთარ სახელს (კერძოდ, გვარს) ბრუნვაში ეთანხმება ისე, როგორც პროფესია-საქმიანობისა თუ წოდება-თანამდებობის აღმნიშვნელი სიტყვა.

სახ.	ვახტანგ	დავითის	ძე	ჩხაიძე
მოთხრ.	ვახტანგ	დავითის	ძე	ჩხაიძე-მ
მიც.	ვახტანგ	დავითის	ძე	ჩხაიძე-ს
ნათ.	ვახტანგ	დავითის	ძე	ჩხაიძე-ის
მოქმ.	ვახტანგ	დავითის	ძე	ჩხაიძე-ით
ვით.	ვახტანგ	დავითის	ძე	ჩხაიძე-დ
წოდ.	ვახტანგ	დავითის	ძე	ჩხაიძე

სახ.	რუსუდან	გიორგის	ასულ-ი	ჭრელაშვილ-ი
მოთხრ.	რუსუდან	გიორგის	ასულ-მა	ჭრელაშვილ-მა
მიც.	რუსუდან	გიორგის	ასულ	ჭრელაშვილ-ს
ნათ.	რუსუდან	გიორგის	ასულ	ჭრელაშვილ-ის
მოქმ.	რუსუდან	გიორგის	ასულ	ჭრელაშვილ-ით
ვით.	რუსუდან	გიორგის	ასულ	ჭრელაშვილ-ად
წოდ.	რუსუდან	გიორგის	ასულ-ო	ჭრელაშვილ-ო

1.5. სახელისა და გვარის ინვერსიული რიგით ბრუნებისას (თანამედროვე ქართულის მონაცემთა მიხედვით) ფუძეთანხმოვნიანი გვარი ბრუნვის ნიშნებს სრულად დაირთავს სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში; ნათესაობითსა და მოქმედებითში შეინარჩუნებს ბრუნვისნიშნისეულ ხმოვნით ელემენტს, ხოლო მიცემითსა და ვითარებითში ფუძის სახით წარმოდგება.

სახ.	ორბელიან-ი	გრიგოლ-ი
მოთხრ.	ორბელიან-მა	გრიგოლ-მა
მიც.	ორბელიან	გრიგოლ-ს

ნათ.	ორბელიან-ი	გრიგოლ-ის
მოქმ.	ორბელიან-ი	გრიგოლ-ით
ვით.	ორბელიან	გრიგოლ-ად
წოდ.	ორბელიან-ო	გრიგოლ

1.6. რაც შეეხება ფუძეთანხმოვნიან სახელს (**ვახტანგი, ნიკოლოზი, დავითი, რუსუდანი, ქეთევანი...**), ის შესაბამისი ნიშნებით უნდა გაფორმდეს ყველა ბრუნვაში, მათ შორის – სახელო-ბითშიც (პირის სახელი ფუძის სახით წარმოდგენილი იქნება მხოლოდ წოდ. ბრუნვაში).

სახ.	ბარათაშვილ-ი	ნიკოლოზ-ი
მოთხრ.	ბარათაშვილ-მა	ნიკოლოზ-მა
მიც.	ბარათაშვილ	ნიკოლოზ-ს
ნათ.	ბარათაშვილ-ი	ნიკოლოზ-ის
მოქმ.	ბარათაშვილ-ი	ნიკოლოზ-ით
ვით.	ბარათაშვილ	ნიკოლოზ-ად
წოდ.	ბარათაშვილ-ო	ნიკოლოზ

1.7. ინვერსიული რიგით ბრუნებისას (ჯერ გვარი, ხოლო შემდეგ – სახელი) ფუძეხმოვნიანი გვარი ყველა ბრუნვაში ფორმაუცვლელად იქნება წარმოდგენილი – იბრუნვის მხოლოდ სახელი.

სახ.	ჭავჭავაძე	ილია
მოთხრ.	ჭავჭავაძე	ილია-მ
მიც.	ჭავჭავაძე	ილია-ს
ნათ.	ჭავჭავაძე	ილია-ს(ი)
მოქმ.	ჭავჭავაძე	ილია-თი
ვით.	ჭავჭავაძე	ილია-დ
წოდ.	ჭავჭავაძე	ილია

1.8. თუ ფუძეხმოვნიან გვარს მოსდევს საკუთარი სახელი მამის სახელთან ერთად (**ძე ან ასული** საზოგადო სახელების თანხლებით), ფორმაცვალეზადია მხოლოდ **ძე** ან **ასული**. რაც შეეხება სახელსა და გვარს, ისინი ფუძის სახით წარმოდგებიან.

სახ.	ჩხაიძე	ვახტანგ	დავითის ძე	სოხაძე	ნანა	თამაზის ასული
მოთხრ.	ჩხაიძე	ვახტანგ	დავითის ძე-მ	სოხაძე	ნანა	თამაზის ასულ-მა
მიც.	ჩხაიძე	ვახტანგ	დავითის ძე-ს	სოხაძე	ნანა	თამაზის ასულ-ს
ნათ.	ჩხაიძე	ვახტანგ	დავითის ძ-ის	სოხაძე	ნანა	თამაზის ასულ-ის
მოქმ.	ჩხაიძე	ვახტანგ	დავითის ძ-ით	სოხაძე	ნანა	თამაზის ასულ-ით
ვით.	ჩხაიძე	ვახტანგ	დავითის ძე-დ	სოხაძე	ნანა	თამაზის ასულ-ად
წოდ.	ჩხაიძე	ვახტანგ	დავითის ძე-ო	სოხაძე	ნანა	თამაზის ასულ-ო

1.9. ფუძეთანხმოვნიანი გვარის შემთხვევაში ფორმაცვალეზადია საზოგადო სახელები – **ძე** ან **ასული**; პირის სახელი ყველა ბრუნვაში ფუძის სახით წარმოდგება, ხოლო გვარი იბრუნვის ისე, როგორც შესაბამისი ფუძის მქონე (ფუძეთანხმოვნიანი) ზედსართავი სახელი.

სახ.	ჭრელაშვილ-ი	რუსუდან	გიორგის	ასულ-ი
მოთხრ.	ჭრელაშვილ-მა	რუსუდან	გიორგის	ასულ-მა
მიც.	ჭრელაშვილ	რუსუდან	გიორგის	ასულ-ს
ნათ.	ჭრელაშვილ-ი	რუსუდან	გიორგის	ასულ-ის
მოქმ.	ჭრელაშვილ-ი	რუსუდან	გიორგის	ასულ-ით
ვით.	ჭრელაშვილ	რუსუდან	გიორგის	ასულ-ად
ნოდ.	ჭრელაშვილ-ო	რუსუდან	გიორგის	ასულ-ო

სახ.	გედევანიშვილ-ი	ლუკა	ნოდარის	ძე
მოთხრ.	გედევანიშვილ-მა	ლუკა	ნოდარის	ძე-მ
მიც.	გედევანიშვილ	ლუკა	ნოდარის	ძე-ს
ნათ.	გედევანიშვილ-ი	ლუკა	ნოდარის	ძე-ის
მოქმ.	გედევანიშვილ-ი	ლუკა	ნოდარის	ძე-ით
ვით.	გედევანიშვილ	ლუკა	ნოდარის	ძე-დ
ნოდ.	გედევანიშვილ-ო	ლუკა	ნოდარის	ძე-ო

### დასაბუთება

სახელისა და გვარის ერთად ბრუნებისას (მართლწერის თვალსაზრისით) რამდენიმე პრობლემაა მოსაგვარებელი:

1. დასაბუთებელია ის შემთხვევა, როცა ჯერ ფუძეთანხმოვნის გვარია წარმოდგენილი, ხოლო შემდეგ პირის სახელი (ბარათაშვილი ნიკოლოზის თუ ბარათაშვილ ნიკოლოზის? ბარათაშვილი ნიკოლოზით თუ ბარათაშვილ ნიკოლოზით?);

2. ცვლილებას საჭიროებს (პოსტპოზიციის შემთხვევაში) ფუძეთანხმოვნის საკუთარი სახელის სახელობით ბრუნვაში გაფორმების საკითხი (ბარათაშვილი ნიკოლოზი თუ ბარათაშვილი ნიკოლოზ?);

3. გასარკვევია ორმაგი გვარის გამოყენებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხებიც, კერძოდ – როცა კომპოზიციის პირველი ნაწილი ფუძეთანხმოვნის გვარით არის წარმოდგენილი (ავთანდილ კვეზერელი-კოპაძე თუ ავთანდილ კვეზერელ-კოპაძე? ავთანდილ კვეზერელი-კოპაძემ თუ ავთანდილ კვეზერელმა-კოპაძემ, ავთანდილ კვეზერელ-კოპაძემ...);

4. საყურადღებოა ის შემთხვევებიც, როცა სახელსა და გვარს ახლავს მამის სახელი ძე ან ასული საზოგადო სახელების თანხლებით (იგულისხმება როგორც პრეპოზიციური, ისე პოსტპოზიციური წყობა): რუსუდან გიორგის ასულ ჭრელაშვილის თუ რუსუდან გიორგის ასული ჭრელაშვილის? ჭრელაშვილმა რუსუდანმა გიორგის ასულმა თუ ჭრელაშვილმა რუსუდან გიორგის ასულმა?

საკუთარი სახელის გვართან ერთად ბრუნებისას (როცა სახელი უსწრებს გვარს) ფორმაცვალეზადია მხოლოდ გვარი.

სახ.	ნიკოლოზ	ბარათაშვილ-ი	ილია	ჭავჭავაძე
მოთხრ.	ნიკოლოზ	ბარათაშვილ-მა	ილია	ჭავჭავაძე-მ
მიც.	ნიკოლოზ	ბარათაშვილ-ს	ილია	ჭავჭავაძე-ს
ნათ.	ნიკოლოზ	ბარათაშვილ-ის	ილია	ჭავჭავაძე-ის
მოქმ.	ნიკოლოზ	ბარათაშვილ-ით	ილია	ჭავჭავაძე-ით
ვით.	ნიკოლოზ	ბარათაშვილ-ად	ილია	ჭავჭავაძე-დ
ნოდ.	ნიკოლოზ	ბარათაშვილ-ო	ილია	ჭავჭავაძე

საკუთარი სახელი ფორმაუცვლელია მაშინაც, თუ მას მსაზღვრელად მოსდევს გვართან განაზღვრული სიტყვა, რომელიც პირს ახასიათებს პროფესია-თანამდებობისა თუ სხვა ნიშნის მიხედვით: **დავით რექტორი, ბაგრატ მეოთხე, დავით აღმაშენებელი...**

სახ.	დავით	აღმაშენებელ-ი	თამარ	მეფე
მოთხრ.	დავით	აღმაშენებელ-მა	თამარ	მეფე-მ
მიც.	დავით	აღმაშენებელ-ს	თამარ	მეფე-ს
ნათ.	დავით	აღმაშენებელ-ის	თამარ	მეფ-ის
მოქმ.	დავით	აღმაშენებელ-ით	თამარ	მეფ-ით
ვით.	დავით	აღმაშენებელ-ად	თამარ	მეფე-დ
ნოდ.	დავით	აღმაშენებელ-ო	თამარ	მეფე-ვ

ამავე წესს მოსდევს ისეთი ტიპის გამოთქმები, როგორებიცაა **ABC სამკუთხედი, B კუთხე** და მისთ.

ორმაგი გვარის შემთხვევაში პირველი კომპონენტი (ფუძეთანხმოვნინაცა და ფუძეხმოვნინაც) ფუძის სახით უნდა იქნეს წარმოდგენილი; იბრუნვის კომპოზიტის მხოლოდ მეორე ნაწილი.

სახ.	თინათინ	სვანიძე-მჭედლიშვილ-ი	ავთანდილ	კვეზერელ-კოპაძე
მოთხრ.	თინათინ	სვანიძე-მჭედლიშვილ-მა	ავთანდილ	კვეზერელ-კოპაძე-მ
მიც.	თინათინ	სვანიძე-მჭედლიშვილ-ს	ავთანდილ	კვეზერელ-კოპაძე-ს
ნათ.	თინათინ	სვანიძე-მჭედლიშვილ-ის	ავთანდილ	კვეზერელ-კოპაძ-ის
მოქმ.	თინათინ	სვანიძე-მჭედლიშვილ-ით	ავთანდილ	კვეზერელ-კოპაძ-ით
ვით.	თინათინ	სვანიძე-მჭედლიშვილ-ად	ავთანდილ	კვეზერელ-კოპაძე-დ
ნოდ.	თინათინ	სვანიძე-მჭედლიშვილ-ო	ავთანდილ	კვეზერელ-კოპაძე

გამონაკლისია ისეთი შემთხვევა, როცა კომპოზიტის პირველი ნაწილის ბოლო ხმოვანი ი ფუძისეულია.

სახ.	<b>ლადო</b>	<b>ალექსი-მესხიშვილ-ი</b>
მოთხრ.	<b>ლადო</b>	<b>ალექსი-მესხიშვილ-მა</b>
მიც.	<b>ლადო</b>	<b>ალექსი-მესხიშვილ-ს</b>
ნათ.	<b>ლადო</b>	<b>ალექსი-მესხიშვილ-ის</b>
მოქმ.	<b>ლადო</b>	<b>ალექსი-მესხიშვილ-ით</b>
ვით.	<b>ლადო</b>	<b>ალექსი-მესხიშვილ-ად</b>
ნოდ.	<b>ლადო</b>	<b>ალექსი-მესხიშვილ-ო</b>

ზემოთქმული განსაკუთრებით შეეხება ფუძეთანხმოვნიან გვარებს, რომლებიც ხშირად სახელობითბრუნვიანი ვარიანტითაც დასტურდებიან მთელ პარადიგმაში (იგულისხმება კომპოზიტის პირველი ნაწილი: სახ. ავთანდილ **კვეზერელი-კოპაძე**, მოთხრ. ავთანდილ **კვეზერელი-კოპაძემ...**), ან კიდევ – კომპოზიტის ორივე ნაწილი დაირთავს ბრუნვის ნიშნებს (სახ. ავთანდილ **კვეზერელი-კოპაძე**, მოთხრ. ავთანდილ **კვეზერელმა-კოპაძემ...**), რაც უმართებულოა.

ზოგჯერ სახელსა და გვარს ახლავს მამის სახელიც (**ძე** ან **ასული** საზოგადო სახელების თანხლებით). ასეთ შემთხვევებში **ძე** ისე შეეწყობა მომდევნო წევრს (კერძოდ, გვარს) ბრუნვაში, როგორც ფუძეხმოვნიანი ზედსართავი სახელი, ხოლო **ასული** გვარს ბრუნვაში ეთანხმება ისე, რო-



გორც პროფესია-საქმიანობისა თუ წოდება-თანამდებობის აღმნიშვნელი სიტყვა.

სახ.	ვახტანგ	დავითისძე	ჩხაიძე	რუსუდან	გიორგის	ასულ-ი	ჭრელაშვილ-ი
მოთხრ.	ვახტანგ	დავითისძე	ჩხაიძე-მ	რუსუდან	გიორგის	ასულ-მა	ჭრელაშვილ-მა
მიც.	ვახტანგ	დავითისძე	ჩხაიძე-ს	რუსუდან	გიორგის	ასულ	ჭრელაშვილ-ს
ნათ.	ვახტანგ	დავითისძე	ჩხაიძ-ის	რუსუდან	გიორგის	ასულ	ჭრელაშვილ-ის
მოქმ.	ვახტანგ	დავითისძე	ჩხაიძ-ით	რუსუდან	გიორგის	ასულ	ჭრელაშვილ-ით
ვით.	ვახტანგ	დავითისძე	ჩხაიძე-დ	რუსუდან	გიორგის	ასულ	ჭრელაშვილ-ად
წოდ.	ვახტანგ	დავითისძე	ჩხაიძე	რუსუდან	გიორგის	ასულ-ო	ჭრელაშვილ-ო

თანამედროვე ქართულში ნაკლებად დასტურდება ისეთი შემთხვევები, როცა საკუთარი სახელი მოსდევს გვარს. მოქმედი ნორმის თანახმად, თუ გვარი უსწრებს სახელს, იბრუნვის ორივე კომპონენტი, ოღონდ სახ. ბრუნვაში პირის სახელი ფუძის სახით არის წარმოდგენილი (ორბელიან-ი გრიგოლ). რაც შეეხება მოქმ. და ვით. ბრუნვებს, მათთან მითითებულია ასე – „არ გვხვდება“.

სახელი და გვარი ინვერსიული რიგით (ჯერ გვარი და შემდეგ სახელი) ძირითადად დასტურდება ანბანურ სივრცეში, სხვადასხვა სახის დავთარსა და ენციკლოპედიურ ლექსიკონებში, აგრეთვე (იშვიათად, მაგრამ მაინც) – სპეციფიკურ კონტექსტებში, მაგ., „თავართქილადე დავითი მოემზადოს საპასუხოდ“; „გელოვანმა გიორგიმ წარმოადგინოს ინციდენტის ამსახველი მასალა“, „გზირიშვილ ნინოს გადაეცეს პირველი ხარისხის დიპლომი“ და მისთ. აღნიშნული ტიპის შემთხვევები, ჩვეულებრივ, დამახასიათებელია ოფიციალურ-საქმიანი თუ კანცელარიული სტილისათვის.

თანამედროვე ქართულში ბოლოთანხმოვნის გვარის ინვერსიული წყობით გამოყენებისას ორი პარადიგმა გამოიყოფა:

ა) გვარი ისე ეთანხმება სახელს ბრუნვაში, როგორც სპეციალობა-საქმიანობისა თუ წოდება-თანამდებობის აღმნიშვნელი სიტყვა (ამ ტიპის შემთხვევები შედარებით იშვიათია).

სახ.	ორბელიან-ი	გრიგოლ-ი
მოთხრ.	ორბელიან-მა	გრიგოლ-მა
მიც.	ორბელიან	გრიგოლ-ს
ნათ.	ორბელიან	გრიგოლ-ის
მოქმ.	ორბელიან	გრიგოლ-ით
ვით.	ორბელიან	გრიგოლ-ად
წოდ.	ორბელიან-ო	გრიგოლ

ბ) ადამიანის გვარი იბრუნვის ისე, როგორც ბატონი და ქალბატონი საკუთარ სახელებთან ერთად. სწორედ ეს სახეობა დასტურდება დღეს ყველაზე ხშირად ზეპირ თუ წერით მეტყველებაში (სახელისა და გვარის ინვერსიული წყობით გამოყენებისას). რაც შეეხება ბოლოთანხმოვნის საკუთარ სახელს (ვახტანგი, გრიგოლი, დავითი, რუსუდანი, ქეთევანი...), ის შესაბამისი ნიშნებით გაფორმდება ყველა ბრუნვაში, მათ შორის – სახელობითშიც. პირის სახელი ისე უნდა აისახოს პარადიგმაში, როგორც წინადადებაშია გამოყენებული სახ. ბრუნვის ფუნქციის შესრულებისას (მაგ., ბარათაშვილი ნიკოლოზი [და არა ნიკოლოზ] გვირგვინია ქართული რომანტიკული ლირიკისა...). ის (პირის სახელი) ფუძის სახით წარმოდგება მხოლოდ წოდებით ბრუნვაში.

სახ.	ორბელიან-ი	გრიგოლ-ი
მოთხრ.	ორბელიან-მა	გრიგოლ-მა
მიც.	ორბელიან	გრიგოლ-ს

ნათ.	ორბელიან-ი	გრიგოლ-ის
მოქმ.	ორბელიან-ი	გრიგოლ-ით
ვით.	ორბელიან	გრიგოლ-ად
წოდ.	ორბელიან-ო	გრიგოლ

სახ.	ბარათაშვილ-ი	ნიკოლოზ-ი
მოთხრ.	ბარათაშვილ-მა	ნიკოლოზ-მა
მიც.	ბარათაშვილ	ნიკოლოზ-ს
ნათ.	ბარათაშვილ-ი	ნიკოლოზ-ის
მოქმ.	ბარათაშვილ-ი	ნიკოლოზ-ით
ვით.	ბარათაშვილ	ნიკოლოზ-ად
წოდ.	ბარათაშვილ-ო	ნიკოლოზ

სახელისა და გვარის ინვერსიული რიგით ბრუნებისას ფუძეხმოვნისანი გვარი ყველა ბრუნვაში ფორმაუცვლელად იქნება წარმოდგენილი. ასეთ შემთხვევებში იბრუნვის მხოლოდ სახელი.

სახ.	ჭავჭავაძე	ილია
მოთხრ.	ჭავჭავაძე	ილია-მ
მიც.	ჭავჭავაძე	ილია-ს
ნათ.	ჭავჭავაძე	ილია-ს(ი)
მოქმ.	ჭავჭავაძე	ილია-თი
ვით.	ჭავჭავაძე	ილია-დ
წოდ.	ჭავჭავაძე	ილია

თუ ფუძეხმოვნიან გვარს მოსდევს საკუთარი სახელი მამის სახელთან ერთად, ბრუნვის ნიშნებს დაირთავენ მხოლოდ **ძე** ან **ასული**. რაც შეეხება გვარსა და სახელს, ისინი ფუძის სახით იქნებიან წარმოდგენილი ყველა ბრუნვაში.

სახ.	ჩხაიძე	ვახტანგ	დავითისძე	სოხაძე	ნანა	თამაზის ასული
მოთხრ.	ჩხაიძე	ვახტანგ	დავითისძე-მ	სოხაძე	ნანა	თამაზის ასულ-მა
მიც.	ჩხაიძე	ვახტანგ	დავითისძე-ს	სოხაძე	ნანა	თამაზის ასულ-ს
ნათ.	ჩხაიძე	ვახტანგ	დავითისძ-ის	სოხაძე	ნანა	თამაზის ასულ-ის
მოქმ.	ჩხაიძე	ვახტანგ	დავითისძ-ით	სოხაძე	ნანა	თამაზის ასულ-ით
ვით.	ჩხაიძე	ვახტანგ	დავითისძე-დ	სოხაძე	ნანა	თამაზის ასულ-ად
წოდ.	ჩხაიძე	ვახტანგ	დავითისძე-ო	სოხაძე	ნანა	თამაზის ასულ-ო

ფუძეთანხმოვნისანი გვარის შემთხვევაში ფორმაცვალეზადია საზოგადო სახელები – **ძე** ან **ასული**; პირის სახელი ყველა ბრუნვაში ფუძის სახით გამოიხატება, ხოლო გვარი იბრუნვის ისე, როგორც შესაბამისი ფუძის მქონე (ფუძეთანხმოვნისანი) ზედსართავი სახელი.

სახ.	ჭრელაშვილ-ი	რუსუდან	გიორგის	ასულ-ი
მოთხრ.	ჭრელაშვილ-მა	რუსუდან	გიორგის	ასულ-მა
მიც.	ჭრელაშვილ	რუსუდან	გიორგის	ასულ-ს
ნათ.	ჭრელაშვილ-ი	რუსუდან	გიორგის	ასულ-ის
მოქმ.	ჭრელაშვილ-ი	რუსუდან	გიორგის	ასულ-ით

ვით.	ჭრელაშვილ	რუსუდან	გიორგის	ასულ-ად
ნოდ.	ჭრელაშვილ-ო	რუსუდან	გიორგის	ასულ-ო
სახ.	გედევანიშვილ-ი	ლუკა	ნოდარის	ძე
მოთხრ.	გედევანიშვილ-მა	ლუკა	ნოდარის	ძე-მ
მიც.	გედევანიშვილ	ლუკა	ნოდარის	ძე-ს
ნათ.	გედევანიშვილ-ი	ლუკა	ნოდარის	ძ-ის
მოქმ.	გედევანიშვილ-ი	ლუკა	ნოდარის	ძ-ით
ვით.	გედევანიშვილ	ლუკა	ნოდარის	ძე-დ
ნოდ.	გედევანიშვილ-ო	ლუკა	ნოდარის	ძე-ო

### ლიტერატურა

1. არაბული ავთ., ქართული მეტყველების კულტურა, თბილისი, 2004.
2. აფრიდონიძე შ., ჩვენი ენა ქართული, თბილისი, 2009.
3. დავითიანი ა., ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1973.
4. ვაშაკიძე თ., სახელისა და გვარის შებრუნებული ნცობისათვის ქართული და არაქართული გვარების მიხედვით, ქსკს, 2004.
5. თანამედროვე ქართული ენა, მორფოლოგია, გ. გოგოლაშვილის საერთო რედაქციით, თბილისი, 2011.
6. კვაჭაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 2010.
7. კვაჭაძე ლ., ქართული ენა, თბილისი, 2018.
8. ლეჟავა ლ., მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან მრავლობით რიცხვში, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბილისი, 1970.
9. შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, მორფოლოგია, თბილისი, 1973.
10. ჩიქობავა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება, თბილისი, 1998.
11. ჯანაშია ს., მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან ბრუნვაში (წითელი დროშის თუ წითელ დროშის?), თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბილისი, 1970.

ნორმის პირველი ვერსია შეიმუშავა ვ თოფურიაშვილმა, გამოქვეყნებულია 1970 წელს „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში“.

### **ნორმის პროექტის ახალი რედაქცია მოამზადა ქეთევან დათუკიშვილმა.**

პროექტი განხილულია თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ (2022 წლის 22 ნოემბერს) და მიღებულია სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის 2022 წლის 27 დეკემბრის სხდომაზე.

## **მე, ვე, ლა, ლაცა ნაწილაკიან სახელთა მართლწერა**

ნაცვალსახელებსა და რიცხვით სახელებში **ვე, მე, ლა, ლაცა** ნაწილაკების გამოყენებისას უნდა გათვალისწინდეს შემდეგი წესები:

- 1.1. **მე**-ნაწილაკფუძიან ნაცვალსახელებს (**ვინმე, რამე // რაიმე, რამდენიმე, რომელიმე**) აქვთ ბრუნების სრული პარადიგმა; რამე ნაცვალსახელისგან ნაწარმოები ებიანი მრავლობითის ფორმები (**რამეები, რამეებს...**) წარმოების ძირითად ტიპს განეკუთვნება, ხოლო **ვინმე** ნაცვალსახელის მრავლობითი რიცხვის ფორმები (**ვინმეები, ვინმეებმა...**) დასაშვებად არის მიჩნეული.
- 1.2. **რაიმე** ნაცვალსახელის ფორმები დასაშვებად მიიჩნევა როგორც მსაზღვრელის ფუნქციით ხმარებისას (**რაიმე** ამბავი, **რაიმე** საკითხი...), ისე ცალკე გამოყენების შემთხვევაში (**რაიმეს** იტყვის, **რაიმე** ვიღონოთ...); სახელობით ბრუნვაში მართებულია **რამ** ვარიანტიც (ბევრი **რამ** მოხდა...).
- 2.1. **ლა**-ნაწილაკფუძიანი ნაცვალსახელები (**ვილა, რალა**) ფუძეუკვეცელია: **ვილა-ს-ი, რალა-ს-ი...** მათ აქვთ ბრუნების სრული პარადიგმა.
- 2.2. სახელობითი ბრუნვის ფორმები **რალაც** და **ვილაც** (ისევე, როგორც **რალაცა** და **ვილაცა**) სალიტერატურო ენის მართებული ვარიანტებია.
- 2.3. **ლაცა**-ნაწილაკფუძიანი ნაცვალსახელები (**ვილაცა, რალაცა, რომელილაცა, რამდენილაცა, როგორილაცა**) ფუძეუკვეცადია: **ვილაც-ის, რალაც-ის...** ებიან მრავლობითშიც ისინი წარმოდგენილი იქნება შეკვეცილი სახით: **ვილაცები, რალაცები...**
- 3.1. **ასეთი, ეგეთი, ისეთი, ამდენი, მაგდენი, იმდენი** და **ყოველი** ნაცვალსახელთაგან წარმოებული **ვე**-ნაწილაკფუძიანი ფორმები (**ასეთივემ, ასეთივეს, ამდენივემ, ამდენივეს...**) ძირითადი სახეობაა, **ვე**-ნაწილაკდართულები (**ასეთმავე, ასეთსავე, ამდენმავე, ამდენსავე...**) კი – დასაშვები ვარიანტები;
- 3.2. მართებულია **ეს, ეგ ის, იგი** ნაცვალსახელთაგან ნაწარმოები ორი სახის ფორმები: **ვე**-ნაწილაკდართული (**ამანვე, იმანვე, ამასვე, იმასვე, ამაზევე, იმაზევე...**) და **ვე**-ნაწილაკფუძიანი (**ამავემ, იმავემ, ამავეს, იმავეს, ამავეზე, იმავეზე...**).
- 3.4. მართებულია რიცხვით სახელთა **ვე**-ნაწილაკფუძიანი წარმოება: **ორივემ, ორივეს, ორივესთვის...**

**შენიშვნა:** სემანტიკური სხვაობის შემთხვევაში გამოყენებული უნდა იყოს რიცხვით სახელთა **ვე**-ნაწილაკდართული ფორმები: **ორსვე, შვიდზევე, ათშივე...**

### **დასაბუთება**

**მე, ვე, ლა, ლაცა** ნაწილაკების გამოყენებისას ნორმატიული პრობლემები ჩნდება იმ შემთხვევაში, როდესაც **მე, ლა, ლაცა, ვე** ნაწილაკები დაერთვის ნაცვალსახელებს ანდა **ვე** ნაწილაკი – რიცხვით სახელებს. გამოყოფენ ბრუნების სამ სახეობას:

- შეუხორცებელი (ნაწილაკშეუზრდელი), როდესაც ბრუნებისას იცვლება სახელი და ნაწილაკი დაერთვის ბრუნვის ფორმას: სახელის ფუძე + ბრუნვის ნიშანი + ნაწილაკი: **ორ-ს-ა-ვე, რა-ს-მე, რა-ს-ლა...** ამგვარი წარმოება ძველი ქართულისთვის იყო დამახასიათებელი;
- შეხორცებული (ნაწილაკშეზრდილი), როდესაც ბრუნვის ნიშანი ნაწილაკის შემდეგ მოდის, ნაწილაკი ფუძესაა შეხორცებული და სახელი ნაწილაკთან ერთად იბრუნვის: სახელის ფუძე + ნაწილაკი + ბრუნვის ნიშანი: **ორივე-ს, რამე-ს, რალა-ს...**
- ნარევი სახეობა, როდესაც ბრუნვის ნიშანი დაერთვის სახელს ნაწილაკის წინა და ნაწილაკის შემდეგაც: სახელის ფუძე + ბრუნვის ნიშანი + ნაწილაკი + ბრუნვის ნიშანი: **ორ-ს-ა-ვე-ს, ვი-ს-მე-ს, რა-ს-მე-ს...**

აღნიშნული სამი სახეობის ფორმები (**ვისმე – ვინმეს – ვისმეს...**) „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში“ (თბილისი, 1970) განიხილება პარალელურ ვარიანტებად და განსაზღვრულია, რომელია თანამედროვე ქართულისათვის მისაღები და რომელი – არა. კერძოდ:

- **ძირითად** ვარიანტებად მიჩნეულია შეხორცებული სახეობის ფორმები: ვინმემ, ვინმეს... რამემ, რამეს... ორივემ, ორივეს...
- **დასაშვებად** მიჩნევა შეუხორცებელი სახეობის ვარიანტები: ვისმე... რასმე, რადმე... ორმავე, ორსავე...
- **უარსაყოფად** განიხილება ნარევი სახეობის ფორმები: ვისმეს, რასმეს...

ნარევი სახეობა წარმოების თვალსაზრისით არასწორია, შესაბამისად, ის უმართებულოდ არის მიჩნეული. რაც შეეხება ე. წ. შეუხორცებელ (**ორსავე, ვისმე, რასმე...**) და შეხორცებულ (**ორივეს, ვინმეს, რამეს...**) სახეობათა ფორმებს, აქ საქმე გვაქვს წარმოების თვალსაზრისით ორ განსხვავებულ ერთეულთან, კერძოდ:

1. **ორსავე, რასმე** და მსგავს ვარიანტებში ბრუნვის ფორმას დაერთვის **ვე** და **მე** ნაწილაკები: ორ-ი-ვე, ორ-მა-ვე, ორ-ს(ა)-ვე... რა-მე, რა-ს-მე, რ-ის(ა)-მე... ესენი ისეთივე ნაწილაკიანი ფორმებია, როგორც შემდეგი არსებითი სახელები: კაც-ი-ვე, კაც-მა-ვე, კაც-ს(ა)-ვე... ძმა-ვე, ძმა-მ-ვე, ძმა-ს-ვე, ძმ-ის-ვე...
2. **ორივეს, რამეს** და მსგავს შემთხვევებში კი ნაწილაკდართულია არა ფორმა, არამედ ფუძე: ორივე-მ, ორივე-ს.. რამე-მ, რამე-ს... ამგვარ ვარიანტებში ნაწილაკი ფუძის ნაწილია, ფუნქციურად იგი ფუძის მანარმოებელი აფიქსია.

ტერმინები „ფუძეს შეზრდილი“ და „ფუძეს შეხორცებული“ ვერ ასახავს პროცესის არსს. ორი ტიპის ფორმათა (ერთი მხრივ – **ორსავე, ვისმე** და მეორე მხრივ – **ორივეს, ვინმეს**) გასამიჯნად, **შეუხორცებელ** და **შეხორცებულ** სახეობათა ნაცვლად, შესაძლოა გამოვიყენოთ შემდეგი ტერმინები: **ნაწილაკდართული** და **ნაწილაკფუძიანი**. ე. წ. „შეუხორცებელი სახეობის“ შემთხვევაში ნაწილაკი დაერთვის ბრუნვის ან თანდებულის ფორმას, შესაბამისად, ვიღებთ ნაწილაკდართულ ვარიანტებს, ხოლო „შეხორცებული სახეობის“ შემთხვევაში ნაწილაკიანია არა ფორმა, არამედ ფუძე, ამგვარ სახელებს შეიძლება **ნაწილაკფუძიანი** ვუწოდოთ. (კარგად ცნობილი ტერმინების – ხმოვანფუძიანი და თანხმოვანფუძიანი – ანალოგიით). **ნაწილაკფუძიანის** ნაცვლად შესაძლოა გამოვიყენოთ აგრეთვე **ფუძენაწილაკიანი** (შდრ. ფუძეხმოვნიანი, ფუძეთანხმოვნიანი).

**ნაწილაკდართული** ფორმა: ფუძე + ბრუნვის ნიშანი + ნაწილაკი: რა-ს-მე

**ნაწილაკფუძიანი** ფორმა: რთული ფუძე (მარტივი ფუძე + ნაწილაკი) + ბრუნვის ნიშანი: რამე-ს

ნაწილაკდართული ფორმების (**ორსავე, ვისმე, რასმე...**) წარმოება ძველი ქართულისათვის იყო დამახასიათებელი, ნაწილაკფუძიან სახელთა (**ორივეს, ვინმეს, რამეს...**) წარმოება კი აქტიურია თანამედროვე ქართულში. ამ ორი სხვადასხვა წარმოების ფორმები სემანტიკურად ერთგვარია, ამ-

იტომ იქმნება შთაბეჭდილება, რომ ისინი პარალელურ ვარიანტებს წარმოადგენს. სინამდვილეში ამ ორი სახეობის ფორმები სხვადასხვა წარმოების გზით არის მიღებული. როდესაც ნორმატიულ საკითხებზეა მსჯელობა, საკითხი უნდა დაისვას ამგვარად:

1. არის თუ არა ნაწილაკდართული ფორმების (**ვისმე, რასმე...**) წარმოება აქტიური თანამედროვე ქართულში;
2. ყველა შემთხვევაში შეიძლება თუ არა მათი ჩანაცვლება ნაწილაკფუძიანი ვარიანტებით. თუ ნაწილაკდართულ ფორმათა სიხშირე მნიშვნელოვნად დაბალია, ამასთან, მათი ჩანაცვლება ყველგან შესაძლებელია ნაწილაკფუძიანი ვარიანტებით, მაშინ ნაწილაკდართული ნაცვალსახელები და რიცხვითი სახელები (**ვისმე, ორსავე...**) არ უნდა განვიხილოთ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ერთეულებად.

ამ თვალსაზრისით მოვიხივოთ მასალა ქართული ენის ეროვნულ კორპუსში. რადგან საკითხის შესასწავლად საჭიროა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მონაცემების გათვალისწინება, საანალიზოდ გამოვიყენეთ „ქართული ენის რეფერენციალური კორპუსი“. განვიხილავთ თითოეული ნაწილაკით წარმოებულ ფორმებს და წარმოვადგენთ მათ სტატისტიკურ მონაცემებს.

### მე ნაწილაკის გამოყენება ნაცვალსახელებში

**მე** ნაწილაკი დაერთვის კითხვით ნაცვალსახელთა ბრუნვის ფორმებს. **ვინ** ნაცვალსახელს ნაკლული პარადიგმა აქვს, შესაბამისად, მისი **მე**-ნაწილაკდართული ფორმებიც ნაკლულ პარადიგმას ქმნის; **რა** ნაცვალსახელი მოთხრობით ბრუნვაში არ დაირთავს **მე** ნაწილაკს, დანარჩენ ბრუნვათა ფორმები კი ჩვეულებრივ ეწარმოება.

სახ.	ვინ-მე	რა-მე
მოთხ.	–	–
მიც.	ვი-ს-მე	რა-ს-მე
ნათ.	–	რ-ის-ა-მე
მოქმ.	–	რ-ით-მე
ვით.	–	რა-დ-მე

რაც შეეხება მრავლობით რიცხვს, **რამე** ნაცვალსახელი **ეზიანი** მრავლობითის ფორმით აქტიურად გამოიყენება. საანალიზო მასალაში 2348 ამგვარი შემთხვევა დადასტურდა, **ვინმე** ნაცვალსახელი კი მრავლობითი რიცხვის ფორმით იშვიათად გვხვდება (სულ – 38 შემთხვევა); ეს უკანასკნელი ვარიანტები (**ვინმეები, ვინმეებს...**) შეიძლება დასაშვებად იყოს მიჩნეული.

**მე** ნაწილაკი დაერთვის აგრეთვე **რომელი** და **რამდენი** კითხვით ნაცვალსახელთა ბრუნვის ფორმებს: **რომელიმე, რამდენიმე, რომელსამე, რომლისამე, რამდენსამე...** მათი პარადიგმები სრულია, მაგრამ იქიდან თანამედროვე ქართულში მხოლოდ რამდენიმე ბრუნვის ფორმა დასტურდება, ისიც – დაბალი სიხშირით.

თანდებულიან ფორმათაგან **მე** ნაწილაკი ზოგს დაერთვის ზოგს – არა. საანალიზო მასალაში შეგვხვდა ამგვარი ვარიანტები: **ვისთვისმე, ვისგანმე, რისთვისმე, რისგანმე...** არ დასტურდება შემდეგი ფორმები: ვისზემე, ვისშიმე, რაზემე, რომელზემე, რამდენზემე, რამდენშიმე...

**მე** ნაწილაკით იწარმოება ნაწილაკფუძიანი (განუსაზღვრელობითი) ნაცვალსახელები:

ვინ	→	ვინმე
რა	→	რამე // რაიმე
რომელ-ი	→	რომელიმე
რამდენ-ი	→	რამდენიმე

**რაიმე** ნაცვალსახელის შესახებ „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში“ ნათქვამია: „მსაზღვრელად გამოყენების შემთხვევაში **რაიმე** დასაშვებია ყველა ბრუნვაში“, ცალკე გამოყენებული ბრუნვის ფორმები (**რაიმემ**, **რაიმეს**, **რაიმედ...**) კი სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით უარსაყოფად არის მიჩნეული.

უნდა ითქვას, რომ დღეისათვის **რაიმე** ნაცვალსახელი (ცალკე აღებული) თანდათანობით იფართოებს გამოყენების სფეროს. ქართული ენის ეროვნულ კორპუსში რთულია ამ ნაცვალსახელის ზუსტი სტატისტიკური მონაცემების მოძიება: კონტექსტის გარეშე ავტომატურად ვერ იმიჯნება მსაზღვრელად გამოყენებული და ცალკე აღებული სახელობითი ბრუნვის ფორმები (**რაიმე**), მაგრამ ზოგადი დაკვირვებით შეიძლება ითქვას, რომ **რაიმე** ნაცვალსახელის ცალკე გამოყენების შემთხვევები საკმაოდ მრავლად დასტურდება: „ეგებ კიდევ გამოვიდეს **რაიმე** შენგან“; „ვერ ვბედავდი **რაიმე** მეკითხა“; „ვაითუ დათვი **რაიმემ** გააცოფა“; „რაკი ერთხელ შეგეკითხებოდათ **რაიმეს**, აღარ დაგეხსნებოდათ“...

ამ მონაცემების გათვალისწინებით თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში **რაიმე** ნაცვალსახელის ფორმები დასაშვებად უნდა იყოს მიჩნეული როგორც მსაზღვრელად, ისე ცალკე გამოყენების შემთხვევაში.

სახელობით ბრუნვაში **რამე** და **რაიმე** ფორმათა პარალელურად დასტურდება **რამ** ვარიანტიც: „ცოტა **რამ** თვითონ მიაბზო“; „ერთად ბევრი **რამ** გადაგვიტანია“; „უალრესად საყურადღებო **რამ** შევიტყვე“...

**მე-ნაწილაკფუძიანი** განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები ხმოვანფუძიანია, მათ აქვთ ბრუნების სრული პარადიგმა. ამასთან, **რამე** კვეცადია, ყველა დანარჩენი – უკვეცელი.

სახ.	ვინმე	რამე	რომელიმე	რამდენიმე
მოთხრ.	ვინმე-მ	რამე-მ	რომელიმე-მ	რამდენიმე-მ
მიც.	ვინმე-ს	რამე-ს	რომელიმე-ს	რამდენიმე-ს
ნათ.	ვინმე-ს	რამ-ის	რომელიმე-ს	რამდენიმე-ს
მოქმ.	ვინმე-თი	რამ-ით	რომელიმე-თი	რამდენიმე-თი
ვით.	ვინმე-დ	რა-მე-დ	რომელიმე-დ	რამდენიმე-დ
ნოდ.	–	–	–	–

**მე-ნაწილაკფუძიანი** განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები დაირთავს თანდებულებს ისევე, როგორც შესაბამისფუძიანი არსებითი სახელები: **ვინმეზე**, **რამესთან**, **რაიმესთვის**, **რომელიმედან**, **რამდენიმესგან**...

**მე-ნაწილაკდართული** და **მე-ნაწილაკფუძიანი** ფორმები ერთი სემანტიკისაა, ამიტომ **მე-ნაწილაკდართულები** შესაძლოა ჩავანაცვლოთ **მე-ნაწილაკფუძიანებით**. მაგალითად:

არც არავის ბრძანება გაუცია, არც **ვისმე** ხმა დაუძრავს. – აქ შესაძლოა ჩანაცვლება: არც **ვინმეს** ხმა დაუძრავს;

მაშინ ნახავთ, თუ **ვისმე** დაგაცადოთ მისი ტრფობა! – აქ შესაძლოა ჩანაცვლება: მაშინ ნახავთ, თუ **ვინმეს** დაგაცადოთ მისი ტრფობა!

გავზრდი, შევასწავლი **რასმე** და მერე პატრონი მოვუძებნოთ. – აქ შესაძლოა ჩანაცვლება: გავზრდი, შევასწავლი **რამეს** და მერე პატრონი მოვუძებნოთ...

წარმოვადგენთ სტატისტიკურ მონაცემებს.

მე-ნაწილაკდართული		მე-ნაწილაკფუძიანი	
ვისმე	568	ვინმეს	15744
რასმე	857	რამეს	10803
რისამე	150	რამის	4165
რითმე	8	რამით	796
რადმე	40	რამედ	457
რომელმამე	3	რომელიმემ	128
რომელსამე	291	რომელიმეს	574
რომლითამე	1	რომელიმეთი	2
რომლადმე	0	რომელიმედ	1
რამდენმამე	20	რამდენიმემ	210
რამდენსამე	215	რამდენიმეს	578
რამდენადმე	1244	რამდენიმედ	9
ვისთანმე	22	ვინმესთან	694
ვისთვისმე	47	ვინმესთვის	935
ვისგანმე	21	ვინმესგან	184
ვისკენმე	0	ვინმესკენ	13
რასთანმე	0	რამესთან	198
რისთვისმე	7	რამისთვის	202
რისგანმე	5	რამისგან	45
რისკენმე	0	რამისკენ	22
ჯამი	3499 – 8.9%	ჯამი	35738 – 91.1%

როგორც მასალიდან ჩანს, მე-ნაწილაკფუძიანი ფორმები თანამედროვე ქართულში უფრო აქტიურად გამოიყენება, ვიდრე მე-ნაწილაკდართულები. ერთადერთი შემთხვევა, როდესაც მე-ნაწილაკდართულ ნაცვალსახელთა რაოდენობა მნიშვნელოვნად დიდია, არის „რამდენადმე“, მაგრამ ეს სიტყვა არ იხმარება რამდენიმე ნაცვალსახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმის (რამდენიმედ) მნიშვნელობით, არამედ მას აქვს ზმნისართული შინაარსი: რამდენადმე – გარკვეულწილად, მეტ-ნაკლებად. მაშასადამე, რამდენადმე თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენისათვის მისაღები ზმნისართის (და არა ვითარებითი ბრუნვის ფორმის) მნიშვნელობით.

წარმოდგენილი მასალის მიხედვით შეიძლება ითქვას შემდეგი:

- მე-ნაწილაკფუძიან ნაცვალსახელებს აქვთ ბრუნვის სრულ პარადიგმა (ვინმემ, რამემ...), დაირთავენ ყველა თანდებულს (ვინმესთან, რამისთვის...); მე-ნაწილაკდართულ ნაცვალსახელთა პარადიგმა კი ზოგ შემთხვევაში არასრულია (ვისმე, რასმე...), თანდებულებიანი ფორმები მათ იშვიათად ეწარმოებათ;
- მე-ნაწილაკფუძიანი ფორმები რაოდენობით მნიშვნელოვნად სჭარბობს ნაწილაკდართულებს;
- მე-ნაწილაკდართული ნაცვალსახელები ყველა შემთხვევაში შეგვიძლია ჩავანაცვლოთ



ნაწილაკფუძიანებით.

ამ მონაცემთა გათვალისწინებით თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მართებულ ვარიანტებად უნდა განვიხილოთ **მე-ნაწილაკფუძიანი** ნაცვალსახელები (**ვინმეს, რამეს...**), **მე-ნაწილაკდართულები** (**ვისმე, რასმე...**) კი – არა. ეს უკანასკნელი მოძველებული ფორმებია, ამიტომ უარსაყოფია.

**ლა, ლაცა** ნაწილაკთა გამოყენება ნაცვალსახელებში

**ლა** ნაწილაკი დაერთვის კითხვით ნაცვალსახელთა (**ვინ** და **რა**) ბრუნვის ფორმებს. როგორც ცნობილია, **ვინ**-ს ნაკლული პარადიგმა აქვს, შესაბამისად, მისი **ლა**-ნაწილაკდართული ფორმებიც ნაკლულ პარადიგმას ქმნიან; **რა** ნაცვალსახელს აქვს **ლა**-ნაწილაკდართული სრული პარადიგმა:

სახ.	ვი(ნ)-ლა	რა-ლა
მოთხ.	–	რა-მ-ლა
მიც.	ვი-ს-ლა	რა-ს-ლა
ნათ.	–	რ-ის-ლა
მოქმ.	–	რ-ით-ლა
ვით.	–	რა-დ-ლა

**ვინ** და **რა** ნაცვალსახელებისგან იწარმოება **ლა**-ნაწილაკდართული თანდებუნიანი ფორმებიც: ვისთანლა, რისთვისლა...

**ლა** ნაწილაკით იწარმოება ნაწილაკფუძიანი ნაცვალსახელები:

ვი	→	ვილა
რა	→	რალა

**ლა**-ნაწილაკფუძიანი ნაცვალსახელები ხმოვანფუძიანია და უკვეცელი, მათ აქვთ ბრუნების სრული პარადიგმა:

სახ.	ვილა	რალა
მოთხ.	ვილა-მ	რალა-მ
მიც.	ვილა-ს	რალა-ს
ნათ.	ვილა-ს	რალა-ს
მოქმ.	ვილა-თი	რალა-თი
ვით.	ვილა-დ	რალა-დ

**ლა**-ნაწილაკფუძიანი ნაცვალსახელები დაირთავს ყველა თანდებულს ისევე, როგორც შესაბამისფუძიანი არსებითი სახელები: **ვილაზე, ვილასთან, რალაში, ვილასთვის, რალასგან...**

თანამედროვე ქართულში გამოიყენება ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვათა არასწორი წარმოების ფორმები: **რილასი** და **რილათი**. ისინი მიღებულია კონტამინაციის გზით:

<b>რისლა</b>	და	<b>რალასი</b>	→	რილასი
<b>რითლა</b>	და	<b>რალათი</b>	→	რილათი

ამგვარი ფორმები უმართებულოა. შესაბამისად, არასწორი წარმოებისაა შემდეგი თანდებუნიანი ნაცვალსახელებიც: რილასთვის, რილასგან...

**ლა**-ნაწილაკდართული და **ლა**-ნაწილაკფუძიანი ნაცვალსახელები ერთი სემანტიკისაა, ამიტომ **ლა**-ნაწილაკდართული ფორმები ყოველთვის შეიძლება ჩავანაცვლოთ **ლა**-ნაწილაკფუძიანი ვარიანტებით.

**ვისლა** აგონდებოდა ბუდე და ბარტყები?! – აქ შესაძლოა ჩანაცვლება: **ვილას** აგონდებოდა ბუდე და ბარტყები?!

თუ აგრეა, რამლა უნდა გვიშველოს? – აქ შესაძლოა ჩანაცვლება: თუ აგრეა, რალამ უნდა გვიშველოს?

რადლა უნდოდა თუნდ ის აუარებელი სამკაული?! – აქ შესაძლოა ჩანაცვლება: რალად უნდოდა თუნდ ის აუარებელი სამკაული?!

წარმოვადგენთ ლა-ნაწილაკდართულ და ლა-ნაწილაკფუძიან ნაცვალსახელთა სტატისტიკურ მონაცემებს.

ლა-ნაწილაკდართული		ლა-ნაწილაკფუძიანი	
ვისლა	147	ვილას	628
რამლა	14	რალამ	106
რასლა	15	რალას	2615
რითლა	36	რალათი	4
რადლა	51	რალად	594
ვისგანლა	4	ვილასგან	1
ვისთვისლა	5	ვილასთვის	15
რისგანლა	15	რალასგან	0
რისთვისლა	68	რალასთვის	13
ჯამი	355 – 8.2%	ჯამი	3976 – 91.8%

როგორც მასალიდან ჩანს, ლა-ნაწილაკფუძიანი ფორმები მნიშვნელოვნად სჭარბობს ლა-ნაწილაკდართულს. ნაწილაკდართული ფორმა რაოდენობით აჭარბებს ნაწილაკფუძიანს მხოლოდ მოქმედებით ბრუნვაში: რითლა, აგრეთვე თანდებულის ფორმებში: ვისგანლა, რისგანლა, რისთ-ვისლა. მაგრამ საინტერესოა ის ფაქტი, რომ ასეთ შემთხვევებში მრავლად არის გამოყენებული ნაწილაკფუძიანი უმართებულო ფორმები: რილათი – 77, რილასგან – 1; რილასთვის – 64. ეს ფორმები სალიტერატურო ენისთვის მიუღებელია, მაგრამ ისინი გამოხატავენ ტენდენციას, რომ თანამედროვე ქართულში ნაწილაკფუძიანი ნაცვალსახელები უფრო აქტიურად იყოს გამოყენებული, ვიდრე ნაწილაკდართულები.

ლა-ნაწილაკფუძიან ნაცვალსახელებს შემდგომ განუვითარდათ ც-ნაწილაკიანი ფორმები, რომლებსაც აქვთ განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის მნიშვნელობა: ვილამაც, ვილასაც, რალასაც... როგორც ცნობილია, კითხვით ნაცვალსახელებზე ც ნაწილაკის დართვით მიიღება მიმართებითი ნაცვალსახელები (ვინც, რაც, რომელიც...), ლა-ნაწილაკფუძიან ნაცვალსახელებზე ც-ს დართვით კი ვიღებთ განუსაზღვრელობით ნაცვალსახელებს (ვილამაც, რალამაც...). ამ ტიპის ფორმები (გარდა სახელობითი ბრუნვისა) თანამედროვე ქართულში ნაკლებად გამოიყენება.

ენაში გაჩნდა კიდევ ახალი წარმოება: ზემოთ განხილულ ნაცვალსახელებში ლაც დაბოლოებას დამატა ემფატიკური ა და მივიღეთ წარმოქმნილ ფუძეთა კიდევ ახალი ვარიანტები, შესაბამისად – ლაცა-ნაწილაკფუძიანი სახელები:

- ვი           -> ვილაცა
- რა           -> რალაცა
- რომელ-ი  -> რომელილაცა
- რამდენ-ი  -> რამდენილაცა
- როგორ-ი  -> როგორილაცა

ეს ნაცვალსახელები ქმნიან ბრუნების სრულ პარადიგმას.

**ვილაცა და რალაცა** ნაცვალსახელები ფუძეკვეცადია; მრავლობით რიცხვში გვექნება: **ვილაცები, რალაცები** (და არა: ვილაცეები და რალაცეები).

სახ.	ვილაცა	ვილაც-ებ-ი	რალაცა	რალაც-ებ-ი
მოთხ.	ვილაცა-მ	ვილაც-ებ-მა	რალაცა-მ	რალაც-ებ-მა
მიც.	ვილაცა-ს	ვილაც-ებ-ს	რალაცა-ს	რალაც-ებ-ს
ნათ.	ვილაც-ის	ვილაც-ებ-ის	რალაც-ის	რალაც-ებ-ის
მოქმ.	ვილაც-ით	ვილაც-ებ-ით	რალაც-ით	რალაც-ებ-ით
ვით.	ვილაცა-დ	ვილაც-ებ-ად	რალაცა-დ	რალაც-ებ-ად

**ლაცა-ნაწილაკფუძიანი** ნაცვალსახელებისგან იწარმოება თანდებულიანი ფორმებიც: **ვილაცასავით, ვილაცისთვის... რალაცისგან, რალაცამდე...**

**ლაც-ნაწილაკდართული** ფორმები (**ვისლაც, რასლაც, რითლაც...**) საანალიზო მასალაში მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში დადასტურდა. პარალელურად არსებული ფორმებიდან (**ვილამაც და ვილაცამ**) ორივე ნაწილაკფუძიანია. მათ შორის სხვაობა ისაა, რომ **ვილამაც** არის **ლაცა-ნაწილაკფუძიანი** ფორმა, რომელსაც **ც** ნაწილაკი დაერთვის, ხოლო **ვილაცამ** ფორმა **ლაცა-ნაწილაკფუძიანია**.

ცხადია, რომ **ვილაც** და **ვილაცა** სხვადასხვა წარმოების ერთეულებია: **ვილაც** ფორმაში ფუძეა **ვილა**, **ც** კი ნაწილაკია, ხოლო **ვილაცა** ფორმაში ფუძეა **ვილაცა**. მათ განსხვავებული ფუძეები აქვთ და შესაბამისად, სხვადასხვა პარადიგმის წევრებია:

სახ.	ვილა-ც	ვილაცა	რალა-ც	რალაცა
მოთხ.	ვილა-მ-ა-ც	ვილაცა-მ	რალა-მ-ა-ც	რალაცა-მ
მიც.	ვილა-ს-ა-ც	ვილაცა-ს	რალა-ს-ა-ც	რალაცა-ს
ნათ.	ვილა-ს-ი-ც	ვილაც-ის	რალა-ს-ი-ც	რალაც-ის
მოქმ.	ვილა-თი-ც	ვილაც-ით	რალა-თი-ც	რალაც-ით
ვით.	ვილა-დ-ა-ც	ვილაცა-დ	რალა-დ-ა-ც	რალაცა-დ

წარმოვადგენთ ამგვარ ფორმათა განაწილების სტატისტიკას საანალიზო მასალის მიხედვით.

**სახელობითი ბრუნვის ფორმები**

ვილაც	12240	ვილაცა	3026
რალაც	66701	რალაცა	5026
ჯამი	78 941	ჯამი	8 052

**დანარჩენი ბრუნვის ფორმები**

ლაცა-ნაწილაკფუძიანი და ც-ნაწილაკიანი		ლაცა-ნაწილაკფუძიანი	
ვილამაც	39	ვილაცამ	4611
ვილასაც	14	ვილაცას	5651
ვილასიც	4	ვილაცის	3160
ვილათიც	0	ვილაცით	11
რალამაც	16	რალაცამ	346
რალასაც	30	რალაცას	7157
რალასიც	1	რალაცის	2956
რალათიც	0	რალაცით	1321
ჯამი	104 – 0.1%	ჯამი	25 213 – 99.9%

უნდა აღინიშნოს, რომ **ვილამაც**, **ვილასაც** და მსგავსი ფორმები ძირითადად XIX საუკუნის მწერალთა (ილია ჭავჭავაძის, ნიკო ლომოურის, ალექსანდრე ყაზბეგის...) ნაწარმოებებში დასტურდება. XX საუკუნის ტექსტებში ისინი აღარ გვხვდება.

წარმოდგენილი მასალის მიხედვით შეიძლება ითქვას შემდეგი:

- **ლა**-ნაწილაკფუძიანი ნაცვალსახელები ქმნიან ბრუნების სრულ პარადიგმას (**ვილამ**, **რალამ**...), **ვინ** ნაცვალსახელის **ლა**-ნაწილაკდართული პარადიგმა კი არასრულია (**ვილა**, **ვისლა**...);
- **ლა**-ნაწილაკფუძიანი ფორმები (**ვილას**, **რალას**...) რაოდენობით მნიშვნელოვნად სჭარბობს ნაწილაკდართულებს (**ვისლა**, **რასლა**...);
- **ლა**-ნაწილაკდართული ნაცვალსახელები ყველა შემთხვევაში შეგვიძლია ჩავანაცვლოთ ნაწილაკფუძიანებით;
- **ლაცა**-ნაწილაკფუძიანი ნაცვალსახელები (**ვილაცამ**, **ვილაცას**...) რაოდენობით მნიშვნელოვნად სჭარბობს **ლა**-ნაწილაკფუძიან ფორმებს, რომლებსაც **ც** ნაწილაკი დაერთვის (**ვილამაც**, **ვილასაც**...);
- სახელობითი ბრუნვის ფორმები **რალაც** და **ვილაც** (ისევე, როგორც **რალაცა** და **ვილაცა**) თანამედროვე ქართულში საკმაოდ გავრცელებულია; ამიტომ ორივე ვარიანტს მართებული ფორმის კვალიფიკაცია უნდა მიეცეს.

ამ მონაცემთა გათვალისწინებით თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მართებულ ვარიანტებად უნდა განვიხილოთ **ლა**- და **ლაცა**-ნაწილაკფუძიანი ნაცვალსახელები (**ვილას**, **რალას**, **ვილასთან**, **რალასთვის**... **ვილაცას**, **რალაცას**, **ვილაცასთან**, **რალაცისთვის**...) ხოლო **ლა**-ნაწილაკდართული ნაცვალსახელები (**ვისლა**, **რასლა**...), აგრეთვე **ლა**-ნაწილაკფუძიანი ვარიანტები, რომლებსაც **ც** ნაწილაკი დაერთვის (**ვილასაც**, **რალასაც**...), მოძველებული ფორმებია, ამიტომ ისინი თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ერთეულებად არ განიხილება.

**ვე** ნაწილაკის გამოყენება ნაცვალსახელებსა და რიცხვით სახელებში

ვე ნაწილაკი დაერთვის შემდეგ ნაცვალსახელთა ბრუნვის ფორმებს: **ეს ვე**, **ის**, **იგი**, **ასეთი**, **ეგეთი**, **ისეთი**, **ამდენი**, **მაგდენი**, **იმდენი** და **ყოველი**. მათ სრული პარადიგმა აქვთ.

სახ.	ასეთ-ი-ვე	ამდენ-ი-ვე	ისეთ-ი-ვე	ყოველ-ი-ვე
მოთხ.	ასეთ-მა-ვე	ამდენ-მა-ვე	ისეთ-მა-ვე	ყოველ-მა-ვე
მიც.	ასეთ-ს-ვე	ამდენ-ს-ვე	ისეთ-ს-ვე	ყოველ-ს-ვე
ნათ.	ასეთ-ის-ვე	ამდენ-ის-ვე	ისეთ-ის-ვე	ყოველ-ის-ვე
მოქმ.	ასეთ-ით-ვე	ამდენ-ით-ვე	ისეთ-ით-ვე	ყოველ-ით-ვე
ვით.	ასეთ-ად-ვე	ამდენ-ად-ვე	ისეთ-ად-ვე	ყოველ-ად-ვე

ამგვარადვე იბრუნვის **ეგეთი**, **მაგდენი** და **იმდენი**.

აღნიშნული ნაცვალსახელებისგან **ვე** ნაწილაკით იწარმოება ახალი ფუძეები და შესაბამისად – ნაწილაკფუძიანი ფორმები, რომლებიც ქმნიან ახალ პარადიგმებს:

- ასეთ-ი → ასეთივე
- ეგეთ-ი → ეგეთივე
- ისეთ-ი → ისეთივე
- ყოველ-ი → ყოველივე

სახ. ასეთივე ამდენივე ისეთივე ყოველივე  
 მოთხ. ასეთივე-მ ამდენივე-მ ისეთივე-მ ყოველივე-მ  
 მიც. ასეთივე-ს ამდენივე-ს ისეთივე-ს ყოველივე-ს  
 ნათ. ასეთივე-ს ამდენივე-ს ისეთივე-ს ყოველივე-ს  
 მოქმ. ასეთივე-თი ამდენივე-თი ისეთივე-თი ყოველივე-თი  
 ვით. ასეთივე-დ ამდენივე-დ ისეთივე-დ ყოველივე-დ

ამგვარადვე იბრუნვის **ეკეთივე, მაგდენივე და იმდენივე.**

წარმოვადგენთ ვე-ნაწილაკდართულ და ვე-ნაწილაკფუძიან ნაცვალსახელთა სტატისტიკურ მონაცემებს.

ვე-ნაწილაკდართული		ვე-ნაწილაკფუძიანი	
ასეთმავე	2	ასეთივემ	1
ასეთსვე	0	ასეთივეს	7
ასეთსავე	251		
ასეთითვე	1	ასეთივეთი	1
ასეთადვე	22	ასეთივედ	15
ისეთმავე	0	ისეთივემ	2
ისეთსვე	0	ისეთივეს	17
ისეთსავე	217		
ისეთითვე	0	ისეთივეთი	5
ისეთადვე	3	ისეთივედ	13
ამდენმავე	1	ამდენივემ	9
ამდენსვე	4	ამდენივეს	84
ამდენსავე	11		
ამდენითვე	18	ამდენივეთი	19
ამდენადვე	52	ამდენივედ	0
იმდენმავე	0	იმდენივემ	0
იმდენსვე	5	იმდენივეს	40
იმდენსავე	24		
იმდენითვე	3	იმდენივეთი	2
იმდენადვე	198	იმდენივედ	1
ყოველმავე	1	ყოველივემ	90
ყოველსვე	0	ყოველივეს	1878
ყოველსავე	159		
ყოველითვე	2	ყოველივეთი	10
ყოველადვე	78	ყოველივედ	1
ჯამი	1052 – 32.4		2195 – 67.6

როგორც საანალიზო მასალიდან ჩანს, ვე-ნაწილაკფუძიანი ნაცვალსახელები მეტია ვე-ნაწილაკდართულეებზე, მაგრამ გარკვეულ ფორმებში ქარბობს ნაწილაკდართულეები (ასეთსავე, ისეთ-

სავე, ამდენადვე, იმდენადვე).

ვე-ნაწილაკდართული და ვე-ნაწილაკფუძიანი ფორმები ერთი სემანტიკისაა, მაგრამ მაინც არის გარკვეული ნიუანსური სხვაობა. შესაბამისად, ვე-ნაწილაკდართული ნაცვალსახელების ვე-ნაწილაკფუძიანი ვარიანტებით ჩანაცვლება დასაშვებია, მაგრამ ყოველთვის მიზანშეწონილი არ არის.

ასეთადვე ესახებოდა ცხოვრების ბოლო წამიც. – ჩანაცვლება: ასეთივედ ესახებოდა ცხოვრების ბოლო წამიც.

საგანი, როგორც არის, ისეთადვე უნდა დარჩეს. – ჩანაცვლება: ისეთივედ უნდა დარჩეს.

სევილიას რეიესის სანაცვლოდ 29 მილიონი ევრო მისცა და, ცხადია, „რეალსაც“ ამდენსავე მოსთხოვენ. – ჩანაცვლება: „რეალსაც“ ამდენივეს მოსთხოვენ.

იქ ოცი კაცი იმდენსავე გააკეთებს, რამდენსაც ასი. – ჩანაცვლება: იქ ოცი კაცი იმდენივეს გააკეთებს...

სტატისტიკური მონაცემებისა და სემანტიკური თავისებურების საფუძველზე ასეთი, ეგეთი, ისეთი, ამდენი, მაგდენი, იმდენი და ყოველი ნაცვალსახელთა ვე-ნაწილაკფუძიანი ფორმები მიჩნეული უნდა იყოს ძირითად ვარიანტებად, ხოლო ვე-ნაწილაკდართულები – დასაშვებად.

ეს ეგ, ის და იგი ნაცვალსახელები ფუძემონაცვლენი არიან, შესაბამისად, ვე-ნაწილაკდართული ფორმებიც ფუძემონაცვლეა:

სახ.	ეს-ვე	ეგ-ვე	ის-ვე	იგი-ვე
მოთხ.	ამა-ნ-ვე	მაგა-ნ-ვე	იმა-ნ-ვე	მა-ნ-ვე
მიც.	ამა-ს-ვე	მაგა-ს-ვე	იმა-ს-ვე	მა-ს-ვე
ნათ.	ამ-ის-ვე	მაგ-ის-ვე	იმ-ის-ვე	მ-ის-ვე
მოქმ.	ამ-ით-ვე	მაგ-ით-ვე	იმ-ით-ვე	მ-ით-ვე
ვით.	ამა-დ-ვე	მაგა-დ-ვე	იმა-დ-ვე	[მა-დ-ვე]

ეს ეგ, ის და იგი ნაცვალსახელებისგან ვე ნაწილაკით იწარმოება ახალი ფუძეები და შესაბამისად – ნაწილაკფუძიანი ფორმები, რომლებიც ქმნიან ახალ პარადიგმებს:

- ეს -> ესვე
- ეგ -> ეგვე
- ის -> ისვე
- იგი -> იგივე

ესვე, ეგვე და ისვე ნაწილაკფუძიანი ნაცვალსახელები ისევე ფუძემონაცვლეა, როგორც ეს, ეგ, ის:

სახ.	ესვე	ეგვე	ისვე
მოთხ.	ამავე-მ	მაგავე-მ	იმავე-მ
მიც.	ამავე-ს	მაგავე-ს	იმავე-ს
ნათ.	ამავე-ს	მაგავე-ს	იმავე-ს
მოქმ.	ამავე-თი	მაგავე-თი	იმავე-თი
ვით.	ამავე-დ	მაგავე-დ	იმავე-დ

წარმოვადგენთ სტატისტიკურ მონაცემებს,

ვე-ნაწილაკდართული		ვე-ნაწილაკფუძიანი	
ამანვე	26	ამავემ	0
მაგანვე	1	მაგავემ	0
იმანვე	38	იმავემ	12
ამასვე	1122	ამავეს	65
მაგასვე	4	მაგავეს	0
იმავე	419	იმავეს	1629
ამითვე	22	ამავეთი	14
მაგითვე	1	მაგავეთი	0
იმიტვე	22	იმავეთი	14
ამადვე	1	ამავედ	0
მაგადვე	0	მაგავედ	0
იმადავე	18	იმავედ	1
ჯამი	1674 – 49%	ჯამი	1735 – 51%

როგორც მასალიდან ჩანს, ნაწილაკდართული და ნაწილაკფუძიანი ფორმები თითქმის თანაბარი რაოდენობით გამოიყენება თანამედროვე ქართულში. ამასთან, არსებობს გარკვეული სემანტიკური სხვაობა მათ შორის, ამიტომ ნაწილაკდართულ ფორმებს ვერ ჩაენაცვლებთ ნაწილაკფუძიანებით.

ჩემი დაბადების დღე დაემთხვა გიორგობას და **ამანვე** დამაბრკოლა. – აქ არ ჩაენაცვლება **ამავემ**.

სწორედ ხასიათის თავისებურებამ უნდა უბიძგოს მწვერვალისკენ, **ამანვე** უნდა გაიყოლიოს თან ნიჭიერებაც და სხვა თვისებებიც. – აქ არ ჩაენაცვლება **ამავემ**.

ვინც წაიღო, **იმანვე** მოიტანოს. – აქ არ ჩაენაცვლება **იმავემ**.

სტატისტიკური მონაცემებისა და სემანტიკური სხვაობის გამო თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში ორივე წარმოების ფორმები (**იმანვე** და **იმავემ**, **იმავეს** და **იმავეს...**) მართებულ ვარიანტებად უნდა იყოს განხილული.

**იგივე** ნაცვალსახელი ფუძემონაცვლეა (სახელობითის გარდა ყველა სხვა ბრუნვაში ენაცვლება ფუძე **იმავე**): **იმავე-მ**, **იმავე-ს**, **იმავე-ს(ი)** და ა. შ. სალიტერატურო ქართულისთვის მიუღებლად არის მიჩნეული ფორმები: **იგივემ**, **იგივეს...** ეს უკანასკნელი ვარიანტები აქტიურად გამოიყენება თანამედროვე მეტყველებაში. წარმოვადგენთ სტატისტიკურ მონაცემებს:

იმავე-ფუძიანი		იგივე-ფუძიანი	
იმავემ	12	იგივემ	6
იმავეს	1629	იგივეს	3102
იმავეთი	14	იგივეთი	38
იმავედ	1	იგივედ	9
იმავეში	7	იგივეში	25
იმავეზე	37	იგივეზე	32
იმავესთან	4	იგივესთან	1
იმავესთვის	2	იგივესთვის	7
იმავესგან	0	იგივესგან	0
იმავესკენ	1	იგივესკენ	1
იმავედან	1	იგივედან	0
იმავემდე	0	იგივემდე	0
ჯამი	1708 = 35%	ჯამი	3221 = 65%

მართალია, სტატისტიკურად იგივე-ფუძიანი ფორმები სჭარბობს იმავე-ფუძიანებს, მაგრამ სალიტერატურო ენის მართებულ ვარიანტებად უნდა მივიჩნიოთ იმავე-ფუძიანები, რადგან იგი ნაცვალსახელი ფუძემონაცვლეა და შესაბამისად, ნაწილაკფუძიანი იგივე-ც ფუძემონაცვლე უნდა იყოს. პარადიგმა ასეთ სახეს მიიღებს:

- სახ. იგივე
- მოთხ. იმავე-მ
- მიც. იმავე-ს
- ნათ. იმავე-ს
- მოქ. იმავე-თი
- ვით. იმავე-დ

**იგივე** ნაცვალსახელს აქვს ნარიანი მრავლობითის ფორმა სახელობით ბრუნვაში: **იგივენი**. ფუძემონაცვლე იქნება აგრეთვე ნაცვალსახელი **იგივე** შესიტყვებაში **ერთი და იგივე**:

- სახ. ერთი და იგივე
- მოთხ. ერთ-მა და იმავე-მ
- მიც. ერთ(-სა) და იმავე-ს
- ნათ. ერთი(-სა) და იმავე-ს(ი)
- მოქ. ერთი(-თა) და იმავე-თი
- ვით. ერთ(-სა) და იმავე-დ

რაც შეეხება რიცხვით სახელებს, მათთან მხოლოდ **ვე** ნაწილაკი გამოიყენება ფუძის წარმომქმნელ აფიქსად; ენაში დასტურდება როგორც **ვე**-ნაწილაკფუძიანი, ისე **ვე**-ნაწილადართული ფორმები:

- |       | ნაწილაკდართული | ნაწილაკფუძიანი |
|-------|----------------|----------------|
| სახ.  | ორ-ი-ვე        | ორივე          |
| მოთხ. | ორ-მა-ვე       | ორივე-მ        |
| მიც.  | ორ-ს(ა)-ვე     | ორივე-ს        |



ნათ.	ორ-ის(ა)-ვე	ორივე-ს
მოქ.	ორ-ით-ვე	ორივე-თი
ვით.	ორ-ად-ვე	ორივე-დ

ზოგჯერ ახალ ფუძედ გამოყენებულია თანიანი მრავლობითის ფორმა **ორთავე** (ორთავე-მ, ორთავე-ს...), რაც უმართებულოა.

გარკვეულ შემთხვევებში ნაწილაკდართულ და ნაწილაკფუძიან რიცხვით სახელებს ერთგვარი სემანტიკა აქვთ და თავისუფლად ენაცვლებიან ერთმანეთს. უმეტესწილად გვაქვს სემანტიკური სხვაობა. წარმოვადგენთ მასალას ქართული ენის ეროვნული კორპუსიდან და გუგლის საძიებო სისტემიდან:

„**ორსავე** ნაწილობრივ უკვე შესრულებული გექნებათ ეს წინა პირობა“. (ქეეკ) – აქ შესაძლოა ჩანაცვლება: **ორივეს** ნაწილობრივ უკვე შესრულებული გექნებათ ეს წინა პირობა.

„ცხრა საფლავი რომ გამიჭრან, დღეს **ცხრაზევე** გადავხტები!“ (გუგლი) – აქ შესაძლოა ჩანაცვლება: ცხრა საფლავი რომ გამიჭრან, დღეს **ცხრავეზე** გადავხტები!

„ხუთ სექტემბერს პოლ სარტრი და სიმონ დე ბოვუარი თბილისში ჩამოვიდნენ. **ხუთშივე** დაუთვალაიერებიათ ქალაქი“. (ქეეკ) – აქ **ხუთშივე** ფორმას ვერ ჩავანაცვლებთ **ხუთივეში** ვარიანტით.

„სქოთის ორ მოგებას ინგლისელმა **ორითვე** უპასუხა“. (ქეეკ) – აქ **ორითვე** ფორმას ვერ ჩავანაცვლებთ **ორივეთი** ვარიანტით.

სტუმრებმა კარგად ისარგებლეს და მეტოქის ორ გოლს შეტევებზე **ორითვე** უპასუხეს. (ქეეკ) – აქ **ორითვე** ფორმას ვერ ჩავანაცვლებთ **ორივეთი** ვარიანტით.

„ეგ დილის **შვიდზევე** იქ იყო, გამოიძახეს და მივიდა.“ (გუგლი) – აქ **შვიდზევე** ფორმას ვერ ჩავანაცვლებთ **შვიდივეზე** ვარიანტით.

### სტატისტიკა

ვე-ნაწილაკდართული		ვე-ნაწილაკფუძიანი	
ორმავე	0	ორივემ	1670
ორსვე	6	ორივეს	4260
ორითვე	3	ორივეთი	27
ორადვე	0	ორივედ	1
ორზევე	0	ორივეზე	108
ორშივე	1	ორივეში	182
ორთანვე	0	ორივესთან	124
ორისტვისვე	0	ორივესთვის	281
ორისგანვე	0	ორივესგან	45
ჯამი	10 – 0.1%	ჯამი	6698 – 99.9%

როგორც სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, **ვე-ნაწილაკფუძიანი** რიცხვითი სახელები რაოდენობრივად მნიშვნელოვნად მეტია **ვე-ნაწილაკდართულებზე**; ამიტომ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენისათვის მართებულად უნდა იქნეს მიჩნეული ნაწილაკფუძიანი ფორმები (**ორივემ, ორივეს, ორივესთვის...**), ნაწილაკდართულები (**ორმავე, ორსავე, ორისტვისვე...**) კი – არა. სემანტიკური სხვაობის შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ ნაწილაკდართული ფორმები.

წარმოდგენილი მასალის მიხედვით შეიძლება ითქვას შემდეგი:

- **ასეთი, ეგეთი, ისეთი, ამდენი, მაგდენი, იმდენი** და **ყოველი** ნაცვალსახელებთან **ვე-**ნაწილაკფუძიანი ფორმები მნიშვნელოვნად მეტია, ვიდრე **ვე-**ნაწილაკდართულები. ამასთან, მათ შორის არსებობს ნიუანსური სემანტიკური სხვაობა, ამიტომ მათი ჩანაცვლება ყოველთვის მიზანშეწონილი არ არის;
- **ეს, ეგ, ის** ნაცვალსახელებთან **ვე-**ნაწილაკდართული და ნაწილაკფუძიანი ნაცვალსახელები (**იმანვე** და **იმავემ, იმასვე** და **იმავეს...**) თანაბარი რაოდენობით გამოიყენება თანამედროვე ქართულში; არსებობს გარკვეული სემანტიკური სხვაობა **ვე-**ნაწილაკდართულ და ნაწილაკფუძიან ნაცვალსახელებს შორის, ამიტომ ნაწილაკდართულ ფორმებს ყოველთვის ვერ ჩავანაცვლებთ ნაწილაკფუძიანებით;
- **იგივე** ფუძისაგან წარმოებული ფორმები (**იგივემ, იგივეს...**) აქტიურად გამოიყენება თანამედროვე მეტყველებაში; რაოდენობრივად ისინი დაახლოებით ორჯერ მეტია, ვიდრე **იმავე** ფუძისაგან მიღებული ვარიანტები (**იმავემ, იმავეს...**);
- **ვე-**ნაწილაკფუძიანი რიცხვითი სახელები (**ორივემ, ორივეს...**) რაოდენობრივად მნიშვნელოვნად მეტია **ვე-**ნაწილაკდართულებზე (**ორმავე, ორსავე...**);
- **ვე-**ნაწილაკფუძიანი და **ვე-**ნაწილაკდართული რიცხვითი სახელები (**ორივემ – ორმავე, ორივეს – ორსავე...**) გარკვეულ შემთხვევებში განსხვავდება სემანტიკურად და ისინი ვერ ჩაენაცვლება ერთმანეთს.

საანალიზო მასალის საფუძველზე, **ასეთი, ეგეთი, ისეთი, ამდენი, მაგდენი, იმდენი** და **ყოველი** ნაცვალსახელთა **ვე-**ნაწილაკფუძიანი ფორმები (**ასეთივემ, ასეთივეს...**) მიჩნეული უნდა იყოს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ძირითად ფორმებად, ხოლო **ვე-**ნაწილაკდართულები (**ასეთმავე, ასეთსავე...**) – დასაშვებ ვარიანტებად. **ეს, ეგ, ის, იგი** ნაცვალსახელთა **ვე-**ნაწილაკდართული ფორმები (**ამანვე, იმანვე, იმასვე...**) და **ვე-**ნაწილაკფუძიანები (**ამავემ, იმავემ, იმავეს...**) თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში მართებულ ვარიანტებად უნდა იყოს განხილული; თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენისათვის მართებულად უნდა იქნეს მიჩნეული ნაწილაკფუძიანი რიცხვითი სახელები (**ორივემ, ორივეს, ორივესთვის...**), ნაწილაკდართულები (**ორმავე, ორსავე, ორისთვისვე...**) კი მოძველებული ფორმებია, ამიტომ ისინი თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ერთეულებად არ განიხილება. სემანტიკური სხვაობის შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ რიცხვით სახელთა ნაწილაკდართული ფორმები.

ნორმის პირველი ვერსია მოამზადა ს. ყაუხჩიშვილმა, გამოქვეყნებულია 1970 წელს „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების“ I კრებულში  
**ნორმის პროექტის ახალი რედაქცია მოამზადა ნინო ჯორბენაძემ.**  
 პროექტი განხილულია თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ (2022 წლის 22 ნოემბერს) და მიღებულია სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის 2022 წლის 27 დეკემბრის სხდომაზე.

## **ზედსართავი სახელების წარმოება ბერძნულიდან მომდინარე მა-ზე დაბოლოებულ არსებით სახელთაგან**

ბერძნულიდან მომდინარე მა-ზე დაბოლოებულ არსებით სახელთაგან ზედსართავი სახელების წარმოებისას უნდა გატარდეს შემდეგი წესები:

1. ბერძნულიდან მომდინარე მა-ზე დაბოლოებული არსებით სახელთაგან ზედსართავთა წარმოებისას -იურ და -ურ სუფიქსთაგან მხოლოდ-ურ უნდა იქნეს გამოყენებული: **პნევმატ-ურ-ი** და არა **პნევმატ-ი-ურ-ი**, **პრაგმატ-ულ-ი** და არა **პრაგმატ-ი-ულ-ი**, **სომატ-ურ-ი** და არა **სომატ-ი-ურ-ი...**;
2. თუ ნასესხებია ზედსართავი სახელები, რომელთა შესაბამისი მა-დაბოლოებიანი არსებითი სახელები ქართულში არ მოიპოვება, მაშინ ზედსართავი ქართულში ფორმდება ბერძნული ატ-ელემენტის ფუძისაგან: **პრაგმატ-ულ-ი**, **სომატ-ურ-ი**;
3. როდესაც ქართულში უცხოური არსებითი სახელია შემოსული, ზედსართავი სახელის ამოსავლად ქართულში დამკვიდრებული არსებითი სახელის ფუძე უნდა იქნეს აღებული: დრამა – **დრამული**, პრიზმა – **პრიზმული...** გამონაკლისის სახით წარმოების დასაყრდენად შესაძლებელია მიღებულ იქნეს უცხო ზედსართავის ფუძეც, თუ ეს წარმოება სალიტერატურო ენაში გაბატონებულია. ასეთ შემთხვევაში ნასესხები არსებითი სახელის ფუძისაგან ზედსართავის კანონზომიერი წარმოება პარალელურად სავსებით დასაშვებია: **დრამა – დრამატული / დრამული**;
4. პარალელური ფორმებიდან ასევე ორივე ვარიანტია დასაშვები, როდესაც მათ შორის შინაარსობრივი (ნიუანსობრივი) სხვაობაა:

### **სისტემური – სისტემატური**

**სისტემური** (სისტემის მიხედვით გაკეთებული, თანამიმდევრული) **ანალიზი**

**სისტემატური** (რეგულარული) **ვარჯიში**

### **სქემური – სქემატური**

**სქემური** (სქემის სახით მოცემული) **გეგმა**

**სქემატური** (ბუნდოვანი, გამოუკვეთელი) **სახე, ხასიათი** (ნაწარმოებში)

### **დრამული – დრამატული**

**დრამული** (დრამის ფორმის) **ნაწარმოები, თხზულება**

**დრამატული** (დრამატიზმით აღსავსე, დაძაბული) **სიტუაცია**

ასევე: **დრამატული თეატრი**

### **პრობლემური – პრობლემატური**

**პრობლემური** **სესხი**

**პრობლემატური** **საკითხი**

### **ტრავმული – ტრავმატული**

**ტრავმული** **დაზიანება**

**ტრავმატული** **იარაღი, სპორტი**

## პნევმური – პნევმატური

პნევმური (გონითი) ნაწილი

პნევმატური პისტოლეტი

### დასაბუთება

მა-ზე დაბოლოებულ ბერძნულ არსებით სახელთაგან ზედსართავ სახელთა წარმოებისას ჩნდება რიგი სადავო საკითხებისა.

ერთ შემთხვევაში ბერძნულიდან შემოსულ სახელს უშუალოდ ემატება **-ურ** სუფიქსი და ვიღებთ შესაბამის ზედსართავ სახელს:

**პროგრამა + ურ > პროგრამული**

**ეპიგრამა + ურ > ეპიგრამული...**

მეორე შემთხვევაში აღებულია ბერძნული სახელის ფუძე **-ატ** ელემენტით და მას ერთვის იგივე **-ურ** ბოლოსართი:

**პრობლემა – პრობლემატ > პრობლემატური**

**სისტემა – სისტემატ > სისტემატური...**

შესაძლებელია, ამათ პარალელურად, რუსული ენის გავლენით, **-ი-ურ** სუფიქსიანი ფორმებიც შეგვხვდეს: **პრობლემატიური, სისტემატიური, სქემატიური** და სხვ.

უპირველეს ყოვლისა, ისმის საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი ფუძისგან ვაწარმოთ **მა-ელ**-ემენტთან სიტყვათაგან ზედსართავი სახელი: ქართულში დამკვიდრებული არსებითი სახელის ფუძისაგან თუ თვით ბერძნული არსებითი სახელის ფუძისგან.

თუ საფუძვლად ავიღებთ ქართულში დამკვიდრებულ არსებით სახელებს, მაშინ შემდეგ ფორმებს მივიღებთ: **დრამა – დრამული, სისტემა – სისტემური, სქემა – სქემური...**

მეორე მხრივ, თუ ამოსავლად მივიჩნევთ ბერძნული **-ატ-ელ**ემენტის არსებითი სახელის ფუძეს (**დრამატ-, სისტემატ-** და სხვას), მაშინ დამატებით ისმის კითხვა: რომელი ვარიანტია მართებული: **დრამატული** თუ **დრამატიული? სისტემატური** თუ **სისტემატიური** და სხვ.

მეორე საკითხი (ზედსართავ სახელთა წარმოება ნასესხებ სიტყვათაგან **-ურ** ბოლოსართით) უკვე გადანყვეტილია; მიღებულია გარკვეული წესი, რომ უნდა იწერებოდეს **კონკრეტული** და არა **კონკრეტიული, აბსოლუტური** და არა **აბსოლუტიური**. ცხადია, ეს წესი გავრცელდება აქ წარმოდგენილ შემთხვევებზედაც და, ამდენად, ყველგან **-ურ** სუფიქსი იქნება გამოყენებული.

საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი ფუძე ავიღოთ ამოსავლად, ასევე საერთო წესის მიხედვით წყდება, კერძოდ: როდესაც ქართულში უცხოური არსებითი სახელია შემოსული, ზედსართავი სახელის ამოსავლად ქართულში დამკვიდრებული არსებითი სახელის ფუძე უნდა იქნეს აღებული. მაშასადამე, ზედსართავი სახელი უნდა ვაწარმოთ არა **დრამატ**, არამედ დრამა ფუძისგან. ამის მიხედვით გვექნება: **დრამა – დრამული, პრიზმა – პრიზმული, სისტემა – სისტემური, სქემა – სქემური, ეპიგრამა – ეპიგრამული, ტრავმა – ტრავმული** და სხვ. მაგრამ, თუ ნასესხებია ზედსართავი სახელები, რომელთა შესაბამისი **მა-დაბოლოების** არსებითი სახელები ქართულში არ მოიპოვება, მაშინ ზედსართავი ქართულში ფორმდება ბერძნული **ატ-ელ**ემენტის ფუძისაგან: **პრამატ-ულ-ი, სომატ-ურ-ი** და სხვა...

არ არის აგრეთვე გამორიცხული, რომ წარმოების დასაყრდენად მიღებულ იქნეს უცხო ზედსართავის ფუძეც, თუ ეს წარმოება სალიტერატურო ენაში გაბატონებულია; მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც ნასესხები არსებითი სახელის ფუძისაგან ზედსართავის კანონზომიერი წარმოება პარალელურად სავსებით დასაშვებია. გარდა ამისა, ფართოდ უნდა გაეხსნას გზა, ერთი მხრივ, სხვა აფიქსებით წარმოებას, ხოლო, მეორე მხრივ, ნათესაობითი ბრუნვის ფორმის გამოყენებას უცხოუ-

რი ზედსართავის გადმოსაცემად. ამრიგად, დასაშვები იქნება პარალელური ფორმები: **პრობლემა – პრობლემური, საპრობლემო, პრობლემატური; დრამა – დრამული, დრამატული** და აგრეთვე დრამის: **დრამის თეატრი.**

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი:

1. ბერძნულიდან მომდინარე **მა-**ზე დაბოლოებული არსებითი სახელებისგან ზედსართავ-თა წარმოებისას **-იურ** და **-ურ** სუფიქსთაგან მხოლოდ-**ურ** უნდა იქნეს გამოყენებული: **პრაგმატ-ულ-ი** და არა **პრაგმატ-ი-ულ-ი, სომატ-ურ-ი** და არა **სომატ-ი-ურ-ი, პნევმატ-ურ-ი** და არა **პნევმატ-ი-ურ-ი...**;
2. თუ ნასესხებია ზედსართავი სახელები, რომელთა შესაბამისი **მა-**დაბოლოებიანი არსებითი სახელები ქართულში არ მოიპოვება, მაშინ ზედსართავი ქართულში ფორმდება ბერძნული **ატ-**ელემენტის ფუძისაგან: **პრაგმატ-ულ-ი, სომატ-ურ-ი**;
3. როდესაც ქართულში უცხოური არსებითი სახელია შემოსული, ზედსართავი სახელის ამოსავლად ქართულში დამკვიდრებული არსებითი სახელის ფუძე უნდა იქნეს აღებული: **დრამა – დრამული, პრიზმა – პრიზმული...** გამონაკლისის სახით წარმოების დასაყრდენად შესაძლებელია მიღებულ იქნეს უცხო ზედსართავის ფუძეც, თუ ეს წარმოება სალიტერატურო ენაში გაბატონებულია. ასეთ შემთხვევაში ნასესხები არსებითი სახელის ფუძისაგან ზედსართავის კანონზომიერი წარმოება პარალელურად სავსებით დასაშვებია: **დრამა – დრამატული / დრამული.**

ამასთანავე თანამედროვე ქართულში შეინიშნება უკანასკნელი ტიპის პარალელურ ფორმათა შორის ნიუანსობრივი (შინაარსობრივი) სხვაობის დამყარების ან მათი გარკვეული ტიპის კონსტრუქციებში გადანაწილების ტენდენცია, კერძოდ, შდრ.:

#### **სისტემური – სისტემატური**

**სისტემური** (სისტემის მიხედვით გაკეთებული, თანამიმდევრული) **ანალიზი**

**სისტემატური** (რეგულარული) **ვარჯიში**

#### **სქემური – სქემატური**

**სქემური** (სქემის სახით მოცემული) **გეგმა**

**სქემატური** (ბუნდოვანი, გამოუკვეთელი) **სახე, ხასიათი** (ნაწარმოებში)

#### **დრამული – დრამატული**

**დრამული** (დრამის ფორმის) **ნაწარმოები, თხზულება**

**დრამატული** (დრამატიზმით აღსავსე, დაძაბული) **სიტუაცია**

ასევე: **დრამატული თეატრი**

#### **პრობლემური – პრობლემატური**

**პრობლემური** სესხი

**პრობლემატური** საკითხი

#### **ტრავმული – ტრავმატული**

**ტრავმული** დაზიანება

**ტრავმატული** იარაღი, სპორტი

#### **პნევმური – პნევმატური**

**პნევმური** (გონითი) **ნაწილი**

**პნევმატური** პისტოლეტი

ზემოდასახელებული პარალელური ფორმებიდან სპეციალურ ლიტერატურაში მხოლოდ „სისტემა – სისტემატური“ ვარიანტებია შინაარსობრივად გამიჯნული (ქართული ენის პარონიმთა ლექსიკონში).

დანარჩენი ვარიანტები კი ერთმანეთის სინონიმებადაა მიჩნეული (მათ შორის, იგივე „**სისტემა – სისტემატური**“ სახის შეპირისპირება ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში) და ილუსტრაციები სრულიად არ გადმოსცემს თანამედროვე ქართულის მონაცემებს (მაგალითები მოყვანილია ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან), შდრ.:

### **სისტემური – სისტემატური**

**სისტემურ-ი (სისტემურისა)** სისტემის მიხედვით წარმოებული, სისტემის ხასიათისა, – სისტემატური. კავკასიის არქეოლოგიურ შესწავლას სისტემური გეგმიანი მუშაობის თვისების მაგიერ შემთხვევითი ხასიათი აქვს (ივ. ჯავახ.).

**სისტემატურ-ი (სისტემატურისა)** 1. რაც სისტემას ქმნის, სისტემას მისდევს, სისტემის ხასიათისა, გარკვეული წესის მიხედვით განლაგებული, წარმოებული. სისტემატური დალაგება ვისიმე შეხედულებებისა. – სისტემატური კატალოგი. 2. რაც გამუდმებით მეორდება, – განუწყვეტელი. სისტემატური მეცადინეობა. – საბჭოთა კავშირში ხორციელდება ფართო მოხმარების საქონლის ფასების სისტემატური შემცირება («კომ.»). **სისტემატურად** ზმნს. სისტემის მიხედვით, – გამუდმებით, განუწყვეტლივ. საჭიროა სისტემატურად ვმუშაობდეთ კადრებთან («კომ.»).

### **სქემური – სქემატური**

**სქემურ-ი (სქემურისა)** იგივეა, რაც სქემატური. ადამიანთა დაყოფა ზემოხსენებულ ორ ტიპად სრულიად სქემურია; სინამდვილეში არ გვხვდება სუფთა ტიპები (**ა. ზურაბ.**).

**სქემატურ-ი (სქემატურისა)** 1. სქემის ხასიათისა. მანქანის სქემატური გამოხატვა. 2. ზოგად, ძირითად საზებში მოცემული. ბავშვის ხატვის ეს საფეხური, სქემატური ხატვა, ნათლად გვიჩვენებს, რომ ბავშვის აღქმა თვალსაჩინოდ უახლოვდება დიდისას (**დ. უზნ.**). [პოეტი] ქმნის იდეალური სატრფოს წარმოდგენას, არა სქემატურს, არა აბსტრაქტულს, არამედ ადამიანურსა და ზემეპირიულს ერთსა და იმავე დროს (**გ. ქიქ.**).

### **დრამული – დრამატული**

**დრამულ-ი (დრამულია)** დრამის დამახასიათებელი, სადრამო, დრამისა, დრამატული

**დრამატულ-ი (დრამატულია)** 1. დრამის დამახასიათებელი. დრამატული თეატრი. – კონკურსმა ხელი უნდა შეუწყოს სრულფასოვანი დრამატული ნაწარმოების შექმნას («**ლიტ. და ხელოვნ.**»). ქიათურის დრამატულმა წრემ თავისი წარმოდგენები დაიწყო სარდაფში მოწყობილი პატარა სცენით («**სოფ. ცხ.**»). 2. დრამატიზმით აღსავსე. «გიგლიაში» თითქოს ფშაველეებისა და მოთარეშე ლეკების ბრძოლის ერთი დრამატული ეპიზოდია მოცემული (**გ. ქიქ.**). ანდრეას ბედი კი ბევრად უფრო დრამატული იყო (**ს. კლდ.**). 3. მუს. მკვეთრი ტემბრისა, ძლიერი, ლირიკულისაგან განსხვავებული (ხმა) (საპირისპ. ლირიკული). დრამატული ტენორი. – [ნატალია] არაჩვეულებრივი ტემბრის დრამატული მეცო-სოპრანო აღმოჩნდა (**მ. ქორ.**). **დრამატული ნაწარმოები** სცენაზე დასადგმელად განკუთვნილი ნაწარმოები, – დრამა, პიესა. ასევე მტკივნეული თემაა ოპერა, – როგორც დრამატული ნაწარმოები (**ნ. ანდლ.**). ლადო ალექსი-მესხიშვილმა ქართული სცენისათვის არაერთი დრამატული ნაწარმოები თარგმნა («**ვიკიპედია**»).

### **ტრავმული – ტრავმატული**

**ტრავმულ-ი (ტრავმულია)** მედიც. ტრავმის ხასიათისა; ტრავმასთან დაკავშირებული, ტრავმით გამოწვეული. ხსენებულ მდგომარეობას იწვევს აგრეთვე ტვინის სიმსივნეები და ქალას ტრავმული დაზიანებანი (**ა. ზურაბ.**).

**ტრავმატულ-ი (ტრავმატულია)** მედიც. იგივეა, რაც ტრავმული. ტრავმის ნიადაგზე აღმოცენებული ე. წ. ტრავმატული ამნეზიის შემთხვევები (**დ. უზნ.**).

## ქართული სამისამართო სახელწოდებების ინგლისური შესატყვისების მართლწერა და ტრანსლიტერაცია

(თბილისის სამისამართო სახელწოდებების საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები)

სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამის (სტრატეგიის) მიზანია სახელმწიფო ენის სრულ-ფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა. ენის ფუნქციონირების სწორი ადმინისტრირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმია საკუთარი სახელების მართვა, რაც სახელების (პიროვნების სახელები და გვარები, გეოგრაფიული სახელები, სასაქონლო ნიშნები და სხვ.) შესახებ საკანონმდებლო და ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების მიღებასა და მათი განხორციელების მექანიზმების შემუშავება-დანერგვას გულისხმობს.

სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, აგრეთვე რეკლამის შესახებ საქართველოს კანონი არეგულირებს სახელმწიფო და არასახელმწიფო ენაზე გარე წარწერების განთავსების წესს, თუმცა, როგორც სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მოკვლევამ აჩვენა, ეს წესი ხშირად ირღვევა: სახელმწიფო ენაზე შესრულებული წარწერა არ არის ორთოგრაფიულად გამართული, ხოლო უცხოენოვანი წარწერა არ შეესაბამება ტრანსლიტერაციის დადგენილ სტანდარტს. ინგლისურენოვან წარწერებში ზოგჯერ დარღვეულია ინგლისური ენის მართლწერის წესები. არ არის ბოლომდე უნიფიცირებული შემოკლებები, გეოგრაფიულ ობიექტთა სახელწოდებები და სხვ.

თბილისისა და მისი შემოგარენის 2000 სამისამართო სახელწოდების ქართულ-ინგლისური დაწერილობის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა საკითხები, რომელთა განზოგადებითაც შემუშავდა რეკომენდაციები. რეკომენდაციები გამოქვეყნდა სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ბიულეტენში, II (2019-2020: 113-116).

აღნიშნული რეკომენდაციები შეივსო ან ჩასწორდა სახელმწიფო ენის დეპარტამენტში შემოსული კორექსიონებისა და შეკითხვების საფუძველზე. რეკომენდაციები შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამისამართო ინფრასტრუქტურის განახლებისას ან ახალი ქუჩების სახელდებისას როგორც თბილისში, ისე საქართველოს რეგიონებში.

1) მსაზღვრელ-საზღვრულის ფორმით წარმოდგენილი ქუჩის სახელის ტრანსლიტერაციისას არ არის შენარჩუნებული ნათესაობითი ბრუნვა, თარგმნილია საზღვრული ან ორივე კომპონენტი.

**რეკომენდაცია:** მსაზღვრელ-საზღვრულის ფორმით წარმოდგენილ გეოგრაფიულ ობიექტებზე გავრცელდეს ტრანსლიტერაციის წესი (ნათესაობითი ბრუნვის ჩათვლით), ხოლო მისი სრული ინგლისური თარგმანი ტრანსლიტერაციასთან ერთად სურვილის შემთხვევაში განთავსდეს ქუჩის დასაწყისში შენობაზე ან გამოსაჩენ ადგილას:

მარუხის გამრების ქუჩა – Marukhis Gmirebi (Marukhi Heroes) Street

თაბორის მთის ქუჩა – Taboris Mta (Mount Tabor) Street

ვაშლის ბაღების ჩიხი – Vashlis Baghebi (Apple Gardens) Dead-End

2) პიროვნების სახელობის ქუჩების სახელწოდებების ტრანსლიტერაციისას არ არის გათვალისწინებული პიროვნების სახელის გამოყენების ტრადიცია.

**რეკომენდაცია:** ტრანსლიტერაციისას პიროვნების სახელობის ქუჩების სახელწოდებები გაფორმდეს კონკრეტული პიროვნებისა და ლიტერატურული პერსონაჟის ქართულ სინამდვილეში დამკვიდრებული ფორმის მიხედვით და არა პირდაპირი ტრანსლიტერაციით:

არსენას I შესახვევი – Arsena I Lane

3) პიროვნების სახელობის ქუჩების თანხმომავანფუძიანი სახელწოდების ტრანსლიტერაციისას არ არის გათვალისწინებული ორთოგრაფიული წესი.

**რეკომენდაცია:** პიროვნების სახელობის ქუჩების თანხმომავანფუძიანი სახელწოდება ტრანსლიტერაციისას გადმოიცეს სახელობითი ბრუნვის ნიშნის გარეშე:

მალხაზის ქუჩა – Malkhaz Street

რუსუდანის შესახვევი – Rusudan Lane

**შენიშვნა:** გამონაკლისია ბესიკის ქუჩა – Besiki Street.

4) ხმომავანფუძიანი ტოპონიმები ტრანსლიტერაციისას ზოგჯერ, ქართულის მსგავსად, შეკვეცილი ფუძით არის წარმოდგენილი.

**რეკომენდაცია:** ხმომავანფუძიანი ტოპონიმების ტრანსლიტერაციისას არ შეიკვეცოს ფუძისეული ხმოვანი:

მამკოდის ქუჩა – Mamkoda Street

ძვეერის ქუჩა – Dzevera Street

ბზითაგორის ქუჩა – Bzitagora Street

5) არაქართული წარმომავლობის სიტყვები, რომლებიც ემთხვევა ინგლისურ შესატყვისს, მოცემულია პირდაპირი ტრანსლიტერაციის ფორმით.

**რეკომენდაცია:** როცა ქუჩის სახელწოდება ემთხვევა ინგლისურ შესატყვისს, გამოყენებული უნდა იყოს ინგლისური და არა ტრანსლიტერირებული ფორმა:

არსენალის მთა – Arsenal Hill

ჰორტენზიის ქუჩა – Hortensia Street

ავტომუზეუმის ქუჩა – Automuseum Street

9 აპრილის ქუჩა – 9 April Street

6) არაქართული ტოპონიმები ტრანსლიტერაციის დროს გადატანილია ქართული ორ-თოგრაფიის მიხედვით (სახელობითი ბრუნვის ნიშნის დართვით).

**რეკომენდაცია:** როცა ქუჩის დასახელება შეიცავს არაქართულ ტოპონიმს, ინგლისურ ვარიანტში გამოყენებული უნდა იყოს არა სახელობითი ბრუნვის ნიშნით წარმოდგენილი ქართული ფორმა, არამედ დამკვიდრებული უცხოენოვანი ფორმა:

არარატის ქუჩა – Ararat Street

ართვინის ჩიხი – Artvin Dead-End

სევანის ქუჩა – Sevan Street

7) უცხოელი მწერლების, პოეტების, კომპოზიტორების, საზოგადო მოღვაწეების გვარსახელების ტრანსლიტერაცია ქართულიდან ტრანსლიტერაციის წესებს ეყრდნობა და უგულებელყოფილია საწყისი ენის ტრანსლიტერაციის წესები.

**რეკომენდაცია:** არალათინური ანბანის მქონე ენების (მაგალითად, სლავური) კუთვნილ პირთა სახელებისა და გვარების ტრანსლიტერაცია მოხდეს ამ ენის ინგლისურად ტრანსლიტერაციის წესის მიხედვით:

იპოლიტოვ-ივანოვის ქუჩა – Ippolitov-Ivanov Street

მიხეილ ლერმონტოვის ქუჩა – Mikhail Lermontov Street

ვალერი ჩკალოვის ქუჩა – Valery Chkalov Street

პეტრე ჩაიკოვსკის ქუჩა – Pyotr Tchaikovsky Street

**შენიშვნა:** უცხოური გვარის დაბოლოების მატარებელი ქართული კულტურისგან განუყოფელი საზოგადო მოღვაწეების გვარების შემთხვევებში წესი აღრეულია, მაგალითად: ვასილ ბარნოვის ქუჩა – Vasil Barnovi Street, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა – Nikoloz Khudadovi Street, გიორგი გეხტმანის ქუჩა – Giorgi Gekhtman Street (ასევე ფიქსირდება, როგორც Giorgi Gechtman – გერმანული ფორმა), კირიაკ ზავრიევის ქუჩა – Kiriak Zavriev Street, ისააკ ალიხანიანის ქუჩა – Isaak Alikhanyan Street. სასურველია, რომ ასეთ გვარებზე ერთი წესი გავრცელდეს, გარდა ვასილ ბარნოვისა (Vasil Barnovi). ტრანსლიტერაციისას ამ გვარებში სახელობითი ბრუნვის ნიშნის გადატანა სავალდებუ-



ლო არ არის.

8) წმინდანის სახელის ტრანსლიტერაციისას გამოყენებულია მისი არაქართული დანერილობა.

**რეკომენდაცია:** წმინდანების სახელის ტრანსლიტერაციისას გამოყენებული უნდა იყოს სახელის ქართული და არა ლათინიზებული ფორმა, ხოლო სურვილის შემთხვევაში ფრჩხილებში ქუჩის დასაწყისში ან გამოსაჩენ ადგილას განთავსდეს ასევე სახელის ინგლისური ფორმა და ზედწოდება სრული თარგმანით:

- წმინდა ბარბარეს უბანი – Tsminda Barbare (Saint Barbara) District
- ანდრია პირველწოდებულის ქუჩა – Andria Pirveltsodebuli (Andrew the First-Called) Street
- იოანე ნათლისმცემლის ქუჩა – Ioane Natlismtsemeli (John the Baptist) Street

9) მეფის სახელობის ქუჩების ტრანსლიტერაციისას არაერთგვაროვანი ვითარებაა. სტატუსის აღმნიშვნელი სიტყვისა და მეფის სახელის თანამიმდევრობა განსხვავებულია ქართულსა და ინგლისურ ენებში.

**რეკომენდაცია:** მეფის სახელისა და სტატუსის აღმნიშვნელი სიტყვის შემცველი ქუჩის სახელწოდებების ტრანსლიტერაციისას შენარჩუნდეს ქართულში არსებული თანამიმდევრობა, ხოლო ქუჩის დასაწყისში ან გამოსაჩენ ადგილას სურვილის შემთხვევაში მიეთითოს უცხო ენისთვის დამახასიათებელი თანამიმდევრობა თარგმანით:

- თამარ მეფის ქუჩა – Tamar Mepe (Queen Tamar) Street
- მეფე სოლომონ II-ის ქუჩა – Mepe (King) Solomon II Street
- მეფე ფარნავაზის ქუჩა – Mepe (King) Parnavaz Street
- მირიან მეფის ქუჩა – Mirian Mepe (King Mirian) Street
- არჩილ მეფის ქუჩა – Archil Mepe (King Archil) Street
- ქეთევან დედოფლის გამზირი – Ketevan Dedopali (Queen Ketevan) Avenue

10) ნართანიათი მრავლობითის ფორმები ტრანსლიტერაციისას ზოგან შეცვლილია ებ-იანი მრავლობითით.

**რეკომენდაცია:** დარჩეს ნართანიათი მრავლობითი ტრანსლიტერაციისას, სურვილის შემთხვევაში გამოსაჩენ ადგილას ფრჩხილებში დაიწეროს თარგმანიც:

- მამულიშვილთა ხიდი – Mamulishvilita (Patriots) Bridge
- მებრძოლთა ქუჩა – Mebrdzolta (Fighters) Street
- მეფრინველეთა ქუჩა – Meprinveleta (Poultry Breeders) Street
- ორბელთა ქუჩა – Orbelta (the Orbelis) Street
- ფეიქართა ქუჩა – Peikarta (Weavers) Street
- ფერმწერთა ქუჩა – Permtserta (Painters) Street
- ხელოვანთა ქუჩა – Khelovanta (Artists) Street
- ახალმონამეთა ქუჩა – Akhalmotsameta Street (New Martyrs) Street

11) ზოგჯერ ერთზე მეტი ლექსიკური ერთეულის შემცველი სახელწოდებები წარმოდგენილია მხოლოდ თარგმანით და არა ტრანსლიტერირებული ფორმით.

**რეკომენდაცია:** როდესაც სახელწოდება ერთზე მეტი ლექსიკური ერთეულისგან შედგება, გამოყენებული უნდა იყოს ტრანსლიტერაცია. ხოლო სახელწოდების შინაარსის გადმოსაცემად თარგმანი შეიძლება მიეთითოს ქუჩის გამოსაჩენ ადგილას ან დასაწყისში:

- ასი ათასი მონამის ქუჩა – Asi Atasi Motsame Street (Hundred Thousand Martyrs Street)
- დაძმობილებული ქალაქების სახელობის სკვერი – Dadzmobilebuli Kalakebi Minipark (Twin Cities Minipark)
- სამრეწველო დასახლების ქუჩა – Samretsvilo Dasakhleba Street (Industrial Settlement Street)
- სამხედრო დასახლების ქუჩა – Samkhedro Dasakhleba Street (Military Settlement Street)
- წმინდა ასი ათასი ქართველი

მონამის სახელობის ხიდი

– Tsminda Asi Atasi Kartveli Motsame Bridge  
(Hundred Thousand Georgian Saint Martyrs Bridge)

ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა – Ertianobistvis Mebrdzolta Street (Fighters for Unity Street)  
12) ერთი საზოგადო სახელით გადმოცემული სახელწოდება ხან თარგმნილია, ხან არა.

**რეკომენდაცია:** ერთი საზოგადო სახელით გადმოცემული ქუჩის სახელწოდების ინგლისური თარგმანის გამოყენება ტრანსლიტერაციასთან ერთად სავალდებულო არ არის და ის შესაძლებელია განთავსდეს არა ყველა შენობაზე, არამედ ქუჩის დასაწყისში ან სხვა გამოსაჩენ ადგილას:

ერთობის ქუჩა	– Ertoba (Unity) Street
ექიმების ქუჩა	– Ekimebi (Doctors) Street
ვაზის ქუჩა	– Vazi (Vine) Street
ზღვის ქუჩა	– Zghva (Sea) Street
კალატოზის ქუჩა	– Kalatozi (Bricklayer) Street
მეველის შესახვევი	– Mevele (Outguard) Lane
მნათობის შესახვევი	– Mnatobi (Luminary) Lane
მომავლის ქუჩა	– Momavali (Future) Street
მონადირის ქუჩა	– Monadire (Hunter) Street
მშვიდობის ქუჩა	– Mshvidoba (Peace) Street
ნაკადულის ქუჩა	– Nakaduli (Brook) Street
საექიმოს გასასვლელი	– Saekimo (Medical) Path
სამრეკლოს ქუჩა	– Samreklo (Belfry) Street
ხიდის ქუჩა	– Khidi (Bridge) Street
ტაძრის ქუჩა	– Tadzari (Temple) Street
ახალგაზრდობის ქუჩა	– Akhalgazrdoba (Youth) Street
მეგობრობის ქუჩა	– Megobroba (Friendship) Street
მეზღვაურის ქუჩა	– Mezghvauri (Sailor) Street
გვირილების ქუჩა	– Gvirilebi (Daisies) Street
ბრონეულის ქუჩა	– Brotseuli (Pomegranate) Street
გაზაფხულის ქუჩა	– Gazapkhuli (Spring) Street
მებაღეობის ქუჩა	– Mebagheoba (Gardening) Street
მეურნის ქუჩა	– Meurne (Carter) Street
ალუბლის ქუჩა	– Alubali (Cherry) Street
ალუბლების ქუჩა	– Alublebi (Cherries) Street
იასამნის ქუჩა	– Iasamani (Lilac) Street
მაისის ქუჩა	– Maisi (May) Street

**შენიშვნა:** გასათვალისწინებელია ქართული სამისამართო სახელწოდებების უცხოენოვანი შესატყვისის მართლწერისა და ტრანსლიტერაციისას სახელის შინაარსი, ის კონკრეტული ტოპონიმის სახელწოდებაა თუ საზოგადო სახელი, მაგალითად: ბაღნარის, ველის, განთიადის ქუჩები. ეს ქუჩები სოფლების სახელწოდებებია. გარდა ამისა, განთიადი გაგრის მუნიციპალიტეტში დაბის სახელია. შესაბამისად, უცხოენოვან შესატყვისად უნდა დაინეროს მხოლოდ ტრანსლიტერირებული ფორმა თარგმანის გარეშე.

13) ზოგჯერ ქართველი საზოგადო და ისტორიული მოღვაწეების სახელობის ქუჩების სახელწოდებებში უგულებელყოფილია ქართულიდან ტრანსლიტერაციის წესები.

**რეკომენდაცია:** ქართველი საზოგადო და ისტორიული მოღვაწეების სახელობის ქუჩების სახელწოდებების ტრანსლიტერაციისას გამოყენებული უნდა იყოს ზუსტი ტრანსლიტერაცია:

დავით აღმაშენებლის გამზირი – Davit Aghmashenebeli Avenue

მაია წყნეთელის ქუჩა – Maia Tsqneteli Street

სოფიკო ჭიაურელის ქუჩა – Sopiko Chiaureli Street

14) გეოგრაფიული ობიექტების აღმნიშვნელი საზოგადო სახელებისა და მათი შემოკლებების უნიფიცირებული სიის დამატება:

1. St/St. არის ყველაზე მიღებული ფორმა ბრიტანულ და ამერიკულ ინგლისურში. დღეს თბილისის ქუჩებში ფართოდ გამოიყენება St. ვარიანტი, რომლის შეცვლაც, სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მიერ ადრე დამტკიცებული წესის შესაბამისად (Str.), შექმნის სირთულეებს. ამიტომ უნდა გამოვიყენოთ St. აბრევიატურა. ხოლო მცირე ზომის სახელწოდებების შემთხვევაში, სასურველია, გამოყენებული იყოს სრული ფორმა Street;

2. „მდინარის“ აბრევიატურის აღნიშვნისას გამოყენებული უნდა იყოს მდ. ფორმა, ხოლო უცხო ენაზე riv., მაგალითად: მდ. მტკვარი, riv. Mtkvari;

3. ინგლისური საზოგადო სახელის Village (სოფელი) აბრევიატურა ენის დეპარტამენტის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად არის VLG. პარალელურ ფორმად შესაძლებელია vill. აბრევიატურის გამოყენება, მაგალითად: vill. Dighomi.

### ლიტერატურა

1. ბერიძე მ., გოგია ნ., თეთრაძე მ., კობიაშვილი ს., მუნიციპალური ტოპონიმისა და გეოგრაფიული ობიექტების მართლწერის, ტრანსლიტერაციისა და თარგმანის საკითხები, სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ბიულეტენი, II, გამომცემლობა გრიფონი, თბილისი, 2019-2020, გვ. 113-116
2. ზარდალიშვილი გრ., თბილისისა და მისი მიდამოების ტოპონიმია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1978
3. საქართველოს გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი, მეორე გამოცემა, ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, თბილისი, 2009
4. საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი (მასალები), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი; რედაქტორები: ი. აფხაზავა, ი. გიგინეიშვილი, ა. კობახიძე, დ. უკლება, მ. ჭაბაშვილი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, თბილისი, 1987



**სახელმწიფო ენის დეპარტამენტი**

**ბიულეტენი  
III**

**STATE LANGUAGE DEPARTMENT**

**Bulletin  
III**

თბილისი  
2021-2022



[www.enadep.gov.ge](http://www.enadep.gov.ge)